ეროვნული ბიბლიოთეკა

# ივერია

ეროვნული და დემოკრატიული მიმართულების ჟურნალი
პუბლიცისტიკა, ხელოვნება, მეცნიერება

ი-646

## IVERIA

EDITION PERIODIQUE GÉORGIENNE

## 34

აპრილი 1990
პარიზი

ჟურამ შარაძის ბიბლიოთეკა

# ივერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი
დაარსებული ილია ჭავჭავაძის მიერ 1877 წელს.
აღდგენილი პარიზში ეროვნულ-დემ. პარტიის
მიერ 1949 წელს.

ი-646

34

აპრილი 1990
პარიზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შ ი ნ ა ა რ ს ი

დავით აგმონი (დავით აჯიაშვილი)

ლექსები 1

იროდიონ ბეგიაშვილი

თამარა პირველი 2

ალექსანდრე მანველიშვილი

ჩემი მოგონებიდან 17

თბილისის პოლიტიკური კლუბი

საქართველოს შიდაპოლიტიკური მდგომარეობა 25

მორის ალლე (Mauris Allais)

მღელვარე ცვლილებანი აღმოსავლეთში (თარგ. მ. ქავთარაძისა) 28

ჯანრი კაშია

კვიმატი ჰიპოთეზები

I. 1924 წლის აჯანყება და "მენშევიზმი" 39

ს. ქართველი

რჩევა არჩევნებისა... 70

მ.ქავთარაძე

"მტერი მტერსა ვერასავნებს, რომე კაცი თავსა ივნებს"... 72

ჯანრი კაშია

"მოპატიჟება ჩონ ტაში" 82

ქ რ ო ნ ი კ ა 85

სამძიმარი 86

ჟურნალის ფონდი 86

მომავალ ნომერში 87

************************************************************************************

## და მე ოცნება ვიცი ასჯერი

მონიშნულია ოქროს საზოდე!
ოჰ, ბევრი იყო ღელვა აქამდე,
რწმენავ, წამებას გადარაზოდე,
რომ სისხლით აღარ გადალაქავდე.

ქართლში კვლავ ჟაჟა და ნანებია,
"კვირა ცხრა ოთხი", - ცნობა მომიდის;
სიცოცხლე აღდარ დამნანებია
მანდ მოთარეშის და სოდომიტის.

და ზიზღით ვყვები იმის შესახებ,
ვინაც ოცნება გვიგმო, გვიარმა,
როს უმხურვალეს ლოცვით შესაღებ
ზეცას შეჰკივლა დრომ ნატყვიარმა.

...ვიხსენებ წარსულს, გული ხელდება
რისხვით გვიკლებდნენ გზებს და კერიებს,
და იწყებოდა მზის მოხელთება...
ქარი კვამლიან დღეს იგერიებს.

...ულორტო ყვავილის, როგორ მეოსე,
სწრაფი რაშები გლოვით დაქანცე,
ახლა ასმეცხრე თუ ასმეოცე
ნუგეშს დავეძებ თეთრ ფილაქანზე.

ქუხილო, გრგვინვავ, მტკიცედ დაჰყვებით
ზრახვებს ძველისძველთ ნათელ კადრებად,
წაქცეულ ალმის მზის ნიდაყვებით
აღმართვა მხოლოდ თქვენ გეკადრებათ.

და მე ოცნება ვიცი ასჯერი,
რა ნაზად სტირით სულში, კლერტონო:
"თავისუფლება, არა - სასჯელი,
ქარო, დალურჯულ ფრთით გადასჭერი
ბურუსი - ყრუ და უკამერტონო!"

აჰ, ქარიშხლებო! როგორ მალდებით,
იმსხვრევა შხამის ძველი შტოფები
და სასოების ლურჯ ხომალდებით
მეუდრო ნაპირებს ვემშვიდობები.

- ხვდები, ბნელეთმა დაშნა რად ისო?
ცაო, ეს გული ვარდებს მიადე;
ცოტაც და - სხივი სამარადისო,
ვით მშვენიერი ალკიბიადე.

და ღამეების ფიქრში გათევით
კვლავ ლეგენდალურ რამედ ცვარდება
ზამბახზე მთვარის ნაგუმბათევით
ცრემლის ბრწყინვა და ალაქვარდება.

დავით აგმონი, 11 აპრილი 1989 წ.

## წერილი სოფლად

შენ ახლა, ალბათ, სევდა გედება,
გადაწვა ღამე - ტყის გამლალავი,
დგას მზით სექტემბრის მოპირკეთება, -
უშურველი და შეუბღალავი.
თუ დაიფარჩა ოქროდ ხაშარი,
ან დუმბულების "დუმენ-დუმბათი"
თუ შეთვრა მთვარე ნახაშხაშარი
და ძველისძველი საყდრის გუმბათი?
გიგონებ ისევ, ვხურავ "ულისეს",
დავტოვე ვაზი - ქარვის ჯავშანი,
ცხენები ფიცხნი და ფეხკავშანი, -
კრიალა ცით რომ გამაგულისეს.
მე გიძღვნი სალამს, ბავშვური მიმი
მიმონებს, როგორც ნელი არაკი
და გულით დამაქვს ეგ შენი ღიმი, -
უშურველი და შეუბღალავი.

დავით აგმონი 1969

******************************************************************************

ჩვენ მიერ გამოქვეყნებული "თამარა პირველის" ისტორია ამ ჯგუფის პარიზიდან გამგზავრებით იწყება. მაგრამ ხომ წარმოუდგენელი არის, რომ გერმანელებმა პარიზში შეკრებილ ქართველებს ვენაში თოფები დაურიგეს და პირდაპირ ფრონტზე მოქმედ ჯარის ნაწილად აქციეს ჯგუფი. ამ ჯგუფის გამგზავრებას, ცხადია, წინ მისი გაწვრთნა უძღოდა, რომელშიდაც მოგონების ავტორი, ალბათ, არ მონაწილეობდა.

ეს ჯგუფი საიდუმლოდ და შერჩევით შეადგინა გერმანულმა კონტრდაზვერვამ, მიხეილ კედიას თანამშრომლობით. იმავე გზის მეშვეობით წარმოიშვა, ამჯერად რუსეთთან ომის დაწყებისთანავე, "თამარა მეორე", მხოლოდ არც ისე საიდუმლოდ.

"თამარა პირველმა" რუსეთთან ომზე კარგა ხნით ადრე გაიარა ინტენსიური წვრთნა ორლეანის მახლობლად მდებარე რომელიღაც დიდ რეკვიზირებულ მამულში. ჯგუფი რეკრუტირებული იყო საქართველოში სამოქმედოდ. მისი წვრთნა სპეციალურ ხასიათისა იყო, როგორიც სადესანტო სადივერსიო ნაწილს შეეფერება. მათ ასწავლიდნენ არა მარტო საომარი იარაღის ხმარებას, არამედ ყველაფერს, რისი ცოდნაც პარტიზანულ რაზმს მოეთხოვება: ასაფეთქებელ მასალის დამზადებას ჩვეულებრივ აფთიაქში ნაყიდ "წამლებისაგან"; ამ მასალით ბომბის დამზადებას და საერთოდ აფეთქების ტექნიკას; დარაჯთა ნეიტრალიზაციის სხვადასხვა ხერხებს; უცნობ ადგილებში ორიენტირებას; კავშირგაბმულობის ტექნიკას; სამხედრო რუკების კითხვას და სხვა.

მათი მთავარი მწვრთნელი იყო ფელდფებელი რიხტერი, პროფესიული მხედარი, ჯერ კიდევ ძველი ასიათასიანი "რეიხსვერიდან". იგივე რიხტერი იყო უფრო გვიან "თამარა მეორეს" ფელდფებელი. მაგრამ "თამარა მეორე", "პირველისაგან" განსხვავებით, უკვე ჩვეულებრივი გერმანული ასეულის წვრთნას იღებდა. ეს ორი ნაწილი სულ სხვადასხვა დანიშნულებისა იყო და ამიტომაც ამ ორი ერთეულის შინაწესები ძლიერ განსხვავებულიც იყო. "თამარა პირველი" მტრის ზურგში სამოქმედო კომანდო იყო, რომლის დისციპლინა და შინაური წესები ჯარის ჩვეულებრივ წესებს არა ჰგავდა. ამიტომ იყო, რომ მიხეილ კედია არათუ ამ ერთეულის საქმეში სრულიად ვერ ჩაერეოდა, არამედ, ოფიციალურად მას არაფერი აღარ უნდა სცოდნოდა რაც ამ ერთეულს ეხებოდა, ხოლო "თამარა მეორესთან" მას მუდმივი კავშირი ჰქონდა. ეს შენიშვნა კომენტარს არ წარმოადგენს, იგი მხოლოდ დამატებითი ცნობების მიწოდებაა მკითხველთათვის.

მ.ქ.

* * *

## იროდიონ ბეგიაშვილი

### როგორ დაიბადა "თამარ პირველის" ჯგუფი და როგორ დასრულდა მისი არსებობა.

1941 წელს გერმანელების მიერ უკვე დაპყრობილ საფრანგეთში დიდი კრიზისი დადგა სამუშაოების საპოვნელათ. მრავალი ქარხნებისა და წვრილი წარმოების შეჩერებამ ბევრი ქართველები დაგვტოვა უმუშევრათ, რაც ჩვენი არსებობისათვის ნიშნავდა ნამდვილ კატასტროფას. მაშინათვე დავიწყეთ ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელათ საშვალებების ძებნა. სწორეთ ამავე ხანებში რამოდენიმე ქართველის ინიციატივით გერმანე-ლებთან შეთანხმება ეწყობოდა. ეს შეთანხმება გამოიხატებოდა იმაში, რომ ვითომ უნდა შემდგარიყო ქართველი ახალგაზრდების ჯგუფები, რომელთაც საშვალება მიეცემოდათ გერმანიაში წასვლის და ფაბრიკა ქარხნებში უცხოელთა მუშახელისათვის თვალყურის დევნება, როგორც სანდო პიროვნებებს, რისთვისაც ჯამაგირი საკმარისათ დამაკმაყოფილებელი და ხელმისაწვ-დომი იქნებოდა. უმუშევრათ დარჩომილ ქართველე-ბისათვის ეს მდგომარეობა სწორეთ ზედ გამოჭრილი იყო, რის გამოც პატარ-პატარა ჯგუფების ჩამოყალიბება ყოველგვარი სიძნელეების გარეშე მოხდა. მე არ ვიცოდი თუ რამდენი კაცისაგან შესდგებოდა ის ჯგუფი, რომელსაც მეც უნდა მივკუთვნოდი. ეს მხოლოთ მაშინ გავიგე, როდესაც დაჯგუფებისათვის გერმანიაში გასამგზავრებლათ პაემანი დაგვენიშნა პარიზის ერთ-ერთ მოედანზედ. ეს იყო 1941 წლის მაისის დასაწყისში. მშვენიერი დღე იყო, არე-მარე სიცოცხლით იყო სავსე და სწორეთ დანიშნულ საათში სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა ქართველებმა მოვიყარეთ თავი და ბედით კმაყოფილნი ვიყავით, რომ ჩვენი საფრანგეთში გაჭირვებული მდგომარეობიდან გამოსვლის საშუალება უკვე გამოჩნდა და რომელსაც მივყავდით ახალი და უკეთესი მომავლისაკენ. სულ ჩვიდმეტი ემიგრანტი ვიყავით, აი მათი სახელებიც:

1. ზურაბ აბაშიძე.
2. მიხეილ ბახტაძე.
3. დიმიტრი ბართიაშვილი.
4. იროდიონ ბეგიაშვილი.
5. გოგია ბერძენიშვილი.
6. მიხეილ ბურძგლა.
7. გიორგი გაბუნია.
8. მიხეილ გრიგოლია.
9. მიხეილ გოგორიშვილი.
10. ლეო კაკულია.
11. ალექსანდრე კანკავა.
12. მათე კერესელიძე (თარჯიმანი).
13. გიორგი ივანიძე.
14. შალვა მაღლაკელიძე.
15. გრიშა მირიტაძე.
16. ვიქტორ მონიავა.
17. დათიკო ხარისჭირაშვილი.

მოედანზედ დიდხანს არ დაგვჭირვებია ლოდინი. ერთი-მეორის მოკითხვა და ორიოდე სიტყვის თქმა ძლივს მოვასწარით, რომ სპეციალურათ ჩვენთვის გამზადებული ავტობუსი ჩამოდგა, რომელსაც თან მოჰყვა დაახლოებით 25

*************************************************************************

წლის ახალგაზრდა გერმანელი ბიჭი. მაშინათვე ყველას მოგვესალმა ფრანგულ ენაზედ. რომელსაც ეტყობოდა კარგათ ფლობდა და აშკარათ სჩანდა. რომ კულტურული ადამიანი იყო. იგი იყო დაბადებული ბერლინში და უმაღლესი ცოდნა მიღებული. სახელათ კი ბულოლც ფრიცი. მან გადმოგვცა. რომ ის იქნებოდა ჩვენი გამყოლი დანიშნულ ადგილამდე. უკვე პარიზის დატოვების საათმა დაჰკრა და ყველანი ავტობუსში მოვთავსდით. ავტობუსმა მიმართულება ქალაქ შტუტგარტისაკენ აიღო. პარიზს თითქოს სამუდამოთ ვემშვიდობებოდით და ამ ფსიქოზით განწყობილნი ჩვენდა უნებურათ, თუ შეუცნობლათ. სრული სიჩუმით განვშორდით მის მიდამოებს. რამოდენიმე საათის შემდეგ. მანქანა გაშლილ მინდვრებზედ გაწოლილ გზატკეცილზედ გამალებით მიექანებოდა. გშორდებოდით ჩვენს მეორე სამშობლოს, რომელმაც გულთბილად მიგვიღო და ავათ თუ კარგათ მის წიაღში გავატარეთ მრავალი წლები ჩვენი ახალგაზრდობისა. ყველას რაღაც ღრმათ დაფიქრებული ელფერი გადაგვკრამდა. ალბათ იმიტომ. რომ ყველანი ერთნაირათ და ერთსა და იმავეს ვფიქრობდით და ერთი და იგივე საკითხს უსვამდით ჩვენ თავს: თუ სად მივდიოდით. როგორ და რა პირობებში დაიწყობოდა ჩვენი ახალი ცხოვრება. იქნებოდა ჩვენთვის მისაღები თუ არა. ან და როგორ შევეგუებოდით ამ ომის პერიოდში - ჩვენთვის ახალ და ჯერ უცნობ ქვეყანას. ზემოთ უკვე ვსთქვი. რომ ჩვენი გამყოლი ახალგაზრდა იყო და ალბათ ამიტომ ვერ აიტანა დიდხანს ეს სიჩუმე და გვთხოვა. თუ ჩვენთვის მოსახერხებელი იქნებოდა. - გვემღერა რამე ქართულ ენაზედ. აბა. განა შესაძლებელია. ჩვიდმეტ ქართველში ხუთს ან ექვს კაცს მაინც არ სცოდნოდა სიმღერა?!! ჰო და - ბევრი ხვეწნაც აღარ დაგვჭირვებია და დავჭექეთ რამოდენიმე სიმღერები. ჩვენთან ერთათ ორი შტუტგარტელი მანდილოსანიც იჯდა. ქართულმა სიმღერებმა ისე აღაფრთოვანეს. რომ გაუჩერებლივ ტაშს უკრავდნენ და გვეხვეწებოდნენ. რომ კიდევ გვემღერა. თვით ავტობუსის მძღოლმაც შუა მინდორში გააჩერა მანქანა და გვთხოვა განმეორება სიმღერებისა. რათა მასაც მოესმინა დაწყნარებით მანქანის ხმაურის გარეშე. ახალა კი - მხიარული ათმოსფეროთი სავსენი განვაგრძობთ გზას და მხიარულათ ჩავედით შტუტგარტამდე. ჩასვლისთანავე მოგვათავსეს ერთ დიდ სასტუმროში. რომელშიაც გასაოცარი სისუფთავე იყო დაცული. ორიოდე საათით ქალაქში სეირნობის შემდეგ - სასტუმროში ვივახშმეთ და ცოტა დაგვიანებით ძილს მივეცით თავი. გათენებისას. მოვათავეთ თუ არა რძისა და ყავის დალევა. სასტუმროს წინ ახალი მანქანა და ახალი მძღოლი გვიცდიდა. ახლა კი მიმართულება ქალაქ ვენისაკენ ავიღეთ. ჩვენში სევდიანობას უკვე ადგილი აღარა ჰქონდა. როგორც პარიზიდან გამოსვლისას - იმ მიზეზით. რომ ამ რამოდენიმე დღეში ყველანი ჩვენ-ჩვენ სამუშაოებზედ მოვეწყობოდით და დავიწყებდით დამოუკიდებელ ცხოვრებას სხვის შეუწუხებლათ. კარგა ხნის მგზავრობის შემდეგ ვენაშიც შევედით. მისვლისთანავე იქაც სასტუმროში მიგვიყვანეს - ტაბორ შტრასეს ქუჩა ოტელ სტეფანში. როგორც ეტყობოდა ჩვენ გამყოლს წინასწარვე ჰქონდა გამიზნული ეს სასტუმრო და მის პატრონთან დადებული პირობებიც ჩვენი შიგ ცხოვრების შესახებ. ამიტომ იყო. რომ არავითარი ცდა და ლოდინი არ დაგვჭირვებია და მაშინათვე მოვეწყვეთ ყველა თავთავის ადგილებზედ. საჭმელ-სასმელიც ყოველდღიურათ წინასწარ იყო დაკვეთილი. ასე ვსთქვათ - პანსიონერებათ მოგვაწყვეს. რაკი ერთხელ ყველანი დავბარგდით. ჩვენი გამყოლი - ფრიც ბულოლცი დაგვემშვიდობა და ბერლინს დაუბრუნდა. მათე კერესელიძე კი. რომელიც ჩვენ თარჯიმნობას გვიწევდა. ქალაქის დასათვალიერებლათ და მის ახლო-მახლო მიდამოებში სასეირნოთ მუდამ თან დაგვდევდა. ე.ი. იყო. როგორც ჩვენი პატრონი და პასუხისმგებელი ამ ჩვენთვის უცხო ქალაქში. კარგი და ლამაზია ვენა. მშვენიერი ნაგებობა შენობების და ლამაზი შემოგარენი მაყურებელს ატკბობს. ამიტომაც ეძახდნენ ზოგიერთები პატარა პარიზს. არაფერი არ გვაკლდა. ამინდებიც კარგი იყო და მუდამ მხიარულათ დავსეირნობდით ქუჩებში. ამნაირათ - სრულიათ მიამიტურათ დამშვიდებულნი ველოდებოდით ყოველ დღე გამყოლის ჩამოსვლას და სხვა და სხვა ადგილებზედ ჩვენი სამუშაოებზედ გამწესებას. ასეთ ლოდინში თვეზედ მეტი გავიდა. უკვე ივნისის ოცია. როდესაც ბულოლცი გამოგვეცხადა და რომელთანაც იყო მეორე პიროვნება. დაახლოებით შუა ხნის კაცი. მან ეს პიროვნება გაგვაცნო და გვითხრა. რომ ამ დღიდან ის იქნებოდა ჩვენი უფროსი და ჩვენი საქმეები მას ებარებოდა. სახელათ ჰერმან მულერი იყო. ამაზედ მეტი განმარტება ჩვენთვის არ მოუციათ და კიდევ ერთხელ ბულოლცი და ახლათ გაცნობილი ჰერმან მულერი გაგვეცალნენ. ორი დღის შემდეგ დიდი აურზაური იყო ჩვენ სასტუმროში. ყველანი გაცხარებულ:ნი რაღაცაზედ კამათობდნენ: ზოგნი შეშინებულნი ჩანდნენ. ზოგსაც მხიარული სახეები ჰქონდათ. ბოლოს გამოვარკვიეთ. რომ ამ დილას. 22 ივნისს გერმანიამ რუსეთს ომი გამოუცხადა და პირველ დარტყმისთანავე გერმანული ჯარი უკვე წინ სწრაფი ნაბიჯებით მიიწევდა. რამოდენიმე საათის შემდეგ ჰერმან მულერი და ბულოლციც გაჩნდნენ ჩვენთან ერთი სამხედრო მანქანით და გვთხოვეს. რომ ყველანი შიგ ჩავმსხდარიყავით. ვიფიქრეთ. ალბათ

სადმე სამუშაოთ თუ მივუახლდით. რომ რამოდენიმე წუთით მგზავრობის შემდეგ ვენის ერთერთი კაზარმის ეზოში ამოვყავით თავი. შეგვიყვანეს ერთერთ დარბაზში, სადაც კედლებზედ მიკრული ეტაჟერები სავსე იყო სამხედრო საცმელებით. ჰერმან მულერი და ბუღოლცი უცებ თვალს მიეფარნენ. დავრჩით საწყობის გამგის და ჩვენი თარჯიმანის მათე კერესელიძის პირისპირ: მათეს საშუალებით გავიგეთ, რომ ამ საწყობში მოველით იმიტომ, რომ ჩაგვეცვა სამხედრო სამოსი. აგვიღეს ზომები და საცმელებიც დაგვირიგეს ყველას თავთავიანთი ზომების მიხედვით. ვიფიქრეთ, ომიანობის გამო სამუშაოთაც შეიძლება სამხედრო საცმელებია სავალდებულო და ამნაირათ ერთი საათის შემდეგ ყველანი უკვე გერმანელ ჯარის-კაცებათ გადავიქეცით. ჩვენი სამოქალაქო საცმელები და პირადი ბარგი კი ჩემოდნებში ჩაგვაწყობინეს და კარგათ შეკრული და დანომრილი საწყობის ერთერთ კუთხეში მიალაგეს, ჩვენ კი ეზოში დაგვაბრუნეს და ორიოდე წუთის შემდეგ. ჩვენი ჰერმან მულერი და ბუღოლციც მხედრულათ ჩაცმულნი გამოჩნდნენ. ბუღოლცი უნტეროფიცერის ჩინით და ჰერმან მულერი კი ფელთფებელის. მაშინათვე გაგვაწყვეს ორ რიგათ, როგორც სამხედრო წესია. სიტყვა ფელთფებელმა დაიწყო და რამოდენიმე წუთი ილაპარაკა. შემდეგ მათე კერესელიძემ ქართულათ ახსნა განაგრძო. და აი რა იყო ეს სიტყვები: ქართველო ახალგაზრდა ემიგრანტებო, კარგათ ვიცი, რომ დღევანდლამდე გერმანიაში სამუშაოზედ მოწყობას ყველანი სიხარულით ელოდებოდით. მაგრამ ეს ასე არაა; მდგომარეობა შეიცვალა ამ ორი დღის განმავლობაში, რაც ომი დაიწყო რუსეთსა და გერმანიის შორის და ამნაირათ თქვენი სიხარული დღეს უკვე გაასკეცებულათ უნდა ჩაითვალოს, რადგან ჩემი მეთაურობით, მე მინდა გერმანიის ჯარების გვერდში, ყოველგვარი ბრძოლების გარეშე, გაგიძღვეთ თქვენ და მშვიდობით ჩაგიყვანოთ თქვენი, რამოდენიმე ათეული წლობით უნახავ და დანატრებულ სამშობლოში. თქვენ მისიას კი იქ, ადგილობრივ ჩემთან ერთად შეასრულებთო. დღეიდან უნტეროფიცერი ბუღოლციც მუდმივათ თქვენთან ერთად იქნება საქართველ:ოში ჩასვლამდეო". ამ სიტყვების შემდეგ თითქმის ყველას სიხარულის ცრემლები მოგვადგა თვალებზედ. ამ წუთში ბედნიერათ ვგრძნობდით ყველანი თავს, რომ უცხო ქვეყანაში სამუშაოებზედ მოწყობის მაგივრ, სამშობლოსაკენ უნდა გვექნა პირი და ამასთანავე რუსეთის იმპერიაც ინგრეოდა. ჩვენი სიხარული და იმედი, რომ მალე საქართველო თავისუფალი იქნებოდა რუსეთის მონობისაგან, იმდენათ დიდი და ძლიერი იყო, რომ მზათ ვიყავით დავხოცილიყავით სამშობლოსათვის, თუ კი ეს საჭირო იქნებოდა და აზრათაც არ მოგვსვლია იმ წუთებში, თუ ვისით, საიდან და რატომ გაჩნდით აქ უცაბედათ გერმანულ უნიფორმაში და ყელამდი ჩაფლულნი იარაღით ხელში. მხოლოთ როდესაც უკანვე სასტუმროში დავბრუნდით უკანასკნელი ღამის გასათევათ, მაშინ და მხოლოთ მაშინ კარგათ დაფიქრების შემდეგ მივხვდით, რომ გერმანიაში სამუშაოებზედ მოწყობა, ეს იყო გამოგონილი ამბავი და სინამდვილეში ემიგრანტებში ვინც ჩვენი ჯგუფი შეადგინა და მოწყობა ითავა, ყველაფერი მოტყუებით იყო გაკეთებული ჩვენს დაუკითხავათ და ჩვენი ამ საქმის შეთანხმების გარეშე. რისთვისაც პირველ წუთებში ვიგრძენით ეს მდგომარეობა არანორმალურათ და ჩვენი თვითეული პიროვნების დამცირებათ და არაფრად ჩაგდებად, რამაც დიდი წყრომა გამოიწვია ჩვენში, ჩვენთვის თავიდანვე რომ ეთქვათ ეს სიმართლე, ამაზედ ხომ უკან არ დავიხევდით?! ამ ჟამათ ჩვენის გულის წყრომა მაინც მალე განელდა სამშობლოში მიმავალ გზის მიზეზით და სინამდვილეში ბედნიერებათაც კი ვიგრძენით თავი, რომ ემიგრანტებიდან ჩვენ პირველნი შევდგამდით ფეხს ჩვენ ტანჯულ ქვეყანაში. გათენებისას - სასტუმროში ყველასთან დამშვიდობების შემდეგ - ისევ იმავე კაზარმის ეზოში დავბრუნდით, სადაც მივიღეთ ჩვენი მგზავრობისთვის განკუთვნილი საბარგო მანქანა და ერთი მსუბუქი ავტომობილიც ფელთფებელისთვის. ერთხელ კიდევ დავეწყეთ ჯარისკაცურათ და ერთხელ კიდევ დადგინდა, რომ ამიერიდან ჩვენი ჯგუფი იქნებოდა ბრძოლის ველის სულ წინა ხაზზედ და რომ პირველნი ვიქნებოდით საქართველოში შესვლისთანავე. მომრიგებელნი და თადარიგის დამცველნი - გერმანელებისა და ქართველთა შორის, რომ რაიმე უთანხმოებას, ან და ურიგო მოქცევას არ ჰქონოდა ადგილი ამ ორ ხალხთა შორის. ვიდექით მწკრივში ჩვიდმეტი კაცი: ერთი სულით, ერთი გულით, ერთის იმედით და ერთი იდეიით შეპყრობილნი. ეს იყოდღე და საათი "თამარ პირველის" ჯგუფის დაბადებისა. დიახ, ამ კაზარმის ეზოში დაიბადა ეს ჯგუფი "თამარ პირველის" სახელით, რადგან აქ ავისხით იარაღი სამშობლოს განთავისუფლებისათვის პირველათ. მხოლოდ რაც შეეხება ჩვენი ჯგუფის სახელს, ეს დღესაც არ ვიცი, ვინ, სად და როდის დაადგინეს. დადგა წასვლის წუთები და ჩვენც დავიკავეთ ყველამ თავთავისი ადგილი საბარგო მანქანაზედ და დავიძარით რუსეთის მიმართულებით. ვენიდან, ვიდრე გერმანიის ტერიტორიას გადავჭრიდით - ბუდაპესტამდე. გზაში ზოგიერთ სასტუმროებში გვიხდებოდა ცოტა ხნით დასვენება. გერმანიის ტერიტორიაზედ მოგზაურობისას, გზის პირა მცხოვრებლებს მუდამ

გაბრწყინებული სახეები ჰქონდათ. ეტყობოდათ უხაროდათ მათი ჯარების ბრწყინვალე გამარჯვებები და წინ სვლა რუსეთის ტერიტორიაზედ. როდესაც გერმანია მივატოვეთ და ჰუნგრიის დედა ქალაქ ბუდაპესტში შევედით, აქ მხოლოთ სევდასა და მწუხარებას ამოიკითხავდი კაცი ადამიანთა სახეზედ. ყველა ქუჩებში, რომლის დათვალიერების დროც ;ოგვეცა, სამარისებური სიწყნარე სუფევდა, გარდა დანუბის პირებზედ მშვენიერ და უზარმაზარ კაფეების ტერასებზედ, სადაც მხოლოთ გერმანელ მხედრობას ჰქონდა დაკავებული ადგილები. ისმოდა ვიოლონებზედ დიდებულათ აკვნესებული ციგნური მუსიკა. ჩვენი მიზანი არ იყო ამ ქალაქში დიდხანს გაჩერება, ამიტომ კარგათ სეირნობისა და დასვენების შემდეგ - ჩვენი გზა განვაგრძეთ.

ივნისის ცხელი დღე იყო და ამავე დროს საშინელი მტვერი ჰუნგრიის გზებზედ. ძალიან დამღლელი იყო ეს, მაგრამ ყველაფერს მაინც სრულიათ ახალგაზრდული სულით და ბედნიერებით სავსენი გავყურებდით. ამ სამშობლოში მიმავალ გზას, ვიდრე ჰუნგრეთს გავივლიდით, ღამეებს სასტუმროებში ვატარებდით. როგორც იყო გადავჭერით ჰუნგრიის საზღვარი და რუმინიაში შესვლისას - პირდაპირ ბუხარესტში შევედით, - სადაც მხოლოთ ერთი დღე და ღამე დავრჩით. გათენდა თუ არა განვაგრძეთ გზა ბესარაბიის დედაქალაქ კიშინევამდე. თუ აქნობამდე ბევრი არაფერი ეტყობოდა გერმანიის მიერ დაპყრობილ აღმოსავლეთ ევროპას, ახლა კი - კიშინევში ომის ქარიშხალის გადავლას მწუხარე კვალი დაეტოვებინა. აუარებელი სახლები იყო დანგრეული. ქალაქი თვით მცხოვრებლებისაგანაც დაცარიელებული იყო. გარდა ზოგიერთ გაბედული პიროვნებების; რომელნიც შეხიზნოდნენ თავიანთ სახლებს. არავითარი სავაჭრო რამ აღარ არსებობდა. ღვინის პადვლებში სადვინე ბოჭკებიც ნავთებით შეემსოთ რუსებს, რომ აღარაფრათ ვარგებულიყო. ერთი სიტყვით ქალაქი მთლიანათ მკვდარი იყო და ქუჩებში მხოლოთ გერმანელი ჯარისკაცები დადიოდნენ. ამ ქალაქის განაპირათ დაიწყო ჩვენი პირველი და ნამდვილი ჯარის კაცური ცხოვრება. დავდგით სამხედრო ფერით შეღებილი კარვები და შიგნით მოვაგვარეთ საწოლები, როგორც წესი და რიგია საამისოთ. აქ დავიწყეთ პირველათ რიგრიგობით ღამით ყარაულობაც თოფით ხელში, რადგან წინა დღეების გამარჯვებით გერმანელი ოკუპანტები ჯერ კიდევ მთლიანად არ იყვნენ დაზღვეულნი და ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო თავზედ ხელაღებულების ჩვენზედ თავ დასხმა. ამნაირათ ორიოდე დღე გავატარეთ აქ, რამოდენიმე კაციც დავმარხეთ, რომელნიც სამოქალაქო ტანისამოსში იყვნენ დახოცილნი (შესაძლებელია თვით რუსების მიერ უკან დახევის დროს) აგრონომიული სკოლის პარკში. ესეც ჩვენი პირველი შეხვედრა იყო ომის მსხვერპლებთან. შემდეგ ისევ განვაგრძობთ წინ წასვლას. გერმანელები მუდამ სწრაფათ მიიწევენ წინ. საჭიროა წინა ხაზს დავეწიოთ და შემდეგში მას მივყვეთ ზურგში. უკვე უკრაინის მიწაცყალზედ ვართ, ასე ვსთქვათ "რუსეთის ტერიტორიაზედ". შევედით ქ. ნიკოლაევში და დავბანაკდით მის განაპირას, მდინარე ბუგის ნაპირზედ ერთერთ მცხოვრებელის ეზოში. საჭირო გახდა სურსათის მომარაგება. ამის მოთავებამდის დავრჩით რამოდენიმე დღე ამ ადგილზედ. ამ ქალაქში სრულიად სხვა მდგომარეობა იყო, ვიდრე კიშინევში. სავაჭროები არსად არ ჩანდა; ეს ალბათ იმიტომ, რომ კომუნისტურ ხელისუფლებაში ვაჭრები მაინც არ არსებობენ. სამაგიეროთ ქალაქი არ იყო დანგრეული და მცხოვრებლებსაც მხიარული გამომეტყველება ჰქონდათ. ეტყობოდათ უკრაინელები - გერმანელებს თავისუფლების მომტან ჯარათ სთვლიდნენ და მდ. ბუგის სანაპირო პლაჟები სავსე იყო ახალგაზრდა ბიჭებით და გოგონებით. ჩვენც ვისარგებლეთ თავისუფალი დროით და შევერიეთ ამ მობანავე ახალგაზრდობას. ერთი-მეორეში ქართულად ვლაპარაკობდით, მიუხედავათ იმისა, რომ ქართულად ლაპარაკი თავიდანვე აღკრძალული გვქონდა, რომ ჩვენი ვინაობა არ გამჟღავნებულიყო რუსეთის ტერიტორიაზე. ასეთი იყო სამხედრო მოსაზრება. ნება გვქონდა მხოლოთ ფრანგულათ გველაპარაკა. ბანაობას რომ მოვრჩით, სადილის დროც დადგა და ყველანი კარვებისაკენ გაეშურნენ. მე კი რამოდენიმე წუთით სილაზედ გაჟღლართულმა კიდევ განვაგრძე ნებივრობა, რომ ამ დროს წყლიდან ერთი მშვენიერი ახალგაზრდა გოგონა გამოვიდა და პირდაპირ ჩემთან მოსვლისას მშვენიერივე ქართულით მომმართა: "ბიძია ქართველი ბრძანდებით თქვენ?" - ეს ჩემთვის სრულიად მოუ-ლოდნელი იყო, მაგრამ დაბნევის უფლებაც არა მქონდა და ჩემი ვინაობა რომ არ გამეცა, უპასუხე: - ქართული ვიცი, მაგრამ ფრანგი ვარ. მამაჩემი დიდ-ხანს იყო საქართველოში კონსულათ და იქიდან ვიცი ქართული მეთქი. ახლა ისევ გოგონა განაგრძობს: - "კი ბიძია, მაგრამ კონსულს ჩვიდმეტი ვაჟიშვილი ყავდა?!! წელანის მე დავთვალეთ და სულ ჩვიდმეტნი ლაპარაკობდით ქართულათ-ო". მეტი ჩარა არ იყო, კიდევ რაღაცა უნდა მომეძებნა პასუ-ხათ და აი ესეც: ეგენი საქართველოში მცხოვრები გერმანელები არი-ან უცხოეთში წამოსულნი და ამიტომაა რომ ქართუ-ლი იციან მეთქი. არ ვიცი ამ გოგონამ დამიჯერა თუ არა, მაგრამ მე ამაზედ მეტი ტყუილის მოხერხება აღარ

შემეძლო. თვითონ კი თბილისელი მოწაფე იყო. ეროვნებით უკრაინელი და ნიკოლაევში არდადეგებს მამიდის სახლში ატარებდა. დამშვიდობებისას მისურვა, რომ მალე გაგვენთავისუფლებინა თბილისი და იქ თავის სკოლაში მენახულა შემოდგომისთვის. ამ ბლაყზედ სამწუხაროთ მარცხიც მოგვივიდა. ჩვენი მეგობარი გოგია გაბუნია, რომელიც მოტოციკლედზედ ვარჯიშობდა, რომ მისი წაყვანა კარგათ შესძლებოდა სასწრაფო საჭიროებისათვის, უცებ გადაყირავდა მოტორიანათ ერთ დაბლობში და ბარძაყებში დაშავდა - თითქოს ერთი შეხედვით მსუბუქათ. მაგრამ მაინც საჭირო გახდა მისი სამხედრო საავადმყოფოში მოთავსება. ჩვენი წასვლის დღეც დადგა. გოგის კი ჩვენთან გზის გაგრძელება აღარ შეუძლიან. ამნაირათ გულ დაწყვეტილებმა იგი დავტოვეთ საავადმყოფოში და ჩვენ კი განვაგრძეთ გზა. მალე წამოვეწიეთ წინა ხაზს. ზარბაზნები გაუჩერებლივ ქუხს, იწვის სოფლები, იწვის ყანები, ზოგიერთი მომკილი თივებიდან ალი ასი მეტრის სიმაღლეზედაც ადის. სიცხისაგან გამშრალ მიწაზედ სამხედრო მანქანებისაგან გაკვალულ გზებზედ მტვერი რამოდენიმე სანტიმეტრის სიღრმისაა. კორიანტელში ოცი მეტრის წინ აღარაფერი სჩანს. მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი მანქანა სამხედრო ტილოთი იყო თითქმის სავსებით დახურული, მაინც მტვერმა შიგნით ისე დაგვფარა, რომ გაღიმების დროს ნეგრებივით კბილებიღა გვიჩანდა თეთრათ. ალაგ ალაგ გზის პირებზედ მთელი ნახირი იყო გაწყვეტილი; ზოგან ძროხების, ზოგან ცხენების და ზოგან ცხვრისა და ღორებისა. სიცხისაგან ისე იყვნენ გაბერილები, რომ მათი ტანის ნამდვილ ზომას ორჯელ აჭარბებდა. განადგურებული რამოდენიმე ჰექტარებით, საზამთროს, ნესვებისა და ბამიდორის ნათესობა. ზოგჯერ გავჩერდებოდით და წყურვილს ვიკლავდით იმ საზამთროებით, რომლებიც ტანკებით გასრესას გადაურჩნენ. იყო შემთხვევა, რომ ამავე ტანკებით ლავაშივით გამტყელებული ადამიანებიც შეგვხვედრია ამ გზაზედ. ყოველივე ეს დიდათ სამწუხარო იყო, მაგრამ ომის დროს ადამიანი სასიხარულოსა და გასართობს მაინც ვერაფერს ნახავს და მწუხარების დროც სულ არ არის. ჩვენც იძულებით ურიგდებოდით ასეთ არა ჰუმანიურ მდგომარეობას. ალაგ-ალაგ ზოგიერთ სოფელში გავჩერდებოდით ხოლმე, რომ გლეხებისგან, თუ ექნებოდათ, რაიმე შინაური ფრინველი გვეყიდა, ან ცხვარი, ან და ღორი, რადგან მუდმივათ კონსერვების ჭამა გვიძნელდებოდა. საბედნიეროთ იყო ისეთი სოფლები, სადაც მიუხედავათ ომის ქარიშხალისა აქა-იქ გლეხებს შემოენახათ ეს ფრინველები და ცხოველები. ეზოში რომ შევდიოდით მათ ეშინოდათ ჩვენი, რომ მუქთათ არ წაგვერთმია მათი უკანასკნელი სარჩენი. ასე შვრებოდნენ თურმე ზოგიერთი გერმანელები. ამ მიზეზით გვიმალავდნენ და უარს გვეუბნებოდნენ და გამოგვიჩენდნენ მხოლოთ მაშინ, როდესაც ვეტყოდით, რომ ჩვენ ფრანგები ვიყავით და არა გერმანელები, და ფულსაც ორჯელ მეტს ვაძლევდით, რასაც თვითონ დაგვიფასებდნენ. ამის შემდეგ იწყებოდა მრავალი ლოცვა-კურთხევა ფრანგის ხალხის მიმართ. რა იცოდნენ, რომ ჩვენ ქართველები ვიყავით და დიდათ გვებრალებოდნენ ეს უკრაინელები, რომელნიც მრავალი წლობით იტანჯებოდნენ რუსეთის უღლის ქვეშ ისე, როგორც ჩვენი პატარა სამშობლო. ყოველთვის და ყველგან ჩვენ მიერ გავლილ გზებზედ ვცდილობდით, რომ არასოდეს შეგვეწუხებინა მცხოვრებლები და ნდობა ჰქონოდათ ჩვენ მიმართ. ერთხელ ერთ დიდ სოფელში გავაჩერეთ მანქანები, სადაც სოფლელებს სულ ერთ ჯგუფად მოეყარათ თავი, ალბათ იმიტომ, რომ კოლექტიურად უფრო ადვილად დასძლევდნენ შიშს, ან და თუ გაწყვეტა იყო - ერთად გაწყვეტილიყვნენ. ასეთი ფსიქოლოგიით სტოვებდნენ რუსი პროპაგანდისტები უკან დარჩომილ ხალხს. ხშირათ თვალების დათხრისა და ყურების დაჭრისაც ეშინოდათ. მანქანიდან გადმოსვლისას, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე, ნამდვილ ნეგრებსა ვგავდით, იარაღიც ზედ გვესხა; ერთ გვერდზედ რევოლვერი გვეკიდა, მეორეზედ ხელბომბები, კისერზედ მიტრაიეტები და დურბინდები. ერთი სიტყვით, ისედაც ამ შეშინებულ ხალხის წინ, მგონი კაცი-ჭამიების იერი გვქონდა. ერთი-მეორეზედ მიკრულნი და თვალებ გაფართოებულნი გვიცქერიან და გულში იქნებ სიცოცხლის უკანასკნელ წუთებსაც ითვლიდნენ. როდესაც მე წავდექი წინ და მათ მივესალმე რუსულათ. წარვდექი მე, რადგან ჩვენ ჯგუფში ყველანი თითქმის თავისუფლათ ლაპარაკობდნენ რუსულს, მე კი - ორიოდე ღერი სიტყვა მქონდა, ე.ი. იმდენი, რომ მათთვის რაიმე სანოვაგე მომეთხოვა საყიდლათ. ჩემი ასეთი თარჯიმნობა დადგენილი იყო იმ მიზეზით, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებს ეჭვი არ აეღოთ რუსულის კარგათ ლაპარაკის გამო ჩვენ ვინაობაზედ. ჩემოდენა მარაგი რუსულ ენაში კი შეიძლება ზოგიერთ გერმანელებსაც ჰქონოდათ. მაშასადამე მივესალმე ამ შეშინებულ ხალხს და რომ ეს შიში გამექრო მათში, ჯერ ვიკითხე, თუ რუსული იცოდნენ. ამან უკვე ღიმილი მოჰგვარა ყველას და რა თქმა უნდა პასუხის, რომ ყველამ კარგათ იცოდნენ რუსული.შემდეგ რამოდენიმეჯერ "ხარაშო... ხარაშოს" თქმით - კიდევ მივაძახე - ეს ენა სად ისწავლეთ მეთქი. ამან კი ერთხმათ, განსაკუთრებით ახალგაზრდებში მძლავრი სიცილი გამოიწვია. გაუკვირდათ რომ ამას გერმანელი ეკითხებოდათ. სიცილი

**********************************************************************

აუტუდათ აგრეთვე უველა ჩვენებსაც ჩემი ამ მოულოდნელი იუმორით და ბოლოს უველანი გულიანათ ვხარხარებდით. თითქოს ბედნიერება იგრძნეს და უქვე დაიმედებულმა, რომ ცუდს არაფერს უზამდით ერთმანეთს გადასჩურჩულეს, რა კარგი გერმანელები არიანო, აქცენტი კი ქართველს უგავ ამ კაცსო". გამოირკვა, რომ ჩვენ სიფრთხილეს ბევრი არაფერი გავლენა არ მოუხდენია და ჩემი ორი რუსულ სიტუვაშიაც გამოიცნეს ქართული კილო. ამ ხნის განმავლობაში დაუბრკოლებლათ წინ მიიწევდნენ გერმანელები. ჩვენც მუდამ ზურგში მივდევდით და აგერ ხერსონშიც ჩავედით. ამ ქალაქის სადგური მთლიანად დანგრეული იუო, დანგრეული იუო აგრეთვე სხვა ბევრი სახლებიც და სულ ცოტა მცხოვრებლებოლა იუვნენ დარჩენილი. ჩვენი კარვები დავდგით სადგურის მახლობლათ. მდინარე დნეპრიც აქვე ჩამოდის და მისი აღმოსავლეთი ნაპირები, რუსებს ისევ ხელში ეჭირათ. ვიდრე მეომარი ჯარები გასწმედამდენ და გზა საკმარისად წინ გახსნილი გვექნებოდა, ერთ კვირაზედ მეტი დავრჩით აქ. ამ ერთი კვირის განმავლობაში რუსებმა რამოდენიმეჯერ დაგვბომბეს. ჩვენ მეზობლათ დაბანაკებულ გერმანელებიდან ერთ დღეს თექვსმეტი კაცი დაიჭრა. ქართველები კი, მიუხედავათ იმისა, რომ ბომბები ათიოდ მეტრზედ ვარდებოდა, მაინც უველანი სუფთად გადავრჩით. სამაგიეროთ მეორე დღეს, ზარბაზნის რამოდენიმე უუმბარა რომ დაგვვარტუეს - ჩვენებიდან დათიკო ხარისჭირაშვილი მკლავში მსუბუქათ დაიჭრა. მე - იქვე ახლოს, სადაც დათიკო იუო, პატარა ფიცრულში დამწუვდეული ცხვარი უნდა დამეჭირა, რომელიც ერთ გლეხის ოჯახში ვიუიდეთ წინა დღით, მაგრამ კარები გავაღე თუ არა, ვიდრე ხელს ვსტაცებდი, ცხავარმა ისკუპა და გავარდა გარეთ, მეც უკან გამოვეკიდე და ორივენი მივრბოდით, რაც შეგვეძლო. თურმე ზურგის მხრიდან კიდევ უუმბარა მორბოდა ჩვენსკენ. სულ რამოდენიმე ნახტომი მქონდა გაკეთებული, რომ ამ უუმბარამ ეს პატარა ფიცრული მტვრათ აქცია. ამის შემდეგ არც იმ ცხვრის დაჭერაში, არც დაკვლაში და არც მისი ხორცის ჭამაში მე მონაწილეობა არ მიმიღია, რადგა მხოლოთ და მხოლოთ ამ დღეს - ამ ცხვარმა გადამარჩინა სიკვდილს. რაკი ხერსონში გაჩერება მოგვიხდა რამოდენიმე დღით, დავიწუეთ სამხედრო მზადება. ვსწავლობდით იარაღების ხმარების წესებს და სროლას. თუმცა ამას, უოველ თავისუფალ საათებში წინათაც უოველთვის ვმეცადინეობდით. - იმ დღიდან, რაც რუმინეთიდან გამოვედით, გერმანელებმა უკვე ხერსონშივე დაიწუეს ახალგაზრდა მოქალაქეების შეგროვება და უკანა ნაწილებში, თუ პირდაპირ გერმანიაში სამუშაოთ გადაგზავნა. ჩვენი უფროსი ჰერმან მულერი ხშირად დადიოდა გერმანულ ნაწილებში, როგორც კი თავისუფალ დროს მოიგებდა ხელში და ნახულობდა აგრეთვე ტუვედ ჩავარდნილ ჯარის კაცებს და ოფიცრებს. ერთ დღეს ასეთი სეირნობიდან დაბრუნებულმა მოიუვანა ორი ქართველი ტუვე. ერთი ახალგაზრდა, რომელსაც ვარდენ ჩიტაძე ერქვა სახელათ, ხელობით ექიმი იუო, მეორე კი, უფრო ახალგაზრდა, უბრალო ჯარისკაცი იუო და სახელი და გვარით სიმონ ლელუაშვილი. ორივენი სიმპატიური და ძალიან კარგი ქართველები ჩანდნენ. ბრძანება იუო შეფისგან, რომ ერთი კვირის განმავლობაში, მხოლოთ ფრანგულათ გველაპარაკა, ვიდრე დავრწმუნდებოდით, თუ საიმედონი იქნებოდნენ და ჩვენთან შეგუებას მოინდომებდნენ. სამწუხაროთ ჩვენმა სეკრეტმა დიდხანს ვერ იარსება და მესამე დღეს სადილისათვის რომ ვემზადებოდით, ერთმა მეგობარმა თავისი კოვზი ველარ იპოვნა და დავა დაუწუო მეორე მეგობარს, რომელმაც ხშირათ იცოდა ასეთი ხუმრობა მასთან, უსათუოთ შენ დამიმალავდიო. მეორე ამაზე უარს ამბობდა, პირველი მაინც დაბეჯითებით აბრალებდა და ბოლოს დაბარალება-დაბრალებაში ნერვები აეშალათ და ერთმანეთს ისეთი სიტუვებით შეუკურთხეს ქართულათ რომ ამ უცენზურო სიტუვების აქ დაწერა შეუძლებელია. რა თქმა უნდა, რომ განერვიანებულებს, ორივეს დაავიწუდათ ჩვენი სეკრეტი. ექიმი ჩიტაძე - ქართული ენის გაგონებაზედ ილიმებოდა და ეტუობოდა ბედნიერათ გრძნობდა თავს, რომ იუო ქართველების ხელში და არა გერმანელების. მეორე ახალგაზრდამ კი ვერ გაუძლო ამ სიხარულით გამოწვეულ ემოციას და აქვითინდა. დადგა დღე წინ წასვლისა, რადგან ხერსონთან ჯერ კიდევ არ შეგვეძლო დნეპრის გადაჭრა, მიმართულება ჩრდილოეთისაკენ ავიღეთ და როდესაც მივადექით იმ ტერიტორიას, საიდანაც შეიძლებოდა მდინარის იქით გადასვლა, დავბანაკდით ერთ გერმანულ სოფელში ღამის გასათევად და უცდიდით დნეპრზედ გზების გაწმენდას, ეტუობოდათ, რუსები ამ ნაწილს ჯერ კიდევ თავ-გამოდებით იცავდენ. დილით ადრე მივიღეთ ცნობა გერმანულ შტაბიდან, რომ წინ წასვლა შესაძლებელი იუო. ჩვენც მაშინათვე გავემზადენით და გაუდექით გზას. ხუთიოდე კილომეტრი გვაკლდა მდინარემდე მისასვლელათ, რომ გზის პირას შევამჩნიეთ სიმინდის უანები ერთიანათ იუო აჩეხილი სასტიკი ბრძოლის შემდეგ. ეს მომხდარიუო წინა საღამოს. გავჩერდი ცოტა ხნით, რომ კარგათ დაგვეთვალიერებინა, თუ რანაირი იუო ბრძოლის შედეგი. საძაგელი საუურებელი იუო, რაც ჩვენ იქ ვნახეთ, საძაგელი იუო უფრო მეტათ იმიტომ, რომ ასეთ სურათს პირველათა ვხედავდით. როგორც გამოირკვა - სიმინდის უანაში ჩასაფრებული უოფილა ერთი ასეული და როდესდაც

******************************************************************************

გერმანელებმა გავლისას შეამჩნიეს, თუ თვითონ რუსებმა დაუწყეს სროლა. რეზულტატი კი იყო ეს საშინელება: დახოცილი ჯარისკაცები იყო გაშლილი ორმოცდაათ კვადრატულ მეტრზედ. ზოგი ერთგან ჯგუფადაც ეყარნენ - ათი თუ ოცი კაცი ერთი-მეორეზედ შეწყობილნი. ზოგნიც ურმის თვლებში გაჩხერილები. ერთი სიტყვით მთელი ასეული და მათი ბარგი-ბარხანა ერთმანეთში შეთქვეფილი იყო და სიცხისაგან გავარვარებულთ მილიონობით ბუზები ეხვიათ. ცხენის გვერდზე პატარა ხის ყუთიც ეგდო, რომელშიაც დოკუმენტები იყო ალბათ. მის გასარჩევად ჩვენ აღარ გვეცალა და არც საჭიროთ ვსცანით. მხოლოთ იმ ფურცელს კი თვალი გადავავლე საჩქაროთ, რომელშიაც გვარი და სახელები იყო აღნიშნული. შიგ ვნახე ორი ქართველის სახელი. ერთი იყო სამადაშვილი, მეორე კი ნუცუბიძე. გადაწყვეტით თქმა ძნელია იმისა, რომ ეს ორი ქართველი აქვე მკვდრებში ერია. იქნებ ზოგიერთ მხედრებმა მოასწრეს უკან დახევა და ამ ტრაღედიას გაეცალნენ. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ასე უსურვებდით ჩვენ თანამემამულეებს, რომ ცოცხალნი გადარჩენილიყვნენ. ისევ განვაგრძობთ გზას. აგერ დნეპრის პირიც. მაგრამ ხიდი აღარ არსებობდა. გერმანელებს საჩქაროთ გაედოთ პატარა ხიდი, მხოლოთ ფეხოსანთა და პატარა წონის მანქანების გასავლელათ. გადავედით ხიდზედ და მდინარის მეორე ნაპირზედ პატარა ტყე რომ ყოფილა, ახლა ზარბაზნის ყუმბარებით და ყველა საბრძოლო იარაღით ისე იყო მოცელილი, რომ დახეთქილი ხის ღეროებიღა ჩანდა. ცოტა ხნით შევჩერდით აქ და რამოდენიმე მეგობარი ამ დალეწილ ტყეში შარდზედ გასასვლელათ შევედით. საშინელება იყო დაბლა დახედვისას. დამტვრეული ხის ტოტების ქვეშ, თითქმის ყველგან მიცვალებულები ეყარა; ზოგან მთელი ტანით, ზოგან მარტო თავი იყო, ზოგანაც ხელი ეგდო, თუ რომელიმე ნაწილი ორგანიზმისა - ისე, რომ კარგა ხანი დაგვჭირდა შარდისთვის თავისუფალი ადგილის პოვნა. როდესაც გზა განვაგრძეთ, ამავე მიდამოებში ხშირათ ვხვდებოდით ტანკების მიერ გზებზედ სრულიად გამტყელებულ გვამებს. ჩვენთვის ეს ნამდვილი კოშმარი იყო, უფრო მეტათ იმიტომ, რომ ყოველი ჩვენთაგანი ვფიქრობდით. "ვაი თუ ჩვენი ოჯახიდან იყო ვინმეო ან და ჩვენი თანამემამულე-ო". მაგარი ბრძოლის შემდეგ, გერმანელებმა რაკი დნეპრი გადაიარეს, მერე ასეული კილომეტრებით თითქმის წინ ბევრი აღარაფერი ელობებოდათ და მუდამ სწრაფათ მიიწევდნენ წინ. გზაზედ კი ყველაფერი გადაბუგული და დამწვარი ადგილები გვხვდებოდა. ვხვდებოდით აგრეთვე კილომეტრობის სიგრძეზედ მიმავალ დატყვევებულ ჯარის კაცებს, რომელნიც საბრალო შესახედავნი იყვნენ. ასე ჩავედით მელიტოპოლში და მის გარეუბანში, ამ ჟამათ ერთ-ერთ ორ სართულიან შენობაში დავიდეთ ბინა. შენობა არ იყო დიდი და შიგ მხოლოთ ქართველები და ჩვენი გამყოლი გერმანელები ვიყავით. სახლს მშვენიერი ხილის ბაღი ედგა გარშემო. მეზობლებიც არ იყვნენ შორს და ეტყობოდათ არც ცუდი თვალით გვიყურებდნენ. შეიძლება ფიქრობდნენ, რომ მალე გერმანელები დამოუკიდებელ სახელმწიფოთ გამოაცხადებდნენ. მელიტოპოლში რამოდენიმე კვირით მოგვიხდა დარჩენა, რადგან მიღებული ცნობებიდან გამოირკვა, რომ გერმანელებმა - აზოვის პირა ქ. მარიოპოლის აღების შემდეგ - სწრაფი წინ სვლა შეაჩერეს და ყოველ ახლათ აღებულ ტერიტორიებს მხოლოთ მაგარი შეტევების და ბრძოლის მიცემის შემდეგ იპყრობდნენ. ამნაირათ ჩვენი ჯგუფის წინ სვლას ჯერჯერობით არავითარი მიზანი არა ჰქონდა, რადგან, როგორც თავიდანვე ნათლად და გასაგებათ ვსთქვი, ჩვენ არ ვიყავით ფრონტზედ ბრძოლებში მონაწილეობის მისაღებათ წამოსულნი. მაშასადამე უცდიდით, თუ როგორ წავიდოდა ბრძოლები წინა ხაზზედ. ამ ხნის განმავლობაში, სრულიად მოულოდნელათ, ჩვენმა უფროსმა ორი მეგობარი დააბრუნა პარიზში, გოგია ბერძენიშვილი და ვიქტორ მონიავა. ბერძენიშვილს ფილტვების ავადმყოფობა გაუჩნდა. მონიავა კი უფროსთან ხშირი უთანხმოების გამო, რომელიც შოფრობის როლს ასრულებდა მგზავრობის დროს და ეს ორი ადამიანი ვერ ეგუებოდნენ ერთმანეთს. ამნაირათ "თამარ პირველის" ჩვიდმეტი კაციდან, ახლა უკვე თოთხმეტინი დავრჩით. დრო და საშვალება გვქონდა კარგათ გავცნობოდით ქალაქ მელიტოპოლს. ქალაქი არ იყო დაზიანებული. ადგილობრივი მცხოვრებლებიც ყველანი აქვე იყვნენ, გარე უბნები ხილის ბაღებში იყო ჩამჯდარი. იქ, სადაც ჩვენ ვიდექით ათასობით ბაღის ხეები იდგა და დამაქრული ბაღით დახუნძნული იყო. ადგილობრივ მცხოვრებლებს არ შეეძლოთ ხელი ეხლოთ, თუ მათ რომელიმე გერმანელი არ დართავდა ნებას. საჭირო იყო ბაღში გერმანელი მიჰყოლოდათ. ეს დადგენილება შტაბისა. ჩვენ მაქსიმალური სიმძლავრით გამოვიყენეთ და ყოველ დღეს ვაძლევდით ოჯახებს იმის საშუა-ლებას, რომ მოეკრიფათ ეს ტკბილი და სასიამოვნო ხილი. ასეთმა მდგომარეობამ დიდათ დაგვაახლოვა ყველა ჩვენ მეზობლებთან და ერთმანეთს ეცილებოდნენ, რომ ეს "ფრანგი გერმანელები" (ასეთი სახელით მოგვნათლეს მათ) სახლებში დაეპატიჟეთ საღამოობით ჩაის დასალევათ. ჩვენც სიამოვნებით ვესტუმრებოდით ხოლმე. რუსულსაც ოროლ-სამ-სამ სიტყვას ყველანი ვანგებ ამტვრევდნენ ჩვენი ნამდვილი ვინაობის დასაფარათ. მხოლოთ ერთი მე ვიყავი, რომ რუსულის განგებ

დამტვრევა არა მჭირდებოდა, რადგან ისედაც კარგათ გამტვრევდი. გვქონდა შემთხვევა, რომ ქართველების ვინაობაზედ შევკითხებოდით, თუ რას წარმოადგენდა მათი კუთხე და როგორი ხალხი იყო. ისინი კი ასე გვიპა-სუხებდნენ: ქართველები და საქართველო არის ყველაზედ დაწინაურებული კუთხე მთელ რუსეთის ტერიტორიაზედ, რომელიც თქვენ ევროპას ბევრით სჯობია, ხალხი დიდათ განათლებულია და ამავე დროს ამაყიც. აი, ახლა ჩვენ რომ ასე გვეთამაშებით, იქ ამისთანა რამეზედ ყოფას გიტირებენო და შეიძლება ხანჯლებითაც გამოგშიგნონო. ამის შემდეგ, ვითომ ნამეტანი გაკვირვებას მივეცემოდით, ჩვენი გულის სიღრმეში კი ბედნიერებით ვივსებოდით ჩვენი სამშობლოს ასეთი ქებით. დროის მოსაკლავათ ხშირათ და თითქმის ყოველ დღეს განსაკუთრებულ საათებში ქალაქის გარეთ გავდიოდით და სამხედრო მეცადინეობას ვატარებდით. ერთ დღეს ასეთივე მეცადინეობისათვის რომ ვიყავით გასულნი, ჩვენმა უნტეროფიცერმა ბულოლცმა რიგში ჩაგვაყენა და გვთხოვა თოფებში ტყვიები ჩაგვეწყო, რაც მაშინათვე სისრულეში მოვიყვანეთ. სმენაზედ შევდექით, ფელდფებელიც ჩვენ წინ არის. სახე, მას და უნტეროფიცერსაც, თითქოს რაღაც უჩვეულო ჰქონდათ. ყველამ ვიგრძენით, რომ რაიმე არანორმალური ამბავი იყო, რის გამორკვევაც ბევრი აგარ დაყოვნებულა და ფელთფებელმა მწუხარებით გადმოგვცა, რომ ჩვენი მეგობარი გოგი გაბუნია, რომელიც ნიკოლაევის საავადმყოფოში დავტოვეთ, გარდაცვლილიყო და იქვე სხვა გერმანელებთან ერთად დაესაფლავებინათ. ბრძანა სალმის მიცემა, რაც სისრულეში მოვიყვანეთ მაშინათვე. ამ ამბავმა დიდი მწუხარება გამოიწვია ყველა ჩვენთაგანში და ცრემლიც დავღვარეთ, ვინც მისი ახლო მეგობრები ვიყავით. ეს იყო "თამარ პირველი" ჯგუფის პირველი მსხვერპლი. ამ დღით თვით ფელდფებელსაც არა სურდა მეცადინეობის ჩატარება და უკანვე დავბრუნდით ჩვენს ბინაში. ფრონტიდან მოსული ამბებიდან ირკვეოდა, რომ ქ. მარიოპოლის შემდეგ ტაგანრიოგიც აიღეს, მაგრამ ქ. როსტოვზედ მაგარი შეტევები ძნელ პირობებში ხდებოდა. ზამთარიც კარზედ იყო მომდგარი და გერმანელებს უკვე ნერვიულობა ეტყობოდათ. ბერლინიდანაც მოითხოვდენ მრავალ მუშა ხელს ქარხნებში სამუშაოთ. დაპყრობილ ტერიტორიებზედ, ისე, როგორც საფრანგეთში და მთელ ევროპაში, დაიწყეს ყველა ახალგაზრდა ქალ-ვაჟთა გამოყვანა ოჯახებიდან და მატარებლით ათასობით აგზავნიდნენ გერმანიაში, რაც უკრაინის მოსახლეობაში დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. დადგა ჩვენი წინ სვლის დღე და ერთ დილას დავემშვიდობეთ ჩვენ კეთილ მეზობლებს და გავუდექით გზას ქ. მარიოპოლამდე. მარიოპოლი კარგათ მოზრდილი ქალაქია, დავიკავეთ ერთი პატარა შენობა და დავიდეთ ბინა. საშინელი ზამთარი დაიწყო, თურმე მრავალი თაობები არ მოსწრებიან ამას. აზოვის ზღვა ისე იყო გაყინული, რომ პატარა ტანკებს შეეძლოთ ზედ უშიშრათ სიარული. ჩვენც ყოველ დღე - რამოდენიმე კილომეტრის სიშორით ვმოგზაურობდით ამ ყინულზედ, მიუხედავათ არა ჩვეულებრივი სიცივისა. ჩვენი უფროსი ჯანმრთელობისთვის სავალდებულოთ სთვლიდა ასეთ სეირნობას. ჩვენც მეტი რა ჩარა გვქონდა, ვასრულებდით უგულოთ, მაგრამ მაინც ვასრულებდით. ერთ დილას უფროსმა მკაცრი დადგენილება გადმოგვცა, რომ არავითარ შემთხვევაში გარეშე პირებთან ახლოს ქართულათ არ დაგველაპარაკა თვითონ ჩვენ ერთმანეთს შორისაც, რადგან: "ფრონტი აქვეა, ჯარების წინსვლა ჯერჯერობით შეჩერებულია, ან განელებულია და ამავე დროს ზღვაც გაყინულია, რუსები ფეხით იპარებიან ჩვენს ხაზებში და საჭირო არ არის, რომ გაიგონ აქ ქართული ჯგუფის არსებობა, თუ ვინმესგან ეს გამჟღავნდება, გაცემათ ჩაითვლება-ო". მართლაც იყო შემთხვევები ქუჩებში გასვლისას, რომ ყური მოგვიკრავს ქართული ლაპარაკისათვის და მიუხედავათ იმისა, რომ დიდი სურვილი გვქონდა მათთან გამოლაპარაკების, მაინც ვერიდებოდით ამ ამბების, თუ ამ ბრძანების გამო. ერთ დღეს ყარაულში ვიდექი ჩვენი ბინის კარებთან, რომელიც ქუჩაში გადიოდა. თოფით ხელში ტროტუარზედ მარჯვნივ და მარცხნივ დავდიოდი. უცებ შუა ქუჩაში ორი მამაკაცი გამოჩნდნენ, რომელნიც ჩემ მიმართულებით მოდიოდენ და ხელების აქეთ-იქით ქნევაში ეტყობოდათ, რომ გაცხარებულნი კამათობდნენ. როდესაც მე დამიახლოვდნენ, კარგათ გავარკვიე, რომ ქართულათ ლაპარაკობდენ და მათი კამათი, რაღაც ავეჯეულობის გადაბარგებას შეეხებოდა. მოვიდნენ თუ არა ჩემ პირდაპირ, ჩემსკენ გამოიხედეს და ერთმანეთს ეუბნებიან: "შეხედე ბიჭო, მაი გერმანელი ყაძახი რაფერ გავს ქართველს-ო". მე ისლა დამრჩა, რომ სწრაფათ მხარი შემეცვალა და სახე უკან მიმებრუნებინა, რომ ინსტინქტიურათ არ გამემჟღავნებინა, რომ იმ კაცებმა სწორეთ გამოიცნეს ქართული სახე. მიუხედავათ დიდ ყინვების და სიცივისა, მაინც ქალაქის გარეთ რეგულიარულათ გავდიოდით სავარჯიშოთ და ხშირათ გერმანელების მანოვრებსაც ვესწრობოდით. საღამოთი კი სიცივისაგან გათოშილები ვახშამს ვსჭამდით და სამხედრო საბნებში შეხვეულები მივიძინებდით. მიუხედავათ მკაცრი და გრძელი ზამთრისა, ყველანი კარგათ და ჯანმრთელათ გადავრჩით. დადგა გაზაფხული. ჩვენმა უფროსმა, რომელსაც აქამდე ჩრდილო კავკასიისაკენ მივყავდით, ახლა ორიენტაცია გამო-

იცვალა და გადაწყვიტა უკან ყირიმში დავბრუნებულიყავით და საქართველოში იქიდან მოგვეხდინა შესვლა. გადაწყდა და სისრულეშიც მოვიყვანეთ. რამოდენიმე დღის შემდეგ უკვე ყირიმში შევედით. ორიოდე დღით სიმფეროპოლის გარე უბანში დავბანაკდით კარვებში. ეს ის დრო იყო, როდესაც გერმანელები ჯერ კიდევ გაცხარებით უტევდნენ სევასტოპოლს. ადგილობრივ აუარებელი მსხვერპლი იყო გაღებული, როგორც იქაური ცნობებიდან გვესმოდა. იქიდან მოყვანილი დაჭრილებით კი, სიმფეროპოლის საავადმყოფოში სრულიად აღარ მოიძებნებოდა ადგილი და ზოგიერთი მძიმეთ დაჭრილებიც ან კორიდორებში ან და კიბეების ქვეშ იწვნენ საკაცეებზედ. რამოდენიმე ასი ათასი სიცოცხლის შეწირვის შემდეგ, სევასტოპოლიც დაეცა და აღებული იქნა გერმანელებისაგან. ჩვენთვის დიდ ქალაქთან ახლოს დარჩენას არავითარი მიზანი არა ჰქონდა და ორიოდე დღის შემდეგ გავსწიეთ აღმოსავლეთის მიმართულებით. ორი დღე დაგვჭირდა დანიშნულ ადგილამდე მისასვლელათ. შევუდექით დიდ ველებს, რომელნიც ტყეებით იყო დაფარული და პარტიზანული რაზმებით სავსე. შუა გზაში დაგვიღამდა და საშიში იყო დაბნელებულ ტყეებში და მიხვეულ-მოხვეულ პატარა გზებზედ გზის გაგრძელება და ბრმათ სიარული. ამიტომ, როგორც კი მივაგენით გერმანელების პირველ პოსტს, მაშინათვე შევჩერდით და მათი კარვების გვერდზედ ჩვენიც დავდგით და დაუცადეთ გათენებას. გათენდა თუ არა, უკვე შევატყვეთ, რომ კარგა სიმაღლეზედ ვიყავით ამ მთებზედ ამოსულნი. მაშ კვლავ განვაგრძობთ ჩვენ გზას უფრო მაღლა და მაღლა. შუა დღისას უკვე თათრების ერთ-ერთ სოფლის პირათ, ერთ შენობაში, რომელიც სკოლათ ითვლებოდა, დავიდეთ ბინა. ოთახები ბევრი იყო და მაშასადამე თავისუფლათ მოვეწყეთ ჯგუფ-ჯგუფათ სხვა და სხვა ოთახებში. მშვენიერი პანორამა იყო, ჩვენ წინ, შავ ზღვას ზევიდან ისე დავცქეროდით, როგორც მთაში მონავარდე არწივი გაშლილ მდელოს. ზღვის პირა პატარა ქალაქი ალუშტა, სწორეთ ჩვენ პირდაპირ მდებარეობდა. ბუნების სიმშვენიერესთან ერთად, ჰაერიც თბილი და სასიამოვნო იყო. მოკლეთ, რუსეთში გაყინულებმა, როგორც იყო წესიერათ დავიწყეთ სუნთქვა. მაგრამ ამან ჯარისკაცური ცხოვრებიდან არაფერი არ გამოცვალა და პირიქით, ჩამოსვლისთანავე ღამით საყარაულოთ თითო კაცის მაგიერ, როგორც აქამდე ვშვრებოდით, ახლა ოროლი კაცის დაყენება გახდა საჭირო პარტიზანების გამო, რომელთაგანაც გავსებული იყო ტყეები ჩვენს ირგვლივ და რომელნიც ხშირათ თავს ესხმოდნენ გერმანელების პოსტებს. ამნაირად - დღისით სამხედრო ვარჯიშობით დაღლილ-დაქანცულნი, საღამოთი ყარაულში გათენებამდე დგომით - ვატარებდით. ასეთი მდგომარეობა ახალგაზრდა ადამიანებისათვის, შეიძლება არც ისეთი ძნელი ასატანი ყოფილიყო, მაგრამ საქმე იმაში იყო, რომ ჩვენი - ისედაც პატარა ჯგუფიდან - თარჯიმანსა და კუხნის დამმზადებელს (მზარეულს) ყარაულობა სავალდებულოთ არ ეთვლებოდათ. ამავე დროს ხშირი იყო შემთხვევა, რომ მთელი დღით ტყეებში სიარულით ერთი ან ორი კაცი ისე დავარდებოდა, რომ ყოვლათ შეუძლებელი იყო ამ მოვალეობის ასრულება. ამ მიზეზის გამო მუდმივ აქტიურ მდგომარეობაში მხოლოთ რვა ან ათი კაცი ვიყავით, რის გამოც, ზოგჯერ კვირაში ერთსა და იგივე პიროვნებას რამოდენიმე ღამის გათევა უწევდა ნერვებ დაჭიმულს. ასეთი მდგომარეობა შესაძლებელი იყო ასატანი ყოფილიყო, რომ ღამე გათეული პირები, დღისით მაინც დასვენებულნი ყოფილიყვნენ დასაძინებლათ და მეორე დღეს. რამოდენიმე კილომეტრის სიარულისა და სამხედრო ვარჯიშობისაგან მაინც განთავისუფლებულიყვნენ. მაგრამ ჩვენი უფროსი ამას არავითარ ანგარიშს არ უწევდა, ან და არ უნდოდა ამის გამოსასწორებლათ თავის გატეხა. მხოლოთ რამოდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც მან დაინახა, რომ ამ მდგომარეობით ჯანმრთელობა გვერყეოდა და შეუძლებელი ხდებოდა საქმის ასე გაგრძელება, მაშინ აზრათ მოუვიდა, რომ გაედიდებინა ჩვენი ჯგუფი. ამ მოსაზრებით იმოგზაურა რუმინეთში, სადაც ჯერ კიდევ იქ იმყოფებოდა "თამარ მეორის" ჯგუფი და იქიდან წამოიყვანა ხუთი ქართველი ემიგრანტი, რომელნიც იყვნენ: აჩიკო დადიანი, გოგი ჩხეიძე, კაკო ჩიხლაძე და ძმები ქოჩაკიძეები. იმავე დღეებში მოიყვანა აგრეთვე რამოდენიმე ათეული ტყვეთა ლაგერებიდან გამოყვანილი ქართველი ტყვეები და მათთან ერთად რამოდენიმე გერმანელი უნტეროფიცრები და გეფრაიტერები. ამდაგვარათ თითქმის ერთ ასეულს შევადგენდით ამ დღიდან. მაგრამ ამ ცვალებადობამ დასვენებისა და სიმშვიდის მაგიერ მძლავრი უკმაყოფილების ატმოსფერო დააყენა. ეს ახლათ გამოწვეული გერმანელი უნტეროფიცრები სრულიად არ უწევდნენ ანგარიშს იმას, რომ ჩვენ, საფრანგეთიდან წამოსული ემიგრანტები, გერმანელი ჯარისკაცები არ ვიყავით და სრულიად სხვა ანგარიშებით მოვსდევდით ფრონტს. ამავე დროს არ უწევდნენ ანგარიშს არც იმას, რომ ლაგერებიდან ახლათ გამოყვანილი ქართველი ახალგაზრდები ჯერ კიდევ სიმშილისაგან ღონე მიხდილნი და კუჭგამომწვარნი ფეხზედ რომ ძლივს დგებოდნენ და იყო ყოველ დღე, დილიდან საღამომდე გაუჩერებელი ვარჯიში, ყვირილი და ზრიალი. გვაძლევდნენ დროს, მხოლოთ პურის

**************************************************************************

საჭმელათ. დანარჩენ დროს კი ხშირათ ღამეებში უღრან ტყეებში გვატარებდენ. ვითომ იმიტომ, რომ ამას რუსის პარტიზანები რომ გაიგებდნენ გული გაუსქდებოდათ შიშისაგან და ამ მიდამოებს სულ მიატოვებდენ. შეიძლება ასეთი "გამარჯვებისათვის" ჩვენი უფროსი დამსახურების ნიშანსაც ელოდებოდა. ამნაირათ თავის გამოდება - ეს მისი საქმე იყო, ჩვენ კი - ქართველებს, ეს სრულებითაც არ გვაინტერესებდა. ჩვენი სურვილი იყო, როგორმე ცოცხლები ჩავსულიყავით სამშობლოში და მივშველებოდით ჩვენს ქვეყანას, რითაც კი შევძლებდით. ამიტომ ღამე უღრან ტყეებში პარტიზნების შესაშინაბლათ სიარულს სიგიჟეთ ვსთვლიდით და ეს გვაღელვებდა. სიგიჟეთ ვსთვლიდით უფრო იმიტომ, რომ ბნელ ღამეში ტყეში ჩასაფრებულ პარტიზანებს ყოველ გზის მოსახვევში ყოველთვის შეეძლოთ ისე ამოეწყვიტათ ჩვენი თავი, რომ ერთ თოფის გასროლასაც ვერ მოვასწრებდით. ყვიროდნენ და ყვიროდნენ გერმანელი უნტეროფიცრები რაც კი შეეძლოთ. ეტყობოდათ უფროსისაგან სრული უფლება ჰქონდა საამისოთ და მაშასადამე გვექცეოდნენ ისე, როგორც მათ მოესურვებოდათ. ძნელი ასატანია ქართველის ბუნებისათვის ასეთი პრეტენზიებით სავსე და ჩინების მოყვარულ. თუ მძებნელ გერმანელ ოფიცრების კაპრისები. ამ მიზეზებით მდგომარეობა აუტანელი ხდებოდა. დაიწყო უკმაყოფილების გამოთქმა და შეკამათება მათთან. საამისოთ პირველი ნაბიჯი აწ განსვენებულებმა აჩიკო დადიანმა და გოგი ჩხეიძემ გადადგეს. ასეთნაირი გამბედაობა და წინააღმდეგობა ქართველებისა - გერმანელებს ვერ ეჭაშნიკათ. ერთ დღეს, ერთმა ჯავრით გაკაპასებულმა უნტეროფიცერმა იარაღზედაც კი დაიდო ხელი, მაგრამ დადიანის მძლავრმა მკლავებმა ისე დააძაბუნეს, რომ იმ მყვირალას ხმა სულ ჩაუწყდა და ძლივს რაღაცას ლუღლუღებდა. ამისთანა უკმაყოფილება რამოდენიმეჯერ განმეორდა და ბოლოს ეს იმით დამთავრდა, რომ ჩვენმა უფროსმა, ერთ დილას დადიანი და ჩხეიძე, ძალიან ცუდი ჩვენებებით ფრონტის უკან დააბრუნა. მაგრამ ამით არ შეჩერებულა ქართველების პროტესტები გერმანელების ასეთ ქცევაზედ. ამნაირი პროტესტის მსხვერპლიც. თუ ასე დაუძახებთ, გახდა მიშა გოგოროშვილიც. და ისიც საშინელი ჩვენებების ქაღალდით - უკან გამოისტუმრა, რომელიც პარიზში დაბრუნების მაგიერ, მთელი ერთი წელიწადი ტყვეების დისციპლინარულ ლაგერებში აწვალეს. ჩვენი წინააღმდეგობა გერმანელებთან კვლავ გრძელდება. მიუხედავათ ჩემი მომთმენი ხასიათისა, საბოლოთ ჩემმა ნერვებმაც ველარ გაუძლო ასეთ არანორმალურ მდგომარეობას და ახლა მე მიხდებოდა ძალიან ხშირათ წინააღმდეგობის გაწევა მათ საქციელზედ. განსაკუთრებით ქართველი ტყვეების დასაცავათ, რომელთა შორისაც მღელვარება იწყებოდა ხშირათ უსამართლო სასჯელებისათვის. ჩემი დარიგებებით თუ არა, ყველანი გაპარვასა და გაქცევას აპირებდნენ გერმანელების ამოხოცვის შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში, გერმანელები მძიმეთ მიიწევდნენ წინ, მაგრამ მაინც მოახერხეს: ტაგანროგის, როსტოვისა და ჩრდილო კავკასიის აღება. სტალინგრადის წინ კი შეჩერდნენ და წინსვლისა აღარაფერი ისმოდა. ვინ იცის, იქნებ ამის გამოც იყვნენ განერვიანებულნი ჩვენი უფროსი და უნტეროფიცრები?!! მაგრამ არც ჩვენ ვიყავით დიდათ კმაყოფილნი. ჩვენ პირად უკმაყოფილობას რომ თავი დავანებოთ, ნათლად ვხედავდით განთავისუფლებულ უკრაინის ტერიტორიაზედ, რომ არავითარი ცვალებადობა არა ხდებოდა და არამც თუ დამოუკიდებელი მთავრობა, დროებითი მთავრობაც კი არ შეუდგინეს - და როგორც გავიგეთ - ჩვენებრ წამოსულები ევროპის ქვეყნებიდან უკრაინელი პატრიოტი ემიგრანტები ციხეებშიაც კი ჩაყარეს. ასეთი მდგომარეობა იყო ბალტიის პატარა ერებშიაც. ეს კი ჩვენ ძალიან გვაფიქრებდა და დიდი შანსი იყო, რომ იგივე დღე მოგველოდდა. დღევანდლამდე ჩვენ მუდამ დარწმუნებულნი ვართ, რომ საქართველოში შესვლამდე, მხოლოთ წინა ხაზს მივსდევდით და უნდა მივსდიოთ უკან. ასეთი აზრი, რომელიც ვენიდან წამოსვლის დღიდანვე გვქონდა, მალე სრულიათ სხვა რამეთ შეიცვალა. მაისი გადიოდა, როდესაც ჩვენი ბანაკის ეყოში დავეწყეთ რიგებათ. მალე უფროსიც გამოჩნდა თავისი ამპარტავნული სახით. პატარა სიწყნარისა და რამოდენიმეჯერ ჩახველების შემდეგ, როგორც იქნა დაიწყო ლაპარაკი, სადაც გვამცნო: რომ ჩვენ მალე, არა თუ ფეხით მივყვებოდით გერმანელებს უკან, არამედ ჰაეროპლანით უნდა გადავფრენილიყავით ღამით პატარ-პატარა ჯგუფებათ დაყოფილი სხვა და ხსვა კუთხეში და იქ ადგილზედ მოგვეწყო ყოველგვარი საბოტაჟობა, რომლითაც უნდა გაგვეადვილებინა გერმანელების შემოსვლა. ეს მოხდებოდა დაახლოებით რამოდენიმე კვირაში ან ერთ თვეში და, თანაც მისი ჩვეულების და მიხედვით დაამატა: "ვისაც არ გინდათ საქართველოში წასვლა, ან და მშიშრები ხართ, შეგიძლიათ უკან დაბრუნდეთ-ო". ასეთ უაიდაზედ დასმული საკითხის შემდეგ, რომელი ქართველი შესძლებდა უკმაყოფილო პასუხის მიცემას? ამ ფორმით განგებ დასმული მისი კითხვის შედეგი, მან თავიდანვე იცოდა, რადგან, უკვე კარგათ იცნობდა ჩვენ სიამაყეს და მაშასადამე დარწმუნებულიც იყო, რომ ამას არავინ გვვექცეოდით. მაგრამ ეს, მაინც,

იმას არ ნიშნავს. რომ. რაკი ამაზედ არავითარი პროტესტი არ გაგვიცხადებია. რომ ენტუზიაზმით შევხვდით ამ ამბავს. არა და სრულიათ არა. და აი რატომ: ჯერ ერთი. რომ რატომ დარისთვის გვიმალავდნენ პარიზიდან დაწყებული - დღევანდლამდის ჩვენ ნამდვილ მისიას და რატომ გვეუბნებოდნენ სულ სხვა რამეს?!! რაც ნიშავდა ყველა ჩვენთვის სამარცხვინო დამცირებას. რადგან ნება გვქონდა გვეფიქრა. რომ ჩვენ ჩაგვთვალეს. როგორც უსულო რამე იარაღი ომში გამოსაყენებლათ და არა ცოცხალ ადამიანებათ. რომელთაც უნდა წინასწარ შეჰკითხოდენ - ამა თუ იმ საქმის. თუ მისიის. შესრულებას შესძლებდნენ თუ არა. ამნაირათ. როგორც ვენაში. ერთხელ კიდევ აღმოვჩნდით ჩვენგან დაუდასტურებელ და ჩვენთვის უცნობ - გადაწყვეტილ საქმის წინაშე. ძნელათ შესარულებელი იყო ეს საქმე ჩვენთვის. რადგან არც ერთი ჩვენთაგანი არამც თუ არ ვყოფილვართ პარაშუტისტები. თვით ჰაერობლანშიაც კი არავინ არ ვმჯდარიყავით. მიუხედავათ ამისა. უკვე ძნელი იყო უკან დახევა ამდენი ხნით ფრონტზედ სიარულის შემდეგ და ერთხელ მაინც საქართველოს ნახვის სურვილით. საბოლოოთ ვარჩიეთ სიჩუმეში ლოდინი გადაფრენისათვის ბრძანების მოსვლამდე. მაშ დროებით გავაგრძელეთ ყოველ დღიური ცხოვრება. გერმანელები განაგრძობდნენ თავიანთ სისასტიკეს და ჩვენ დამცირებას. კიდევ კარგი. რომ ჩვენი უნტეროფიცერი ბერლინელი ბუღოლცი და სამი ავსტრიელი გეფრაიტერები საუკეთესო და კეთილი ბიჭები იყვნენ. თორემ ჩვენი შეხედულება გერმანელ ხალხზე სულ წაგვიხდებოდა. ჩვენ მაინც ჩვენი მხრიდან სრულ მორჩილებაზედ ნებას არ ვაძლევდით და ხშირათ კიდევაც შეუტევდით ხოლმე. მაგალითად: ერთ დღეს მეზობელი სოფლის დალაქი დავიბარეთ ჩვენ ბანაკში. რომ ყველას თმა და წვერი გაეკეთებინათ. იმ დღით და იმ საათებში თავისუფლები ვიყავით. საჩქარო არაფერი იყო არავისთვის. ამითომ რიგ-რიგობით ვსხდებოდით სკამზედ და ამნაირათ დალაქი განაგრძობდა თავის საქმეს. ჯერი იყო ვარდენ ჩიტაძესი (ადრე დასახელებული ტყვე ექიმი). თმა უკვე ნახევრათ გაკრეჭილი ჰქონდა. რომ ამ დროს გერმანელი უნტეროფიცერი შემოვიდა ოთახში. არც აცივა და არც აცხელა. ჩასწვდა მკლავებში ჩითაძეს. წამოაგდი სკამიდან და თვითონ დაბძანდა მის ადგილზედ. მაგრამ ჩიტაძე მას უმასავით არ დამორჩილებია და ახლა იგი წასწვდა გერმანელს მკლავში და მან გადმოისროლა სკამიდან და დაიკავა თავისი ადგილი. შემდეგ ისევ გერმანელმა გაიმეორა პირველი ჟესტი. ასევე ჩიტაძემაც. ამნაირათ მეოთხეჯერ განმეორდა ეს მოქმედება. ვიდრე ჩიტაძემ გერმანელი მაგარი მოქნევით ოთახის მეორე კუთხეში მიწაზედ არ გაყლართა. მაშინ კი უნტეროფიცერმა ასტეხა ხმა მაღლა ყვირილი. უშვერი სიტყვებით გინება და დამუქრება უფროსთან დაბეზღებისათვის. ვეცადეთ მისი დამშვიდება. რომ მხოლოთ ორიოდე წუთი მოეთმინა და ჯერიც მისი ყოფილიყო. მაგრამ მისი გულცეცხლებითი პასუხი ის იყო. რომ იგი გერმანელია და მის წინ არავის უფლება არა აქვს. მით უმეტეს ტყვეს. რაიმე მოიმოქმედოს-ო. მისი მუქარა უბრალო როდის იყო. რადგან ჩვენ უფროს მულერს კარგათ ვიცნობდით და თუ რა იქნებოდა მისგან მოცემული სასჯელიც. მას ჩვეულებათ ჰქონდა. ან და უფრო სწორათ რომ ვსთქვათ. მისი მეთოდი იყო ასეთი. რომ. როდესაც ერთი ქართველი რაიმეს აწყენინებდა. მაშინ ყველანი უნდა დავსჯილიყავით. ეს სასჯელი კიდევ გამოიხატებოდა იმაში. რომ მთებში გადახრიოკებულ მიწებზედ კანაოებს გვათხრევინებდა და როდესაც ამას მოვათავებდით. იტყოდა: ამოავსეთ და ახლა გვერდზედ სხვა ახალი დაიწყეთ-ო. და ასე გრძელდებოდა ზოგჯერ ნახევარ დღეზედ მეტი. ამ სასჯელის გათვალისწინების შემდეგ. ბოლომით ყელამდე ავსილი. მივედი ჩიტაძესთან და უთხარი: ადექი ვარდენ. ხომ კარგათ იცი. რომ ამით ყველა ქართველები დავისჯებით. დაუთმე მაგ ოხერ გერმანელს ეგ ადგილი. მაგრამ ერთი რამ კი იცოდე და არ დაივიწყო ის. რომ პატარა ერის შვილები ყოველთვის დაჩაგრულები ვიქნებით დიდი ერებისაგა. ესენი გერმანელები იქნებიან. რუსები თუ სხვა. საკმარისათ ჩავთვალოთ. რომ ქართული ვაჟკაცობა გამოიჩინე და უჩვენე მათ. რომ ბრძოლა შეგიძლიან და მონურათ კისერს არავის მოუხრი. ადგა ვარდენი ნახევრათ თმა შეკრეჭილი და კუთხეში მიმდგარს ცხარე ცრემლი გადმოსდიოდა. კიდევ სხვა მრავალი შემთხვევები. პატარა თუ დიდი მნიშვნელობის გვქონდა გერმანელებისაგან ჩვენი დამცირების. რის გამოც მეც უკვე ჯანმრთელობით შერყეული არაფერს უთმობდი მათ. რადგან მათი თავგასულობა ძლიერ შორს მიდიოდა. ფრონტიდან. თითქმის ყოველდღე ცუდი ამბები გვქონდა. რუსები ფეხს აღარ იცვლიდნენ სტალინგრადიდან. ასეთივე ამბავი იყო მოსკოვის წინაც და თითქმის ყველა საზღვრებზედ. ამავე დროს გავიგეთ. რომ საქართველოში გადაუფრენიათ რამოდენიმეჯერ პატარა ჯგუფები და ყველა ესენი ადგილობრივ რეზისტანტებს (დამცველებს) ჩაუქვავებიათ და ტრაღიკული წამებით დაუხოციათ. ჩვენთვის უკვე ნათელი გახდა. რომ ეს იყო გერმანელების მიერ უკანასკნელი ძალღონის მოკრეფა და ყოველგვარი ცდის გაკეთება საქმის ფეხზედ დაყენებისათვის ე.ი. გამოკეთებსათვის და ამ მიზეზით აწარმოებდნენ ქართველი ახალგაზრდების

უთავბოლოთ და უანგარიშოთ გადაფრენებს, მიუხედავათ იმისა, რომ კარგათ იცოდნენ 90% სიკვდილი ეჭირათ ყველას. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველების სიკვდილი მათ სულაც არ აღარდებდათ. ვატყობდით ჩვენ უფროსსაც, რომ საამისოთ უკვე ემზადებოდა და გადაფრენის დრო აღარც ისე შორს იყო. ჩვენც უკვე შერიგებულნი ვიყავით ამ მდგომარეობას, იმ აზრით, რომ ვინიცობაა სასწაულით გერმანელებს გაემარჯვათ და ჩვენც სიცოცხლე შეგვრჩენოდა, ვყოფილიყავით ადგილობრივ ჩვენ ხალხთან, დაგვეცვა ისინი და მოგვემზადებინა იმისთვისაც, რომ მაშინათვე მოეთხოვათ გერმანელებისაგან საქართველოს დამოუკიდებლათ გამოცხადება და ისე არ დაგვმართოდა, როგორც უკრაინელ ემიგრანტებს და სხვა ხალხს დაემართად. მაშ გადაფრენის ბრძანების მოსვლა ძალიან შორს აღარაა. ჩვენი შეფისთვის საჭირო გახდა "თამარ პირველის" ჯგუფის ერთხელ კიდევ ცეცხლში გატარება, რომ გადაფრენის შემდეგ ადგილობრივ დაზღვეული ყოფილიყო ყოველგვარი უსიშროებისაგან. ე. ი. მოეშორებინა ისეთი პირები, რომელთაც კიდევ ჰქონდათ იმდენი გამბედაობა, რომ მათი საქციელის წინაამდეგ პროტესტები განეცხადებინათ. დამავიწყდა ზემოთ აღმენიშნა, ვითომ გერმანიაში სამუშაოთ რომ მივდიოდით, მაშინ პარიზშივე დაგვპირდნენ, რომ ყველა იმათ ვინც უკვე ჯვარდაწერილები და დანიშნულებსაც უფლება ეძლეოდათ ერთი წლის მუშაობის შემდეგ ხუთმეტი დღით შვებულება აელოთ. მიუხედავათ იმისა, რომ გერმანიაში მუშაობის მაგიერ ფრონტზედ აღმოვჩნდით, ეს დაპირება მაინც ძალაში დარჩა. დღევანდლამდის ოთხმა მეგობარმა ეს ხუთმეტი დღით შვებულება რიგრიგობით ყველამ მოათავეს. ახლა, ნორმალურათ, ჩემი ჯერიც იყო. აი, სწორეთ ამ გადაფრენის მოლოდინში რომ ვიყავით, ერთ დილას ჩვენი უფროსი გვიცხადებს, რომ ნება მეძლეოდა ხუთმეტი დღის შვებულებისა და ჩემთან ერთად წამოვიდოდნენ ორი მეგობარი: მიხეილ ბახტაძე და კაკო ჩიხლაძე. ეს ორი უკანასკნელნი ჯანმრთელობით ვერ იყვნენ კარგათ. გარეგნულათ ეს სასიამოვნო ამბავი იყო, მაგრამ იმ მიზეზით, რომ შეიძლება მალე გადაფრენის ნებართვა მოსულიყო, მე არ მინდოდა ასეთ მომენტში განვშორებოდი ჩემ მეგობრებს, რომელთანაც, მთელი ორი წლის განმავლობაში ერთად გამოვიარეთ ბევრი დუხჭირი და ვაი-ვაგლახი. ეს, რაღაც დამცირებათ და ჩემი თავმოყვარეობის შელახვათ მომეჩვენა და სწორეთ ამისთვის გულწრფელათ უარი განვაცხადე ამ შვებულებაზედ. ამის შემდეგ უფროსმა დამარწმუნა, რომ - "ჯერ კიდევ არა ვართ მზათ გადაფრენისთვის და მანამდე, შენი შვებულებაც დამთავრდება და შეგეძლება ისევ ჩვენთან დაბრუნება-ო". რაკი ასე შევთანხმდით, სულ ორიოდე დღის შემდეგ ერთერთ გერმანელ გეფრაიტორთან (რომელიც ჩვენი გამყოლის როლს ასრულებდა) ერთად ბერლინისაკენ ავიღეთ გზა. დავემშვიდობე ყველა მეგობრებს, როდესაც შალიკო მაღლაკელიძე ძმურათ გადამეხვია, ჩურჩულით მითხრა ყურში: " ძმაო, იღბალი გქონია, რომ ასეთ დროს მოგიწია შვებულებამ, წადი ძმაო, შენ მაინც შეინარჩუნე სიცოცხლე და სთქვი, თუ რა უდროოთ, რა უანგარიშოთ და რა ყველასთვის უსარგებლოთ იმეტებენ გერმანელები ჩვენ სიცოცხლეს. განა სიცოცხლეს დავიშურებდით ჩვენი ქვეყნისთვის, თუ კი ეს იქნებოდა პირდაპირ რუსებთან შეტაკებაში სამშობლოს თავისუფლებისთვის-ო". მაგრამ ეს ასე არაა და მაშ წადი და ნუღარ დაბრუნდები აქეთ, რადგან ეს დიდათ საწყენოთ დამრჩებაო. ჩემთვის გაურკვეველი დარჩა დღევანდლამდის და ხშირათ მიფიქრია მას შემდეგ, თუ ჩვენმა უფროსმა - მართლა შვებულება მომცა, თუ გადაფრენის ლოდინში განგებ მომიშორა წინასწარ, - იმის გამო, რომ ხშირათ მიხდებოდა უდიერათ დასჯილი მეგობრების გამოქომაგება. ადვილი შესაძლებელია ორივე მიზეზი ერთად იყო. ყოველ შემთხვევაში უკვე შვებულების გზაზედ ვდგვართ. უკრაინასა და პოლონეთის გავლის შემდეგ, მატარებლით ჩამოველით ბერლინში, ბერლინიდან კი პირდაპირ პარიზში კი არ ჩამოვსულვართ (არ ვიცი რა მოსაზრებით) ბრანდენბურგის განაპირას მიგვამაგრეს ერთერთ ქართველთა ტყვეების ბანაკს. ერთ თვეზედ მეტი დავრჩით ამ ბანაკში. აქაც არ იყო ნირმალური მდგომარეიბა. ტყვეები სიმშილობდნენ და მაგარ სიცივეებში იტანჯებოდნენ და წვალობდნენ. მოკლეთ აქაც იგივე ატმოსფერო იყო, როგორც ჩვენთან ფრონტზედ. ბევრი აქაური შემთხვევები ღირსია აღნიშვნის, მაგრამ ეს ამბები შორს წაგვიყვანს და აქ მეტს არ გავაგრძელებ, რადგან ამით არ მინდა დავშორდე "თამარ პირველის" ჯგუფის ისტორიას. სწორეთ ორი კვირა იყო გასული, რაც ბრანდენბურგში ვიყავით, რომ ჩვენი ჯგუფის ერთმა ლეიტენანტმა, რომელიც საქართველოში გადაფრენისას თან არ გაჰყოლია "თამარ პირველის" ჯგუფს, გვაცნობა, რომ "თამარ პირველის" ჯგუფი უკვე გადაფრენილიყო დაყოფილი პატარ-პატარა ჯგუფებათ და მთელი ერთი კვირის განმავლობაში მათგან აღარავითარი ცნობები არ იყო მიღებული, რისთვისაც გერმანულ შტაბში ამ დღიდან მათ სრულიათ დაღუპულებათ სთვლიანო. ამავე ლეიტენანტის თქმით, ვიდრე გადაფრინდებოდნენ, ჰერმან მულერმა დატოვა ზოგიერთი ტყვეები და მათთან ერთად ორი ემიგრანტიც: მიხეილ გრიგოლია

და ლეო კაკულია-ო. ამავე დროს ორი ტყვე კიდევ დახვრეტილები იქნენ: ვარდენ ჩიტაძე და სულიკო მერებაშვილი-ო. დიდი მწუხარება გამოიწვია ამ ამბავმა ჩვენში. საკითხი ისმებოდა ჩვენ შორის - ნეტავი რაში დასჭირდა უფროსს ამ ორი საუკეთესო ახალგაზრდის დახვრეტა, რა სარგებლობა მოუტანა მას ამ უფასო კრიმინალობამ?!! უსათუოთ არაფერი, გარდა იმისა, რომ სურვილი მოკლა შურის ძიებისა იმ პირებზედ, რომელნიც მათ ავტორიტეტს მონურათ არ ემორჩილებოდნენ. მე ამას სხვანაირათ ვერ ვხსნი, რადგან სხვა არავითარი მიზეზი დღევანდლამდის არ არის ნაცნობი. მწუხარებით ვიგონებ ჩემ მეგობრებს და ვამბობ, ნუთუ შალვა მაღლაკელიძის სიტყვები ამ ორი კვირის წინათ ასე წინასწარმეტყველური იყო?!! ნუთუ მათი სიცოცხლე მართლა ასე სწრაფად დასრულდებოდა?!! მაგონდება დამშვიდობების წუთები და მისი ჩურჩული: წადი ძმაო, შენ მაინც გადარჩი და სთქვი ჩვენი ამბავიო... ძმაო შალვავ! დღეს, როდესაც ამ სტრიქონებს ვწერ, დიახ, ჩვენი ჯგუფიდან უკანასკნელ დღეებამდე რომ თქვენთან ვიყავი, მე ერთად ერთი ვარ ცოცხალი და მინდა ეს შენი ანდერძათ თქმული თხოვნა შევასრულო და დავსწერო სიმართლით ყველა ის ამბავი, რაც ჩვენ ერთად გადაგვხვდა თავზედ. დღეს შემიძლიან გსთქვა, რომ ყველა თქვენგანის უმანკო სიცოცხლე, დროის შეურჩევლათ სრულიად გაუზომლათ და უანგარიშოთ შეეწირა სამშობლოსათვის გამიზნულ შველას. თვენახევრის შემდეგ, როდესაც ბრანდენბურგიდან ჩამოსვლა მოვახერხე პარიზამდე, შევუდექი ემიგრანტულ ცხოვრებას და ვცდილობდი განვლილი კოშმარი დავიწყებისათვის მიმეცა. ამასობაში რამოდენიმე წელი გავიდა, რომ ერთ დღეს, უცებ ჩემი ბინის კარებზედ კაკუნი შემომესმა. მაშინათვე გავაღე კარები და ჩემ თვალწინ მამაკაცი რომ იდგა მოჩვენება მეგონა. შემდეგ, როცა გაიღიმა და მეც ჩემი აზრი კალაპოტში ჩავაყენე, ვიცანი ჩემი მეგობარი მათე კერესელიძე, რამაც უზომოთ გამახარა და ორივენი დიდი ემოციებით ძმურათ გადავეხვიეთ ერთმანეთს. მთელი დღე ჩემთან გაატარა და ამ ხნის განმავლობაში თავის კერძო თავგადასავალთან ერთად, მომიყვა ჩვენი ჯგუფის ამბავიც დაწვრილებით. მან თავიდანვე დამიდასტურა გერმანელი ლეიტენანტის ბრანდენბურგში ჩამოტანილი ამბავი და შემდეგ თვითონ იწყებს: მაშ მოუსმინოთ ახლა მათე კერესელიძეს, რომელიც მე მომმართავს:

- შენ რომ ყირიმიდან წამოხველი, ორი კვირის შემდეგ ბრძანება მივიღეთ, რომ გადაგვფრენილიყავით საქართველოში. მაშინათვე ჩვენმა უფროსმა დაიწყო პროვრამის შემუშავება. პირველ რიგში მოახდინა ჩვენი ჯგუფის საბოლოოთ გადარჩევა, ე.ი., როგორც მე ვფიქრობ, გამოარჩივა ისეთი ქართველი ტყვეები, რომელთა ერთგულებაშიც ასე თუ ისე ეჭვი ეპარებოდა. ამნაირათ ყირიმში დატოვა რამოდენიმე ასეთი "საეჭვო" ბიჭები და მათთან ერთად ორი ემიგრანტი: მიხეილ გრიგოლია და ლეო კაკულია და ერთიც გერმანელი ლეიტენანტი, რომელიც შენ უკვე ბრანდენბურგში გინახია და გისაუბრია მასთან. ჩემი გაკვირვება გამოიწვია ერთმა მოულოდნელმა მოქმედებამ - განაგრძობს ისევ კერესელიძე, - როდესაც უფროსმა ტყვეებიდან გამოყო ორი საუკეთესო ახალგაზრდა: ექიმი ვარდენ ჩიტაძე და მფრინავი სულიკო მერებაშვილი და ჩემთან ყოველგვარი ანგარიშის ჩაუბარებლათ გერმანელებს გადასცა დასახვრეტათ. ამის შემდეგ შეადგინა რამოდენიმე პატარა ჯგუფები, ყოველივე ჯგუფს ჩაუყენა გერმანელები ხელმძღვანელებათ და ერთ უქუნეთ ღამეში - ყველანი პლანორებით გადაგვისროლეს საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, განაგრძობს ისევ მათე, - კარგათ იცი, რომ არც ერთი ჩვენთაგანი ჰაერობლანშიც არ ვმსხდარვართ და არც პარაშუტებით გვივარჯიშია. დღე რომ ყოფილიყო, იქნებ რამეს მოვახერხებდით, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ღლისით ვინ გადაგვაფრენდა და ამ შავსა და საშინლათ ბნელ ღამეში სულ ისე დავიფანტენით, რომ, როდესაც მიწას ფეხი მოვკიდე, უფრო სწორათ რომ გსთქვა, მიწაზედ რომ გავიჟლლართე და ჩემს ირგვლივ მინდოდა ვინმე მეპოვნა, ძე ადამიანი არ იყო, არ ისმოდა აგრეთვე არავითარი ჩამი-ჩუმიც, ჩემი წინ და უკან სიარულიც უშედეგო გამოდგა. ამ ჩემთვის უცნობ მხარეში გული გახეთქაზედ იყო, არ ვიცოდი რა მექნა, ვამბობ, სად წავიდე, ვის მივმართო, რით ვიარსებო მარტოთ მარტო დარჩენილმა? ბოლოს, მაინც ბედზედ მივაგდე ჩემი სიცოცხლე და დავიწყე ძახილი, დათიკოოო...დათიკოოოო. ეს მახსოვდა, რომ გადმოფრენის დროს დათიკო ხარისჭირაშვილი იდგა ჩემს უკან და ვიფიქრე ის უფრო უნდა ყოფილიყო ჩემს ახლოს. აქეთ-იქით ხეტიალში ვინ იცის რამდენჯერ დავიძახე დათიკოს სახელი, მხოლოთ, დაახლოებით ერთი საათი იქნებოდა თუ გასული, რომ დათიკომ ყრუთ მიპასუხა და როგორც იყო ერთმანეთი ვიპოვნეთ. დანარჩენები თუ სად გაჰქრნენ ეგ ახლაც არ ვიცი. ჰო, -განაგრძობს ისევ მათე, - რაკი მე და დათიკომ ერთმანეთი ვიპოვნეთ და ცოტა სულიც მოვითქვით გადმოფრენის დროს გამოწვეული ემოციების შემდეგ, ერთგან ბუჩქებში შევედით და დაველოდეთ გათენებას და ზოგიერთი მეგობრების იქნებ გამოჩენას. გათენებამაც მოასწია, მაგრამ ამდენი ლოდინი უშედეგოთ დარჩა და ალარც ერთი

სხვა მეგობარი აღარ გამოჩენილა. ასე უმწეოთ და მარტოთ დარჩენილები, შიმშილით რომ არ დავხოცილიყავით, იძულებულნი გავხდით დიდი რისკის ფასად, რომელიმე მცხოვრებელთან დაგვეჭირა კავშირი და მიზანში ამოვიღეთ ერთი სახლი, რომელიც სოფლის განაპირას იყო და სადაც, ღამით უფრო ადვილათ მივვესვლებოდა ძაღლების ყეფისა და სოფლის გაღვიძების გარეშე. დიდათ დაჭიმული ნერვებით და მღელვარების შემდეგ მივაკაკუნეთ კარებზედ. ერთ წუთშიც კარები გაიღო და ჩვენ თვალწინ საშუალი ხნის გლეხკაცი გამოჩნდა. იმის შიშით, რომ გერმანული უნიფორმით ეს კაცი არ დაბნეულიყო და ყვირილი არ დაეწყო, მაშინათვე ქართულათ მივესალმენით და ვაცნობეთ, რომ ჩვენ ქართველები ვიყავით. იგი სრულიათაც არ დაბნეულა და რაკი ჩვენი ვინაობაც გაიგო, სახე სიხარულით გაებადრა. მაშინათვე შეგვიპატიჟა სახლში და როდესაც ჩვენ იქ მისვლის ნამდვილი მიზეზი გავაცანით, მიუხედავათ იმისა, რომ ამ ომის პერიოდში ადვილი შესაძლებელი იყო მას ეს სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა, მაინც, უოველი უოუმანის გარეშე, მაშინათვე დაგვთანხმდა, რომ მალულათ ვყოფილიყავით მის ეზოში და ბინათ პატარა გომური დაგვითმო, რომელიც სახლიდან ოციოდე მეტრით იყო დაშორებული; ამავე დროს სურსათ-სანოვაგით მომარაგებასაც თვითონვე კისრულობდა. ასე პირნათლად გვინახამდა ეს გლეხი და ჩვენც თითქმის დამშვიდებულნი ველოდებოდით ბრძოლის სვლებს. ამ გლეხიდან მოცემული ცნობებით ბევრი რამ ვიცოდით. მისგან გავიგეთ ისიც, რომ ადგილობრივ დამცველ რაზმებს უკვე გაეგოთ, რომ გერმანელებს პარაშუტისტები რომ გადმოესხათ და გამალებით ეძებდნენ მათ უოველ კუთხეში. ზოგიერთები თითო-თითოდ ჩავარდნოდენ ხელში და სროლის დროს დაეხოცათ. ესენი უსათუოთ ჩვენი ბიჭები იყვნენ, განაგრძობს კერესელიძე. მდგომარეობა ნამეტანი სერიოზული და საშიში იყო. უოველ დღე უცდიდით ბედის განაჩენს და აგერ დადგა ეს შავი დღეც. ერთ დილას ჩვენი გომურის მახლობლათ დიდი ხმაურობა ატუდა. გომურის პატარა სანათურიდან კარგათ გავარჩიეთ ეზოში შემოსული რამოდენიმე კაცი თოფებით შეიარაღებულნი. ჩვენი მასპინძელი გარეთ გამოეუვანათ და რაღაცას გაცხარებით ექამათებოდნენ, მაგრამ ძეგლივით გაშეშებული იდგა და ხმას არ იღებდა. ცხადი გახდა, რომ ჩვენი გომურში ყოფნა უკვე შეენიშნათ. მალე იქვე მდგარ ხეივნებს ამოეფარნენ, თოფები ჩვენ გომურისკენ გამოიმიზნეს და რუსულათ დაგვიძახეს დაგვნებდით და არაფერს გიზავთ-ო. მოგვმართეს რუსულათ, რადგან, ალბათ იფიქრეს "გერმანელი პარაშუტისტები" რუსულს უფრო გაიგებენო. ჩვენი გადაწყვეტილება სწრაფი იყო, რომ დაგნებებოდით, რადგან სულ ერთია საბოლოოთ დაგვხოცავდნენ. ჩვენზედ გაცილებით ბევრნი რომ იყვნენ და ესეც რომ არ ყოფილიყო, არ გვინდოდა ძმათა სისხლი დაგვეღვარა და ან და მასპინძლის ოჯახიც ცოლშვილიანათ გაენადგურებინათ. დათიკო ხარისჭირაშვილი პირველი გავიდა, საწუხაროთ თოფი ისევ ხელში ეჭირა. მათ, ეს რომ შეამჩნიეს, ეგონათ ალბათ გვესვრისო და მაშინათვე პირველმა ესროლეს. დათიკო კარებშივე უსულოთ დაეცა. იმავე წუთში გომურში პატარა ჯოხი მოვნახე და ცხვირსახოცი მოვაბი დამორჩილების ნიშნათ და ისე გაველი. თანაც ქართულათ ვიძახდი: ბიჭებო, არ მესროლოთ ქართველი ვარ, ქურთველი... მაშინათვე დაუშვეს თოფები და ჩავბარდი. ცუდათ არ მომქცევიან, -ამბობს ისევ მათე. - დანამდვილებით რომ სცოდნოდათ ქართველები ვიყავით, იქნებ დათიკო დღესაც ისევ ცოცხალი იქნებოდა. ჩემი აზრით, შეიძლება ამ ქართველებში ქართულმა სისხლმა იფეთქა და არ გამიმეტეს ადგილზედ დასახვრეტათ და სიცოცხლე შემინარჩუნეს. მათვე მოახერხეს ისე, თითქოს ფრონტზედ დაჭრილი ტყვე ვიყავი და ამნაირათ ციმბირში გერმანელების ტყვეთა ლაგირში გადამაგზავნეს. ამ ლაგირში გარმანელების გარდა მრავალი სხვა ეროვნების ტყვეებიც იყვნენ და წარმოიდგინეთ თვით მრავალი "საეჭვო" ქართველებიც აქვე მოჰყავდათ. აქვე შევხვდი ჩემ მასპინძელსაც, რომლისთვისაც სიცოცხლე შეენარჩუნებინათ. ცოტა დაგვიანებით კი - ერთი მეგობარი "თამარ პირველის" ჯგუფიდან - მიხეილ ბურძგლაც აქ მოიყვანეს, რომელიც ტყეში ეპოვნათ მარტოთ და როგორც მე, ისიც ისევე ჩაბარებოდა ქართველებს. ბოლოს, გვიან, რა დაემართა მას ეს არ აღარ ვიცი. მე კი ჩემსას განვაგრძობ - ისევ ამბობს მათე. - საშინელი ტანჯვა და შიმშილობა გადავიტანე ამ ლაგირში. ამ ლაგირში მომიტანეს ამბავი "საეჭვო" ქართველებმა, რომ კახეთში გადაფრენილ ჯგუფს უკანასკნელ ტყვიამდე ებრძოლათ ადგილობრივ დამცველ რაზმთან და ამ ბრძოლაში ყველანი უკლებლივ დაეცნენ. ისევ ამავე ქართველებისგან გავიგე, რომ სხვა და სხვა ადგილზედ ცალ-ცალკე დაეჭირათ: შალიკო მაღლაკელიძე, კუკური ქოჩაკიძე და ალექსანდრე კანკავა. მათივე თქმით, კუკური ქოჩაკიძე ჯერჯერობით დაჭერილი ყავდათ საქართველოში. ალექსანდრე კანკავას - თურქეთის საზღვრებისაკენ მოეხერხებინა გაქცევა (ალბათ საამისოთ ვინმემ შეუწყო ხელი); შალვა მაღლაკელიძე კი თითქოს ჩაუქვავებიათ და ისე მოუკლავთ. დანარჩენები სხვა და სხვა კუთხეში ტყეებში დაეხოცათ. ზოგიერთი მიცვალებულები პარაშუტით ხეებზედ

************************************************************************************

ჩამოკიდებულნიც უპოვნიათ. ერთ დღეს ხეზედ დაკიდებული მიცვალებულის ზოგიერთი ნივთები, ლაგირშიაც კი მოიტანეს და მიჩვენეს (ამბობს მათე), თუ გამოვიცნობდი მათ პატრონებს. მაშინათვე ვიცანი უნტეროფიცერი ბულოლცის და ჩვენი უფროსის ჰერმან მულერის ინიციალები. ერთი სიტყვით გამოირკვა, რომ ჩვენი ჯგუფი მთლიანათ განადგურებული იყო. მძიმეთ გადიოდა წამებული დღეები და ჩემ ტანჯვას თითქოს დასასრული აღარ უჩანდა, რომ ერთ დილას გვაცნობეს ომის დამთავრება. გამარჯვებულმა რუსებმა, როგორც იყო ტყვეებისთვის მოიცალეს და დაიწყეს ლაგირებში გადარჩევები. მე საფრანგეთის მცხოვრებლათ ვიყავი ჩაწერილი და საფრანგეთი, როგორც რუსეთის მოკავშირე ქვეყანა იყო, ნება მეძლეოდა მოსკოვში ჩავსულიყავი და იქ საკონსულოს თვითონ გადაეწყვიტა გარჩევა ჩემი საქმეების. დიდი ხლაფორთის, ტანჯვის და შიმშილის შემდეგ, როგორც იყო მოსკოვამდე მივაღწიე. მათხოვარს დამსგავსებული და ღონე მიხდილმა კითხვა-კითხვით მივაღწიე საფრანგეთის საკონსულოს კარებამდე. მათ აუხსენი ჩემი მდგომარეობა თავისდან ბოლომდის და ისიც უთხარი, რომ მე ვიყავი საფრანგეთის მცხოვრები და ჩემი ცოლ-შვილიპარიზში იმყოფებოდნენ. ვთხოვე, რომ დამხმარებოდნენ ოჯახში დასაბრუნებლათ. ვიდრე საკონსულო ყველა ქაღალდების გაფორმებას დაასრულებდა, ძალიან დიდი დრო გავიდა. კვირეები კვირეებს მისდევდა და ამ ხნის განმავლობაში ჩემს მორალურათ და ფიზიკურათ წამებას, სიცივისაგან, უბინაობისაგან და შიმშილისაგან საზღვარი აღარა ჰქონდა. დავეცი და დავკნინდი ისე, რომ, ზოგჯერ სიცოცხლის მოსპობაც გავივლე თავში, მაგრამ ცოლშვილის ნახვის სურვილი უფრო ძლიერი გამოდგა და ტანჯულ ხორცსა და სულს დავათრევდი მოსკოვის ქუჩებში და საფრანგეთის საკონსულოს კარების წინ. და აგერ, ერთ დღეს ჩემთვისაც გათენდა და საკონსულოში მაცნობეს პარიზში დაბრუნების ნებართვა. გამიმზადეს ქაღალდები, გადმომცეს ბილეთი და ცოტაოდენი ფულადი დახმარების შემდეგ საფრანგეთისკენ გამოვეშურე. რამოდენიმე დღის შემდეგ შემოველი პარიზში ბედნიერებით სავსე. ჩემი მდგომარეობა, ნამდვილათ მეორე დაბადებასა ჰგავდა ცივილიზაციური ქვეყანაში ფეხის შემოდგმით. ოჯახში ამ ბედნიერებით დამთვრალი მოვსულიერდი თუ არა, შენც გიკითხე და აგერ დიდი ხანიც არ დამჭირვებია ლოდინი, რომ მენახე. ჩემი ამბავი (ისევ განაგრძობს მათე), ნამეტანი გრძელია. მე არ შემიძლიან ყველაფერი სულ დაწვრილებით გიამბო, ამისათვის რამოდენიმე დღე იქნება საჭირო, ამიტომ ყველაფერი ეს, რაც გითხარი, მხოლოთ სულ მოკლეთ მოვსჭერი, რომ შენც იცოდე დაახლოებით, თუ შენი წამოსვლის შემდეგ რა გადახდა ჩვენ ჯგუფს. ასე დაამთავრა ეს ამბავი მათე კერესელიძემ.

საბოლოო დასკვნა "თამარ პირველის" ჯგუფისა ასეთია: იმ ხუთი ემიგრანტიდან, რომელნიც "თამარ მეორის" ჯგუფს გამოუყვნენ და გადაფრენამდე "თამარ პირველს" შეუერთდენ, კუკური ქოჩაკიძე საქართველოში შეიპყრეს და რამოდენიმე წლის შემდეგ იქვე გარდაიცვალა, მისი ძმა კი უკვალოთ გაქრა. აჩიკო დადიანი და გოგი ჩხეიძეც პარიზში გარდაიცვალნენ და მხოლოთ მეხუთე - კაკო ჩიხლაძე ცოცხალია და ჯანმრთელათ ცხოვრობს პარიზში.[1] დანარჩენნი, "თამარა პირველის" ჩვიდმეტი კაციდან: მიხეილ ბურძგლა, რომელზედაც მათე კერესელიძემ სთქვა, რომ ტყვეთა ლაგირში იყო მასთან ერთად, მას შემდეგ მისი მდგომარეობა უცნობია. ალექსანდრე კანკავამ გადაფრენის შემდეგ სირიას შეაფარა თავი და ცოტა ხნის შემდეგ იქვე გარდაიცვალა. ლეო კაკულია და მიხეილ გრიგოლია, რომელნიც გადაფრენის დროს ყირიმში დარჩნენ და შემდეგში პარიზში ჩამოვიდნენ, ამათგან - ლეო კაკულია, საფრანგეთის გერმანელებისაგან განთავისუფლების დროს უკვალოდ გაქრა. მიხეილ გრიგოლია კი ცენტრალურ საფრანგეთში გარდაიცვალა და დასაფლავებულია ლევილის სასაფლაოზედ. გოგი ბერძენიშვილი ჭლექით გარდაიცვალა პარიზში და ლევილის სასაფლაოში განისვენებს. ვიქტორ მონიავა კი საფრანგეთის განთავისუფლების დღეებში, ფრანგი რეზისტანტების მიერ, გაუგებრობით, მის მეუღლესთან ერთად იქნა დახვრეტილი ლევილში და ლევილშივეა დასაფლავებული. მიხეილ ბახტაძეც ამ რამოდენიმე წლის წინ პარიზში გარდაიცვალა. და ბოლოს თვით მათე კერესელიძემაც ამ მოკლე ხნის წინათ სამუდამოთ დახუჭა ტანჯული თვალები. ამ ჟამათ საფრანგეთში ცოცხლათ ვიმყოფებით მიხეილ გოგორიშვილი და მე, ამ ამბების მომყოლი იროდიონ ბეგიაშვილი. დანარჩენები კი სამშობლოს სიყვარულს შეეწირნენ. ასე დასრულდა ჩვენი ახალგაზრდა და ჯერ კიდევ სიცოცხლით სავსე ქართველების "თამარ პირველის" ჯგუფის ისტორია.

ამიერიდან უნდა ჩვენ ვალათ ჩავთვალოთ, რომ მათი სახელები დაუვიწყარი დარჩეს, არა მარტო ემიგრაციის ისტორიაში, არამედ სამშობლოს ყველა თავდადებულთა ისტორიაშიც. კარგი იქნება მომავალმა თაობებმა იცოდენ, რომ, როდესაც კი ჩამოჰკრეს ზარებმა სამშობლოს თავისუფლების მოპოვებისათვის, ემიგრაცია არ მოერიდა მისთვის

---

1 შეგახსენებთ, რომ მოგონება 1980 წელსაა დაწერილი. კაკო ჩიხლაძე ცოცხალი აღარ არის. - რედ.

უდიდესი მსხვერპლის გაღებას. უნდა აღინიშნოს, რომ "თამარ პირველის" გაღებულ მსხვერპლთან ერთად ემიგრაციამ სხვაც ბევრი გაიღო - იგივე გადაფრენის სახით. ვინ ჩამოსთვლის მათ სახელებს, მაგრამ მაინც ვიტყვი, ვინც ახლა მახსენდება, რომელთა შორისაც იყვნენ: ალექსანდრე ფაშალიშვილი, შოთა თაქთაქიშვილი, ლადო დარაშვილი, შალვა დუღაშვილი, შალვა ნებიერიძე, თუხარელი და სხვებიც. ამათთან ერთად კიდევ რამდენი ქართველის სიცოცხლე ჩაჰქრა "თამარ მეორის" ჯგუფიდანაც. იმედია ერთ დღეს ყველა მათი სახელები ცნობილი იქნება ისტორიისათვის. ასე ტრაღიკულად დამთავრდა მეორე მსოფლიო ომი ქართველი ემიგრანტებისათვის, ასევე ტრაღიკული იყო ჩვენი სამშობლოსათვისაც, რომ ასეთმა სულ პატარა ერმა რუსეთის ძლევამოსილებისთვის ორასი ათასზედ მეტი ახალგაზრდა ქართველის სიცოცხლე გაიღო.[1]

დიახ, ტრაღიკულად დასრულდა გერმანელების მიერ 1940 წელში დაწყებული ომი ცივილიზაციური ევროპისთვისაც. მათ თავიანთი უტაქტობით დაანგრიეს საფრანგეთის და ინგლისის დიდი იმპერიები და მათ ადგილზედ მხოლოთ ბოლშევიკური რუსეთი გამოიყვანეს გამარჯვებული. მათი შეცდომებით გამარჯვებულმა რუსეთმა გაინაღდა დიდი ხნის ოცნებები ზღვებზედ გასასვლელად და აგრეთვე გაინაღდა ისიც, რასაც არასოდეს მოელოდა, აღმოსავლეთი ევროპის მთელი ტერიტორიებიც. ევროპის ადგილად დაპყრობით გათამამებულმა გერმანელებმა ალღო ვერ აუღეს მდგომარეობას, ვერ მიხვდნენ იმას, რომ რუსეთში შემავალი და დამონებული ერები მისგან თავისუფლების მიცემას მოელოდნენ და არა იმას, რაც მათ ჩაიდინეს მთელი ახალგაზრდების მუშა ხელად გერმანიაში გადაყვანით. საკმარისი იქნებოდა ისიც, რომ რუსეთის ტერიტორიაზედ განთავისუფლებული ერებისათვის დროებითი მთავრობები მაინც რომ შეექმნათ, ისინი უსათუოთ გერმანელებს ამოუდგებოდნენ გვერდში და გამარჯვებაც უეჭველი იყო. მაგრამ ეს მგონი "თამარ პირველის" ისტორიას უკვე შორდება და მაშასადამე აქ შევჩერდები და აქვე დავსვამ წერტილს.

1980 წელი, თებერვალი.

* * *

[1] 780 ათასი გაწვეულიდან დახოცილთა ზუსტი რიცხვი ჯერაც არ არის ცნობილი. იგი მერყეობს 200 -დან 400 ათასამდე. -რედ.

## ალექსანდრე მანველიშვილი

## ჩემი მოგონებებიდან

ამ წლების მოგონებები აქ სრულა არ არის წარმოდგენილი, არამედ რამდენიმე ეპიზოდი, სახელდობრ ის, რაც იყო დაკავშირებული თურქებთან და 1924 წლის აჯანყებასთან. ამათგან კიდევ მხოლოდ იმას ვეხები, რაც უშუალოდ ჩემს პირად გამოცდილებასთან იყო დაკავშირებული.

### 1915 წელი.

ამ წელს დავამთავრე სოფლის სკოლა და ქ. ახალციხის უმაღლეს-დაწყებითი სასწავლებლის მოსამზადებელ კლასში მიმიღეს.

ეს წელი ახალციხის მხარისათვის განსაკუთრებული მოგონების საგანია. გახურებული ომი მიმდინარეობდა. როგორც შემდეგში გავიცანი, შექმნილი იყო სპეციალური ე.წ. "კავკასიის არმია". სამხედრო ისტორიკოსების ცნობით ეს არმია ერთი მილიონი ჯარისაგან უნდა შემდგარიყო. მაგრამ ომის დასაწყისში აქედან ზოგი ნაწილები მოხსნეს და დასავლეთის ფრონტზე გადაიყვანეს. საჭიროების დროს ის ადგილობრივ უნდა შეევსოთ.. ასე რომ მთელი ომის განმავლობაში აქ ჯარის რიცხვი ნახევარ მილიონს არ გასცილებია და აქედან მებრძოლი ნაწილი ამის ნახევარს არ აღემატებოდა. ამიტომ იყო რომ ომის დასაწყისში თურქებმა სასტიკი იერიში მოიტანეს და მალე სარიყამუშში შემოიჭრნენ.

ამან რუსის მხედრობაში დიდი პანიკა გამოიწვია. ეშინოდათ რომ თურქები საქართველოში არ შემოჭრილიყვნენ. ამიტომ მათ გადასწყვიტეს რომ საქართველო მთლად მიეტოვებინათ და კავკასიის ქედზე გამაგრებულიყვნენ. მანამდე კი ყველაფერი გაეზიდათ, გადაეწვათ, გაენადგურებინათ, რომ თურქებს არაფერი დარჩენოდათ. ამან ქართველ საზოგადოებაში დიდი მღელვარება გამოიწვია... რაც ცნობილია!

სასწაულებრივმა მოქმედებამ გამოიყვანა ქვეყანა ამ მდგომარეობიდან. სულ მალე რუსის ჯარმა იერიში მიიტანა თურქებზე და მალე ისინი შორს გადარეკა და მერეც წინსვლა არ შეჩერებულა. ასე გადავრჩით ამ ჯერად შემოსევას.

რა ხდებოდა ამ დროს ადგილობრივ მოსახლეობაში. ცხადია, თურქების წინ წამოწევამ

****************************************************************************************************

ჩვენში დიდი შიში დაჰბადა. დღე-დღეზე მოველოდით თურქების შემოჭრას ახალციხეშიც. ეს შიში არც ისე უადგილო იყო რაკი თვით მთავრობა მოელოდა ამას. ამიტომ მოსახლეობა შეუდგა თადარიგს გაქცევისა, მესხები ხომ ამას ჩვეულნი იყვნენ!

ეს ამბავი ხდებოდა ჩემს სოფელში და ალბათ არც სხვაგან იქნებოდა გამონაკლისი!

გასაქცევად მუდამ ორი გზა გვქონდა. როდესაც ბორჯომის ხეობა გახსნილი იყო, ბარგითა და ყოველგვარი შესაძლებლობით მივეშურებოდით ქართლისაკენ. ხოლო როდესაც ეს გზა ჩაკეტილი იყო, მაშინ ზეკარის უღელტეხილით იმერეთისაკენ. ეს გზა ნაკლებ სახიფათო იყო, მაგრამ მოგზაურობა შესაძლებელი იყო ცხენით და ფეხით და არც ბევრი რამის წაღება შეიძლებოდა. ამ ჯერად არჩეული იყო ბორჯომის გზა.

მძიმე იყო ჩვენი ოჯახური მდგომარეობა. ჩემი ორი უფროსი ძმა ჯარში იყო გაწვეული. მესამე უფროსი ძმა მხოლოდ 17 წლისა იყო. ჩემი უკანასკნელი და 15 წლისა და დანარჩენი ოთხი ძმა 11 წლის ქვემოდ. მამა ჩემი ამ დროს ქუთაისში მოჰყვა და ასეთ მძიმე პირობებში უნდა მოვმზადებულიყავით. რასაკვირველია მეზობლები და ნათესავები გვეხმარებოდნენ, რომ ურმები დაგვეტვირთა. ხარები საკმარისად გვყავდა, მაგრამ ნაკლებად ურმის გამძღოლი. ერთ ურემს უფროსი ძმა გაუძღვებოდა, მეორეს ჩემი და, და მესამეს მე, თერთმეტი წლის ბავშვი. გზა ახალციხემდე დაღმართი იყო და მერე იწყებოდა ბორჯომის გზატკეცილი. ამიტომ შეგვეძლო ბევრი რამის წაღება. ასეთ გეგმებში ვიყავით, რომ ჩვენთან გაჩნდა მამა ჩემის დიდი მეგობარი ილო გიორგაძე. ამან შეამოწმა ჩვენი სამზადისი. ამას მოჰყვა ერთი კომიკური სცენაც. ილო ძალიან გამწყრალი იყო მამა ჩემზე: ხშირად იმეორებდა: ახ, სტეფანე! ვახ სტეფანე! პატარები ამაზე ვიცინოდით. დედა ჩემი გვტუქსავდა, რა გაცინებთ ამ უბედურობაში ვართო. ამ დროს გაბრაზებულმა ილომ დედა ჩემზე ხელი მიაშვირა და წარმოსთქვა: მამა თქვენი გიჟია, ამისთანა ქალი მიუტოვებია და სავაჭროდ დარბისო. დედა ჩემმაც ველარ შეიკავა თავი და ასტუდა საყოველთაო სიცილი...

ამ ხანებში მამა ჩემიც გადმოვიდა ქუთაისიდან. რამდენიმე დღე რიგიანად არ გვძინებია. მაგრამ განა ადგილი იყო სახლ-კარის მიტოვება... იყო ეკლესიებში ლოცვა და ვედრება, რომ თურქები დამარცხებულიყვნენ და ამ უბედურებას გადავრჩენილიყავით!..

ასეთ დაძაბულ მდგომარეობამ დიდ ხანს არ გასტანა. როდესაც მოვიდა ცნობა, რომ თურქები შორს გადაურეკიათ და ყველაფერი დაწყნარდა.

ეს იყო პირველი დიდი შიში, რომელიც ამ საუკუნეში გვაგემეს თათრებმა...

## 1918 წელი.

ამ წელს სხვა მხრიდან დაგვჩხავლა ყორყნმა. რუსეთში უკვე რევოლუცია მომხდარი იყო. სამწუხაროდ ვერც საქართველომ და ვერც მთელმა კავკასიამ დროზე დამოუკიდებლობა ვერ გამოაცხადეს. ეს კი მოხდა, რომ ცოტა გვიან შეიქმნა ფაქტიური ამიერ კავკასიის მთავრობა და გამართა მოლაპარაკება თურქებთან (ტრაპიზონში). ამ დროს რუსეთის ცენტრებში გაბატონდნენ ბოლშევიკები და გერმანელებთან დასდეს ბრესტ-ლიტოვსკის ზავი. ამ ზავზე ამ.კავკ. მთავრობამ მონაწილეობის მიღება არ მოისურვა. მაშინ გერმანიამ ადვილად დაუთმო თავის მოკავშირე თურქეთს: ყარსი, არტაანი, ართვინი, ბათუმი და თურქებმა დაყინებით ეს ტერიტორიები მიიღეს, თუმცა ამ დროს კავკასიის მთავრობამ თურქეთს ომი გამოუცხადა. კონფერენცია ჩაიშალა და ის განახლდა 1918 წლის მაისში, როდესაც ამ. კავკასიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

მაგრამ თურქები ბრესტ-ლიტოვსკით არ დაკმაყოფილდნენ და მოითხოვეს ახალციხე-ახალქალაქის მაზრებიც, იმ მიზეზით, რომ ტრაპიზონის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა, სისხლი დაიღვარა და სხვა. ამასობაში ამიერ კავკასიის ერთობა დაირღვა და 26 მაისს 1918 წ. საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. თურქებზე ამას არ უმოქმედია და მათ ახალციხე-ახალქალაქი დაიკავეს.

ახლა კი ნამდვილად განხორციელდა თურქების ბატონობა და საწყალმა უბრალო ხალხმა რა იცოდა, რომ თურქეთის ბედიც მალე სხვანაირად შებრუნდებოდა და მალე გავთავისუფლდებოდით!

თურქების ეს მცირე ხნის ბატონობაც არა ნაკლებ მძიმე იყო მოსახლეობისათვის. მართალია, ხალხის ხოცვა-ულეტას და აწიოკებას ადგილი არა ჰქონია. თურქები შედარებით წესიერად იქცეოდნენ. ალბად მათ იცოდნენ, რომ მათი ბატონობა მყარი არ იქნებოდა. ისინი ყველაფერს მიეზიდებოდნენ რის წაღებაც კი შეიძლებოდა.

მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ჯავახეთში. აქ მოსახლეობის დიდ ნაწილი სომხობაა. ისინი სულ აიყარნენ და მოედვნენ მთელ საქართველოს. უფრო დიდი ნაწილი თავს აფარებს ახალციხეს. ამაზეა ნათქვამი: "მკვდარი მკვდარს აეკიდა, სამარის კარს მიმიყვანეო"! აქ მათ ფიზიკურად თავი შეინახეს. მახსოვს, ერთი ახალგაზრდა კაცი მოჯამაგირედ ავიყვანეთ. ის კარგი მუშა იყო და პატიოსნად ასრულებდა თავის საქმეს. მას დაეკარგა ცოლი და მამა. ჩვენ ისინი მოვუნახეთ. მამა მერე ჩვენს სახლშივე გარდაიცვალა. ის ჩვენთან ერთ წელს

დარჩა და როდესაც ქვეყანა განთავისუფლდა, მამა ჩემმა ის კარგად დააჯილდოვა და გაუშვა ოჯახის აღსადგენად...

ამ წელს არაჩვეულებრივი მოსავალი მოვიდა ჯავახეთში, რადგან მოსახლეობა გაიქცა, ყველაფერი უპატრონოდ დარჩა. ამიტომ თურქებს ახალციხიდან გაჰყავდათ ბეგარა, ალეწინებდნენ ხორბლეულობას და მათ თურქეთში მიეზიდებოდნენ; ბევრსაც მათი ოფიცრები ჩუმად ახალციხის მოსახლეობაზე ჰყიდდნენ.

ბეგარაზე გაყვანილ ხალხზე ბევრ კურიოზებს გვიყვებოდნენ. ერთი პატარა ამბავი: ერთ ახალგაზრდა ქართველს თურქის ჯარის კაცმა ჯოხი დაარტყა. ახალგაზრდას ხელის შებრუნება მოუნდომებია. ამ დროს მას შუაში ჩაუვარდა მოხუცი ქართველი და სთხოვა: გაჩერდი შვილო, დევე გცემოს, იქნებ მათმა ცოდვამ ღმერთამდე მიაღწიოს და რამე გვეშველოსო.

ახალციხეშიც მოსახლეობა არ იყო დაწყნარებული. ბევრს იმედი გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ თურქების ბატონობა გაგრძელდებოდა და თუ ისინი შეგვაწუხებდნენ, ახალგაზრდობა მაინც იმერეთში უნდა გადასულიყვნენ.

ასეთი იყო სულისკვეთება ხალხში. მაგრამ ომი დამთავრდა და თურქები დამარცხდნენ და ახალციხე-ახალქალაქი კი არა, ბათუმიცა და არტაან-ყარსიც მიატოვეს. ჩვენ კიდევ ერთხელ გავნთავისუფლდით...

სხვათა შორის 1960 წელს ვაშინგტონში გავიცანი ერთი ახალგაზრდა თურქის ექიმი და კარგი დამოკიდებულება გვქონდა. ერთხელ მას თურქეთიდან ესტუმრნენ მოხუცი მშობლები. როგორც გამოირკვა, ექიმის მამა 1918 წ. ახალციხეში ყოფილა ჯარის კაცად. ის დიდის სიმპატიით იგონებდა იქ გატარებულ დროს, ქართველების სტუმართ მოყვარეობას და თავაზიანად ვექცეოდითო!..

ამგვარად ეს მხარე განთავისუფლდა. მაგრამ ამ დროს ჩვენს მთავრობას არ აღმოაჩნდა სათანადო ძალა, რომ იქ მშვიდობა დაეცვა. თუმცა იქ ცოტა ჯარი იყო ჩაყენებული. თურქეთის ჯარები წავიდნენ. მაგრამ ახლა ადგილობრივმა მუსულმანებმა აგვიტეხეს ბრძოლა ქრისტიანებს. მათ უნდოდათ ამ მხარის გამოყოფა და ერთგვარი ავტონომიური სახელმწიფოს შექმნა ძველ სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე. ცხადია, თურქეთის მფარველობის ქვეშ. თურქები ახდილად არ ეხმარებოდნენ. მაგრამ ჩუმად ყველაფერი მათი ჩაწყობილი იყო. ამ საქმეს სათავეში უდგა სამცხის ყველაზე დიდი ფეოდალი. სერვერ ბეგი. ძველი ჯაყელების შთამომავალი. მართალია სამცხის მუსულმანური არისტოკრატია მთლად მას არ აჰყვა. მაგრამ სამაგიეროდ მას გასავალი ჰქონდა მოლლებში და მდაბიო ხალხში, რომელიც დაინტერესებული იყო ცათცვა-გლეჯით. ერთი მისი მომხრე იყო სოფ. წურწყაფის (ფოცხოვის რაიონში). ეს მოლლა მამა ჩემის დიდი მეგობარი იყო და ჩვენი ხშირი სტუმარი. ერთხელ მამჩემს გააცნო ერთი წერილობითი საბუთი, რითაც ისინი მოითხოვდნენ ძველი სამცხე-საათაბაგოს ავტონომიას. ამ სცენას მეც ვესწრებოდი. მამაჩემს ყველა ეს ნაკლებად აინტერესებდა. ერთი კი გააფრთხილა მოლლა, გახსოვდეს, რომ საქართველოს უკვე მთავრობა ჰყავს და ჩვენი ქვეყანა მას ეკუთვნისო!

ბრძოლა გრძელდებოდა ახდილად და ამ პერიოდში ჩვენმა მთავრობამ დახმარება ვერ გაგვიწია. ახალციხის დასავლეთით იყო მხოლოდ სამი ქრისტიანული სოფელი. ყველაზე დიდი სოფელი იყო უდე და ის მალე თათრებმა დაიკავეს. მეორე სოფელი, არალი, მთლიანად ჩემს სოფელში გადმოსახლდა. ასე რომ ჩემი სოფელი იყო დასავლეთის ფრონტის მეთაური. აქვე იყო რამდენიმე სომხის სოფელი და სანამ ისინიც ჩვენთან იყვნენ. მტერს ადვილად ვიგერიებდით. ჩვენ გვყავდა ახლად ომიდან გამოსული გაწვრთნილი ჯარის კაცები. კარგი მსროლელები ზარბაზნებიდანაც. ამიტომ დიდ ხანს მტერს ადვილად ვიგერიებდით და რომ სომხებს ჩვენთვის არ ეღალატათ. ის დღე არ დაგვადგებოდა. რაც ჩვენ თათრებმა დაგვატეხეს!

ახალციხის ციხეში რუსებს დარჩათ დიდი რიცხვის ზარბაზნები, ძველი სისტემისა. მაგარი ტომარით წამალი უნდა ჩაგვედოთ შიგ და მერე გაგვესროლათ. სულ ორი რიგიანი ზარბაზანი აღმოჩნდა და ისიც ჩვენს ფრონტს არ შეხვდა. ეს ბრძოლები უფრო ბავშვების თამაშსა ჰგავდა. ჩემს სოფელს ერთი კილომეტრის მანძილზე ჩამოუდის ფოცხოვის მდინარე. მდინარის გაღმა გორაკებზე თათრების ფრონტი იყო და გამოღმა ჩვენი. თოფები ბევრი გვქონდა და ტყვიები ცოტა. ვინტოვკის ტყვია ისე ცოტა გვქონდა, რომ აკრძალული იყო ამ თოფებით უხვად ესროლათ; სამაგიეროდ ბევრი ტყვია გვქონდა ბერდენკისა.

ერთხელ ჩვენებმა გადაწყვიტეს შეტევაზე გადასულიყვნენ: მდინარე გადალახეს და თათრები თავიანთი პოზიციებიდან გადაყარეს. ზურგიდან ზარბაზნების სროლა ასტეხეს და თათრები ამან უფრო შეაშინა და გარბოდნენ; ბევრ მათგანს თოფებიც არა ჰქონდათ; მაგრამ მათ სასარგებლოდ შეტევის დროს ასეთი ამბავი მოხდა. ზარბაზნების ყუმბარები იმის მაგიერ რომ მტრის ბანაკში ჩავარდნილიყო, ისინი ჩვენი ჯარის პოზიციებსაც ვერ აღწევდა და მათ უკან გარდებოდა. ამიტომ ჩვენებმა მაშინადვე კაცი აფრინეს ზარბაზნების სროლა შეეწყვიტათ. მერე გამოირკვა, რომ პატარა ბიჭები ტომრებიდან ჩუმად წამალს იპარავდნენ თავიანთი

პატარა ფიშტოებისათვის და ეს წამალი ძალას ამცირებდა და უუმბარა დანიშნულების ადგილს ვერ აღწევდა.

კარგა ხანს გრძელდებოდა ეს ბრძოლები. თათრების მასას უფრო ცარცვა-გლეჯა აინტერესებდა. რატომღაც ჩემს სოფელს მთელ სამცხეში სახელი ჰქონდა გავარდნილი უმდიდრესი სოფლისა და თათრებს ძალიან უნდოდათ მისი დარბევა. რაკი ჩვენს ფრონტზე იყო რამდენიმე სომხის სოფელიც. ჩვენ ერთად ვიბრძოდით. თათრებს არ შეეძლოთ ყველას ერთად დარბევა და გადასწყვიტეს, როგორც მერე გამოირკვა, სომხების შესყიდვა.

ერთ დილას სასტიკად თოვდა. ჩვენი სახლი სოფლის საკმაოდ განაპირას იყო და სოფლის ზემო მხრიდან რაღაც თოფის ხმა მოისმოდა. მამა ჩემმა ჩემს უფროს ძმას უთხრა, შეირბინე და ნახე რა ხდებაო. ის წავიდა, მაგრამ ისეთი ბუქი იყო, რომ ვერაფერი დაინახა. სროლა კი კანტი კუნტად გრძელდებოდა. თურმე სოფლის ოთხივე მხრიდან ურიცხვი თათარი მოიწევდა.

ამ დროს მოხდა ერთი ასეთი ამბავი. ქართველ კათოლიკეთა მღვდელთან ცხენით მოიჭრა მეზობელი სომეხ კათოლიკეთა მღვდელი. ჩვენი მღვდელი ინახულა და სულ რამდენიმე წუთში ცხენს მოახტა და უკან გაიქცა. ამ სურათს ჩემი თვალით ვუცქერდი. გამოირკვა, რომ თათრებს სომხები გაუფრთხილებიათ, თუ ქართველებს არ დაეხმარებით თქვენ ხელს არ გახლებთო. ეს ამბავი სომეხმა მღვდელმა ქართველ მღვდელს გაუზიარა; მაგრამ დაგვიანებული იყო. სულ რაღაც ნახევარი საათი იყო დარჩენილი თათრების შემოსევამდე.

ჩემს სოფელში ამ დროს იდგა ერთი პატარა ნაწილი ცხენოსანი ჯარისა. აქედან ათიოდე ჩვენს სახლებში ცხოვრობდა და არ ვიცი რა მიზეზით, ისინი სწორედ იმ დილით ქალაქისაკენ წავიდნენ და ეს ისე ჩქარა მოხდა, რომ ზოგიერთი ბარგის წაღებაც ვერ მოასწრეს. მათ დარჩათ კავალერიის ვინტოვკები და ზოგი თავიანთი ბარგიც. ეს თოფები მე სასწრაფოდ საბძელში შევიტანე და მივმალე როგორც შემეძლო.

ცოტა ხანში რაც ჩვენ გვქონდა დარჩენილი, ზოგი რამ შევხიდეთ მეზობელ მუსულმანებთან და ჩვენც მათ შევაფარეთ თავი. თათრები შემოესივნენ სოფელს და დაიწყეს უმოწყალო ცარცვა-გლეჯა. ჩემი მეზობელი მუსულმანები ღარიბები იყვნენ და საკმარისი ბინა არ ჰქონდათ. პირველი სამი ღამე მე ბოსელში ძროხების ბაგის ქვეშ მეძინა. ამ დროს შეძლებულმა მასულმანთა ოჯახებმა მოგვაკითხეს და ჩვენი ოჯახი სამად გაიყო. მე, ჩემი სულ უფროსი ძმა და ჩემი და გადაგვიყვანეს ადგილობრივი მოლლის ოჯახში. აქ დაწყნარებული ვიყავით, რადგან დამცველები ბევრი გვყავდა და იქ შემოსვლას ვერავინ გაბედავდა. არც არაფერი გვაკლდა. ასევე მოეწყვნენ ოჯახის სხვა წევრებიც.

შემოსეულმა თათრებმა მთელი სოფელი გაანადგურეს. არაფერი დასტოვეს. კედლებიდან კირიც კი აეყარათ. მსხვერპლი იყო მხოლოდ ერთი მოხუცი ქაცი. რომელსაც თავის შეფარება ვერ მოესწრო და ქუჩაში იყო მოკლული.

არ მახსოვს. რამდენმა კვირამ გასტანა ჩვენი ასეთი ტყვეობა. მოვიდა ჩვენი ჯარი გენ. კვინიტაძის მეთაურობით და ჩვენი სოფლიდან კი არა, თათრები არტაანის იქით გადაყარა.

ახლა უკულმა დაიწყო ცარცვა. ჩვენი ჯარის კაცები სცარცვავდნენ მუსულმანთა სოფლებს და მათთვის ეს ცუდად არავის ჩაუთვლია. ჩემი მეორე ძმა ქართულმა ჯარმა გაიყოლია როგორც გზების მაჩვენებელი. მამა ჩემმა ის გააფრთხილა, რომ თუ სახლში ნაქურდალი რამე მოიტანე, სახლში აღარ შემოხვიდეო, და როდესაც ჩემი ძმა მობრუნდა, მას ხელში ეჭირა ერთი ნაჯახი და მამაჩემი ამაზეც გაუწყრა. ძმამ დააწყნარა, ამით ტყეებში გზას ვიკვლევდიო.

ამ ხანებში გარდაიცვალა ჩემი უფროსი ძმის მეუღლე და დარჩა ძუძუ მაწოვარი ბავშვი. არ ვიცოდით რა გვექნა. არ იყო რძე. ძროხა აღარავის ჰყავდა. მაშინ ჩემმა ძმამ მამა ჩემის ნებართვით ჯარის კაცებისაგან შეიძინა ერთი ნაქურდალი ძროხა. მაგრამ ის არ იწველიდა. მერე - მეორე და, ბოლოს, მესამე რომ შეიძინა, ის იწველიდა. თუმცა საწყალმა ბავშმა ვეღარ გასძლო და ისიც გარდაიცვალა...

როგორც იყო ამ მდგომარეობიდანაც გამოვედით და შევუდექით გავერანებული სახლისა და ცხოვრების აღდგენას!..

## 1921 წელი.

ეს იყო ერთი დრამატიული წელი ჩვენს ისტორიაში. საუკუნეზე მეტი მონობიდან საქართველო განთავისუფლდა. ის ბედნიერ მომავალს შესცქეროდა. მაგრამ ხან მოკლე იყო ეს ხანა.

ამ წელს თებერვალში ბოლშევიკური რუსეთი შემოესია საქართველოს. მიუხედავად სასტიკი წინააღმდეგობისა, საბოლოოდ მტრის ურიცხვ ძალას საქართელო ვერ გაუმკლავდა. მალე ჩვენმა სარდლობამ დასტოვა თბილისი, გაიარა გორი, სურამი, ქუთაისი და ჩავიდა ბათუმში. მტერიც კვალ-და-კვალ მისდევდა...

ამ დროს მე ახალციხეში ვიყავი. დიდი პანიკა იყო ადმინისტრაციაში. ბევრი სხვა კუთხიდან იყო მოსული და ისინი ზოგი ცხენით, ზოგი ეტლით და

*********************************************************************************************

ზოგი ფეხით აბასთუმანის გზატკეცილით აჭარა-ბათუმისაკენ მიეშურებოდა. ადგილობრივ მოსახლეობაში სიწყნარე სუფევდა. მაგრამ ეს სიწყნარე დაარღვია იმ გარემოებამ, რომ ერთ დილას ქუჩებში ვნახეთ გაკრული განცხადებები თურქებისა რუსულ ენაზე, სადაც აღნიშნული იყო, რომ ახალციხე და სხვა ადგილები ჩვენ დაგვეთმოო. აღარ მახსოვს, იმ დღეს თუ მეორე დღეს ბოლშევიკების ჯარიც შემოვიდა. თოფები კი ეკიდათ, მაგრამ ტანსაცმელი სულ შემოხეული და ფეხსაცმელი ამოსვრილი. იქნებოდა ხუთასამდე კაცი.

თუმცა ყველაფერი წყნარად მიდიოდა და არსად სჩანდა რომ რამე აღრევას ექნებოდა ადგილი, მით უმეტეს, რომ არსად სჩანდა ქართული ჯარი, მე მაინც გადავწყვიტე სოფელში წავსულიყავ და ჩემს ოჯახს შევერთებოდი. ცოტა რამ ბარგს ხელი მოვკიდე და სოფლის გზას გავუდექი... გზა თურქეთის მიმართულებით მიდის. ნახევარი გზა არ მქონდა გავლილი, რომ გზაში შემომხვდა ერთი ესკადრონი თურქის ჯარი. მე მათ გზა დავუთმე. ოფიცერმა ესკადრონი შეაჩერა და გამოკითხვა დამიწყო. რაკი თურქულს თავისუფლად ვლაპარაკობ, მას ყველაფერზე პასუხი გავეცი. ისიც ვუთხარ, რომ სწორედ დღეს შემოვიდა რუსის ჯარი ახალციხეში. შემდეგ ჯარის რაოდენობაც მკითხა და აქ ცოტა ვიცრუე და რაც მე მეჩვენებოდა ორჯერ მეტი ვუთხარი. ოფიცერმა სალამი მომცა და გზა განაგრძო. მაშინ მე რა ვიცოდი, რომ თურქებსა და რუსებს ყველაფერი ჩაწყობილი ჰქონდათ და მათ ჯარებსაც თავისუფლად შეეძლოთ შეხვედრა!..

მე გზა განვაგრძე და ცოტა ხანში ათიოდე ქართველი ჯარის კაცი შემომხვდა, საზღვრიდან მოხსნილიყვნენ და სახლებში მიდიოდნენ. სჩანს თურქებს მათთვის იარაღი არ ჩამოურთმევიათ.

სოფელში მისვლის შემდეგ არ ვიცი ქალაქში რა მოხდა. ცოტა გვიან კი გავიგე, რომ სომხებს და თათრებს (ადგილობრივ მუსულმანებთან) შორის შეტაკება მომხდარა და ერთი ქართველი ბეგი იყო მოკლული. ეს იყო გვარად მელვინეთუხუცესი. მე ვიცნობდი მის დას და ძმას, რომელნიც იყვნენ მასწავლებლებად ახალციხის თურქულ შვიდწლედში.

მალე რაღაც შეთანხმება მოხდა რუსებსა და თურქებს შორის. თურქის ჯარმა დასტოვა ქალაქი და საზღვარი დაიდო ჩემ სოფლის მიმართულებით, სამიოდე კილომეტრის მანძილზე. აქ მდინარეზე იყო ხიდი. ერთ მხარეს იყვნენ თურქები და მეორე მხარეს რუსები. ასე რომ ჩემი სოფელი მოჰყვა თურქეთში. ჩვენ მაინც თავისუფლად დავდიოდით ქალაქში. ოღონდ გავლისას თურქები ქაღალდს გვაძლევდნენ და დაბრუნებისას უნდა ჩაგვებარებინა.

ქალაქში რასაკვირველია კომუნისტებმა მაშინადვე მოაწყვეს თავიანთი ადმინისტრაცია. აქ კომუნისტები უმთავრესად სომხობა იყვნენ და ცხადია ძალაც მათ ხელში იყო. ამნაირად საზღვრის ორივე მხარეს ქართველები "უცხოელები" ვიყავით! ძნელია ასაწერად ჩვენი მაშინდელი განცდები! ჩვენ კიდევ ერთხელ თურქეთში მოვყევით. ხალხი კიდევ ერთხელ დარწმუნებული იყო, რომ რაკი ახალი საზღვრები დაიდო, ჩვენ საბოლოოდ თურქეთის ხელში დავრჩით. თუმცა მათ ჩვენთვის არავითარი ზიანი არ მოუყენებიათ, მოდი და გული დააჯერე, რომ ეს მუდამ ასე იქნებოდა! ჩემი სოფლის ცოტა მოშორებით თურქების მრავალ რიცხოვანი ჯარი იდგა. ადგილობრივი მუსულმანობაც ხმებს ავრცელებდნენ, რომ რუსები მალე წავლენ და აქ თურქები დარჩებიანო. ალბათ თურქების განზრახვაშიც შედიოდა თუ კი ამას შესძლებდნენ. სხვანაირად ვერ აიხსნება აქ მრავალრიცხოვანი ჯარის მოყვანა!..

ამგვარი მომავლის გათვალისწინება ხალხს დიდ პანიკაში აგდებდა. თურქეთში მოჰყვა ოთხი ქართული ქრისტიანული სოფელი და 7 - 8 სომხური.

ჩვენში მტკიცდებოდა ის აზრი, რომ თუ თურქები საბოლოოდ დარჩებოდნენ, ახალგაზრდობა უნდა გასცლოდა აქაურობას. ახლა ერთი გზაღა გვქონდა დარჩენილი: ზეკარის უღელტეხილით იმერეთისაკენ. ეს გზა ნაკლებად სახიფათო იყო, რადგან ტყეებსა და მთებში მოგვიხდებოდა სიარული. იმერეთში გადასვლა დიდ სიძნელეებს არ წარმოადგენდა. ეს რომ განხორციელებულიყო ჩემი ოჯახიდან სამს მოგვიწევდა წასვლა: ჩემს დას, უფროს ძმას და მე. უკან გვრჩებოდა დედ-მამა და ჩემი სამი უნცროსი ძმა. მართალია ჯერ რეალურად არაფერი სჩანდა, მაგრამ ყველაფერი ისე გვეჩვენებოდა, თითქოს ეს სულ მალე უნდა განხორციელებულიყო და როგორ მინდოდა, რომ ჩემი უნცროსი ძმებიც წამეყვანა. დედა ჩემი კი ტიროდა: სადაც ჩვენ დავიხოცებით, ჩემი ბავშვებიც ჩვენთან უნდა დაიხოცნენო! ყველა ამაზე გული მიკვდებოდა. ხოლო მამა ჩემი ამ მდგომარეობას ვერ იტანდა და არაუს ეტანებოდა!

ასეთ მძიმე მდგომარეობაში ერთად ერთი ნუგეში იყო ეკლესიაში სიარული და ლოცვა-ვედრება. სოფელში ორი ეკლესიაა. მართლმადი-დებლებისა და კათოლიკებისა. ეკლესიებში ტევა არ იყო. მთელი ხალხი აქ იყო. ერთი მეორის ეკლესიაში დავდიოდით და ღამეებს ვათევდით. ახალგაზრობა გალობას ეტანებიდა. ხანდაზმულები ტირილით იოხებდნენ გულს. იყო ღამისთევანი... ამასობაში აღდგომაც გვეწვია...

1921 წლის აღდგომის ღამე იყო ყველაზე

დრამატიული, რომელსაც მე მოვესწარი, ხოლო დილა კი უნდა ყოფილიყო ყველაზე სასიხარულო!...

ღამის თევა ძალიან ადრე დაიწყო. ეკლესიაში ტევა არ იყო. ლოცვა-გალობასთან ისმოდა ჩუმი ქვითინი და მოთქმაც. ბევრს სახე ცრემლებით ჰქონდა მორწყული... ეს დრამა გრძელდებოდა განთიადამდე. ამ დროს კი კაცი შემოვარდა ეკლესიის ეზოში და გვახარა: თათრები მიდიანო! ამის გაგონებაზე ტირილი უფრო გაძლიერდა, მაგრამ ეს იყო სიხარულის ტირილი. მღვდელმა ხმა მაღლა ახარა ხალხი და დაიწყო მეტად უჩვეულო ხვევნა-კოცნა ერთმანეთისა...

ჩემს სოფელში იყო ჯარის შტაბი, ხოლო მთავარი ჯარი სოფლის გარედ მინდვრებში იყო დაბანაკებული. ამ დღეს ჩვენს ოჯახს წილად ხვდა შტაბის ოფიცრების გამასპინძლება. იყო 7 - 8 კაცი. ისინი მიდიოდნენ და ეს იყო უკანასკნელი სადილი ჩვენს მიწაზე. ჩემი უფროსი და არ გამოჩენილა. ყველაფერი დედა ჩემმა მოამზადა და მეც ცოტას ვეხმარებოდი. სადილის შემდეგ ერთმა ჩაი მოითხოვა. დედა ჩემმა უთხრა რომ ჩაი მაქვს, მაგრამ შაქარი არა მაქვსო. მაშინ ერთმა ახალგაზრდა ოფიცერმა ჩუმად ჩაილაპარაკა: წასასვლელი არ ვიყოთ შაქარიც გექნებოდათო; უფროსმა ის გააჩუმა. მერე მადლობა გადაგვიხადეს, ცხენებზე შემოსხდნენ და წავიდნენ.

მათი ჯარი გაჩერდა დღევანდელ საზღვარზე, ჩვენი დამოუკიდებლობის საზღვრების კარგა შიგნით. ეს ტერიტორიები რუსებმა დაუთმეს თათრებს ჯერ მოსკოვის ხელშეკრულებით და მერე ამიერ კავკასიის კომუნისტური მთავრობები აიძულეს ია დაედასტურებინათ ყარსის ხელშეკრულებით. ასე დამთავრდა თურქეთის ბატონობის ცდა ამ მხარეში. მათ შეინარჩუნეს საკმაოდ დიდი მიწები საქართველოსი, მათ შორის სამცხიდან ფოცხოვის ხეობა...

## 1924 წელი.

ამ წელს ვამთავრებდი საშუალო სასწავლებელს. მაგრამ მოხდა ერთი ჩემთვის მოულოდნელი ამბავი. გამოგვიცხადეს, რომ ჩვენი კლასი ერთი წლით უნდა დაეტოვებინათ იმ მიზეზით, რომ მათემატიკის პროგრამა ვერ გავათავეთ. ამან დიდად ამაღელვა, რადგან ერთი წელი უკვე დაკარგული მქონდა და უკანა კლასის მოწაფეები წამომეწნიენ; ახლა კი მეორედ მეორდებოდა იგივე ამბავი. ამიტომ მე მივმართე გამგეს და ვსთხოვე რომ მოვემზადებოდი მათემატიკაში, გამოცდებს ჩავაბარებდი და ნება მოეცა სკოლა დამემთავრებინა. გამგე იყო ექ. ალ. არდიშვილი. ის იყო მშიშარა და ვერ გაბედა ნებართვის მოცემა. მხოლოდ დასძინა, რომ ამ დღეებში თბილისიდან ჩამოდის განათლების კომისარიატის წარმომადგენელი. მას სთხოვე და თუ ნებას მომცემს დაგამთავრებინებო. მართლაც, მეორე დღეს ჩამოვიდა წარმომადგენელი. ეს იყო თბილისელი სომეხი მამულიანი. მე მას უკვე ვიცნობდი. ცოტა ამის წინ ექსკურსიაზე ვიყავით. ის ამავე დროს იყო გამგე ერთი სომხური სკოლისა და ჩვენ მოწაფეებს იქ ვეძინა. აქ გავიცანი ის და ახლა მოვაგონე. მამულიანს ვსთხოვე არდიშვილისთვის თანადასწრებით. მან მაშინადვე უთხრა ჩვენს გამგეს, რატომაც არა თუ კი გამოცდებს ჩაგაბარებენ, გაუშვი წავიდნენო. მე ძალიან გამიხარდა და შევადგინე ერთი ჯგუფი, ვინც მოისურვებდა მომზადებას. მაგრამ მალე ბევრი ჩამოშცილდა და ჩემთან დარჩა მხოლოდ რევაზ ახვლედიანი. ის იყო ნიჭიერი ყმაწვილი. თუმცა მას მიდრეკილება ჰქონდა ფიზიკისა და მათემატიკისაკენ. სხვა საგნებშიც ხუთები ჰქონდა. ასევე იყო ჩემი მდგომარეობა. მე ლტოლვა მქონდა ჰუმანიტარული საგნებისადმი, მაგრამ მათემატიკურშიც ხუთები მქონდა.

მოკლედ, ჩვენ უმასწავლებლოდ სასწრაფოდ შევემზადეთ და როდესაც გამგემ ნახა ჩვენი ასეთი მცდელობა, გამოცდებიც სულ მოკლედ ჩაატარეს და სასწავლებელი დაგვამთავრებინეს.

რევაზი ობოლი იყო და ახალციხეში მის ბიძიასთან ექიმ ვანო ასათიანთან იზრდებოდა. მე მინდოდა იურიდიულ ფაკულტეტზე შესვლა, რასაც მაშინ სოციალურ-ეკონომიურს ეძახდნენ. რეზო მაიმედებდა, რომ ქალაქდებს ბიძია გიორგის გადაუგზავნით და ის დაგვეხმარებაო. ეს ბიძია გიორგი გახლდა პროფ. გიორგი ახვლედიანი, რომელთანაც შემდეგ დაახლოება მომიხდა სხვა ნიადაგზე.

ჩვენ ბევრი დრო გვქონდა. მე დასვენებას არ ვაპირებდი, თანაც ეჭვი მქონდა, ვაი თუ უნივერსიტეტში შესვლა არ მოხერხდეს. ამიტომ სხვა თადარიგი უნდა დამეჭირა.

ამ წლებში მთავრობა ზაფხულობით აწყობდა სახალხო სკოლების მასწავლებელთა გადასამზადებელ კურსებს. ეს ეწყობოდა საქართველოს რამდენიმე რაიონში. ერთი იყო ახალციხე. აქ თავს იყრიდნენ: გორის, ბორჯომის, ახალციხის და ახალქალაქის მხარეთა მასწავლებლობა. ხარჯებს მთავრობა ჰფარავდა. ყველას ეძლეოდა ბინა და საარსებო. შეიძლებოდა იქ თავისუფალ მსმენელად ჩაწერა, თუმცა მათ დახმარება არ ეძლეოდათ. ვფიქრობდი თუ უნივერსიტეტში შესვლას ვერ მოვახერხებდი, დაბალ სასწავლებელში მასწავლებლად მაინც მოვეწყობოდი.

ჩვენი სასწავლებლის შენობა დაკავებული ჰქონდათ მოსულ მასწავლებლებს. მე უბინაოდ

დავრჩი, რადგან სწავლის დამთავრების შემდეგ ჩემი ოთახი მივატოვე.. აღარ მეგონა რომ ქალაქში დავრჩებოდი. მაშინ მივადექი ერთი სომხური სკოლის დარაჯს. ეს იყო მოხუცი ქალი და როგორც ნამეზობლარი მიცნობდა. მას ვთხოვე სკოლის შენიობაში დავეძინებინე, რაკი სწავლა შეწყვეტილი იყო. მან სიამოვნებით დამითმო და ერთი გრძელი მაგიდა გავმართე საკლასო ოთახში. მინდოდა სოფლიდან რამე ჩამომეტანა, მაგრამ აქაც ის დამეხმარა, მათხოვა ერთი საბანი და ბალიში; ასე ბინა გავიჩინე, ხოლო სანოვაგე მომქონდა სოფლიდან და კურსებს ვესწრებოდი.

კურსებზე ხელმძღვანელებად იყვნენ თბილისიდან ჩამოსული ცნობილი პედაგოგები. მათ შორის იყო ნიჭიერი და ენერგიული პედაგოგი ნინო ძიძიგური, და რა ბედნიერი ვიყავი, რომ სამოცი წლის შემდეგ უკვე ღრმად მოხუცებული ნინოს სურათი ვნახე საქართველოს ნარკვევებში!..

კურსების გამგე იყო დიმიტრი გურგენიძე და ის ამავე დროს იყო კომისარიატში სოციალური აღზრდის განყოფილების უფროსი.

კურსებზე ენერგიულად ვმუშაობდი. სოფლის მასწავლებელთა შორის არავინ იყო საშუალო განათლებითაც. ეს გასაკვირვებელი არც იყო რადგან მაშინ თვით საშუალო სასწავლებლებშიც ბევრი საშუალო განათლების ადამიანი ასწავლიდა. ამიტომ მე აქაც ვაქტიურობდი, მაგრამ ერთმა გარემოებამ დროებით მაინც, ძალიან მომადუნა. ეს იყო შემდეგი: ერთხელ გადაწყდა ექსკურსიაზე წასვლა აბასთუმანში. უნდა გვევლო ფეხით დაახლოებით 25 კილომეტრი. ვიარეთ ღამით და დილით აბსთუმანში ვიყავით. მთელი დღე იქ გავატარეთ და საღამოს საბარგო ავტომობილი გამოიძახეს ახალციხიდან. მაგრამ ყველას დატევა შეუძლებელი იყო, ამიტომ გურგენიძემ განაცხადა, რომ თავისუფალი მსმენელები თვითონ იფიქრებენ როგორ მოიქცნენო. ეს მე არაჩვეულებრივად მეწყინა; მუშაობაში ჩვენ უფრო აქტიური ვიყავით და აქ ჩვენი გარიყვა მართლა არა სასიამოვნო იყო. ეს სხვებსაც არ მოეწონათ. მერე გურგენიძემ გადასწყვიტა, რომ მანქანა უკან მობრუნდებოდა სხვების წასაყვანად.

მე გაჯავრებულმა უკან აღარ დავიხიე. ჩემთან წავიყვანე ჩემივე სკოლის ამხანაგი არ. გვარამაძე (ისიც თავისუფალი მსმ.ენელი იყო) და ჩემი სოფლისკენ გავსწიეთ, რომელიც არც ისე შორს იყო. ორი დღე ჩემს სოფელში გავატარეთ და მესამე დღეს კურსებზე გამოვცხადდით. კურსები ჯგუფებად იყო დანაწილებული და ამ დროს ჩვენ ჯგუფს სწორედ დ. გურგენიძე ხელმძღვანელობდა.

ჩვენს კურსებს დავალებული ჰქონდა დაბალი სკოლის პროგრამის შედგენა. მე ამ საქმეში აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი და აღნიშნული ინციდენტის შემდეგ სულ გავჩუმდი. ხმას არ ვიღებდი. რამდენჯერაც მომმართავდა გურგენიძე, ხმა ამოიღეო, მე იმდენად ვჩუმდებოდი. ჯგუფშიაც სიცოცხლე შენელებული იყო, რადგან ყველა მე თანამიგრძნობდა.

ერთხელ გურგენიძემ მიმიხმო თავის ოთახში და მეუღლის თანადასწრებით მითხრა: გავათაოთ, ქვეყანა ხომ არ დაიქცა, შეცდმა მომივიდა და ამდენი სიჯიუტე როგორ შეიძლებაო! ეს ბოლოშს უდრიდა და იმ დღიდან შევრიგდით და მეც შევუდექი ენერგიულად მუშაობას (ჩვენ სამი წლის შემდეგ კიდევ შევხვდებით!)

კურსები აგვისტოს ბოლო რიცხვებში დამთავრდა. მთავრობამ გამოსამშვიდობებელ:ი ვახშამი გაგვიმართა ქალაქის ბაღის დიდ რესტორანში. გურგენიძე თამადობდა, ახალგაზრდები ერთად ვისხედით და მე მოადგილედ დამნიშნა. ახალგაზრდებს გადაწყვეტილი გვქონდა, რომ აქ ბევრი არ დაგველია და მერე ცალკე გვექეიფა. ეს არ მოხერხდა: შუა ღამე რომ გადასცილდა ჩვენ იქამდე ვიყავით დამტვრეული, რომ ყველამ თავიანთი ბინა მოვნახეთ. მე გაშლილი ლოგინი მაინც არ მომელოდა!..

თურმე ეს ის საათი იყო, როდესაც გიორგი წერეთელი შეცდა და ჭიათურაში აჯანყება ადრე დაიწყო... ცხადია ეს მთავრობამ მაშინადვე ყველას ამცნო, რასაკვირველია ახალციხეშიც!

მე მივედი ჩემს სკოლაში, გამოვაღე ფანჯარა და ჩემს მაგიდაზე დავწექი. მაშინადვე დამეძინა.

დილას ადრე ავდექი და იქვე ახლოს ქალაქის ბაღში გავისეირნე. ქუჩა ცარიელი მეჩვენა და მეგონა რომ ჯერ ადრე იყო. ბაღის შუაში შემომეყარა ბერძენი იონიდი; ის იყო კომ. კავშირის პასუხისმგებელი მდივანი. ჩვეულებრივ ის კონდახიან მაუზერს ატარებდა, ახლა კი კარაბინიც ზურგზე ეკიდა. მან სალამის მიცემა აღარ მაცალა და სასწრაფოდ მითხრა: შენ აქ რას აკეთებ, შენი ამხანაგები ყველანი დაჭერილები არიან, და მოკლედ მიამბო, რომ იმერეთში აჯანყებაა. ჩვენ ეხლა ვგროვდებით, უნდა წავიდეთ და ზეკარის უღელტეხილი გავამაგროთ, რომ აჯანყება აქ არ გადმოვიდეს. წამოდი ახლავე ჩემთან, იარაღს მოგცემ და ჩვენთან წამოდიო. მერე ჩუმი ხმით დაუმატა, თუ არ გინდა აქედან როგორმე გაეცალეო. მე ის ლა მოვასწარ - გაცლა მირჩევნია მეთქი და ის ჩემზე ადრე გზას გაუდგა. მე ჩემი სკოლის ეზო გადავჭერი და ქვემოდ ხეხილის ბაღებში ჩავედი. ერთ მოფარებულ ადგილას მივჯექი, რომ მომეფიქრებინა როგორ მოვქცეულიყავ. გადავწყვიტე ჩემს სოფელში წავსულიყავ. იქ

მშვიდობა იქნებოდა. ქალაქში აღარ შემეძლო გავლა. გვერდზე ჩამოდის ფოცხოვის მდინარე. მივედი ნაპირას; წელს ქვემოთ გავიხადე და მდინარე გავიარე. გადავწყვიტე მინდორ-მინდორ მეარა და სოფელში შევსულიყავ დაბნელებისას. ქალაქს შემოუარე და ნახევარი გზის შემდეგ კვლავ მარჯვნივ მდინარისაკენ გადავუხვიე სადაც მეგულებოდა ჩემი სოფლის სასიმინდე ყანები და ხეხილის ბაღები.

ბაღებში რომ შევედი მცველის ქოხთან მივედი და როდესაც დავრწმუნდი, რომ იქ არავინ იყო და არაფერი ხმა ისმოდა, ქოხთან მალე მცველიც მოვიდა. ის მომესალმა და გავაბით ლაპარაკი. ეტყობა ის ძალიან იყო მოწყენილი, რადგან ამ ხანებში ხალხი მთებში იყო გალაგებული და ცოტა მოდიოდა. მეც ეს მინდოდა და ფეხს ვითრევდი, თითქოს მინდოდა წასვლა და არც მინდოდა, რადგან ველოდი დაღამებას. მცველმა კიდევ ხილი შემომთავაზა და დაავულა, რა გეჩქარება სოფელი ხომ არსად გარბისო. მართალია დარჩენა მინდოდა და არც ის მინდოდა, რომ ამას მიმხვდარიყო. მე მაინც შებინდებამდე დავრჩი და მერე ნელა შევუდექი აღმართს, რომ რაც შეიძლება გვიან შევსულიყავ სოფელში.

სოფელში რომ შევედი არაფერი მიგვრძნია. მამა ჩემი კი დაეჭვდა რომ ასე შეგვიანებით მოვედი სახლში. მერე მითხრა, რომ დღეს აქ რაღაც ბევრი ჯარის კაცები და მილიციელები დაწანწალებენო. მე რასაკვირველია ზოგი რამ უკვე ვიცოდი, მაგრამ რას წარმოვიდგენდი თუ ასე უცბად სოფლებშიც დაიწყებდნენ ხალხის დევნას, მით უმეტეს, რომ აჯანყება კი არა აქ ხალხს ამაზე წარმოდგენაც არ ჰქონია.

ერთი საათის არ გასულა, რომ ჩვენს სახლა მილიციელებმა ალყა შემოარტყეს. მე უკანა კარებიდან გავძვერი და იქვე მუსულმანების სასფლაოზე მივწექი. (ჩემი იქ ყოფნა არავინ იცოდა და როგორც მერე გავიგე ისინი ეძებდნენ ჩემს უფროს ძმას, რომელიც ამ დროს მთაში იყო).

ბავშვობისას გვაშინებდნენ, რომ ღამ-ღამობით თათრის მკვდრებმა ადგომა იციანო და ამ სიტყვას ხმარობდნენ "აყეფდებიანო". ბავშვობის დროის შიში კიდევ მქონდა გულში ჩარჩენილი, და ისედაც აქ გაჩერება არ შეიძლებოდა. გადავწყვიტე თავი შემეფარებინა ჩემი ძმის სიმამრის სახლში, რომელიც სულ განაპირას იდგა. ცოტა ხანში იქ გავჩნდი. ისინი ალბად მიხვდნენ, რომ რაღაც განსაცდელში ვიყავი, მით უმეტეს რომ აქ დამხვდა მათი მეორე სიძე და ჩემი ახლო ამხანაგი. გამოქცეული ბათუმიდან აქ თავს აფარებდა. აქაც მალე მოგვაკითხეს. ესენი იყვნენ რუსის ჯარის კაცები და როდესაც სახლში შემოვიდნენ, ჩვენ ორივე მეორე ძმის სახლებში გადავძვერით საბძლიდან და ჩემი ამხანაგი "დეზერტირი" მაშინადვე მინდორში გავაქციე. მე ვეღარ მოვასწარ, რადგან მძიმე და ხმაურა ფეხსაცმელები მეცვა და როდესაც მეორე ძმის სახლებში შემოვიდნენ მე უკანვე გადავედი და ახლა კი მეც მოვუსვი. ორღობე გავიარე და ხეხილის ბაღში რომ შევედი იქ ორი ახალგაზრდა წამოვარდნენ და გაქცევას აპირებდნენ. მე ისინი ვიცანი. იყვნენ მამა ჩემის ნათლულები. მათი სახლი გვერდზე იყო, მაგრამ სახლებში რომ დადიოდნენ ისინი ღამით გარეთ გამოსულან. მე მათ შევუერთდი და მალე გადავწყვიტეთ რომ მთაში წავსულიყავით. ღამე მთაში ავედით.

დღისით მთებში დავდიოდით. დავსეირნობდით ხან მეცხვარეებთან და ხან მთიბავებთან. ამ დროს გაჩაღებული იყო თივის თიბვა და გლეხ-კაცობის საგრძნობი ნაწილი აქ მუშაობდა; ღამით ბინებში ეძინათ. სოფლიდან ყოველ დღე ხალხი მოდიოდა და ახალი ამბები მოჰქონდათ.

ვიცოდი რომ ჩვენები თივას სთიბდნენ საზღვართან ახლოს. ერთ დღეს მე მათთან მივედი და ჩემს მეზობელ თათარს ვკითხე, საზღვარი სად არის მეთქი. მან გაიცინა და მითხრა: ჩვენ სწორედ საზღვარზე ვიმყოფებითო და ისიც მიამბო, რომ აქამდე აქ ჩვენ არც ერთი ჯარის კაცი არ გვინახავსო. ეს კარგი ამბავი გავიგე, რადგან საჭირო შემთხვევაში თურქეთში გადასვლა ჩემთვის ადვილი იქნებოდა. ეს გათვალისწინებულიც მქონდა თუ საქართველოში მდგომარეობა გართულდებოდა და უკან დაბრუნება აღარ შემეძლებოდა.

მალე ცნობები მივიღე რომ ყველაფერი იყო დაწყნარებული და სოფელს დავუბრუნდი და ვემზადებოდი თბილისში წასასვლელად.

ახალციხეში რომ ჩავედი ყველა მოვინახულე და რაც კი იქ მომხდარიყო ყველაფერი შევიტყე. მთელ საქართველოში რა ხდებოდა ეს ჩემთვის მიუწვდომელი იყო და ამ ჟამად არ მაინტერესებდა. ხოლო ადგილობრივ არავითარ გამოსვლებს ადგილი არ ჰქონია: მიუხედავად ამისა დიდ ძალი ქართველობა იყო დაჭერილი და ასეთი უსინდისობის მაყურებელ ქართველ კომუნისტებზეც უმოქმედია. თუმცა მაშინ მთავარი პოსტები ქართველებს ეკავათ, პარტიის ხაზით ყველაფერი სომხების ხელში იყო და ყველა უბედურებაც მათი ხელიდან გამოდიოდა. ალმასკომის თავმჯდომარე იყო ქართველი, ღვამიჩავა და ის მაშინვე თბილისში გავარდნილა და მეორე დღეს თბილისიდან ტელეგრამა მოსულა რომ აქ არავინ ყოფილიყო დახვრეტილი. რაკი აჯანყებას ადგილი არა ჰქონია და ეს ხალხმა არც კი იცოდა. აგრეძვე, როგორც გავიგე, ორი კაცის დახვრეტა

მოასწრეს: ერთი იყო პოლკოვნიკი ოთხმეზური და მეორე მგონია გვარად ცისკარიშვილი!..

* * *

თბილისის პოლიტიკური კლუბის შექმნა სულ ახლახან მოხდა. მასალა, რომელსაც ქვევით ვბეჭდავთ, გადმოგვცა ამ კლუბის წევრმა ბ. გიორგი (გია) ნოდიამ. თბილისის პოლიტიკური კლუბის წევრები არიან აქად. თამაზ გამყრელიძე, პროფ. მერაბ მამარდაშვილი, პროფ. ზურაბ კიკნაძე, და სხვა გამოჩენილი მოღვაწეები. თავისთავად ამგვარი კლუბის შექმნა, რომელიც თავისი დანიშნულებით პოლიტიკური აზრის განვითარებას უნდა ემსახურებოდეს და მით აგრერიგად მომრავლებულ პარტიათა გარეთ იდგეს (კლუბის წევრი ნებისმიერი პარტიის წევრი შეიძლება იყოს იმავე დროს), უეჭველია დადებით მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, პოლიტიკური აზრის სიმწირის იმ ვითარებაში, რომელიც სამოცდაათწლიანმა მიზანმიმართულმა გამოფიტვამ საზოგადოებრივი ცნობიერებისამ გამოიწვია.

ჩვენს მიერ აღნიშნული მასალის გამოქვეყნება მიუნიშნებს ჩვენს მზადყოფნაზე ხელი შევუწყოთ ნებისმიერ საქართველოსათვის სასარგებლო წამოწყებას და იმასაც, რომ ჩვენი ჟურნალის კარები ღიაა ეროვნული ხელშემწყობლობით დაინტერესებული ყოველი მიმდინარეობისათვის.

## თბილისის პოლიტიკური კლუბი.

## საქართველოს შიდაპოლიტიკური მდგომარეობა.

### I. არსებული ვითარება.

I.1. საქართველო ანექსირებული, სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას ძალდატანებით მოკლებული ქვეყანაა. ეს ფაქტი ხალხის მიერ განიცდება როგორც ფუნდამენტური უსამართლობა მის მიმართ და არ შეიძლება სხვანაირად განიცდებოდეს. შესაბამისად, ყველა სხვა სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური პრობლემა გარდუვალად უკავშირდება საქართველოში ეროვნული დამოუკიდებლობის პრობლემას.

I. 2. თითქმის 70-წლიანმა ტოტალიტარულმა მმართველობამ საქართველოში, ისევე როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირში, განაპირობა სამოქალაქო საზოგადოების დაშლა, საზოგადოებრივი სტრუქტურების თითქმის სრული გათქვეფა სახელმწიფოებრივ-ბიუროკრატიულ სისტემაში.

I. 3. ამან განაპირობა საქართველოში სამართლებრივ-პოლიტიკური ცნობიერების ნაკლები განვითარება. დემოკრატიზაციის პირობებში სრულად გამომჟღავნდა, რომ საქართველო მოწყვეტილია XX საუკუნის პოლიტიკურ აზროვნებას, რის გამოც მრავალი მის შინაშე მდგომი პრობლემა დღეს არაადეკვატური, არქაული სოციალ-პოლიტიკური კატეგორიებით გაიაზრება. ქართველმა ინტელიგენციამ ახალ პირობებში ვერ იკისრა ერის იდეური წინამძღოლის მისია, მან ვერ გამოჰყო თავისი წიაღიდან ძლიერი პოლიტიკური ელიტა, რის გამოც სამართლიანი კრიტიკის საგანი გახდა.

I. 4. საქართველოს ამჟამინდელი ეკონომიკა უკიდურესად ჩამორჩენილია. მისი პროდუქცია არაკონკურენტუნარიანია მსოფლიო ბაზარზე. ხელოვნურად არის გაზრდილი საკავშირო ეკონომიკურ სისტემაში მისი ინტეგრირებულობის დონე. პირადი ინიციატივისა და პირადი პასუხისმგებლობის ელემენტის გამოდევნამ ეკონომიკიდან გამოიწვია შრომითი ჩვევების გადაგვარება, რაც საბოლოოდ ზნეობრივ გადაგვარებაში გადაიზარდა: პატიოსანი შრომა არ არის მომგებიანი არც ეკონომიკურად და არც საზოგადოებრივი პრესტიჟის თვალსაზრისით, ორივე აზრით ფასობს კანონის გვერდის ავლით, ჩრდილოვანი ეკონომიკის და შავი ბაზრის მეთოდებით მოქმედება. ამის გამო დაცემულია კანონიერების, როგორც ასეთის, პრესტიჟი.

I. 5. განათლების დონე დაბალი და პროვინციულია, ამასთან ტენდენცია აქვს შემდგომი დაცემისაკენ. პროფესიონალიზმი უაღრესად დეფიციტურია ცხოვრების ყველა სფეროში. ამის მიზეზია ცოდნის პრესტიჟის დაცემა და მოწინავე მსოფლიო აზროვნებასთან კონტაქტის დაკარგვა.

I. 6. საკმაოდ რთულია ეთნოდემოგრაფიული ვითარება. კომპაქტურად დასახლებულ ეთნიკურ უმცირესობათა არსებობა, ისევე როგორც ნებისმიერ საზოგადოებაში, სპეციფიკურ პრობლემებს ქმნის. ჩვენი (ისევე როგორც სხვა საბჭოთა რესპუბლიკების) თავისებურება მდგომარეობს არა თავისთავად ამ პრობლემის არსებობაში, არამედ იმაში, რომ ეს პრობლემები ჩართულია რესპუბლიკის და იმპერიული ცენტრის ურთიერთობაში. ცენტრი იყენებს ამ პრობლემების გამწვავებას ეთნოკრიზისების სახით ეროვნული მოძრაობის დასასუსტებლად. ეს ეთნოკრიზისები დამღუპველია არა მხოლოდ რესპუბლიკის ეროვნული მოძრაობისათვის, არამედ თვით ამ ეთნიკური უმცირესობებისთვის, რადგან ამ შემთხვევაში ისინი მკვიდრი მოსახლეობის თვალში ცენტრის პოლიტიკურ იარაღად გამოდიან, მაგრამ საკუთარ ინტერესებს ამ გზით არა მარტო ვერ იცავენ, არამედ ვნებენ კიდეც.

I. 7. საქართველოში ამჟამად შემავალ ავტონომიურ ფორმირებათა შექმნა არსებული სახით

თავის დროზე არ ყოფილა საქართველოს შინაგანი პოლიტიკური განვითარების შედეგი, რაც არსებითად განაპირობებს ქართველთა დამოკიდებულებას ამ ფორმირებისადმი. ამ ფორმირებათა არსებობა საფრთხეს უქმნის საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მხოლოდ იმდენად, რამდენადაც დღევანდელი საქართველო ფაქტიურად სხვა არაფერია, თუ არა ავტონომიური ერთეული საკავშირო ფედერატიულ სტრუქტურაში, და ცენტრისგან დამოუკიდებლად ვერ ახორციელებს პოლიტიკურ კონტროლს თავის შიგნით არსებულ ავტონომიებზე.

I. 8. მიუხედავად იმისა, როგორ შევაფასებთ საბჭოთა კავშირის ამჟამინდელი ხელისუფლების ცალკეულ მოქმედებას, მისი ინიციატივით წამოწყებული ტოტალიტარული სისტემის რღვევის პროცესი ობიექტურ ისტორიულ აუცილებლობას გამოხატავს და სტრატეგიული თვალსაზრისით შეუქცევადია. კომუნისტურ იდეოლოგიაზე დაფუძნებული ტოტალიტარული სისტემის რესტავრაციის მცდელობები შეიძლება განხორციელდეს, მაგრამ მდგრადი წარმატება მათ ვერ ექნება, რადგან კომუნისტურმა იდეოლოგიამ მსოფლიო მასშტაბით ამოწურა თავისი შესაძლებლობები და ხალხის მასებში დასაყრდენი აღარასოდეს ექნება. ამის დასტურია დღეს აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე პროცესები.

I. 9. სსრ კავშირში ტოტალიტარული პოლიტიკური სისტემის რღვევის პროცესი ობიექტურად გადაიზრდება ერთა შორის ურთიერთობის იმპერიული სისტემის რღვევაშიც. ზოგადპოლიტიკური დემოკრატიზაცია ქმნის იმის პირობებს, რომ საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებში, მათ შორის საქართველოში, წამყვან პოლიტიკურ ძალად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობები იქცეს; ეს კი, დემოკრატიის პირობებში, შეუთავსებადია იმპერიული სტრუქტურის შენარჩუნებასთან.

## II. მიზნები

II. 1. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვება. ეს არ არის რომელიმე პარტიის არჩევანი, ეს არის თავისთავად ცხადი მიზანი ყოველი ერისა, რომელიც დამოუკიდებლობას მოკლებულია.

II. 2. დემოკრატიული, ღია საზოგადოებრივი წყობის შექმნა პოლიტიკური პლურალიზმისა და ადამიანის უფლებების მაქსიმალური პატივისცემის საფუძველზე. ამ პრინციპების დაცვა შინაგანად უკავშირდება საქართველოს ქრისტიანული ტრადიციების აღდგენას, რადგან დღეს ქრისტიანული ცივილიზაციის წევრობა რეალურად შესაძლებელია მხოლოდ ამ პოლიტიკური პრინციპების დაცვის საფუძველზე.

II. 3. ეკონომიკაში - თავისუფალი მეწარმეობისა და საბაზრო ურთიერთობების განვითარებისათვის ასპარეზის გახსნა, საკუთრების ყველა ფორმის თანაარსებობა. ესეც უკავშირდება ეროვნულ ტრადიციებს: ქართველობის ეროვნულ-რელიგიური თავისთავადობის შენარჩუნებას მუსლიმანობასთან ბრძოლაში დიდად შეუწყო ხელი მიწაზე პირადი საკუთრების არსებობამ.

II. 4. ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან. ეს პრინციპი ფაქტიურად არასოდეს ყოფილა განხორციელებული საბჭოთა კავშირში ორი მიზეზის გამო: ა) სახელმწიფო ყოველთვის ინარჩუნებდა კონტროლს ეკლესიაზე; ბ) სახელმწიფოსაგან არ არის გამოყოფილი ათეიზმი, რომელიც ფაქტიურად ოფიციალური რელიგიის როლს ასრულებს.

II. 5. საქართველოში მცხოვრებ ყველა ეთნიკურ უმცირესობას უნდა მიეცეს თვითგანვითარების სრული საშუალება კულტურული ავტონომიის ფარგლებში. გამონაკლისია აფხაზები, რომელთაც უნარჩუნდებათ ეთნიკური ავტონომია. სახელმწიფოს არ აინტერესებს პიროვნების ეთნიკური წარმოშობა: მისთვის ყველა თანასწორია როგორც საქართველოს მოქალაქე.

## III. გზები

III. 1. საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიები, მოძრაობები თუ დაჯგუფებები პრინციპულად არ განსხვავდება არსებული ვითარების შეფასებით და დეკლარირებული მიზნებით. განსხვავება შეეხება გზებს, რითაც არსებული მდგომარეობიდან სასურველზე უნდა გადავიდეთ. ამ თვალსაზრისით საქართელოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მეტნაკლებად გამოკვეთილია ორი მიმდინარეობა, რომელთაც პირობითად შეიძლება დავარქვათ რევოლუციური და გრადუალისტური, ანუ ეტაპობრივი.

III. 2. რევოლუციური გზა ამოდის არსებული ხელისუფლების არცნობიდან. ამ არცნობას აქვს თავისი სამართლებრივი და ზნეობრივი საფუძველი: ეს ხელისუფლება უზურპაციული, არალეგიტიმურია თვით რუსეთში და, მითუმეტეს, საქართველოში, ე. ი. ანექსირებულ ტერიტორიაზე. ამიტომ ის უნდა შეიცვალოს ერთბაშად, ერთჯერადი აქტით, როგორც მშვიდობიანი საერთო-სახალხო მოძრაობის დაგვირგვინება. ამ საერთო-სახალხო მოძრაობის ფორმებია მიტინგები, დემონსტრაციები, შიმშილობები, გაფიცვები და სხვა საპროტესტო აქციები.

III. 3. გრადუალისტური გზა ეწინააღმდეგება რევოლუციურს არა იმიტომ. რომ ეს უკანასკნელი უსამართლოა. არამედ უპირველეს ყოვლისა იმიტომ. რომ იგი არსებულ ვითარებაში არარეალისტურია; ესეც რომ არ იყოს. იგი ნებისმიერ შემთხვევაში იწვევს ეკონომიკურ და კულტურულ უკანდახევას. ადამიანთა მსხვერპლს. ის გამართლებულია მხოლოდ მაშინ. თუ სხვა გზა არ არსებობს. სანამ გვრჩება კონსტრუქციული მოქმედების შესაძლებ-ლობა. ჩვენ არა გვაქვს მორალური უფლებს ეს შესაძლებლობა უგულვებელვყოთ.

III. 4. პირველი და გადაუდებელი ამოცანაა ხალხის წარმომადგენელთა მიერ პოლიტიკური სტრუქტურის ფორმალურად საკვანძო ელემენტის - საბჭოების ხელში აღება. ეს არ იქნება არსებული პოლიტიკური სისტემის მხოლოდ ნაწილობრივი გაუმჯობესება. რადგან აქამდე საბჭოები მხოლოდ ფასადის როლს ასრულებდნენ და არავითარი ძალა არ ჰქონდათ. თუ საბჭოები პარტიულ-ბიუროკრატიული აპარატის ხელში არ იქნება და რეალურ ძალას მოიპოვებს. ეს უკვე თავისთავად პოლიტიკური რევოლუციის ტოლფასი იქნება როგორც ზოგადსოციალური. ისე ეროვნული თვალსაზრისით. შეიცვლება პოლიტიკური ძალაუფლების სუბიექტი: უზენაესი ძალაუფლების მაკონტროლებელი იქნება ხალხი და არა იმპერიის ცენტრი. რეალური ძალაუფლების მოპოვების შემდეგ კი შეიძლება გადაიდგას რადიკალური ნაბიჯები იმ მიზნების მისაღწევად. რაც II ნაკვეთშია ჩამოთვლილი.

III. 5. ორიენტაციას ბრძოლის საპარლამენტო ფორმაზე ამაგრებს კიდევ ერთი გარემოება.. დღევანდელ საქართველოში არ არსებობს ერთიანი პოლიტიკური ძალა. პარტია ან პარტიათა გაერთიანება. რომელსაც შეეძლოს მიმდინარე პროცესებზე სრული პასუხისმგებლობა იტვირთოს. ზოგი ამას განიცდის როგორც დაქსაქსულობას და ნაკლს. ზოგი როგორც პოლიტიკური სპექტრის სიმდიდრეს და ბედნიერებას. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ეს ფაქტია. ერთადერთი პოლიტიკური ძალა. რომელსაც შეუძლია ეს პასუხისმგებლობა იკისროს. არის კომუნისტური პარტია. რადგან ის რეალურად ფლობს არსებულ პოლიტიკურ სტრუქტურებს და სახელმწიფოებრივი მართვის მექანიზმს. მაგრამ ამ ვითარების შენარჩუნება დამღუპველია საქართველოს ეროვნული ინტერესებისათვის. ასეთ პირობებში გამაერთიანებელ ძალად. რომელსაც ძალუძს თავის თავზე აიღოს საერთო პასუხისმგებლობა. შეიძლება იქცეს მხოლოდ საქართველოს პარლამენტი. ანუ. დღევანდელ ეტაპზე. უზენაესი საბჭო. ეს შექმნის საწინდარს საზოგადოების ღრმა პოლიტიზაციისათვის. სრულყოფილი მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებისათვის.

III. 6. საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის ბრძოლის თვალსაზრისით არსებულ პოლიტიკურ ვითარებაში აქტუალურია არა დამოუკიდებლობის ცენტრისგან მ ო თ ხ ო ვ ნ ა. არამედ დამოუკიდებლობისათვის მ ზ ა დ ე ბ ა. მისი ფუნდამენტის შექმნა. უფრო სწორად. დამოუკიდებლობისათვის მზადება არის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ძირითადი ფორმა. იმპერიის დაშლის ობიექტური ისტორიული ტენდენცია ქმნის ისეთი სიტუაციის შექმნის რეალურ შესაძლებლობას. როცა ფორმალური დამოუკიდებლობის მოპოვება თავისთავად შედარებით ა დ ვ ი ლ ი ამოცანა იქნება. აქედანვე უნდა ვიზრუნოთ. რომ დამოუკიდებლობას საკმარისად ძ ლ ი ე რ ე ბ ი შევხვდეთ და. ამდენად. მისი შენარჩუნება შევძლოთ.

III. 7. იმპერიის დაშლის ერთ-ერთი. თანაც ოპტიმალური. მშვიდობიანი ვარიანტი შეიძლება იყოს ახალი საკავშირო ხელშეკრულების დადება. ცენტრში მოქმედი ზოგიერთი პოლიტიკური ძალა თვითონ ლაპარაკობს ასეთ ხელშეკრულებაზე. როგორც ფედერაციის არსებითი განახლების და ამ გზით მისი გადარჩენის უკანასკნელ საშუალებაზე; მაგრამ არსებულ პოლიტიკურ სიტუაციაში არც ერთი რესპუბლიკა. რომელშიც კანონიერ უზენაეს ხელისუფლებას ხალხი ანუ. ფაქტიურად. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გააკონტროლებს. ფედერაციული სტრუქტურის დამკანონებელ ხელშეკრულებაზე ხელს არ მოაწერს. მიუხედავად იმისა. რა გზით წავა საბჭოთა კავშირის ევოლუცია. საქართველო დადებს სამოკავშირეო ხელშეკრულებას ნებისმიერ სახელმწიფოებრივ ერთეულთან მხოლოდ სუვერენული სახელმწიფოს პოზიციიდან. საკუთარი ეროვნული ინტერესიდან გამომდინარე. ამ ვარიანტთან დაკავშირებით საკითხავი მხოლოდ ის არის. რამდენად რეალურია მისი განხორციელება. ე.ი. რამდენად წავა ამაზე ცენტრი.

III. 8. მაქსიმალურად უნდა მოვერიდოთ ეთნოკონფლიქტებში ჩათრევას. არ უნდა იქნას წამოყენებული არსებული ავტონომიური ფორმირებების გადასინჯვის მოთხოვნები. რადგან საბჭოთა კავშირის ფარგლებში მათი განხორციელება მაინც შეუძლებელია და რეალურად ამ მოთხოვნებს არაფერი მოაქვთ გარდა ეთნოკონფლიქტებისათვის ქრონიკული ფორმის მიცემისა. ფაქტიურად ეს ნიშნავს უარის თქმას ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე. რაც მოუვიდა სომხეთის ეროვნულ მოძრაობას. ამავე დროს. კანონზე დაყრდნობით თანმიმდევრულად უნდა ვებრძოლოთ ყველა მცდელობას. ავტონომიური ფორმირებები

*************************************************************************************

იქცეს იქ მცხოვრები ქართველი ან სხვა ეროვნების მოსახლეობის დისკრიმინაციის იარაღად ან სეცესიური, სეპარატისტული პროცესების პოლიტიკურ პლაცდარმად.

III. 9. საჭიროა კოორდინაცია საბჭოთა კავშირში მოქმედ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებთან, რომელთა მიზანია სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი და დემოკრატია. მხარი უნდა დავუჭიროთ რუსეთის დემოკრატიულ ძალებს იმდენად, რამდენადაც დემოკრატიული რეფორმების გატარება თავსთავად მისასალმებელია და აგრეთვე იმიტომ, რომ ისინი ობიექტურად ხელშემწყობ პირობებს ქმნის ეროვნული მოძრაობის გასაშლელად და უფრო მაღალ დონეზე ასაყვანად. ამასთან, ჯანსაღი დემოკრატიული რეფორმები მკვეთრად უნდა გავმიჯნოთ დემოკრატიის და პიროვნების უფლებათა დაცვის საბაბით წამოყენებულ მოთხოვნებისაგან. შეიზღუდოს რესპუბლიკების სუვერენიტეტი, რადგან რესპუბლიკები, როგორც პატარა იმპერიები, ამ სუვერენიტეტს ეთნიკურ უმცირესობათა წინააღმდეგ გამოიყენებენ, და საბჭოთა კავშირი იქცეს ამერიკის შეერთებული შტატების ანალოგიურ პოლიეთნიკურ ფედერაციულ სახელმწიფოდ.

III. 10. მომავალი სუვერენული საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური სახე გაირკვევა არა დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, არამედ განსაზღვრული იქნება იმით, თუ რა პოლიტიკური მეთოდების გამოყენებით მივაღწევთ დამოუკიდებლობას. თუ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროცესში დავეყრდნობით ანტიდემოკრატიულ ხერხებს, ვაღიარებთ მაკიაველიზმის პრინციპებს, დამოუკიდებელ საქართველოში გარდუვალად მივიღებთ უზნეო დიქტატორულ მმართველობას.

* * *

ქვემოთ გამოქვეყნებული წერილი, რომელსაც მკითხველს ვაწვდით ვით სწორედ დღევანდელ პირობებში ფრიად სასარგებლო საინფორმაციო მასალას, ამოღებულია 1989 წლის 27 ნოემბრის ფრანგულ გაზეთ "ფიგაროდან". მისი ავტორია ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის პირველი ფრანგი მფლობელი (1988) მორის ალლე (Moris Allais). 1911 წელს დაბადებულმა მან 1933 წელს მაიორის ხარისხით დაამთავრა პოლიტექნიკური უმაღლესი სკოლა (Ecolc Politcchniquc). 1944 წლიდან 1988 წლამდე იყო ეკონომიკის პროფესორი სახელმწიფო სამთო სკოლაში (Ecolc National dc Minc). 1954 წლიდან დირექტორია მეცნიერულ კვლევათა სახელმწიფო ცენტრისა. მის კალამს ეკუთვნის მრავალი ფუნდამენტური ნაშრომი ეკონომიკაში.

მორის ალლეს სახელისა და რეპუტაციის წარმოსადგენად საკმარისია მისი ამერიკელი კოლეგის მისებრ ნობელის პრემიის მფლობელის ეკონომისტის პაულ სამუელსონის აზრი მოვიყვანოთ: "მორის ალლეს პირველი შრომები რომ ინგლისურად გამოქვეყნებულიყო, ეკონომიკური თეორიები მთელი ერთი თაობისათვის სულ სხვა ორიენტაციას მიიღებდა".

## მღელვარე ცვლილებანი აღმოსავლეთში

ის გიგანტური ტალღათა მორევი, რომელმაც ხუთშაბათს 1989 წლის 9 ნოემბერს ბერლინის კედლის გახსნის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპას ყოველგვარი ძალადობის გარეშე გადაუარა, როგორც თავისი ძლიერებით, ასევე სიდიდით, უეჭველია, უდიდეს მოვლენას წარმოადგენს მომავლისათვის. ეს არის მოვლენა, რომელმაც, თუ მსოფლიოსი არა, ევროპის სახე მაინც რადიკალურად შეცვალა მრავალ მომავალ წელთათვის.

თუ ამ მოვლენის თარიღისა და მოდელის წინასწარ გამოცნობა შეუძლებელი იყო, სანაცვლოდ უეჭველად შეიძლებოდა განჭვრეტა, რომ მას აფეთქების ხასიათი ექნებოდა. ოცი წლის წინათ, 1969 წელს, დას. ევროპის და აღმ. ქვეყნების განვითარების შედარებით ანალიზისას ვწერდი: "უკვე რამდენიმე წელიწადია ჩემში გამომუშავდა რწმენა, რომ ამა თუ იმ გვარად, აღმ. ქვეყნების საზოგადოება ღრმა ტრანსფორმაციას განიცდის. ამ ქვეყნების დღევანდელი ფუნდამენტალური რეალობაა მილიონობით ადამიანთა უძლ:იერესი მისწრაფება თავისუფლებისაკენ, რომელიც წელთა და წელთა განმავლობაში გამოვლილმა სულის შემხუთველმა ჩაგვრამ თანდათან უფრო მეტად სასურველი გახადა. ლიბერალიზაციის გამოვლენა დღეს მხოლოდ საწყის ფაზაშია, მაგრამ იგი უკვე არსებობს გონებაში და გულში ათეულ მილიონობით ადამიანისა. მას ვერაფერი შეაჩერებს. ლიბერალური რევოლუცია, რომლის პროდრომების მოწმენიც უკვე რამდენიმე წელიწადია ჩვენ ვართ, შეუბრუნებადია და განსაზღვრული დროისათვის აფეთქების ხასიათს მიიღებს..."

და მართლაც ყველა კომუნისტური ქვეყნის საზოგადოება დღეს აფეთქების წინა მდგომარეობაშია, ასეა არა მარტო პოლონეთში, პუნგრეთში, აღ.გერმანისა და ჩეხოსლოვაკიაში, არამედ თვით საბჭოთა რუსეთში და კომუნისტურ ჩინეთშიაც. ამ უკანასკნელ კვირეთა მოვლენებს კომენტარების ნიაღვარი მიეძღვნა, რომლის დროსაც, უეჭველია ყველაფერი ითქვა. მაგრამ ზოგი ასპექტი და განსაკუთრებით, მოვლენათა ურთიერთდამოკიდებულება იქნებ არასაკმაოდ გაშუქებულა. დღევანდელ სიტუაციაში, როდესაც მოვლენები ჩანს სწრაფად მონაცვლეობენ, რიმელ მყარ და სარწმუნო საგნებზე

უნდა დავამყაროთ ჩვენი ანალიზები და პოლიტიკა? ხოლო პირუკუ, როგორნი არიან ის საჭოჭმანო და საშიში საგნები, რომელნი შესაძლოა წინ გადაგვე-ღობონ? რა ხასიათისა არიან ის წყალქვეშა კლდეები და შეცდომანი, რომელნიც უნდა ავიცილოთ? და ბოლოს, რომელ პრინციპთა მიდევნება გვმართებს ჩვენ? ასეთია ობიექტი მომდევნო ანალიზისა.

## რამდენიმე სარწმუნო ფაქტი:

1. ტოტალიტარული კომუნიზმის ნგრევა.

პირველი, რაშიაც უნდა დავრწმუნდეთ ეს არის ტოტალიტარული კომუნიზმის ნგრევა ვითარცა პოლიტიკური სისტემისა.

შეუძლებელია მილიონობით ადამიანთა მუდ-მივად უღელქვეშ ყოლა უმცირესობის მიერ, თუნდაც ეს უმცირესობა ყოვლისშემძლე ნომენკლატურა იყოს. ამისათვის საკმარისი არ არის იდეოლოგიით ხალხის გაბრუება. შეუძლებელია ყველას ყოველ-თვის მოტყუება. მხოლოდ მოჩვენებით არის პარა-დოქსული ის მოვლენა, რომ რაც უფრო ლიბერალ-დება სტალინის სიკვდილის შემდეგ სისტემა, იმდენადვე სუსტდება მისი თავდაცვის უნარი.

ნამდვილად გასაკვირალი ის არის, რომ ტერორისტულმა რეჟიმმა შესძლო ასე დიდი ხნის განმავლობაში მონობაში ჰყოლოდა მთელი ხალხები. მაგრამ ახლა მოხდა რაც ადრე თუ გვიან უნდა მომხდარიყო.

2. ნგრევა კოლექტიურ ეკონომიკურ სისტემისა.

მეორე, რაშიაც უნდა დავრწმუნდეთ, ეს არის უდიდესი მარცხი კოლექტივისტურ ეკონომიკურ სისტემისა კომუნისტურ ქვეყნებში.

დღეს უდაო საბუთებით მტკიცდება, რომ კოლექტივისტურ ეკონომიკურ სისტემას აუცილებ-ლად მოაქვს ეკონომიკური უძლურება და შემდეგ სილატაკე. კერძო საკუთრების გაუქმებას და ცენტრალიზებულ დაგეგმვას აუცილებლად მივყა-ვართ ბიუროკრატიამდე და ეკონომიკურ პარალი-ზებამდე.

კოლექტიურ ეკონომიკურ მარცხს ბიუროკ-რატიას ვერ მივაწერთ, იმიტომ რომ კოლექტი-ვისტურ ეკონომიკის თვით არსებაშია - წარმოშვას ბიუროკრატია. აგრეთვე დიდი შეცდომა იქნება ეს მარცხი ბიუროკრატიის გახრწნილებას და კორუფ-ციას დავაბრალოთ და ვიფიქროთ, რომ ბიუროკრა-ტიის რეფორმითა და გამისწორებით ეშველება ეკონომიკურ კატასტროფას, რომელსაც აუცილებ-ლად იწვევს ყოველი კოლექტივისტური სისტემა.

საბჭოეთის და აღმ. ევროპის ეკონომიკა დღეს სასოწარკვეთილ მდგომარეობაშია. მას ახასიათებს მთლიანი და ღრმა დეზორიენტაცია. კოლექტივი-ზაციის არსებობის ორმოცი წელიწადი უფრო გამანადგურებელი იყო ეკონომიკისათვის, ვიდრე ორი მსოფლიო ომი ცალ-ცალკე. ფაქტების სიცხადემ ბოლოსდაბოლოს დასძლია დოქტრინით და იდეო-ლოგიით გამოწვეულ სიბრმავეს. მომავლის ისტორი-კოსებს ისლა დარჩენია, გაკვირვება გამოთქვან ფრიად მრავალრიცხოვან დასავლეთელ ექსპერტთა მიამი-ტობაზე, რომელნიც 40-50-იან წლებში შეუწვეტლივ წინასწარმეტყველებდნენ, რომ საბჭოური ეკონომიკა ძლიერ ახლო მომავალში გაასწრებსო ამერიკისა და დას. ევროპის ეკონომიკას.

რაიც მე შემეხება, 1950 წლიდან რიცხვების მოშველიებით ვწერდი: " დღეს არსებული მდგომა-რეობის მიხედვით, ერთი ფაქტი ჩანს აბსოლუტურად დამარწმუნებლად: როგორც ადამიანურ სფეროში, აგრეთვე ეკონომიკურ დარგში, ტოტალიტარიზმის ეფექტურობა-ვარგისობა ნამდვილი ლეგენდაა".

3. ვარშავის პაქტის საძირკვლის ფაქტიური გამოცლა და საბჭოთა იმპერიის ფაქტიური ნგრევა.

მესამე, რაშიაც უნდა დავრწმუნდეთ: ვარშავის პაქტმა ფაქტიურად არსებობა შეწყვიტა. მართლაც დღეს, არც პოლონეთს არც ჰუნგრეთს, არც აღმ. გერმანიას და არც ჩეხოსლოვაკიას აღარ ძალუძთ ასიათასობით ადამიანის მობილიზება დასავლეთთან შესაბრძოლებლად. დღეს აღ. ევროპის ქვეყნებში პრაქტიკულად აღარავინ არის ისეთი, რომ კოლექტივურ სისტემისათვის მოიკლავს თავს.

ვარშავის პაქტი ვით ხელშეკრულობა კიდევ არსებობს რეალურად კი მხოლოდ მითია.

თვით საბჭოთა რესპუბლიკების კავშირიც ღრმა რღვევას განიცდის, კავშირში შემავალ ეროვნებათა შორის ნაციონალისტურ უთანხმოებათა გამო. საბ-ჭოთა იმპერიამ, როგორც პოლიტიკურად სიცოცხ-ლისუნარიანმა ერთეულმა არსებობა შეწყვიტა.

4. გერმანიის გაერთიანება ადრე თუ გვიან მოხდება.

ეს არის მეოთხე, რაშიაც დარწმუნებული უნდა ვიყოთ. გერმანიის ეკონომიკური და პოლიტიკური გაერთიანება აუცილებლობად გადაიქცა, მეტნაკ-ლებად დაშორებულ დროისათვის. ამას რეალურად ვერაფერი შეუშლის ხელს. მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისას არაშორსმჭვრეტი პოლიტიკის მქო-ნე საფრანგეთს ახარებდა ორად გაყოფა გერმანიისა, რომლის ერთი ნაწილი საბჭოთა რუსეთის დომინაცი-აში მოექცა. ასეთი დანაწილება არაბუნებრივია. იგი ეწინააღმდეგება ნამდვილი ევროპის აგებას და ამას ერთ დღეს ბოლო უნდა მოეღოს.

5. ომისდროინდელი საფრანგეთის იცნების

ჩაფუშვა. მის მიერ დომინირებულ ევროპაზე.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ფრანგ პოლიტიკოსთა უმეტესობის დიდ იდეას წარმოადგენდა აშენება საფრანგეთის მიერ დომინირებული ევროპისა. იგი დიდწილად ემყარებოდა გერმანიის ორ ნაწილად გაყოფაზე, რასაც საფრანგეთი გამუდმებით, მეტნაკლებად ფორმალურად მხარს უჭერდა.

სინამდვილეში ეს იყო ყოველ რეალისტურ საფუძველს მოკლებული ოცნება, ეს იყო აბსურდული, ასასრულებლად შეუძლებელი იდეა, რომლის ამაოებაც წელთა განმავლობაში თანდათან აშკარა ხდებოდა. დღეს ამ იდეის ნასახიც ვერ იარსებებს. მართლაც, რეალური ევროპა ვერ აშენდება, თუ რომელიმე წევრთაგანი საკუთარი კონცეფციის სხვათათვის თავზე მოხვევას მოინდომებს.

თუ ევროპა აშენდა, რაც დიდად სასურველია, ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ გონივრულ ბაზაზე და თანახმად საერთო პოლიტიკურ ნებასურვილისა. ევროპის გაერთიანება ვერ მოხერხდება ვერც ძალის გამოყენებით, რაც ესპანეთის, ნაპოლეონის და ჰიტლერის მარცხმა დაამტკიცა, ვერც ფაქტიური დომინაციით უძლიერესი და მეტი ხვედრითი წონის მქონე ქვეყნისა, როგორც გუშინდელი საფრანგეთი ან, იქნებ, ხვალინდელი გერმანია.

6. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკური დემოკრატიზაცია საკმაო პირობა არ არის მათი ეკონომიკური წარმატებისათვის.

როგორც მასიურ ინფორმაციის საშუალებათა მეტად გამარტივებული კომენტარები ძლიერ ხშირად გვირჩევენ და რაც აღმოსავლეთის ხალხთა უფართოეს მასებს ასე თუ ისე, ბუნდოვანად სჯერა, რეალურ პლურალისტურ დემოკრატიის დაფუძნება და საყოველთაო საიდუმლო არჩევნები საკმარისი არ იქნება, რომ დაუყოვნებლივ ეკონომიკის გაჯანსაღება -წარმატება და ცხოვრების დონის ამაღლება გამოიწვიოს. ეს მხოლოდ წმინდა წყლის ილუზიაა. და ყველასთვის, ვინც ამას იზიარებს, რეალობაში დაბრუნება უეჭველად იმდენად გამაწბილებელი იქნება, რამდენადაც ძლიერი იყო მათი ილუზია.

აუცილებლად საჭიროა სისტემისა და ეკონომიკური სტრუქტურის ტრანსფორმაცია და ამას დრო დასჭირდება, სინა:დვილეში მრავალი წელი.

7. აღმ. ევროპის ეკონომიკის აღდგენა გულისხმობს და მოითხოვს შემოღებას საბაზრო ეკონომიკისა და აღდგენას კერძო საკუთრებისა.

ეს არის მეშვიდე სიცხადე რაშიაც უნდა დავრწმუნდეთ. აღმ. ევროპის ეკონომიკა ფეხზე ვერ წამოდგება და ცხოვრების დონეზე ვერ ამაღლდება, თუ ეს ქვეყნები ნამდვილ საბაზრო ეკონომიკას არ შემოიღებენ.

მაგრამ საბაზრო ეკონომიკის ეფექტურობა დავარგისობა მოითხოვს ორი პირობის არსებობას: კერძო საკუთრებაში ყოფნას საწარმოო საშუალებათა უდიდესი ნაწილისა და არსებობას ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელ საშუალო კლასისა, რომელსაც საკმარისი სახსრები ექნება.

რამდენადაც ადვილი იყო კომუნისტური რეჟიმისათვის ერთი ხელის დაკვრით გაუქმება კერძო საკუთრებისა, და ასევე ადვილი იყო საშუალო კლასის საქმიდან გარიცხვა, საკონცენტრაციო ბანაკებით თუ ამოწყვეტით, იმდენადვე ძნელია დღეს აღდგენა კერძო საკუთრებისა და ახლად შექმნა საშუალო კლასისა, რომელსაც საკმაო ეკონომიკური ძალა ექნება. ეს ძნელად გადასალახავი დაბრკოლებაა, რომლის დაძლევას, ყოველგვარ შემთხვევაში, მრავალი წელი დასჭირდება. ეს არის ორი ძირითადი განსხვავება ომის შემდგომი ხანის, ომისაგან დანგრეული დასავლეთ ევროპისა და აღმ. ევროპის მდგომარეობათა შორის.

დღევანდელ აღმ. ევროპის მდგომარეობა ბევრად უფრო მძიმეა და ყოვლად ცხადია, რომ უბრალო "მარშალის გეგმა" საკმაო ვერ იქნება.

პირველი სიძნელე კოლექტიურ წამოწყებათა დენაციონალიზაციაშია. ეს ძლიერ ძნელი საქმეა ეკონომიკურად, სოციოლოგიურად, პოლიტიკურად და, უნდა ითქვას, სინამდვილეში არც დასავლეთში, არც აღმოსავლეთში არავის ძალუძს რეალისტური გადაწყვეტის მოწოდება, რომ.ელთა გატარებაც სასწრაფოდ იქნება შესაძლებელი.

ყველაზე დიდ საშიშროებას წარმოადგენს, როგორც დასავლეთში ასევე აღმოსავლეთში ფეხმოკიდებული იდეა, რომლის მიხედვითაც შესაძლებლად მიიჩნევა საბაზრო ეკონომიის ეფექტური ამოქმედება კოლექტივიზმის ჩარჩოში. ეს არის ილუზია, რომელიც საჭიროა რაც შეიძლება მალე გაიფანტოს. თუ არა, აღმ. ევროპის ქვეყნების ლიბერალიზაცია, ნაცვლად იმისა, რომ ეკონომიკის ჩავარდნას უშველოს, მხოლოდ გააუარესებს დღევანდელ კატასტროფულ მდგომარეობას. მას შეუძლია ქაოსამდე მიგვიყვანოს.

8. აღმ. ევროპის ეკონომიკის აღდგენას წლები მოუნდება.

სინამდვილეში აბსოლუტური წინააღმდეგობა არსებობს ცხოვრების დონის დაუყოვნებლივ ამაღლების, ეკონომიკურ ხასიათის მოთხოვნასა და მნიშვნელოვან დიდ ვადას შორის, რომელსაც საჭიროებს საარსებო პირობების ეფექტური

****

გაუმჯობესება.

მთლიანი ილუზიაა ფიქრი იმაზე, რომ მხოლოდ დასავლეთისაგან დახმარებას, როგორიც არ უნდა იყოს იგი, შეეძლოს დადებითად გადაჭრა ამ პრობლემებისა. ეს არის ტვირთი, რომლის აწევაც დიდად აღემატება დასავლეთის შესაძლებლობას. აღმოსავლეთის ქვეყანათა მხოლოდ საკუთარი გარჯით, საკუთარი ძალისხმევით არის შესაძლო მიზნის მიღწევა და ეს ხანგრძლივ მრავალწლოვან ჯაფას მოითხოვს.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ სულ მცირე, ხუთი წელიწადი ყოფილა საჭირო ჭრილობების მოსარჩენად დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის საბაზრო ეკონომიკის და კერძო საკუთრების არსებობის პირობებში, ქვეყნებისათვის, რომელთაც ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი კომპეტენტური საშუალო კლასი გააჩნდათ. ხოლო ასეთი ვადა სრულებითაც არ არის საკმაო დღევანდელი აღმ. ქვეყნებისათვის, რომელნიც ღრმა ეკონომიკურ განადგურებას განიცდიან, ათეულ წელთა განმავლობაში არსებულ კოლექტივიზმისა და ტოტალიტარიზმისაგან. კიდევ ვიმეორებთ, წლები და წლები მოუნდება ამ ქვეყნების დაბრუნებას კერძო საკუთრებისაკენ და წარმოშობას კომპეტენტური საშუალო კლასისა, რომელსაც საკმაოდ მაღალი ყიდვითი უნარიანობა ექნება, რაც მთავარ პირობას წარმოადგენს ყოველ რეალურ აღორძინებისათვის.

9. საბჭოთა რუსეთი არის და წელთა განმავლობაში დარჩება სამხედრო ძლიერების სახელმწიფო.

და ბოლოს: რაოდენ ძლიერიც არ უნდა იყოს დასავლეთსა და საბჭოთა კავშირს შორისა დღეს მიმდინარე ლღვობის პროცესი, ან მოსახლეობის სურვილის სიძლიერე პოლიტიკურ ლიბერალიზაციისა და ცხოვრების დონის ამაღლებისა, ფაქტი ფაქტად რჩება: საბჭოთა რუსეთი არის და განსაჭვრეტად შესაძლებელ მომავალში დარჩება უზარმაზარ სამხედრო ძლიერების სახელმწიფოდ. და ეს მიუხედავად იმისა, რომ ვარშავის პაქტს უკვე აღარ აქვს ეფექტური არსებობა - დასავლეთთან კონფლიქტის შემთხვევაში და ეს პაქტი მხოლოდ ქაღალდზე არსებობს.

პირობებში, როცა საბჭოთა რუსეთს ოკუპაციით უპყრია მთელი აღმ. ევროპა, იქ მისი ნებართვის გარეშე არაფრის გაკეთება არ შეიძლება, ხოლო საეჭვო მაინც არის, რომ საბჭოთა რუსეთი ოკუპაციის მოხსნაზე დათანხმდეს თუ არ დასავლეთისათვის თავზე მოხვევით ისეთი პირობებისა, რომელნიც დასავლეთისათვის მართლაც რომ მიუღებელნი იქნებიან - როგორი პირობაც იქნება, მაგალითად, ევროპის ნეიტრალიზაცია. ასეთი რამ რუსეთისათვის უზრუნველყოფდა სრულ დომინაციას დას. ევროპისა - ე.ი. ევროპა რუსეთის კეთილგანწყობაზე დამოკიდებულად გადიქცეოდა.

ასეთ პირობებში ნამდვილად ძნელია დავაპიროთ და მითუმეტეს შევუდგეთ გამომუშავებას რეალისტურ და ეფექტურ გეგმებისა, აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკურ ლიბერალიზაციისა და ეკონომიკური ეფექტიანობისათვის.

## საჭოჭმანო საკითხები

საბჭოთა რუსეთსა და სატელიტთა პოლიტიკური არასტაბილობა. ევროპის ბალკანიზაციის საშიშროება.

### 1. საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური არასტაბილურობა.

ევროპაში არავინ არის, რომ წარმატება არ სურდეს გორბაჩოვისეულ გარდაქმნა-საჯაროობისა. მაგრამ ნამდვილად შეუძლებელია ვამტკიცოთ, რომ გორბაჩოვი შესძლებს გაგრძელებას ამ პოლიტიკისა. საბჭოთა არმიაზე დამყარებული საშიში შემოტევა კონსერვატორულ ძალებისა სრულებითაც არ არის გამორიცხული. ერთის მხრივ საბჭოური რუსეთის ეკონომიკური მდგომარეობა უეჭველად კატასტროფულია და უკმაყოფილება იზრდება; მეორეს მხრივ კი მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ და სათანადოდ შევაფასოთ რუსული ნაციონალისტური ძალები და მაშასადამე შეგვიძლიან ლოგიკურად დავუშვათ, რომ წითელ არმიის კადრის მნიშვნელოვან ნაწილისათვის აუტანლად და მიუღებლად განიხილება დანგრევა იმპერიისა.

კოლექტიურ სისტემის შედეგად მომხდარი ნგრევა ეკონომიკისა და საბჭოთა იმპერიის ნგრევა, რომელიც სინამდვილეში პოტენციურად არამყარ წონასწორობაში ინარჩუნებდა არსებობას, მხოლოდ მოსახლეობის ჩაგვრისა და მასზე ძალდატანების მეოხებით, ძალიან ადვილად შეიძლება გორბაჩოვს დააბრალონ.

მაშასადამე საბჭოთა რუსეთისათვის სრულიადაც გამორიცხული არ არის სამხედრო გადატრიალება. ცხადია ეს იქნება შედეგი მის ავტორთა მიერ საბჭოთა კავშირის რეალურ ინტერესთა დიდად მცდარი შეფასებისა. მაგრამ ისტორია ხომ გამეორებით გვიჩვენებს თუ რამდენი ასეთი შეცდომის ჩადენა იქნა შესაძლებელი. ამის შედეგები კი უსათუოდ გამოიწვევს მოვლენათა მსვლელობის კონტროლის შეუძლებლობას და ყოვლად უეჭველია, შექმნის დიდად საშიშ მდგომარეობას.

***********************************************************************************

ეს არის პირველი საშიშროება და პირველი მნიშვნელობის წინასწარ განუჭვრეტელი საკითხიც.

2. ალმ. ევროპის ქვეყნების პოლიტიკური არასტაბილურობა.

რომელსაც არ უნდა შეეხებოდეს: პოლონეთს, ჰუნგრეთს, ალმ. გერმანიას თუ ჩეხოსლოვაკიას, ყოველ შემთხვევაში დიდი საშიშროება არსებობს, რომ ხალხი ვერ გაიგებს თუ რატომ არ მაღლდება საკმაოდ სწრაფად მათი ცხოვრების დონე მათი პოლიტიკური სისტემის დემოკრატიზაციის შედეგად. შეცდომაში მყოფი ეს ხალხები, ჩანს თითქო მეტნაკლებად, დარწმუნებულია, რომ მათი პოლიტიკური სისტემის ლიბერალიზაცია არ დააყოვნებს მათი ცხოვრების პირობების სწრაფ და მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. როგორი გარემოებაც არ უნდა არსებობდეს, ცხოვრების დონის სწრაფად ამაღლების მოუთმენელი სურვილი ხალხისა, რაც სინამდვილეში შეუძლებელია, საშიშროებას ქმნის, რომ შეუძლებელი გახდეს მდგომარეობისათვის კონტროლის გაწევა. ამან კი შესაძლოა მოულოდნელი შედეგი მოიტანოს.

ამას ზედ ერთვის სხვა რისკიც - შექმნილი ალმ. გერმანიის მოსახლეობის დიდი ნაწილის სურვილის გამო, მოკლე ხანში გაერთიანდეს დას. გერმანიასთან, რაც მათ თვალში წინაპირობაა ცხოვრების დონის დაუყოვნებლივ ამაღლებისა.

სიმართლე რომ ვთქვათ, რამდენადაც ეს გაერთიანება, შორეული თუ ნაკლებად შორეული დროისათვის აუცილებლად მიიჩნევა, იმდენადვე შეუძლებელია მისი მოკლე დროში განხორციელება. ეს იმიტომ, რომ დიდად განსხვავებულია მათი ცხოვრების დონე და ეკონომიკური სისტემა. და ეს ასეა, თუნდაც ვივარაუდოთ, რომ ალმ. გერმანიის ოკუპაციას შეწყვეტს საბჭოთა კავშირი, რისთვისაც საბჭ. რუსეთი არცთუ დიდად განწყობილი ჩანს, თუ არა ევროპის მიერ გადაჭარბებული დათმობების გაწევის ფასად.

ყოველ შემთხვევაში ცხადია, აღმავლეთის ქვეყნებისათვის არსებობს პოლიტიკურად არასტაბილურ და აქედან, კონტროლის ვერგასაწევ ქვეყნებად გადაქცევის რისკი.

3. რისკი ევროპის ბალკანიზაციისა და ნაციონალიზმის გაღვივებისა.

აგრეთვე არსებობს რისკი, რომ შესაძლოა ახლანდელმა ევოლუციამ ბოლოსდაბოლოს მიგვიყვანოს ევროპის ბალკანიზაციამდე და ყველგან გამოცოცხლებამდე ნაციონალიზმისა.

ამგვარი ევოლუცია ჩვენ დაგვაბრუნებდა პირველი ომის წინ არსებული მდგომარეობის ანალოგიურ პირობებში, ყველა იმ საშიშროებით, რასაც ასეთი მდგომარეობა შეიძლება შეიცავდეს, რისი წინასწარი განჭვრეტა და გაანგარიშება შეუძლებელია.

ბალკანიზებულ ევროპაში გარდაუვალია წამოჭრა საზღვრების საკითხისა და კიდევ უფრო საშიშარ საკითხის - ნაციონალიზმისა და ეთნიკურ უმცირესობათა ჩაგვრისა. ამისთვის საკმარისია გავვეთილი ჩრდილოეთ ირლანდიისა, სადაც ევროპის საერთო ბაზრის წიაღში მყოფი ქვეყნის პრობლემას, ყველასათვის მისაღები გადაწყვეტილება ვერ მოეძებნა. შესაძლებელთა შორის უმჯობეს ჰიპოთეზაშიც, ბალკანიზებული ევროპა მის მცხოვრებთ უმწეოდ აქცევს იმ მრავალ პრობლემათა გადაწყვეტისათვის, რომელთაც მსოფლიოს თანამედროვე ევოლუციაში მათ მყობადი დაუყენებს.

4. ნათელ იდეათა არასებობა მოსახდენ რეფორმათა შესახებ საბჭ. რუსეთსა და ალმ. ევროპის ქვეყნებში.

ის რაც თვალშისაცემია საბჭ. რუსეთსა და ალმ. ევროპის ქვეყნებში წარმოთქმულ სიტყვებში, ეს არის იმ ეკონომიკურ რეფორმათა შესახებ ნათელ იდეათა არარსებობა, რომელთა გატარებაც საჭიროა რომ დრამატულ სიტუაციას, რომელშიც მათი ეკონომიკა იმყოფება., ბოლო მოუღოს თუ უშველოს.

მართალია, ლაპარაკობენ საბაზრო ეკონომიკაზე, მაგრამ ბუნდოვან ფორმებში და იმგვარად, რომ სრულიად ვერ შეუგნიათ თუ რას შეიცავს და მოითხოვს რეალურად, საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირება. სახელდობრ, მათ ვერ გაუგიათ, რომ საბაზრო ეკონომიკა დაფუძნებულია გადაწყვეტილების მიღების დეცენტრალიზაციაზე. კერძო საკუთრებაზე და წამოწყება-წარმოებათა დამოუკიდებლობაზე პოლიტიკურ ხელისუფლებისაგან.

მრავალს მცდარად წარმოუდგენია თითქოს საბაზრო ეკონომიკას თავისი ფუნქციის ასრულება შეეძლოს "სოციალიზმისა" ან "სოციალისტური ბაზრის" საერთო ჩარჩოში, აქა იქ შეზღუდულად არსებულ კერძო საკუთრების "კუნძულებთან" ერთად. ბევრი დაჯერებულია, რომ საკმარისია პოლიტიკური ლიბერალიზაცია, ყველა პრობლემის კოლექტივიზმის ჩარჩოშივე გადასაწყვეტად. ასეთი რამ პრაქტიკულად ტოლფასოვანი იქნება თანამედროვე კოლექტივიზმის შენარჩუნებისა და იგი ვერაფერს მოიტანს.

სხვანი კიდევ ლაპარაკობენ "ადამიანური სახის მქონე სოციალიზმზე". მათ უბრალოთ ავიწყდებათ, რომ რეალურად საქმე შეეხება კერძო საკუთრების საკითხს. სანამ შენარჩუნებული იქნება კოლექტიური საკუთრება, იგი უმოქმედობას და ფლანგვას გამოიწვევს აუცილებლად. და ამ უკანასკნელთან საბრძოლ-

*****************************************************************************

ველად ადრე თუ გვიან კვლავ ძალდატანებასა და ავტორიტარიზმთან მიგვიყვანს. სინამდვილეში ასეთი გამოთქმა. როგორც "ადამიანური სახის სოციალიზმი" უაზრობაა. იმას. რასაც შეიცავს სოციალიზმი ვერ შეცვლის ზემოდ გამოყენებული სემანტიკა.

მთავარი ნიშანი. რაც ჩინელ სტუდენტთა მოძრაობას ახასიათებდა. ეს იყო არასებობა რაიმე კონსტრუქტიული იდეისა. დემოკრატია იყო წამოსროლილი ვით მაგიური სიტყვა. რომელსაც მარტო და თავისთავად უნდა შესძლებოდა გადაწყვეტა ყველა პრობლემისა. სინამდვილეში ასე არ არის.

აღმ. ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური ლიბერალიზაცია აყენებს ფუნდამენტურ პრობლემებს. რომელთა მიმართ. როგორც აღმ. ქვეყნები ასევე დასავლეთი საკმაოდ არ დაფიქრებულა.

5. მრავალგვარი რისკი. რომელთა შემცველია არასაკმაოდ შემზადებული დაბრუნება საბაზრო ეკონომიკაში.

საშიშია დამალვა ყველა რისკისა. რომელთაც შეიცავს. თუნდაც თანდათანობითი და საფეხურებრივი გადასვლა კერძო საკუთრებაზე დაყრდნობილ საბაზრო ეკონომიკაზე: თითქმის აუცილებელი გაჩენა ახალბედა მდიდრებისა: ფართოდ გავრცობა თვალშისაცემ და გაუმართლებელ უთანასწორობათა. რომელთაც საბაზრო ეკონომიკა რეალურად ვერ შეამცირებს. ვიდრე არ წარმოიქმნება საკმარისი კონკურენცია: მეტნაკლებად უხეში ფორმები კერძო საკუთრებაში მყოფ საწარმოთა მართვაში: უმუშევრობა: ინფლაცია: ზნეობის რღვევა და სხვა.

ტერორის შემდეგ მომხდარი ტერმიდორის რეაქცია საფრანგეთის რევოლუციის დროს. მშვენიერი ილუსტრაციაა იმისა. თუ რა საშიშროებას შეიცავს ყოველი გადასვლა ტოტალიტარული სისტემიდან ლიბერალურ სისტემაზე. თანაც ის ტერორი ორ წელიწადსაც არ გაგრძელებულა. მაშინ როდესაც აღმ. ევროპაში იგი. ამა თუ იმ ფორმით ორმოცი წელიწადია გაგრძელდა. ხოლო საბჭოთა რუსეთში სამოცდაათი წელია რაც მძვინვარებს ტოტალიტარული სისტემა.

6. აღმოსავლეთ ევროპის ოკუპაცია საბჭოთა ჯარების მიერ.

თუ ვარშავის პაქტი. როგორც შეკრულ-შეთანხმებული სამხედრო ძალა პრაქტიკულად აღარ არსებობს. სამაგიეროთ იგი საშუალებას იძლევა პოლონეთის. აღმ. გერმანიის. ჩეხოსლოვაკიის და უნგრეთის პერმანენტული ოკუპაციისა საბჭოთა ჯარების მიერ. დღეს არსებულ პირობებში მხოლოდ საბჭოთა მთავრობას შეუძლია მიიღოს ოკუპაციის შეწყვეტის გადაწყვეტილება. და საუბედუროდ საეჭვოც არ არის. რომ აღმ. ევროპის ხალხების რეალური პოლიტიკური და ეკონომიკური ლიბერალიზაცია შესაძლო გახდეს უცხო ქვეყნის ოკუპაციის ქვეშ.

როგორც არ უნდა იყოს. თუ დღეს არსებული ლიბერალიზაციის პროცესი გაგრძელდა. თანდათან აუტანელი გახდება ოკუპაცია. რაც უდიდეს რისკის წარმომშობი იქნება.

აღმ. გერმანიის. პოლონეთის. ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთის ევოლუციის შესახებ საინფორმაციო პრესის კომენტარებში ძალიან ადვილად და ხშირად ივიწყებენ. რომ დამოუკიდებელ ქვეყანათა შესახებ კი არ არის ლაპარაკი. არამედ შესახებ ქვეყნებისა. რომელნიც საბჭოთა რუსეთის ოკუპაციის ქვეშ იმყოფებიან.

## შეცდომები. რომელნიც არ უნდა ჩავიდინოთ

არ უნდა შემოვიყვანოთ აღმ. ევროპის ქვეყნები დას. ევროპის ეკონომიკურ ერთობაში. უარი "ატლანტიკიდან ურალამდე" ევროპას. არ უნდა მივატოვოთ "ჩრ. ატ. პაქტი" (OTAN). არ უნდა მივიღოთ ნაჩქარევი გადაწყვეტილებები.

1. აქტუალურად შეუძლებელია ევროპის საერთო ბაზარში შემოყვანა აღმ. ევროპის ქვეყნებისა და. განსაკუთრებით. აღმ. გერმანიისა.

მიუხედავად ზოგ დასავლეთელ პიროვნებათა მიერ გამოთქმული აზრისა და მიუხედავად აღმოსავლელ ერთა დიდი ნაწილის. ხოლო. განსაკუთრებით. აღმ. გერმანიის მცხოვრებთა დიდი სურვილისა. სრულიად შეუძლებელია და ფაქტიურად არასასურველია. ევროპის საერთო ბაზარში ახლო მომავალში მიღება ამ ხალხებისა.

თუნდაც სრული პოლიტიკური ლიბერალიზაციის შემთხვევაშიც ამ მიღების "სინ კვა ნონ" პირობად უნდა დაიდვას მათ მიერ ჯერ მოწყობა კერძო საკუთრებაზე დამყარებულ დეცენტრალიზებულ საბაზრო ეკონომიკისა. ეს პირობა განსაკუთრებით აღმ. გერმანიისთვისაა ძალაში. აქტუალურად კი მხოლოდ კომერციულ და კულტურულ ურთიერთობათა გაძლიერება შეიძლება ვიქონიოთ მხედველობაში.

სამაგიეროდ. როგორც კი ეს ქვეყნები მთლიან პოლიტიკურ და ეკონომიკურ ლიბერალიზაციას მიაღწევენ და საბჭოური ოკუპაცია შეწყდება. აღმ. გერმანიის. პოლონეთის. ჩეხოსლოვაკიის და უნგრეთის მიღება არა თუ შესაძლო გახდება. არამედ. დიდად სასურველადაც იქცევა.

მართალია. ჩვენ არ უნდა დავაბრკოლოთ ორი გერმანიის გარდუვალი გაერთიანება. თუ ეს ორივეს სურვილია. მაგრამ თავისთავად ცხადია. რომ შეუძ-

***************************************************************************************************

ლებელია ევროპული წონასწორობა დამყარდეს თუ დადებულ ვადაში მაინც რეალიზებული არ იქნება პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის და ჰუნგრეთის შემოყვანაც.

ყოველგვარი ნაადრევი ინტეგრაცია, და თუნდ მარტოოდენ ასოციაც კი, აღმოსავლეთის ქვეყნებისა დასავლეთ ევროპასთან, მხოლოდ გამართულებელი და ხელისშემშლელი იქნება ევროპის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ერთობის რეალიზებისათვის. ხოლო ამ ერთობის რეალიზაციას უპირატესობა უნდა მივანიჭოთ.

ამასთანავე ყოველ გარემოებაში სასურველია, რომ ავსტრია, ნორვეგია და შვეცია მონაწილენი გახდნენ ამ რეალიზაციისა - უადრეს აღმ. ევროპის ქვეყნების ყოველგვარი ინტეგრაციისა.

2. არ უნდა გავამაგროთ კოლექტივისტური რეჟიმები.

დასავლეთის ქვეყნები სწორად მოიქცნენ, როდესაც აღ. ევროპის ქვეყნებს მხოლოდ იმ პირობით შეპირდნენ დახმარებას, თუ ისინი ერთპარტიულობის პრინციპს გააუქმებდნენ და თავისუფალ საიდუმლო არჩევნებს შემოიღებდნენ.

მაგრამ ეს პირობა საკმარისად ვერ ჩაითვლება. ამას უნდა დაემატოს ვალდებულების მიღება, რომ პროგრესულად რეალიზებული იქნება საბაზრო ეკონომიკა და კერძო საკუთრება, ურომლისოდაც ყოველგვარი დახმარება მოგვიტანს მხოლოდ კონსოლიდაციას კოლექტივისტური რეჟიმებისა და შენარჩუნებას მათი გამოსადეგარი სისტემისა.

ყოველივე ეს, ბუნებრივად და განსაკუთრებულად ძალაშია საბჭოთა რუსეთის მიმართ.

3. არ უნდა გავყვეთ ევროპის ატლანტიკიდან ურალამდე გაშენების გზას.

მსოფლიო მშვიდობიანობის წესრიგის დამყარება მხოლოდ კულტურულად, ეკონომიკურად და პოლიტიკურად საკმარისად ჰომოგენურ გაწონასწორებულ რეგიონთა ურთიერთასოციაციით არის შესაძლებელი.

საკმარისია რუკას გადავხედოთ და გავიგებთ, რომ ევროპის აშენებაში რუსეთის ინტეგრაცია, მთელი ევროპის რუსეთის დომინაციაში მოქცევამდი მიგვიყვანს, რაც რეალიზება იქნება სტალინის ოცნებისა - საბჭოთა ევროპაზე.

"ევროპა ატლანტიკიდან ურალამდე", რეალურად, ევროპის მშენებლობიდსათვის თვითმკვლელობა იქნება. ყოველი პოლიტიკური შენაერთი გაწონასწორებული უნდა იყოს, და ამიტომ შეუძლებელია, საფრთხის გარეშე, ევროპის მშენებლობაში ასოციაცია რუსეთის დომინაციაში მყოფ მთელი უზარმაზარი კონტინენტისა. გორბაჩოვის "საერთო სახლი", იმ ფორმით, როგორაც საბჭოთა ნომენკლატურას ეს ესმის, მხოლოდდა ხაფანგი იქნება.

მომავალ დროისათვის, ევროპის აგება აღმ. ევროპის ქვეყნებით უნდა განისაზღვროს, ხოლო პარალელურად საბჭოთა რესპუბლიკების ევოლუციამ უნდა მიგვიყვანოს ფედერაციული ფორმის მქონე პოლიტიკურად და ეკონომიკურადლიბერალურ შენაერთამდე, რომელიც უნდა შეიცავდეს ევროპული რუსეთსა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს, თუ ისინი ამას ისურვებენ.

ნამდვილი "საერთო სახლი", რომლის შესახებ ბ. გორბაჩოვი გამეორებით, მაგრამ მისი აზრის დაუზუსტებლად ლაპარაკობს, მომავალში უნდა შეიცავდეს სამ რეგიონალურ ასოციაციას: ამერიკა-კანადის, ევროპის საერთო ბაზრისა და ევროპულ რუსეთთან ასოციაციაში შესულ საბჭოთა იმ რესპუბლიკებისა, რომელთაც სურთ საბჭოთა რუსეთთან ასოციაცია.

ყველა სხვა პროექტი მხოლოდ მისტიკაზე დამყარებული მითოლოგიაა, რაც იმდენადვე საშიშია, რამდენადაც იგი ილუზიაა.

4. დასავლეთის ქვეყნებმა არ უნდა მიიღონ იმპროვიზირებული და ნაჩქარევი გადაწყვეტილებები.

ზოგნი წინადადებას იძლევიან მომავალი წლიდანვე მოწვეულ იქმნეს ინტერნაციონალური კონფერენცია, რომლის მიზანიც ახალი ევროპის საძირკვლის ჩაყრა უნდა იყოს. ასეთი გადაწყვეტილება ნაადრევი და უდღეური იქნება.

აღმ. ევროპის ქვეყნების აქტუალური ევოლუცია, დემოკრატიისა და თავისუფლების დამყარებისაკენ მიემართება, ვიდრე ეს მოძრაობა საკმაოდ არ განვითარებულა, სანამ დემოკრატიული სისტემები ეფექტურად არ დამკვიდრებულან, სანამ აღმ. ქვეყნები საკმაოდ წინწასულნი არ იქნებიან საბაზრო ეკონომიკის გზაზე და კერძო საკუთრებისაკენ დაბრუნებაში, ასეთი კონფერენცია ნაადრევად უნდა მივიჩნიოთ, რადგან იგი მიგვიყვანს შეთანხმებებამდე, რომელნიც ახლანდელ ძალთა შეფარდებაზე იქნებიან დამყარებული და ანგარიშს არ გაუწევენ აღმ. ქვეყნების სრულიად განსხვავებულ მდგომარეობისაკენ მიმავალ ევოლუციას. უახლოეს მომავალში აღმ. ქვეყნები უნდა მივუშვათ თვითვე თავისუფლად მისდიონ თავიანთ ევოლუციას, ჩვენ კი უნდა დავკმაყოფილდეთ ამ ევოლუციის მხოლოდ ხელისშეწყობით.

5. ევროპის შენება არ უნდა გავაჩეროთ და არც კი შევანელოთ.

ევროპის შენება არ უნდა შევაჩეროთ შეცდომაში შემყვან იმ პრეტექსტის გამო, თითქოს საჭიროა მოცდა აღმ. ევროპის ქვეყნების ინტეგრაციამდე იმისთვის, რომ განზრახულ გაფართოებულ ევროპის დაწესებულებებს საჭირო ეფექტურობა

**********************************************************************************

მიეცესო. პირიქით, ჩვენ უნდა მეტი ძალით განვავითაროთ აქტუალურ წევრთა ინტეგრაცია რეალისტურ ბაზაზე, რამაც, კერძოდ, უნდა მიღვაღწევიოს შეძლებისდაგვარად სწრაფ ევოლუციას ეფექტურ ეკონომიკურ ერთობისაკენ.

მაგრამ აქაც აჩქარებისა გამო არ უნდა განვახორციელოთ ეს ინტეგრაცია ტექნოკრატიულ და ბიუროკრატიულ ბაზაზე, რამაც შესაძლოა მომავალში ხელი შეუშალოს ცალკე ქვეყნების ეკონომიკურ-ფინანსიური სტრუქტურის ევოლუციას იმავე ეფექტურობისაკენ. აქ ჩვენ უნდა კარგად გავერკვეთ თუ რა შეიძლება იყოს სრულიად მისაღები და გამოსადეგი ქალბატონ ტეტჩერის პოზიციაში და საეჭვოდ არ ვაქციოთ ჩვენი მომავალი ირრეალურ და იმპროვიზებულ გადაწყვეტილებათა მიღებით.

ფაქტობრივად, ევროპის შენებამ მაგალითი უნდა მისცეს აღმ. ევროპის ქვეყნებს. ეს მაგალითი მათთვის უნიკალურია. მას შემცვლელი არ მოეპოვება. და ჩვენ გვევალება დავადგინოთ და განვსაზღვროთ ევროპული ერთობის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ინსტიტუტები, რომელთა ჩარჩოში შენარჩუნებულ იქნებიან ყველა ეროვნული სხვაობანი, ურომლისოდაც გაერთიანებული ევროპის გაშენება რეალურად წარმოუდგენელია.

6. ჩვენ თავი არ უნდა დავანებოთ ჩრდ. ატლ. პაქტის ორგანიზაციას.

აღმ. ქვეყნების მომავალი ისე საჭოჭმანოა, რომ OTAN-ისათვის თავის დანებება საშიშია. ჯერ ერთი, OTAN-სა და ფარშავის პაქტის ერთდროული გაუქმება ჩვენთვის სულელური აღებმიცემობა იქნება. ვარშავის პაქტის კონკრეტული რეალობა დღეს არის მხოლოდ ოკუპაცია აღმ. ქვეყნებისა საბჭოთა ჯარების მიერ. დღეს რეალურად აღმ. ქვეყნების მოსახლეობის დიდი უმრავლესობა სრულიადაც არ არის განწყობილი მონაწილეობა მიიღოს დას. ევროპის საწინააღმდეგოდ წამოწყებულ ბრძოლაში.

OTAN-ისა და ვარშავის პაქტების პარალელურად გაუქმება მოიტანს სოლიდურ და მყარ ორგანიზაციის გაცვლას ისეთი სამხედრო ორგანიზაციის გაუქმებაში, რომელსაც უკვე რეალური საყრდენი აღარა აქვს არც პოლონეთსა და აღმ. გერმანიაში, არც ჩეხოსლოვაკიასა და ჰუნგრეთში.

ამერიკულმა ძალებმა რომ დას. ევროპა დასტოვონ, როცა რუსული ჯარები აღმ. ევროპას დასტოვებენ, ამას მოჩვენებითად სიმეტრიული ოპერაციის სახე ექნება. მაგრამ საქმის სინამდვილეში ეს ოპერაციები უოვლად ასიმეტრიულნი იქნებიან, რადგან საბჭოთა ჯარები აღმ. ევროპის უშუალო სიახლოვეს დარჩებიან, მაშინ როდესაც ამერიკელები გადაბარგდებიან ათასობით კილომეტრზე ატლანტიკის ოკეანის გაღმა. ისეთ გამოუცნობ და საჭოჭმანო კონიუნქტურაში, როგორიც დღეს სუფევს, ეს უოვლად მიუღებელი გამოსავალი იქნება და ჩვენბ გაბრიყვებულ ვაჭრების როლში გამოვალთ.

აქაც დროს თავისი საქმე უნდა გავაკეთებინოთ.

თუ დემოკრატიული თავისუფალი საიდუმლო არჩევნების შედეგად შემდგარი მთავრობები აღმ. ევროპისა საბჭოთა ჯარების წასვლას ისურვებენ, ამ ქვეყნების ოკუპაცია მეტად და მეტად შეუძლებელი გახდება საბჭოთა რუსეთისათვის.

ერთად ერთი რაზედაც დღეს გონივრულად მოლაპარაკება შეიძლება, ეს არის საბჭოთა ჯარების ტოტალურად გაყვანა აღმ. ევროპიდან, სანაცვლოდ ამერიკული ჯარების საგრძნობლად შემცირებისა და, მთავარია, სანაცვლოდ აქტუალურ საზღვრების საბოლოო და საზეიმო ცნობისა საბჭოთა რუსეთსა და პოლონეთს შორის ისევე, როგორც პოლონეთსა და აღმ. გერმანიას შორის.

ევროპისათვის შეუძლებელია მხოლოდ ერთი კაცის სიტყვაზე დაყრდნობა აოდენ გულწრფელი და მონდომებულიც არ იყოს გორბაჩოვი. შეუძლებელია უგულვებელვყოთ ჩვენი უშიშროება, სანაცვლოდ ისეთი დაპირებებისა, რომელნიც რეალურად, შესაძლოა კვლავ სადავო საგნებად იქცნენ მომავალში, თუ გორბაჩოვი, საუბედუროდ, გადაყენებულ იქნა. ეს არის შესაძლებლობა, რომლის მთლად უკუგდება დაუშვებელია და რაც ჩვენ იმპერატიულად უნდა ვიქონიოთ მხედველობაში.

## პირობები ჩვენი მომავლისათვის

წარსულს ნუ დავივიწყებთ. ვუშველოთ აღმ. ევროპას. ვაშენოთ ევროპა. ეთიკურ-მორალური მხარე არ უნდა შევწიროთ სარგებელსა და ეფექტურობას.

1. ანგარიში უნდა გაეწიოს წარსულის გამოცდილებას.

სწორია რომ პრესამ მოგვაგონა ნაციზმის საშინელებანი, სასიკვდილო ბანაკები და მილიონობით მსხვერპლი, მაგრამ პრესას აგრეთვე უნდა გაეხსენებია მილიონობით გადასახლებულნი და მილიონობით მკვდარი, რაშიაც სტალინურ ტოტალიტარისტულ კომუნიზმს ედება ბრალი, ოცდაათიან წელთა ეპოქაში და ომის შემდგომი მილიონები გადასახლებულთა.

არც თვით დასავლეთის დიდ დემოკრატიებს შეუძლიათ რაგაც სიწმინდე და უდანაშაულობა დაიჩემონ დრეზდენისა და ტოკიოს ხანძრისგამჩენ უუმბარებით დაბომბვაში, რასაც ათასობით უდანაშაულო ადამიანი ემსხვერპლა, არც ჰიროშიმასა და ნაგასაკის ატომური უუმბარებით დაბომბვაში, რასაც აგრეთვე ასიათასობით მსხვერპლი შეეწირა.

ომების, და განსაკუთრებით სამოქალაქო ომების არაადამიანურობა, ცხადია, ისტორიაში ახალი არ არის, მაგრამ თანამედროვე ხანის შესაძლებლობათა სიძლიერემ მნიშვნელოვნად გაზარდა და დაამძიმა ომის კატასტროფული შედეგები.

მეორე მსოფლიო ომის დროინდელმა ხალხების ურთიერთ შეჯახებამ, სამაგიეროს გადახდიდან სამაგიეროს გადახდით, ენით გამოუთქმელ ბარბაროსობას მიაღწია. ეს ცხადჰყოფს ხალხებისა და მათი მთავრობების უზარმაზარ მორალურ დაცემას, რომელმაც მებრძოლთა ორივე მხარე ისეთ შეუბრალებელ სიმკაცრემდე მიიყვანა, როგორიც კაცობრიობას ასეთი ზომით ალბათ, არასოდეს გამოუცდია.

"არასოდეს განმეორდეს ასეთი რამ" სთქვა პაპმა იოანე-პავლე მეორემ. ამ სიტყვებმა უნდა გვიკარ-ნახონ ჩვენი საქციელი. ეს არის კატეგორიული იმპერატივი.

ჩემთვის, ვინც პირველ მსოფლიო ომში მამა დაჰკარგა, რა წონა უნდა ენიჭებოდეს ეგრეთ წოდებულ დაბრკოლებებს, რომელთა აღმართვასაც ბოლო არ უჩანს ნაციონალისტურ მოტივთა კვლავ და კვლავ თავწამოყოფისა გამო, რომელნიც წინააღმდეგობას უწევენ იმ შესაფერი პოლიტიკის გატარებას, რომელზედაც ჩვენი მომავალი ჰკიდია, პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად მთლიანი ევროპის შეძლებისამებრ მალე რეალიზებისათვის რომ არის საჭირო?

უზარმაზარ ამოცანათა გათვალისწინებით, დღეს ევროპელებმა უნდა დასძლიონ მაცდუნებელი ძახილი, მათ წინაპართაგან მემკვიდრეობით მიღებული ან ყალბი ნაციონალიზმისა. აქ უნდა გავიხსენოთ რა იყო წარმომშობი ორი უკანასკნელი მსოფლიო ომისა და კარგად გავიგოთ თუ პატარა საკითხებიდან, შედარებით იმ საშინელ სედეგებთან ომებმა რომ მოიტანეს, ყველას მიერ განაწინებულ პასუხისმგებლობათა ერთიმეორეზე დამატების პროცესუსმა როგორ ლააXვიძა და პაროქსიზმამდე მიიყვანა ძველი ნაციონალიზმის დემონები, რამაც ცივილიზებულ ერებს ერთმანეთის ჟლეტა დააწყებია.

2. უნდა დავეხმაროთ აღმ. ევროპის ერებს.

რომ აღმოსავლეთს ქვეყნებს და საბჭოთა რუსეთს უნდა დავეხმაროთ, ეჭვა გარეშეა.

კითხვა, რომელიც ისმის ერთადერთია: რა პირობით და როგორ?

უპირველესად, უოველგვარი დახმარების პირობა უნდა იყოს დაფუძნება რეალური პოლიტიკური დემოკრატიისა, მრავალპარტიული-ბასა და თავისუფალ საიდუმლო არჩევნების საფუძველზე.

აქედან გამომდინარეობს, რომ, სანამ საბჭოთა რუსეთი ერთპარტიულობის პრინციპს ინარჩუნებს, უადგილოა მისთვის დახმარების გაწევა ან სესხის მიცემა. შესაძლებელია მხოლოდ გაცვლა-გამოცვლის განვითარებს თანაბრობის საფუძველზე.

მაგრამ დახმარების გაწევის პირობად რეალური პოლიტიკური დემოკრატიის დამყარება არ კმარა, კიდევ და უმთავრესად, საჭიროა თანდათანობით დაბრუნება საბაზრო ეკონომიკისა, გადაწყვეტილების აღების დეცენტრალიზაციისა და კერძო საკუთრების დამყარებისაკენ. არა თუ არ უნდა დავეხმაროთ კოლექტივისტურ რეჟიმს, რამაც ეს ქვეყნები დღევანდელ ეკონომიკურ განადგურებამდე მიიყვანა, არამედ იმპერატიულად საჭიროა თავიდან აცილება ჩვენი რესურსების გაფლანგვისა.

მაგალითისათვის რომ საფრანგეთი ავიღოთ, ჩვენი რესურსები განსაზღვრულია. ჩვენი შესაძლებლობა მოკლეა.. უკმარისობა ბინებისა, უნივერსიტეტებისა, სკოლებისა, საავადმყოფოებისა და სხვა, ცხადზე უცხადესია. უწინარეს ყოვლისა ჩვენ უნდა დავეხმაროთ უზომოდ გაჭირვებულთ ჩვენი თანამედროვე საზოგადოებისა. მაშასადამე თუ ჩვენ სხვებს დავეხმარებით, აუცილებლად საჭიროა, რომ ამ დახმარებამ სასურველადაც იმოქმედოს.

მაშ როგორი უნდა იყოს ჩვენგან გაწეული დახმარება? იგი უპირველესად უნდა გამოიხატოს გაწვრთნასა და ფორმირებაში. შემდეგ იგი უნდა გამოიხატებოდეს ინდექსირებულ უკან დასაბრუნებულ სესხის მიცემაში, რადგან ყველაფერი რაც გასაჩუქრებულია, გაფლანგულია. და ბოლოს, დახმარება უნდა გამოიხატოს გაცვლა-გამოცვლის განვითარებაში, აღებმიცემობა და არა საჩუქარი.

ერთად ერთი ფორმა დახმარებისა რეალურად ეფექტური და შედეგიანი ადამიანთა ფორმირებაში მდგომარეობს. ეს არის მთავარი გაკვეთილი, რომელიც ჩვენ ხანგრძლივმა და მწარე გამოცდილებამმიგვცა ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის დახმარების გაწევისას.

ამგვარი დახმარება ორი, ერთმანეთის შემავსებელი ხასიათისაა: ექსპერტებისა და თანამშრომლების გაგზავნა აღმ. ქვეყნებში; სამგზავრო და სტაჟირების სტიპენდიების მიცემა არა მარტო სტუდენტთათვის არამედ აგრეთვე ინჟინერთა, ცეხის უფროსთა და მუშათათვის, რომელთაც სურთ გაიწაფონ დასავლური მეთოდის მიხედვით. ამგვარი დახმარება და მხოლოდ ამგვარი, უნდა იყოს უფასო. იგი უნდა გაიცეს ფართო მაშტაბით და უფასო უნდა იყოს.

არსებობს აგრეთვე ფრიად მნიშვნელოვანი დახმარება, რომელიც ჩვენ აღმ. ქვეყნებს საჩქაროდ უნდა მივაწოდოთ. ეს არის ანალიზი და განსაზღვრა შედეგის მომტან ყველაზე უფრო შესაფერის

ლონისძიებისა. შეძლებისამებრ სასწრაფო გადასვლისათვის კოლექტივიზმიდან საბაზრო ეკონომიკაზე. დაუდრნობით გადაწყვეტილების მიღების დეცენტრალიზაციასა და კერძო საკუთრებაზე. და ეს უნდა გაკეთდეს დღეს არსებული სიძნელეების მხედველობაში მიღებით. შეიძლება ყველაზე უფრო სასარგებლო, რის გაკეთებაც შეიძლება, იყოს ორგანიზება და დაფინანსება მოხსენებებისა და სემინარებისა როგორც დასავლეთში, ასევე აღმოსავლეთში. მათი მიზანი იქნებოდა ანალიზი და განსაზღვრა ყველაზე უფრო ეფექტურ პოლიტიკისა კოლექტივისტურ ეკონომიკის რეკონვერსიისათვის (უკუცვლისათვის), რაც წარმოადგენს საგანს იმდენადვე ძნელს, რამდენადაც ფუნდამენტურს. ეს ჩემი სურვილი მიმართულია არა მხოლოდ სახელმწიფოების მიმართ, არამედ, აგრეთვე დიდ სავაჭრო და სამრეწველო ორგანიზაციებისადმი.

ვ. უნდა განვაგრძოთ ევროპის შენება.

დღეს ჩვენ უნდა შევიგნოთ ორი სრულიად ახალი რეალობა, თუმცა ისინი კარგა ხნის წინათ იყვნენ მოსალოდნელ-განსაჭვრეტნი: რომ ადრე თუ გვიან გერმანია გაერთიანდება და გერმანიის პოლიტიკურ-ეკონომიკური ძლიერება საგრძნობლად გაიზრდება გაერთიანებულ ევროპაში; მეორე ის არის, რომ აღმ. ევროპის ქვეყნები უნდა შემოყვანილ იქნან ამ ერთობაში და მათი ინტეგრაცია დაეხმარება ძალთა იმ წონასწორობის რეალიზაციას, რომელიც აუცილებლად საჭიროა გაერთიანებული ევროპის წიაღში.

ამ ორი რეალობის წინაშე ჩვენ ახლავე უნდა განვაგრძოთ ევროპის აგება, არა იმისათვის, რომ შევქმნათ როგორიმე სებრუნებული სიტუაცია, არამედ კონსოლიდაციისათვის უკვე რეალიზებულისა, რომ მოვამზადოთ და გამოსადეგვყოთ ევროპა მომავალი გაფართოებისათვის.

აქამომდე ორი მთავარი შეცდომა იქნა დაშვებული ევროპის შენებაში. რველი იყო ის აზრი, თითქო ეკონომიკურ ევროპით უნდა დაგვწყო. მაშინ როდესაც, ცხადზე უცხადესია, რომ რეალურ ეკონომიქურ ევროპის რეალიზაციას ადრე თუ გვიან, პირველი მნიშვნელობის პოლიტიკური საკითხები უნდა დაესვა. ასევე შეცდომა იყო თითქმის მთლიანად უგულვებელყოფა ევროპის კულტურულ ერთიანობისა, ურომლისოდ ყოველგვარი პოლიტიკური ევროპის რეალიზაცია ბოლოსდაბოლოს შეუძლებელი აღმოჩნდება (ნუთუ საჭიროა აქ მაგალითისათვის გავიხსენოთ, რომ ორთავე მსოფლიო ომის ატეხის ერთერთ მადეტერმინებელ ფაქტორს წარმოადგენდა ისტორიის გაყალბებული სწავლება ევროპის ყველა ქვეყანაში?).

მეორე შეცდომა, რომელიც პირველის შედეგია, ის იყო, რომ ნათლად გააზრებული არა ჰქონდათ ევროპისათვის ის საშიშროება, რომელიც შეიძლებოდა დაბადებულიყო ბიუროკრატიულ და ტექნოკრატიულ გადაწყვეტილებათაგან, რომელნიც დიდ ნაწილად არა რეალისტურნი და, მართალს თუ ვიტყვით, უპასუხისმგებლობას წარმოადგენენ.

მაშასადამე საჭიროა მთლიანად გადაისინჯოს ევროპის ეკონომიკური ერთიანობის რეალიზაციის წამმართველი ხაზი. ნათლად უნდა ავარჩიოთ მიზნებისაკენ მიმავალი გზა: თავისუფალი გაცვლაგამოცვლის ბუნდოვან ზონამდე დაყვანილი, ბალკანიზებული და მსოფლიო ფინანსიურ ჩარჩოში ჩასმული ევროპა, რომელსაც ადრე თუ გვიან ნაციონალისტური ძვრები მოელის, თუ ფედერალური ევროპა, საერთო პოლიტიკურ დაწესებულება-უწყებებით, რომლის წიაღშიც ეროვნულ სხვადასხვაობებს არა მხოლოდ თავისუფლად და ნაყოფიერად არსებობა, არამედ გაფურჩქვნაც შეეძლებათ.

მე პირადად ვფიქრობ, რომ ევროპულ საერთო ფულის შემოღება ნაცვლად სხვადასხვა ევროპული ფულისა და დაარსება პოლიტიკური ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელ ცენტრალურ ევროპულ ბანკისა, გინდ ეროვნულ, გინდ ევროპულ თვალსაზრისით რომ შევხედოთ, დიდად სასურველია - როგორც კი შესაძლო იქნება. მაგრამ ვიფიქროთ თითქოს ასეთი რამის რეალიზება შესაძლო იყოს ევროპული პოლიტიკური ერთობის წინასწარ დაფუძნების გარეშე, ნამდვილი ილუზიაა (ამ საქმის ასრულება მოითხოვს სუვერენობის ისეთ დათმობას, რომელთა სიმძიმეც არასაკმარისად აწონილია და იგი რეალურად წარმოუდგენელია პოლიტიკურ ერთობის ორგანიზების გარეშე).

ასევე უოვლად შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, ევროპაში მთლიანი მობილურობა ადამიანებისა, ვიდრე ქვეშემრდომობის მიღებისა და იმიგრაციის საერთო პოლიტიკა არ იქნება დადგენილი. აქაც ამგვარი უფლებამოსილებით აღჭურვა ბრიუსელურ დაწესებულებისა სულ მარტივად რომ ვთქვათ, გადაჭარბებულია.

დღეს ჩვენ უპირველესად უნდა განვსაზღვროთ ობიექტები, რომლებისაკენ უნდა მივისწრაფოდეთ და თუ დავუშვებთ რომ ჩვენ ვადგებით, რაც ფრიად სასურველად მიმაჩნია, გზას ფედერალურ ევროპის შექმნისა, მაშინ დაუყოვნებლივ უნდა შევუდგეთ მაძიებელ გაანალიზებას მისალებ საშუალებათა და მომავალში წამოჭრილ იმ საკითხებისა, როგორნიც ბუნებრივად თანმხლებნი არიან ევროპის შემადგენელ სხვადასხვა ქვეყნებში ასეთი მიზნის განხორციელებისას. ჩვენ უნდა გამოვნახოთ საკმაოდ მოქნილი დაწესებულებათა ფორმა, რომელსაც მთლად გამოცლილიც არ უნდა ჰქონდეს მისი სუბსტანცია.

ანუ ძირითადი შემადგენლობა. ბელგიის, კანადის, იუგოსლავიის და საბჭოთა კავშირის ისტორიულმა მაგალითებმა გვიჩვენა, რომ სხვადასხვა შემადგენლობის შენაერთთა უოველი ცენტრალიზება დროთუ გუნმავლობაში ცენტრიდანული და სტაბილურობის შემარყეველ ძალთა წარმოშობია. თუ მთლიანად განხორციელებულ იქნა ბრიუსელური ახლანდელი პროექტი 1993 წლის ევროპისა, იგი უეჭველად დამარღვეველ ძალებს წარმოშობს უადრეს ამ საუკუნის დასარულისა.

უოვლად ცხადია, რომ ფედერალური ევროპის აშენება უაღრესად ძნელი საქმეა, მაგრამ იგი ნამდვილად შესაძლებელია. საჭიროა მას მიენიჭოს პრიორიტეტი, ნაცვლად იმისა, რომ დრო დავხარჯოთ ბჭობაში ისეთი საკითხების გარშემო, რომელნიც შედარებით სრულიად უმნიშვნელონი არიან, როგორც მაგალითად დამატებითი ღადასახადების გათანაბრების საკითხია.

უოველ შემთხვევაში ამ მიზნის მიღწევა დღეს უფრო ადვილია, ვიდრე მომავალ წლებში იქნება, თუ ჩვენ საქმეს ახლავე არვუდგებით და დავიგვიანებთ. გარდა ამისა ის, რისი გაკეთებაც ჩვენ შეგვიძლია, გამოსაყენებელი მაგალითი იქნება სხვა ქვეყნებისათვისაც, ხოლო სრულიად განსაკუთრებით- საბჭოთა რესპუბლიკებისათვის.

4. ჩვენ რეფორმები გვჭირდება.

კოლექტიურ ტოტალიტარულ სისტემათა ნგრევა მნიშვნელოვანწილად დასავლეთის ნივთიერი წარმატებით აიხსნება. მაგრამ ჩვენ უნდა კარგად შევიგნოთ, რომ ჩვენი მაგალითი აღმოსავლეთის ქვეყნებში ბორკილებიდან განთავისუფლებულ მილიონთათვის რეალურად დამარწმუნებელი ვერ იქნება, თუ ჩვენ დადებითად ვერ ვუპასუხებთ მორალურ, ეთიკურ მისწრაფებებს, რომლებიც წარმოშობნი იყვნენ კოლექტივისტური საზოგადოებრივი წყობისა.

ამ მხრივ კი დანამდვილებით ბევრი რამ გვაკლია.

ერთის მხრივ დასავლეთ ევროპაში უოვლად აუტანელი მასიური უმუშევრობაა, რაც მორალურად სრულიად დაუშვებელია. მეორეს მხრივ კი დასავლეთის ეკონომიკა, რომელიც დავალიანებათა გიგანტიურ პირამიდაზეა დაყდრნობილი, პოტენციურად არამყარია და თანაც ისე ჩანს, თითქოს იგი შეპყრობილი იყოს რაღაც სიგიჟით, ფინანსიურ-სპეკულატორულ ხასიათისა, რასაც უზარმაზარი მოგება მოაქვს რეამური საფუძვლიანობის გარეშე. ეს კი არის წყარო დემორალიზებისა, რომლის სიმძიმეც საკმაოდ არ არის აწონილი (წინააღმდეგ გავრცელებული აზრისა, ეს სიავე არ არის აუცილებელი შედეგი საბაზრო ეკონომიკისა. განვითარებული ეკონომიკის ქვეყანაში, შვეიცარიაში, ერთ პროცენტსაც არ აღწევს უმუშევრობა, ხოლო სპეკულაციის დღევანდელი ჭარბი მომგებიანობა, უბრალოდ, შეუფერებელ წესთა არსებობიდან მომდინარეობს).

ამ საკითხის გამო საკმარისად მივიჩნიოთ გახსენება იმისა, რომ შვიდ სახელმწიფოთა ჯგუფის (ამერიკა, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, იაპონია - რედ. შენ.) ურთიერთშორისი დღიური ფინანსიური მიმოქცევა 44 მილიარდ დოლარს აღემატება, მაშინ როდესაც შესატყვისი, კომერციული გაცვლა-გამოცვლითი მიმოქცევა მხოლოდ 12 მილიარდი დოლარი არის.

პოლიტიკური დებატები ხშირად გაყალბებულია და ეს საფუძვლიანად შეუწყნარებელია. მხოლოდ ერთი მაგალითი რომ მოვიყვანოთ, ძალიან ხშირად ვხედავთ, რომ ტელევიზიისა და რადიოს ზოგიერთი კომენტატორები, ერთგვარ დეზინფორმაციასა და იდეოლოგიურ დოქტრინალობას ეწევიან ფუნდამენტალური საკითხების გაშუქებისას.

დღევანდელ პრობლემათა წინაშე მდგართ, ჩვენ დიდ დანაშაულად ჩაგვეთვლება, აღმოსავლეთის კოლექტივისტურ სისტემათა ნგრევის გამო მხოლოდ გახარებით დაკმაყოფილება, - თუ ამავე დროს არ შევუდგებით გზის ძებნას რეალურად გამოსადეგ საშუალებათაკენ, რომელთაც შეეძლებათ გამოჯანსაღება მდგომარეობისა, რადგან ამ მდგომარეობას ძალუძს გამოიწვიოს პერვერსია - დამახინჯება თავისუფალ გაცვლა-გამოცვლითი ბაზრისა, როცა ჩარჩო, რომელშიაც ეს უკანასკნელი მოქმედობს ფუნდამენტურად შეუფერებელია.

უოველი საბაზრო ეკონომიკის წინაშე ორი მთავარი საკითხია დასმული: ეფექტურობა ანუ მომგებიანობა-ვარგისობა და მორალურ-ეთიკური. ჩვენ მოვახერხეთ პირველისათვის მთავარ ხაზებში გვეპასუხნა, მაგრამ მეორე საკითხის მიმართ კი ჩვენ უოველ ეჭვს გარეშე სასტიკად დავმარცხდით.

ეთიკურ საკითხისათვის არაშესაბამის პასუხის გაცემის გამო, აღმოსავლეთის საზოგადოებრივმა წყობილებამ ვერ მიაღწია ვერც ეფექტურობას, რომელიც ბიუროკრატიზმმა და ცენტრალიზებამ გასაჭირში ჩააგდო, ვერც გადაჭრას ეთიკური საკითხისა, რომელიც ნომენკლატურის დაუმსახურებელი პრივილეგიებითა და პერმანენტული, ჯერ არნახული დათრგუნვით ადამიანის უფლებებისა იქნა შელახული.

ვუფრთხილდეთ, რომ ეთიკური ხასიათის ნაკლთა გამოსწორების ცდისას ისეთ გზას არ დავადგეთ, რომელმაც აღმოსავლეთის ხალხები აუცილებელ კატასტროფამდი მიიყვანა.

******************************************************************************

* * *

ჯ. კაშია.

# კვიმატი ჰიპოთეზები

## I. 1924 წლის აჯანყება და "მენშევიზმი".

"იმ ცვლილებათა დედააზრი, რომელიც მოხდა აქ თებერვლის შემდეგ, ფაქტიურად, მდგომარეობს არა ხელის-უფლების შეცვლაში, რასაც მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობის გაცამტვერებაში" - განაცხადა თავის საბრალმდებო სიტყვაში იასონ ჯავახიშვილმა. რადგანაც საქართველოს დამოუკიდებლობას მრავალი შინაგანი მტერიც ჰყავდა, და სავალალოდ, ჰყავს კიდეც, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ყოველი ფურცელი მრავალმხრივ და დაურიდებელ განხილვას ითხოვს. ჩემი ჰიპოთეზები მხოლოდ ზოგიერთ, აქამდე სრულიად შეუნიშნავ მომენტებზე ამახვილებენ ყურადღებას. ახალგაზრდა მკვლევარებს იქნებ ინტერესი აღეძრეთ ამ მიმართულებით კვლევისა და ობიექტურ-ფაქტოლოგიური დასკვნები შემოგვთავაზონ.

დავიწყებ 1924 წლის აჯანყების ზოგიერთი ასპექტით.

ა) ახლა უკვე ყველამ იცის, რომ 1924 წლის აჯანყება იყო ეროვნული აჯანყება. ეს იმას ნიშნავს, რომ, როგორც ზუსტად განსაზღვრა იასონ ჯავახიშვილმა, ამ აჯანყებაში სოცალურ-პოლიტიკური წყობის საკითხს თუ რაიმე მნიშვნელობა ჰქონდა, იგი მეორადი იყო; მთავარი იყო საქართველოს გათავისუფლება დამპყრობლებისაგან. ამ საკითხში აჯანყების მიზანი ერთგვარად თანხვდებოდა ქართველ კომუნისტთა იმ ნაწილის მიზნებს, რომლებიც "ნაციონალ უკლონისტებად" იყვნენ წოდებულნი სტალინის მიერ და, საბოლოოდ, მოსპობილნი. სტალინისტები (ანუ მოსკოველი დამპყრობლები) აჯანყებას განიხილავდნენ როგორც სოციალურსა და ანტიკომუნისტურს; ცდას "მენშევიკური" წყობის რესტავრაციისა. ასევე უცქეროდა აჯანყებას გადახვეწილი "მთავრობაც", რომლისთვისაც აჯანყების მთავარ მიზანს სოციალური ბრძოლა წარმოადგენდა, ხოლო ეროვნულ-გამათავისუფლებელი კი მისი მეორადი მხარე იყო[1]; ამ მხრივ "მენშევიკებისა" (გადახვეწილი "მთავრობის") და ბოლშევიკების (მოსკოველი დამპყრობლის) დამოკიდებულება აჯანყებისადმი უახლოვდებოდა ერთმანეთს. იმისათვის, რომ დაემალა აჯანყების ეროვნულ-გამათავისუფლებელი ხასიათი სტალინისტური და კომუნისტური პროპაგანდა უკანასკნელ დრომდე მთელ ყურადღებას აჯანყების სოციალურ მხარეზე ამახვილებდა და ამ აუცილებლობით წინ სწევდა "მენშევიკური მთავრობის" როლს აჯანყებაში, რითაც პროპაგანდას უწევდა თავისთვის ნაკლებ საშიშ ძალას და მით სპობდა რეალურად საშიშსა და ერთადერთ ალტერნატიულ ძალას ეროვნული და ანტისოციალისტური გამათავისუფლებელი მოძრაობის სახით. ამან შექმნა ის პარადოქსული ვითარება, რომ "მენშევიკური მთავრობის" მიმართ სხვადასხვა დამოკიდებულება გაჩნდა საქართველოში, - სადაც მენშევიკები "საქართველოს მხსნელებისა და ბოლშევიკების ერთადერთ ოპონენტად" იყვნენ მიჩნეულნი, და ემიგრაციაში, - სადაც "მენშევიკებს" (მთავრობას, ცხადია!) საქართველოს გამყიდველებად მიიჩნევდნენ და საქართველოს თავისუფლების თავისი პარტიულ-იდეოლოგიური მიზნებისათვის შეწირვაში სდებდნენ ბრალს ეროვნულად განწყობილი ძალები და ოპოზიციური პარტიები და ჯგუფები თუ მიმართულებები: ეროვნული-დემოკრატები, "თეთრი-გიორგიელები","ორნატი", მხედრები, ჩოლოყაშვილის შეფიცულები და ერთობ ყველა არასოციალისტი და ნაციონალისტი(!).

ბ). აჯანყება დამარცხდა. დამარცხების ერთერთი მიზეზი იყო აჯანყების 24 საათით ადრე დაწყება ჭიათურაში და მით ძალაუფლებისათვის მობილიზების საშუალების მიცემა. ყველა ძირითადი სტრატეგიული მიმართულება გადახურული აღმოჩნდა ამ მობილიზებული ჯარისა და აპარატის მიერ. მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდა, მოხდა კიდევ ერთი რამ, რაც აჯანყების დამარცხების მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ: 1924 წლის ივლისის ბოლოს უცხოეთში გახიზნული მთავრობა საქართველოში აგზავნის ვალიკო ჯუღელს, ყოფილ ბოლშევიკს (1917 წლამდე!) შემდეგ მთავრობის (უფრო სწორად სოც.-დემოკრატიული პარტიის - რაზედაც არაერთგზის მიუთითებდა ოპოზიცია) "სახალხო გვარდიის" მეთაურს და მთავრობასთან ერთად საზღვარგარეთ გახიზნულს. სხვადასხვანაირად

---

1 "რუსეთში დემოკრატიის დამარცხება, სამოქალაქო ომი და ბოშევიკური ტირანიის გაბატონება გახდა მიზეზი და დასაწყისი ჩვენი ხალხის ეროვნული პოლიტიკის ძირითადი შეცვლისა. დამოუკიდებლობის დროშა მან აღმართა იმაე სოციალური იდეალების განსახორციელებლათ, რომლისთვისაც წინათ ის რუსეთის საერთო საზღვრებში იბრძოდა.

ქართულ ეროვნულ მოძრაობის ასეთი ხასიათი ჩვენს ნაციონალისტებს მის სისუსტეთ მიაჩნიათ და დღეს სწარმოებს ქადაგი მოძრაობის ახალ, "წმინდა" ეროვნულ კალაპოტში ჩაყენებისა, მისგან სოციალურ ელემენტის ჩამოშორებისა" ( იხ. წერეთელი "ეროვნული მოძრაობა და სოციალური იდეალი" "ბრძოლა № 1, სვ. 9; 925 წ. ივლისი, პარიზი).

**********************************************************************************************

ახასიათებენ ვალიკო ჯუღელის მისიას სოციალ-დემოკრატები (მთავრობა) და ოპოზიცია, ვთქვათ, ეროვნული დემოკრატი. ოპოზიციის ლიდერი პარლამენტში სპირიდონ კედია, რომელიც ასევე საზღვარგარეთ იყო ამ დროს. ჩვენ განსაკუთრებით ეს უკანასკნელი გვაინტერესებს, რადგან სპირიდონ კედიას მეტად მძიმე ბრალდება მოითხოვს ჩვენგან ამ საკითხში მაქსიმალურ ობიექტურობას. ჩემი ჰიპოთეზაც ერთგვარი ცდაა ამ კუთხით საკითხის გააზრებისა. მე ვუშვებ, რომ სპირიდონ კედიას ბრალდებებს აქვს ერთგვარი საფუძველი. ამ დაშვებას მიადგილებს ის ფაქტი, რომ ამ ბრალდებაში სპირიდონ კედია მარტო არ არის და ერთობ მთელი არასოციალისტური ოპოზიცია ამ აზრს ასე თუ ისე იზიარებს. ამ თვალსაზრისით "მენშევიკები" თავისი პოზიციის დაცვაში ეულნი არიან (ამას ქვევით გავამდიდრებ მაგალითებით). საკითხი დაისმის არის თუ არა რაიმე სხვა დამადასტურებელი (ან, შემდგომში, უარმყოფელი) მომენტები, რომლებიც ამ ბრალდებას ზურგს უმაგრებენ? მე ვფიქრობ არის, და ესაა სწორედ ჩემი ჰიპოთეზის წყარო (ცხადია ჰიპოთეზას მხოლოდ სამუშაო ღირებულება აქვს).

სპირიდონ კედია წერს: ("საქართველოს გუშაგი" 14. სექტ. 1935 წ. პარიზი)

"გარემოება პირველი. აჯანყებას ამზადებს და მეთაურობს საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, შემდგარი და მოქმედი საქართველოში.

გარემოება მეორე. ამ საქმეში პირველი დღიდან მასთან თანამშრომლობს გადმოხვეწილი მთავრობა. ის ინახავს ფულით დამოუკიდებლობის კომიტეტს და ჰფარავს მის სამუშაო ხარჯებს. ამ კომიტეტთან კავშირი და მისი ინფორმაცია მარტო და მარტო მთავრობის ხელშია.

გარემოება მესამე. დამოუკიდებლობის კომიტეტი უკვე პირველ დღიდან აჯანყებას გარეშე დახმარების მოპოების ფაქტს უქვემდებარებს. ქართული, ან ქართულ-კავკასიური ძალების ამარა იგი აჯანყებას უარჰყოფს. ამ საკითხის მოგვარების მიზნით იგი უმალვე თავის წარმომადგენელს უცხოეთში გზავნის.

გარემოება მეოთხე. მაგრამ ამ უცხოეთში ვერ მოეწყო დამოუკიდებლობის კომიტეტის საკუთარი წარმომადგენლობა იმ ობსტრუქციის გამო, რომელიც აწარმოვა გადმოხვეწილმა მთავრობამ. ეს უკანასკნელი იყენებს თავისი ეგოისტური მიზნის სასარგებლოთ ყველაფერს: ულირს ხერხებსა და მანიოვრებს; წამოღებულ ხაზინას, საქართველოს სახელს და პატრიოტების იმ გრძნობას, რომელიც ჯერ კიდევ ერიდებოდა მთავრობის წინაალმდეგ აქ უცხოეთში საქვეყნო გალაშქრებას. ყველა ამის წყალობით იგი სამუდამოთ იშორებს თავიდან ხსენებული წარმომადგენლობის დაარსების საფრთხეს და თითონ ეპატრონება მთელ საგარეო მუშაობას.

გარემოება მეხუთე. ამგვარად, დამოუკიდებლობის კომიტეტი სავსებით დამოკიდებული ჰხდება გადმოხვეწილი მთავრობისაგან სწორედ იმ საქმეში, რომლის წინასწარი მოგვარება მის მიერ მიჩნეული იყო, როგორც ერთად-ერთი პირობა აჯანყებისა. სწორედ ამ ვითარებიდან წარმოიშვა საქართველოს ახალი ტრაღედია. 24 წლის აგვისტოს აჯანყება.

გარემოება მეექვსე. დამოუკიდებლობის კომიტეტი დაებჯიანდება, რომ წლების განმავლობაში მას მარტო მთავრობის ცნობები მოსდიოდა და სხვების არა. ამიტომ იგი, ახლა უკვე მეორეჯერ, პარიზში ჰგზავნის თავის ორ დელეგატს. ამა უნდა ენახათ ყველა მიმართულების ხელმძღვანელი პირები და საქართველოში ჩაეტანათ მათი გარკვეული აზრი აჯანყების მოხდენისა თუ არ მოხდენის შესახებ.

გარემოება მეშვიდე. მომავალ დელეგატებს მთავრობამ თავისი ორი დელეგატი - ორივე მთავრობის წევრი - მარსელში შეაგება. ამით გზა მოუჭრა და პარიზში არ ჩამოუშვა. მთავრობის წევრებმა საქართველოდან ჩამოსულ დელეგატებს მისცეს ფული, ინსტრუქციები, რასაკვირველია, შესაფერისი ცნობები და უკან საქართველოში გაისტუმრეს. აჯანყება ამ შეხვედრამ გადასწყვიტა, ხოლო ამ შეხვედრაში მთავრობამ და მისმა დაპირებებმა.

გარემოება მერვე. აქ უცხოეთში, გარდა შეთქმული მთავრობის და მის ფარეშთა ვიწრო წრისა, ყველანი აჯანყების წინაალმდეგნი იყვნენ. დამოუკიდებლობის კომიტეტის დელეგატები ამათგან მოისმენდნენ და საქართველოში წაიღებდნენ დასაბუთებულ აზრს, რომ არსაიდან არავითარი დახმარება არ მოვიდოდა და რომ არსებულ პირობებში აჯანყების მოხდენა ქვეყნის დაღუპვა იქნებოდა. დამოუკიდებლობის კომიტეტის მიერ თავიდანვე აღებული ხაზის ძალით, ამას აჯანყების მოხსნა უნდა მოყყოლოდა. თუ არა და, მთელი პასუხისმგებლობა აჯანყებისა გაუნაწილებლად თვით კომიტეტს დააწვებოდა. მაგრამ აჯანყების აქტით დაინტერესებულმა მთავრობამ შეუძლებელი გახადა დელეგატებისათვის სწორი ინფორმაციის მიწოდება...

დანარჩენი მთელმა ქვეყანამ იცის: აჯანყება მოხდა, იგი დამარცხდა და საქართველო საკუთარ სისხლში ჩაახჩვეს...

საკითხავია: ქვეყანა და ერი რად გასცა ბედუკუღმართმა მთავრობამ? რად აგზავნა ამოდენი ქართველობა სამსხვერპლოზე? როცა რამდენიმე მართალი სიტყვა ქვეყანას იხსნიდა აგვისტოს უბედურობისაგან? განა მთავრობამ არ იცოდა, რომ საქართველოს არსაიდან არავითარი დახმარება არ ექნებოდა და რომ იგი უმოწყალოდ იქნებოდა გაქლეტილი? მაშ, რად დაალალატიანეს იგივე დელეაგატები, იგივე დამოუკიდებლობის კომიტეტი, იგივე შეთქმულები და ბოლოს მთელი ქართველი ერი? -

გარემოება მეცხრე. ·მთავრობას თავისი დარდი ჰქონდა: იგი ჰკარგავდა აქტუალობას და მნიშვნელობას. ხალხი და ქვეყანა უფრო და უფრო შორდებოდა. საერთო დავიწყებაში იძირებოდა. წამოღებული ხაზინაც ცარიელდებოდა და ეს უბრალო საქმე არ იყო, მიდგომ-მოდგომამ, ამ პირობებში, არსებობის წყარო ვერ გადმოადინა: ყოველგან ერთი პასუხი გაისმოდა - და ეს ფაქტიც იყო - რომ იგი უკვე უბრალო ემიგრანტ მთავრობად იყო გადაქცეული და ხალხს მიტოვებული ჰყავდა, რომ ბედს უნდა დამორჩილებოდა და წადილი შეეკვეცნა.

მთავრობას ამბიცია შეელახა, თავმოყვარეობა ასტკივდა. სხვა გზა არ იყო, ერის მოძრაობის ქარიშხალში უნდა განახლებულიყო მისი მივიწყებული სახელი და დაკარგული მნიშვნელობა. ამ სახით გამოსავალი მოინახა! მალე ეს თეზად დამუშავდა, ცოტა შემდეგში - მოძღვრებად გარდაიქმნა და ბოლოს სამოქმედო დირექტივად გამოცხადდა. ამიერიდან მთავრობა ამაზედ ფიქრობს და მუშაობს დღე და ღამე საქართველოშიაც და აქაც. საკითხი ასე დადგა: ან თვით მთავრობა უნდა მომკვდარიყო ნელი სიკვდილით, ან და უნდა დაემტკიცებინა, რომ ხალხი მასთან იყო. ეს მარტო აჯანყების გზით შეიძლებოდა. მთავრობამ არჩია და საბოლოოდ თავის გაწირვას ერის გაწირვა ამჯობინა. შესაძლებელი იყო ორად ორი შემთხვევა და იგი როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში მოგებული რჩებოდა - მაშინაც, როდესაც აჯანყება გაიმარჯვებდა და მაშინაც, თუ იგი დამარცხდებოდა. უმთავრესი იყო თვით ფაქტი აჯანყებისა, და აჯანყებაც მოხდა. ორი შესაძლებელი შედეგიდან გამართლდა ის, რომელიც ქვეყნისთვის საბედისწერო იყო. აჯანყება დამარცხდა. სამაგიეროდ მთავრობა "გამარჯვებული" გამოვიდა: მან დაამტკიცა რომ ხალხი მასთან იყო!..

ზნეობრივ კმაყოფილებას მალე ნივთიერიც დაემატა: მთავრობის გამარჯვებამ მისი მილეული ხაზინა გამოაცოცხლა... ანგარიში სწორი გამოდგა"...

საშინელი ბრალდებაა! მეტისმეტად ძნელია დეტალურად დაასაბუთოს ადამიანმა აქ

წამოყენებული ბრალდებანი. მაგრამ ასევე ძნელია დასაბუთებულად უარვყო ისინი. რადგან "მთავრობამ" თავისი საქმიანობა დასავლეთში სოციალისტებისათვის ჩვეული პარტიული კონსპირაციით შენიღბა და. არსებითად. შიდაპარტიულ საქმედ აქცია საქართველოს ბედი. ამას ფაქტებიც მოწმობენ და იმ. 1921 - 1934 წლების ("მთავრობა" თავის "მთავრობობას" ლეგაციით ამაგრებდა. თორემ რეალურად მას არავითარი ფუნქცია არ გააჩნდა საერთაშორისო ასპარეზზე მას შემდეგ. რაც "სსრკ" De facto და De jure იცნეს მსოფლიოს სახელმწიფოებმა აღსანიშნავია ისიც. რომ საქართველოს მთავრობა კი არ იყო ცნობილი დამუკიდებელ მთავრობად. არამედ თვით საქართველო. როგორც სახელმწიფო. და ეს ცნობა საერთაშორისო სამართლით ერთხელ და სამუდამოდ მომხდარი ფაქტია. იგი დღესაც მნიშვნელობს. ასე რომ ხელმეორე ცნობა საქართველოს დამოუკიდებლობისა იმ ქვეყანათაგან. რომლებმაც ერთხელ იცნეს უკვე საქართველოს დამოუკიდებლობა. აგარ იქნება საჭირო. ეს მომავლისათვის მეთად მნიშვნელოვანი მომენტია. ვფიქრობ. ეს ნიშნავს. რომ საქართველოს შინაგანი წყობის საკითხთან ამ საკითხის გადაბმა არასწორია იმთავითვე. საქართველო რეალპოლიტიკის მსხვერპლია და არა საერთაშორისო სამართლის ნორმათა შეცვლის. ამავე დროს. ლეგაციის არსებობა და ამავე დროს რუსეთის ცნობა მიუთითებს იმაზე. რომ ეს ორი აქტი ურთიერთს არ აბათილებს და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია) წერილებიც. გამოქვეყნებული როგორც საკუთრივ სოციალისტურ. ასევე ოპოზიციურ პრესაში. მაგრამ ეს საკითხი ჩვენი ჰიპოთეზის საზღვრებს სცილდება.

ცხადია. როდესაც სოციალისტური "მთავრობის" საქმიანობაზე ვლაპარაკობთ. უნდა ვიქონიოთ მხედველობაში ის იდეოლოგიური პრინციპები. რომლებიც განსაზღვრავენ მის პოლიტიკურ სტრატეგიას (ტაქტიკით) და ზნეობრივ პრინციპებს. ისტორიამ ერთმნიშნელოვნად დაადასტურა. რომ სოციალისტური პარტიისათვის საკუთარი პარტიული ინტერესები განსაზღვრავენ ყოველივეს და პარტია დგას საზოგადოებაზე ანუ ერზე მაღლა. ეს ისტორიით დადასტურებული დახასიათება ერთგვარად ამაგრებს (ფსიქოლოგიურ-ინტუიტიურ საფუძველს უდებს) აღნიშნულ ბრალდებებს. და გვაიძულებს მეტის ყურადღებით შევისწავლოთ საკითხი.

გადავხედოთ ვითარებას. რომელიც გვაქვს 1924 წლისათვის საქართველოში (უკვე საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შეყვანილის ძალისმიერად "ამიერკავკასიის ფედერაციის" გზით). მთლიანად სსრკ-ში (მოსკოვის პოლიტიკა) და დასავლეთში.

1. 1921 წლიდან მოყოლებული საქართველოში აჯანყება არ დამცხრალა. 1922 წელს აჯანყება ისე იყო მომზადებული. რომ საბედისწერო შემთხვევა არა. გამარჯვება. საერთო აღიარებით. უეჭველი იყო (იხ დ. ვაჩნაძის "1922 წლის აჯანყება". ს. ზალდასტანიშვილის "1924 წ. აჯანყება" და სხვა); აღსანიშნია და მეტად საყურადღებოც ის გარემოება. რომ ამ პერიოდში "მთავრობა" საკმაოდ ინდიფერენტული ჩანს აჯანყებისადმი და განაგრძობს თავის პროტესტებს საერთაშორისო სოციალისტური საზოგადოებრიობის წინაშე (ეს მომენტი მეტად თავისებურია საქართველოს "მთავრობის" საქმიანობაში - ძირითადი სააპელაციო ინსტანცია სოციალისტური ინტერნაციონალია. ან სოციალისტური ოპოზიცია და არა რეალური მთავრობები!). 1922 წლის აჯანყების შეფასება "მთავრობის" მიერ ადასტურებს. რომ აჯანყებიდან "მთავრობას" მხოლოდ თავის "გამოსალები" აინტერესებს და კიდეც ეშინოდა იმ აჯანყების (რომელიც ერთთავად ეროვნულ-დემოკრატიული ძალების მიერ იყო შემზადებულიც და ნახელმძღვანელებიც. ცხადია აჯანყებაში საქართველოში დარჩენილი უბრალო სოციალისტებიც მრავლად მონაწილეობდნენ. მაგრამ არა როგორც "სოციალისტები" - ასეთად სურდა წარმოეჩინა ისინი "მთავრობას". - არამედ როგორც პატრიოტი ქართველები. როგორც ქართველი ერი!) გამარჯვებას. შესაძლოა სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა. რომ "მთავრობა" 1924 წლისათვის უკვე აქტიურად ებმება საქმეში და ყოველნაირად ცდილობს წარმართოს მოვლენები. რომ აიცილოს თავიდან არსასურველი შემთხვევითობა - გამარჯვების შემთხვევაში ძალაუფლების ეროვნულ ძალთა ხელში გადასვლა. "მთავრობის" აქტიური ჩაბმა აჯანყების მომზადებაში 1922 წლის აჯანყების შემდეგ. გარკვეულწილად სოციალიზმისადმი ნაციონალური ალტერნატივის დაპირისპირების შიშით ჩანს გამოწვეული.

(სოციალიზმსა და ტოტალიტარიზმს არავითარი სხვა ალტერნატივა არ გააჩნია გარდა ნაციონალიზმისა. ამიტომაცაა. რომ ნაციონალიზმის ყოველნაირი დისკრედიტაცია სოციალისტური და ტოტალიტარული სისტემისა და ცნობიერების უპირველესი მიზანია. ტოტალიტარიზმი მხოლოდ ნაციონალიზმის მოსპობით ხორციელდება. ნაციონალიზმის დისკრედიტაციის მაგალითი. თვით კომუნისტური ტოტალიტარიზმის მიმდინარე გარდაქმნის სტრატეგიის გარდა. არის ნაციონალ-სოციალისტური გერმანიის ტოტალიტარული რეჟიმისადმი. როგორც ნაციონალისტური სისტემისადმი დამოკიდებულება. საქმე ის არის. რომ ნაციონალ-სოციალიზმში სწორედ სოციალიზმი იყო მატოტალიტარიზებელი პრინციპი. რომელმაც ნაციონალიზმი გამოიყენა მხოლოდ პირველ ეტაპზე. როგორც ინსტინქტური და პირველადი მაორგანიზებელი ძალა. რასიზმი. შოვინიზმი და სოციალიზმი გაცილებით უფრო ბუნებრივად უღლდებიან. ვიდრე ნაციონალიზმი და სოციალიზმი. რადგან ნაციონალიზმი თავისი არსებით სოციალური ერთობის (კლასთა ერთობის) მქადაგებელია და

******************************************************************************

ეროვნულ-კულტურული ერთობის პრინციპს აყენებს სოციალურ პრინციპზე მაღლა. და საფუძვლად სხვისი სიძულვილი კი არ უდევს. არამედ თავისის სიყვარული. მაშინ როდესაც სოციალიზმი თავისი არსებით არის მქადაგებელი კლასობრივი სიძულვილისა. და კლასთა ბრძოლისა. რაც ხდება საფუძველი შოვინიზმისაც და რასიზმისაც. ჰიტლერულიც და სტალინურიც სოციალისტური და კომუნისტური ტოტალიტარიზმი ამის ისტორიული დასტურია).

იმ ბრალდებათა შორის. რომელიც ქართულმა ეროვნულმა. ნაციონალისტურმა. მოძრაობამ წაუყენა სოციალ.-დემოკრატიულ მთავრობას. არის ბრალდება საქართველოს დამოუკიდებლობის შეგნე-ბული არდაცვისა ძალაუფლების დაკარგვის შიშით. ანუ იმაში. რაც დაფორმულებით შეიძლება გამოიხატოს სოც.-დემოკრატიული პარტიის ამ ორიოდე წლის წინ გარდაცვლილი თავმჯდომარის ვალიკო ჩუბინიძის კერძო გამონათქვამით: "რუსის ბოლშევიკები მირჩევნია ქართველ ნაციონა-ლისტებს!" ვფიქრობ ეს ფორმულა კარგად გამოხატავს იმ სიღრმით ზნეობრივ პრინციპებსაც. რომლებიც სოციალისტური პარტიის პოლიტიკას განსაზღვრავდნენ როგორც საქართველოში. ასევე უცხოეთში.

ოცდაოთხი წლის აჯანყების მზადების პერიოდში საქართველოში. დამსწრეთა გადმოცემით. გავრცელებული იყო ხმები. რომ ჟორდანია თავისი ჯარებით არის მომდგარი საზღვართან და ელოდება აჯანყების დაწყებას. რომ გაანთავისუფლოს საქართველოო. ამ. თავისუფლებისაკენ სწრაფვის რომანტიული ჰალუცინაციის უკან ჩანს სრულიად ტაქტიკური და ცივი პროპაგანდა "სოციალისტ-მხსნელისა". რომელსაც უნდა დაეჩრდილა ნებისმიერი სხვა "სახე" ეროვნული მებრძოლისა. ვინ ავრცელებდა ამ ხმებს? ვის ჰქონდა ინტერესი სოციალისტების ამგვარი გაღმერთებისა? - ცხადია. თვით სოციალისტებს (და. პარადოქსულად. ბოლშევიკებსაც. თავისი ტაქტიკური მოსაზრებით. ცხადია!). და პირველ რიგში "მთავრობას". რომელიც წინა აჯანყებებში არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა და ამდენად სრულიად უცხოვდებოდა საქართველოს სინამდვილიდან.

(ეს არაპირდაპირ იმითაც დასტურდება რომ ჯუღელის მიმართ თვით კომუნისტები ავრცელებდნენო ჭორებს. "თითქოს ვალ. ჯუღელს უცხოეთის ჯარის შეწევნით ქონოდეს განზრახული უკანვე დაბრუნება და საქართველოში სამოქალაქო ომის დატრიალება"-წერდა "თავისუფალი საქართველო" 1921 წ. 31 აგვისტოს. რამდენიმე წლის შემდეგ კი იგივე ჯუღელი იქნება შეგზავნილი საქართველოში 1924 წლის აჯანყების წინა თვეებში!).

არ დავივიწყოთ. რომ საბჭოთა პროპაგანდა თითქმის ძალით აკრავდა "მენშევიკურ მთავრობას" აჯანყებების მომწყობისა და მეთაურის იარლიყს. "მთავრობის" ეს ინდეფერენტულობა და ერთგვარი შიშიც კი საქართველოს აჯანყებების წინაშე. კარგად ჩანს ამ პერიოდის წერილებში: "თავისუფალი საქართველო". ერთადერთი ბეჭდვითი ორგანო ემიგრაციისა. რომელიც "მთავრობის" ხელთ იყო მხოლოდ იმ კონტექსტში მოიხსენიებს 1921-1922 წლების აჯანყებებს და საერთოდ ყოველგვარ გამოსვლებსა თუ რეპრესიებს. რომლებიც ხაზს უსვამენ ქართველი ხალხის უკმაყოფილებას სოციალური წყობით და დამოუკიდებლობის დაკარგვით. რომელსაც ასევე სოციალისტურ წყობას ე.ი. თავისთავს უიგივებენ. ეს საერთო ტენდენცია აჯანყებებისადმი დამოკიდებულებისა და "მთავ-რობის" ცალმხრივი ინტერესისა შეჯამებულად არის წარმოდგენილი ნოე ჟორდანიას წიგნაკში "რა მოხდა". რომელსაც ქვევით

1924 წლის აჯანყების მზადების პირველ ეტაპზე "მთავრობა" მართლაც იყო. შესაძლოა. დაინტერესებული აჯანყებით. და თავის გეგმებს აწყობდა. მაგრამ შემდეგ. დაახლოებით 1924 წლის მაის-ივნისიდან ვხედავთ ერთგვარ ცვლილებას "მთავრობის" პოზიციაში და ეს განსაკუთრებით საყურადღებო მომენტია. გადავხედოთ რა ვითარება იქმნება ამ დროისათვის საკუთრივ საბჭოთა კავშირში და ევროპაში.

1921 წლის მარტში ლენინი აცხადებს "ახალ ეკონომიკურ პოლიტიკას". ამან თუმც იმწამსვე არა. მაგრამ გარკვეული ხნის შემდეგ იმედები ჩაუსახა მსოფლიოს (კაპიტალისტურს!). რომ ბოლშევიკები გონს მოეგენ და ნორმალურ კალაპოტში დგებიანო. საერთაშორისო ასპარეზზე მოხდა ერთი მეტად მნიშვნელოვანი ამბავი - დაიდო "რაპალოს ხელშეკ-რულება" გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის. ამან ერთგვარად შეაშფოთა "ვერსალის კოალიცია". რომლის მკვეთრად ანტიგერმანული ხასიათი არავისთვის არ იყო დაფარული. (ლენინმა "მტაცებელთა და ავაზაკთა ხელშეკრულება" უწოდა თავის დროზე "ვერსალის ზავს"). გერმანია - სსრკ-ს (რუსეთის. როგორც განიხილავდნენ და განიხილავენ ფაქტობრივ საფუძველზე ამ "კავშირს") კავშირი დიდად შემაშფოთებელი იყო ევროპისთვის და ამ კავშირის არაკონტროლირებადი და უმართავი ხასიათი მალე იჩენს კიდეც თავს. ამავე დროს ასპარეზზე გამოდის აშშ. რომელსაც ევროპაში ახალშემოდგმული აქვს ფეხი და. რომელიც. ცხადია სრულიადაც არ ფიქრობს ევროპაზე - იწყება ამერიკის "წითელი ხალიჩის" ეპოქა ანუ ამერიკელი კაპიტალისტების დაინტერესება საბჭოთა კავშირით. ახ. ეკ. პოლ. ამის საწინდარს ქმნიდა. "ჩასაფრებულებში" იყვნენ ყველასათვის ცნობილი "სოვეტოფილები" (თუ რუსოფილები) არმან ჰამერი და ევერელ ჰარიმანი. თავისი მხრით ევროპის სახელმწიფოების შეშფოთება თავს იჩენდა ერთგვარ გაურკვევლობაში: ერთის მხრით ყველა ხედავდა. რომ იქმნებოდა (თუ შეიქმნა კიდეც) ახალი

************************************************************************************

კოლონიალური იმპერია, რომელსაც ანგარიში უნდა გაეწიოს როგორც აღმავალ ძალას და უზარმაზარ პერსპექტიულ ბაზარსა და რეზერვუარს (წიაღისეულისა და სამუშაო ძალის), რაც აიძულებდა ყველას **პრაგმატისტული** პოლიტიკა ეწარმოებინა, ხოლო მეორეს მხრივ კი ამ იმპერიის კავშირი გერმანიასთან ბადებდა შიშს, **გერმანიის ხელახალი აღზევებისა** და მით ევროპისათვის (და, განსაკუთრებით, ვერსალის "მტაცებლებისათვის") დიდი საფრთხისა. მოსკოვის პოლიტიკური თამაში სწორედ ამ ბივალენტურობაზე იყო აგებული. ახალი ეკონომიკური პოლიტიკა იმ ბაწრის ყულფი იყო, რომელიც ბურჟუაზიას თავისით უნდა მიეყიდა ბოლშევიკებისათვის და რომელზედაც ეს უკანასკნელნი მასვე ჩამოახრჩობდნენ. თითქოს-და ნათელი უნდა ყოფილიყო, რომ ერთადერთ ალტერნატივას შექმნილ ვითარებაში წარმოადგენდა ევროპის მკვეთრი და პრინციპული პოზიცია დაფუძნებული მათ მიერ დამოუკიდებელი სახელმწიფოების ცნობაზე (ბალტიისპირეთის, უკრაინის, ამიერკავკასიის და სხვა სახელმწიფოები, რომლების 1921 წლისათვის იყვნენ ცნობილნი De Jure მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოთა და რაც მთავარია "დიდ" სახელმწიფოთა მიერ), ე.ი. ყოველგვარი ღონისძიებით ამ სახელმწიფოთა უფლებების დაცვისაკენ მიმართული პოზიცია. მაგრამ გამანადგურებელი ომიდან ახალგამოსული ევროპა ეკონომიკური ინტერესებით უფრო იყო შეპყრობილი, ვიდრე გეო-პოლიტიკურით და, ამიტომაც "აეპის" მიერ წარმოქმნილ კონკურენციაში ჩაეფლო სალი პოლიტიკური ალტერნატივა: მხარდაჭერა იმ ბრძოლისათვის, რომელსაც რუსეთის მიერ დაპყრობილი სახელმწიფოები და ერები აწარმოებდნენ დამპყრობელისაგან გასათავისუფლებლად. ამ ვითარებაში, ცხადია, ემიგრაციაში მყოფ ძალებს უნდა გაერკვიათ ის რეალური ვითარება და მისწრაფება, რომელიც ჰქონდათ ევროპის გეოპოლიტიკურად რთულ ხლართში აღმოჩენილ მთავრობებს - საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიისა თუ ნებისმიერი სხვის, რომელზედაც საქართველო ამყარებდა იმედს. მაგრამ, ამის ნაცვლად, მოხდა არა მთავრობებთან უშუალო დაკავშირება, არამედ ძირითადად სოციალისტებთან ძიება "სამართალისა". (თუ სოციალისტი მთავრობაში შედიოდა, მაშინ ეს მთავრობასთან ურთიერთობად აღიქმებოდა). ყოფილი ქართული მთავრობა, რეალური გზების ძიებას (ანუ მოქმედ მთავრობებთან და ძალებთან დაკავშირება და გარკვევა რეალური შესაძლებლობებისა...) ამჯობინებდა თავის მოძმე სოციალისტურ ოპოზიციასთან თანამშრომლობას და კმაყოფილდებოდა სოციალისტური ბრტყელსიტყვაობით, რომელსაც არსებითად არაფერი მოჰქონდა საქართველოსათვის, ხოლო იყო ერთგვარი საშუალება სოციალისტური "მთავრობისათვის" თავისი პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ. განსაკუთრებით საფრანგეთში გამოჩნდა ეს აშკარად. ასე მაგალითად, პიერ რენოდელის (სოც.) ცნობილი გამოსვლა პარლამენტში, საგარეო საქმეთა ბიუჯეტის დამტკიცების დროს, (ამ გამოსვლის ხსენება განსაკუთრებით უყვართ ქართ-ველ სოციალისტებს!), არსებითად ემსახურებოდა მარსელ კაშენთან (კომ.) პაექრობას, და საქართვე-ლოს ყოფილი მთავრობის დაცვას. თუმც რენოდელმა საკმაოდ ბევრი ილაპარაკა საქართველოზე, მაინც, საერთო კონტექსტში ეს იყო არა "სიტყვა საქართველოზე", არამედ სიტყვა ბიუჯეტზე და სსრკ-სთან ურთიერთობაში სიფრთხილეზე. ამიტომაც უსვამდა ხაზს რენოდელი:

"Je disais tout à l'heur, que ce n'était pas d'aujourd'hui que nous voulions la reconnaisance; ce n'est pas non plus d'aujourd'hui que nous nous sommes montrés d'accord avec la formule que M. de Monzie avait employée: "Nous voulons recconaître la Russie soviétique sans conditions, mais non pas sans réserves."

Sans conditions, car nous le savions bien, vouloire poser, au sueil même de la reconnaisance elle-même et la reprise des relations economiques et politiques avec la Russie."

სწორედ რეზერვებში არის ხაზგასმული საქართველოს საკითხის მნიშვნელობა, რომელმაც რენოდელის ვრცელი და საკმაოდ დეტალური სიტყვა გამოიწვია. მაგრამ ამ რეზერვის მნიშვნელობა ემიგრაციაში მყოფი მთავრობისათვის (მათი პირადი სტატუსისათვის) უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე საქართველოსათვის. იგივე შეიძლება ითქვას ყველა სხვა "რეზერვებზე", რომელთა ინტერპრეტაციაც დღემდე თვითნებურად ხდება "ვისაც როგორ აწყობს" პრინციპით. რენოდელის ამ სიტყვის განხილვას აქ ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს მხოლოდ აღვნიშნავ ამ სიტყვის დასასრულს, სადაც ნათლად ჩანს თუ რამ გამოიწვია ეს სიტყვაც და მისი "ქართული" პათოსიც:

"M. Jordania, l'ancien président de la République géorgienne, au mois de mars 1921, c'est-à-dire quelques jours après, disait: Nous sommes prêts à accepter des arbitrages. Que l'armée rouge se retire de Géorgie!... - c'est la conclusion de son document - ... Que le gouvernement russe laisse au peuple géorgien le droit de disposer de lui-même et d'organiser sa vie et son Etat selon sa propre volonté! Que l'on consulte le peuple géorgien lui-même!....

Les géorgiens ne se lessent pas. C'est ainci que, le 5 Juillet 1923, ils proposent qu'une commission formée par un nombre

égal de communistes et de socisqlistes occidentaux vienne en Géorgie pour examiner la situation dans le pays et pour faire ressortir la véritable volonté du peuple.

Nous acceptons, ajoutent-ils, que la commission consulte non pas toute la nation, mais seulement les ouvriers et les paysans, c'est-à-dire ceux qui d'après la constitution sovietique, disposent du droi électoral, et qui, d'après vos affirmations seraient les maîtres du pays.

Je n'ai pas besoin de dire que cette dernière demende, de 1923, n'obtint pas plus de réponce favorable que celles de 1921 et 1922.

შემდეგ რენოდელი ეხება აჯანყებებს და ამგვარ, მართლაც გასაოცარ, რამეს ამბობს:

"J'arrive à l'insurrection d'août-septembre 1924, à propos de lequelle nous avons aussi à donner quelques explications.

Ses causes naturelles d'abord.

J'ai entre les mains, pour la période de 1921 à 1924, un dossier considerable de terreur, arrestation, emprisonnement, fusillades. Les preuves sont nombreuses, , mais je n'insiste pas sur cela, sauf pour dire que c'est la politique de repression, appliquée à la Géorgie par les bolcheviks de Russie et seux de Géorgie qui ont pris le gouvernement, c'est cette politique qui a, comme toujours provoqué l'insurrection d août-septembre.

Il y avait un homme qui l'avait prévue. Un homme dont on ne contestera certainement pas l'autorité, Lenine, qui, dans une lettre célébre, a indiqué au gouvernement bolcheviste de Russie lui-même qu'il faudrqit essayer de détendre les chose. Même, dans un des documents que je vous ai lus à l'heur, il indiquait:

Il est d'une extrême importance de chercher une entente accepteble pour la formation d'un bloc avec Jordania - l'ancien président de la République géorgienne - ou autres mencheviks géorgiens tels que lui...

**Cela ne s'est pas produit. Il y a eu insurrection."**

რენოდელის სიტყვის პათოსი ერთის მხრივ აშკარად არის მიმართული არა მარტო იმის გასაბათილებლად, რომ აჯანყება არ ყოფილა მოწყობილი "გარედან", კერძოდ სოციალისტური ძალების და თვით რენოდელის აქტიური დახმარებით (ამას აბრალებდნენ კომუნისტები: "პრავდა" და "L'hunanité") არამედ ქართველ სოციალ-დემოკრატთა (ანუ მენშევიკური მთავრობის) გასამართლებლად ამ ბრალდებისაგან. რადგან აშკარაა, რომ რენოდელი მოქმედებდა თავისი მოძმე და მეგობარი ქართველი სოციალ-დემოკრატების შეგონებითა და თხოვნით, ამიტომ ეს მისი დაყინებული ცდა განსაკურებულ ყურადღებას იმსახურებს და გვაფიქრებს, რომ ამ დროს, ე. ი. 1925 წლისათვის (აჯანყების შემდეგ) "მთავრობას" არანაირად არ აწყობდა მიეღო თავის თავზე აჯანყების მომწყობისა და წამმართველის როლი. აქ უფრო მეტი იყო, ვიდრე დამარცხებით გამოწვეული პასუხისმგებლობის თავიდან აცილების ცდა (ეს რომ მართლაც ასე იყო გვარწმუნებს თვით ნოე ჟორდანიას სიტყვებიც: "აჯანყებამ თავისი გააკეთა და აღარ უნდა განმეორდესო"). ეროვნული ძალები, რომელნიც მართლა წინააღმდეგნი იყვნენ აჯანყებისა დასაწყისში და იძულებულნი შეიქნენ ბოლომდე გაჰყოლოდნენ მას სწორედ საპირისპირო ვითარებაში აღმოჩნდნენ. კომუნისტები ჯიუტად განაგრძობდნენ მენშევიკების დადანაშაულებას, მენშევიკები კი უარყოფდნენ თავის მონაწილეობას და ნოე ჟორდანიას ცივი და თითქმის ცინიკური "ანალიზით" აჯანყებას ქართველი ერის სტიქიურ აღშფოთებას მიაწერდნენ უფრო, ვიდრე რაიმე ორგანიზებულ ჩანაფიქრს. რენოდელის სიტყვაში ეს კარგად ჩანს.

"Ainsi, de leur propre aveu, non seulement Jordania n'a pas organisé du dehors l'insurrection, mais il avait conseillé à ses amis de ne pas la faire..."

"A la verite, c'est ainci le socialisme lui-mem que nous defendons...contre la deformation bolcheviste. Voila la verite..."

ქართული წყაროები ერთთავად უსვამენ ხაზს, რომ თავიდან (როგორც აღნიშნულია სპ. კედიას ბრალდებაში) "მთავრობა" ყოველნაირად ცდილობს იყოს აჯანყების მეთაურიც და ორგანიზატორიც, ხოლო შემდეგ კი, მოულოდნელად იცვლის გეზს და იხევს უკან (ზუსტად საწინააღმდეგოდ იმისა რასაც ეროვნული ძალები აკეთებენ).

არ უნდა დავივიწყოთ, რომ მთელი ეს პერიოდი ემთხვევა ლენინის სიკვდილს (და რადიკალურ ცვლილებებს მოსკოვში) და ქართველი კომუნისტების ეგრეთ წოდებულ (სტალინის მიერ) "ნაციონალ უკლონიზმს". რაც არც თუ ისე უმნიშვნელო ფაქტორია. მაგრამ ამჟამად ყურადღება მივაპყროთ ერთ მომენტს: საქართველოს ყოფილი მთავრობა საკმაოდ აქტიურად გამოდის საქართველოს უფლების დასაცავად. მაგრამ რადგან იგი არსებითად სოციალისტებს მიმართავს ცხადია, რომ იცავს არა საქართველოს (მთლიანად) უფლებას, არამედ თავისი, როგორც სოციალისტური მთავრობის უფლებებს. ამის დამადასტურებლად საკმარისია გავიხსენოთ ნ.ჟორდანიას წერილი (რენოდელის მიერ ნახსენები), რომელშიც იგი ბოლშევიკებს საერთაშორისო სოციალისტურ და მუშათა სასამართლოს წინაშე მათი დავის გარჩევის წინადადებას აძლევდა და თანახმა იყო ამ

გადაწყვეტილებას დამორჩილებოდა. საქართველოს პრეზიდენტს თავში არ მოსვლია, რომ საქართველო მარტო კომუნისტებიდან და სოციალისტებიდან არ შედგებოდა და რომ საერთაშორისო სოციალისტური სასამართლო არ იყო უფლებამოსილი გადაეწყვიტა საქართველოს რესპუბლიკის ბედი. ეს აშკარად მიუთითებს რომ სოციალისტური მენტალიტეტი იმთავითვე "პარტიულ-ეტატურ" ჩიხშია მოქცეული და თავისი ბუნებით ტოტალიტარისტულ პარტოკრატიული. თავის წერილის "იმპერიალიზმი რევოლუციის ნიღაბ ქვეშ" პასუხათ ბ. ტროცკის (თავ. საქ. 25; 1922 წ.) - დასკვნით ნაწილში ნოე ჟორდანია, "დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტი" ასეთ წინადადებას აძლევდა ტროცკის:

"საქართველოს საკითხი უნდა
მოწესრიგდეს არბიტრაჟის საშვალებით.

ბ. ტროცკი თავის ბროშიურაში გვიწვევს გამოვაქვეყნოთ ჩვენი არქივის ყველა დოკუმენტები.

კამათის დასასრულ მე მინდა ამ წინადადებასაც გავსცე პასუხი. და მე ვაცხადებ: ჩვენ სიამოვნებით ვიღებთ გამოწვევას და საქმის დასაჩქარებლათ შემდეგ წინადადებას ვაძლევთ ბ-ნ ტროცკის:

გადავცეთ ყველა დოკუმენტები საქართველოს შესახებ ინტერნაციონალურ პროლეტარიატის მიუდგომელ ტრიბუნალს. დაე მან საკითხი შეისწავლოს და გამოიტანოს თავისი განაჩენი.

ჩვენ წინდაწინვე ვიხრით თავს ამ განაჩენის წინაშე. დაე ბოლშევიკებმაც დასდონ ასეთივე პირობა.

ველი პასუხს.

ნ. ჟორდანია."

მე ვფიქრობ ამას კომენტარიც არ სჭირდება!

საქართველოს აჯანყებებს მთავრობა დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს და არ უშვებდა ხელიდან მომენტს ამ აჯანყებების გამოყენებისა თავის პროპაგანდისათვის - ამის მაგალითებიც მრავლადაა მათს ნაწერებში. მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ისაა, რომ მთავრობის დუმილი შეხვდა 1922 წლის აჯანყებას. ეს აჯანყება, რომელიც ესოდენ კარგად იყო მომზადებული "მთავრობის" ჩაურევლად და ქართული ეროვნული ძალების მიერ, მეტად დამაფრთხობელი აღმოჩნდა "მთავრობისათვის". ისეთი შთაბეჭდილება იქმნება თითქოს ეს აჯანყება არც კი აინტერესებდა მას, და მის მიმართ ყურადღებას იჩენს მხოლოდ საჩვენებლად იმ რეპრესიებისა, რომლითაც ბოლშევიკები ანადგურებდნენ ეროვნულ ძალებს. ნეკროლოგებსაც კი რომ აქვეყნებენ, აქვეყნებენ ძირითადად დაღუპულ სოციალისტებისა (ამ დროს პრესა მხოლოდ მთავრობას ჰქონდა), რომ შექმნილიყო სურათი ერთადერთი რეალური მებრძოლისა საქართველოსათვის - სოციალისტურ-დემოკრატიული პარტიისა და მისი მთავრობისა. ეს ცხადია ხელს უწყობდა ბოლშევიკების ანტი-ნაციონალისტურ ბრძოლასაც საქართველოში და აფერხებდა ძალთა იმ აუცილებელ გაერთიანებას, ურომლისოდაც საქართველოსათვის ბრძოლა შეუძლებელი იყო.

ამან ერთგვარად განაპირობა ისიც, რომ მთავრობამ დაიწყო ზრუნვა საქართველოში თავისი ავტორიტეტის პროპაგანდისათვის და ეროვნული ძალების კონსოლიდაციაში მონაწილეობისათვის. მაგრამ რისთვის?

ეს ის პერიოდია, როდესაც ახალი ეკონომიკური პოლიტიკა ქართველი სოციალისტების მიერ უარყოფით შეფასებას და სოციალიზმიდან კაპიტალიზმისაკენ დახევად აღიქმება (ღალატი!) - ნოე ჟორდანიას წერილებში ეს კარგად ჩანს. (იხ. 1921-1922 წლების "თავისუფალი საქართველო", აგრეთვე "ბრძოლა" 1925 წლისა და, განსაკუთრებით წერილები კონცესიების გაცემაზე. ამას ერთი ასპექტიც აქვს: კაპიტალიზმის "დაბრუნება" წყალს უყენებს სოციალისტურ საქართველოს და მის მთავრობას მთელი ევროპის თვალში (ამერიკა მტერია მათთვის ჯერ კიდევ). ამერიკამ ხომ არ ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა (და ე.ი. არც დაპყრობა) და განაცხადა, რომ "არ არის დაინტერესებული რუსეთის იმპერიის დაშლაში". ამიტომ ბუნებრივია, რომ 23 წლის აჯანყების მკვეთრად ეროვნული ნიადაგი და ძალები, გახსნილ "საბაზარო ეკონომიკასთან" ერთად, შეაშფოთებდა მთავრობას. ამიტომაც იგი აჯანყებით არა თუ "ფორმალურად", როგორც ფიქრობს სპ. კედია, არამედ ნამდვილად იყო დაინტერესებული. დრო მათ საწინააღმდეგოდ მოქმედებდა და ეროვნული ძალების სასარგებლოდ. აქედან გამომდინარეობს ის აქტიურობაც, რომლითაც მთავრობა ჩაება ახალი აჯანყების მომზადებაში (ცხადია, როგორც სოციალისტებს სჩვევიათ, "ხმაური" მეტი იყო, ვიდრე საქმე, მაგრამ აქტიურობა და სწრაფვა ნამდვილად შეიმჩნევა) - ასე გრძელდებოდა, როგორც ითქვა, 24 წლის მაის-ივნისამდე. მერე უეცრად მოხდა შემობრუნება...

მე ვიზიარებ აზრს, რომ ყოფილ მთავრობას "გაუჭირდა", ფინანსიურადაც და მორალურადაც. ეს არც გასაკვირია, რადგან ამ მთავრობის, ისევე, როგორც საქართველოს, წონა ევროპაში დიდად არც ფასობდა არასოდეს. მითუმეტეს მას შემდეგ, რაც ინგლისელები აიძულეს რუსებთან დადებული ხელშეკრულების საიდუმლო მუხლით დაეტოვებინათ საქართველო.

(1925 წელს ნოე ჟორდანია ჩვეული სოციალისტური პათოსით თვალთმაქცობდა მოუყვდა რა ჩიჩერინის სიტყვები იგი წერდა:

"ბათომიდან ინგლისელების წასვლის შემდეგ ლოიდ ჯორჯმა განუცხადა ამხ. კრასინს, რომ ინგლისი არ ჩაერევა საბჭოთა რესპუბლიკისა და კავკასიის ურთიერთ დამოკიდებულებაში და რომ იგი კავკასიას უცქერის როგორც საბჭოთა რესპუბლიკის გავლენის სფეროს"("კომ." 5მარტი 1925)

ე.ი. ლოიდ ჯორჯმა ნება დართო ჩიჩერინს საქართველო თავის "გავლენის სფეროში" მოექცია, აიცა გამოიხატა მის

**********************************************************************

ანექსიაში. აქ მოხდა ბოლშევიკური და ბურჟუაზიული იმპერიალიზმის შეთქმულობა თავისუფალი ერის წინააღმდეგ. მარქსი ითხოვდა კავკასიის განთავისუფლებას რუსეთისაგან. ლოიდ ჯორჯი კი, პირიქით. მას უტოვებს რუსეთს. ხოლო ჩიჩერინი ეურდნობა არა მარქსს. არამედ ლოიდ ჯორჯს. ის სცნობს არა ნაციათა თანასწორობას, არამედ მათ ანექსიას!" ("ბრძოლა" 1. გვ 8.)

აქ დემაგოგია იმაში მდგომარეობს. რომ აღშფოთება სოციალისტისა ერთის წუთითაც არ ახსენებს მას თავის მიერვე მოსკოვთან დადებული ხელშეკრულების იმ საიდუმლო მუხლს. რომლითაც ინგლისი. საქართველოს დასახმარებლად მოსული. გაძევებულ იქნა საქართველოდან სწორედ საბჭოთა ბოლშევიკური რუსეთის დაყინებით. რასაც სრულიად ბუნებრივად შეეძლო გამოეწვია ინგლისელებში იმის გრძნობა, რომ საქართველო არ არის ღირსი თავისუფლებისო! და გაძევებულმა "დაუთმო" საქართველო მისსავე "მთავრობისავე" "თანამოძმე-მობიძაშვილე" სოციალისტ-ბოლშევიკებს. არავინ იცის (თუმცა დიდი გამოსაცნობიც არ არის!) რას იტყოდა ან მოიმოქმედებდა ლოიდ ჯორჯი საქართველოში რომ დარჩენილიყო; და რუსეთიც ხომ, ცხადია, ვერ გაბედავდა ვიდრე ინგლისელები იქ იდგნენ. საქართველოზე თავდასხმას. მაგრამ ინგლისელების საქართველოში ყოფნა არა მარტო საბჭოთა რუსებს, არამედ სოციალისტ ქართველებსაც არ აწყობდათ. სრულიად გასაგები მიზეზებისა გამო - ინგლისელების საქართველოში დგომა ეროვნული ერთობის ძალების ანუ ანტისოციალისტური და ანტიკომუნისტური ძალების ან ეროვნული ძალების განმტკიცებას შეუწყობდა ხელს (ეს პროცესი დაწყებულიც იყო უკვე). ამის კი სოციალ-დემოკრატებს უფრო ეშინოდათ. ვიდრე თავისი ძუძუმტე ბოლშევიკებისა.

თუკი ვინმესთან მიესვლებოდა ამის შემდეგ მთავრობას. ისევ მათი "ძმა-ამხანაგი" სოციალისტები იყვნენ. მაგრამ სოციალისტების გავლენა რეალურ პოლიტიკაში გადამწყვეტი ვერ იქნებოდა და. ცხადია. დასავლეთის ქვეყნების პლიტიკური პრაქტიციზმი განსაზღვრავდა რეალპოლიტიკას და არა სოციალისტური ინტერნაციონალის გადაწყვეტილებანი. ამიტომ იყო. რომ რუსეთის ცნობამ არ დააყოვნა და მიუხედავად "რეზერვებისა" (რომელთა გაკეთება არ იყო ძნელი. რადგან ისეთ აბსტრაქციებს წარმოადგენდნენ ეს რეზერვები. რომ ვისაც როგორ უნდოდა და აწყობდა. ისეთ ინტერპრეტაციას უკეთებდა. იხ მაგალითად გერმანელების "რეზერვი" რაპალოში და სხვა). ამგვარ ვითარებაში. ცხადია. საქართველოს ყოფილი მთავრობა მხოლოდ "სოციალისტურ თანაგრძნობას" ემყარებოდა და გასაგებია (თუმც ასევე არმისაღები და არგასამართლებელი!) ისიც. რომ ეს სოციალისტური მთავრობა ცდილობდა მხოლოდ სოციალისტებისათვის შეეწყო ხელი და დასავლეთში (ემიგრაციაში) ისევე ებრძოდა ეროვნულ ძალებს. როგორც სახლში. მთავრობად ყოფნისას. სწორედ ეს არის ასახული სპირიდონ კედიას და. ერთობ ოპოზიციის ანუ ეროვნულ ძალთა მიერ კრიტიკაში. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა "მთავრობის" დამოკიდებულება ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და მისი შეფიცულებისადმი. ისევე. როგორც 24 წლის აჯანყების შემდეგ გამოსულთადმი (იხ. სულხანიშვილის და სხვა მოგონებები. იმდროინდელი პრესა).

აჯანყება. ამდენად იყო გზა ამ საქმის გამოსწორების. მაგრამ გამოსწორება შეიძლებოდა არა მარტო აჯანყებაში მონაწილეობით და მეთაურის როლის გათამაშებით. არამედ მაშინაც. თუ დამარცხება გაიყიდებოდა სარფიანად. და აი ჩვენი თვალთახედვის არეში ექცევა ისეთი მოვლენა. როგორიცაა ჭიათურის კონცესია და კაპიტალისტური "წითელი ხალიჩა".

წიგნში "წითელი ხალიჩა" (Joseph Finder "Red Carpet" N.Y. 1983 გვ 55-57)ვკითხულობთ: (დააკვირდით თარიღებს).

"1924 წელს ავერელ ჰარიმანმა შეიტყო რომ საბჭოთა მთავრობა აქირავებს მსოფლიოს უდიდეს მარგანეცის საბადოს. ჰარიმანმა უმალვე მოაგვარა საქმე და 1925 წლის 19 იანვრისათვის საქმე უკვე გაჩარხული იყო. 3 მილიონ 450 ათას დოლარად ავერელ ჰარიმანმა შეიძინა ჭიათურის საბადოს 20 წლის დამუშავებისა და ექსპორტის უფლება. ეს იყო ყველაზე დიდი ამერიკული კაპიტალდაბანდება საბჭოთა რუსეთში.

20 წლის განმავლობაში. 1925-1945 წლებში. ჰარიმანს უნდა გაეზიდა საქართველოდან 16 მილიონი ტონა მარგანეცი. ამასთანავე. ჰარიმანს უნდა გაეყვანა ორმხრივი ფართოლიანდაგიანი რკინიგზა ჭიათურასა და ფოთს შორის. ნაცვლად არსებული ვიწროლიანდაგიანი რკინიგზისა. საგარანტიოდ ჰარიმანმა 1 მილიონი დოლარი შეიტანა საბჭოთა სახელმწიფო ბანკში.

1924 წლის 12 ივნისს (უნდა იყოს 1925 წ. -ჯ.კ.) "ჰარიმანი და კომპანიას"-ს ვიცე-პრეზიდენტმა ელიოტმა და უმაღლესი სახალხო ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარემ ძერჟინსკიმ - რომელიც ამავე დროს ჩეკას მეთაურობდა - კრამლში ხელი მოაწერეს 52 გვერდიან კონტრაქტს.

კონტრაქტით გათვალისწინებული იყო. რომ ჰარიმანი თავისი სახსრებიდან გადაუხდიდა ფულს ჭიათურის საბადოთა ყოფილ მფლობელებს. რომლებიც რევოლუციამ იძულებული გახადა საზღვარგარეთ წასულიყვნენ. ჰარიმანმა ეს ვალიც გადაიხადა და დიდი ხნის განმავლობაში იღებდა მადლიერების წერილებს მათგან - ყოფილ მფლობელთაგან. უკანასკნელი წერილი მან 1981 წელს მიიღო.

1925 წლის 27 ივლისს სხვა მეწარმენიც შეუერთდნენ ჰარიმანს და "საქართველოს მარგანეცის კომპანიამ" ბინა დაიდო ნიუ-იორკში. ბროდვეიზე. 39 ნომერში. ჰარიმანი იმედოვნებდა პროექტიდან 120 მილიონი დოლარის გაკეთებას."

ჩვენთვის საინტერესო სწორედ ეს პირველი პერიოდია. რადგან იგი ემთხვევა 1924 წლის აჯანყების მომზადებას და თვით აჯანყებას და ჩემი ჰიპოთეზის საფუძველს ქმნის. (აღნიშნულ წიგნში შემდგომი მოვლენები ასეა აღწერილი:

"მცირე ხნის შემდეგ საბჭოელებმა ჰარიმანისაგან მოითხოვეს საბადოს მუშათა ხელფასის 15% გაზრდა. გამოირკვა. რომ ჭიათურა-ფოთის რკინიგზის ღირებულება გაორმაგდა და გახდა 4 მილიონი დოლარი. ხოლო. უფრო სერიოზული იყო ის. რომ საბჭოელებმა. კონტრაქტის პირობების დარღვევით. გახსნეს

ნიკოპოლის მარგანეცის საბადო უკრაინაში და მისცეს გერმანელების კონცისტორიუმს უფრო ხელსაყრელი პირობები. ჰარიმანთან დადებული კონტრაქტის მიხედვით კი საბჭოელები თავს იყალდებულებდნენ არ გაეხსნათ ახალი საბადო ჭიათურის საბადოს მახლობელ არეში. გერმანელებმა ნიადაგი შეურყიეს ჰარიმანის ჯგუფს. ამასთანავე ბრაზილიიდან და აფრიკიდან დაიწყეს მარგანეცის მსოფლიო ბაზარზე გატანა. ჰარიმანი იძულებული შეიქნა დაეწია მარგანეცის ფასისათვის.

"საქართველოს მარგანეცის კომპანიამ" დაიწყო ფულის საგანგაში დაკარგვა.

რუსების მიერ სახელდებული "უდიდესი ამერიკული კონცესია საბჭოთა კავშირში" გადაიქცა "ჰარიმანის სისულელედ" ცნობილ წამოწყებად.

მოგვიანებით საბჭოთა ისტორიკოსები ჰარიმანს ბრალს სდებდნენ. "რომ მას უნდოდა მსოფლიო ბაზარზე მონოპოლიის დაწესება" რაც საბჭოთა პრინციპების წინააღმდეგი იყო" (იქვე)

რადგან ამ საკითხს არასოდეს არ შეხებიან. ვფიქრობ. საინტერესო იქნება გავიხსენოთ რას წერდნენ ამ კონცესიის შესახებ "ბრძოლის" კორესპონდენტები:

"ჭიათურის შავი ქვის კონცესია.

12 ივნისს მოსკოვის მთავრობამ ხელი მოაწერა პირობას. რომლის თანახმად ჭიათურის შავი-ქვის წარმოება და ექსპლოატაცია. 20 წლის ვადით. საჯსებით გადაეცა ამერიკულ ფირმას - ჰარიმანს და კომპ. ჯერ ჩვენამდის არ მოუღწევია საბჭოთა გაზეთებს. მაგრამ ახლავე შეიძლება იმის თქმა.. რომ საბჭოთა პრესაში ეს მოქმედება აღნიშული იქნება. ბოლშევიკების ენით რომ ვსთქვათ. როგორც დიდი გამარჯვება "საკონცესიო ფრონტზე". ...

წელიწადზე მეტია. რაც ჰარიმანის და ბოლშევიკების წარმომადგენელთა შორის სწარმოებდა მოლაპარაკება: ამის დაბოლოება შედეგია ბოლშევიკების მხრივ უსაზღვრო დათმობის. ხოლო ამერიკელების მხრივ იმ ცნობილ გამბედაობის. რომლის გამო ესენი ერთი და ორი მილიონი დოლარის დაკარგვას არაფრად აგდებენ ხოლმე.

დზერჟინსკის. ალბათ ძლიან გახარებულს. პირობაზე ხელის მოწერისთანავე განუცხადებია ამერიკელ პრესის ("ასისიეიშედ პრესს") წარმომადგენლისათვის. რომ დადებულ ხელშეკრულებას ორივე მხარისათვის დიდ მნიშვნელობა ექნებაო... მოსკოვმა კარგა ხანია გადასწყვიტა საქართველოს ეკონომიურად დამორჩილება. კერძოთ შავი-ქვის მრეწველობაც დიდი ხანია ნიშანში ჰქონდა ამოღებული: სცადეს იმის მითვისება ჯერ რაბინოვიჩების საშუალებით. შემდეგ "არკოსს" ჩააბარეს იგი და ახლა საბოლაოდ მიართვეს ამერიკელ კაპიტალისტებს. 12 ივნისის ხელშეკრულება მოსკოვის კოლონიალურ პოლიტიკას აგვირგვინებს და ეს. რა თქმა უნდა. დზერჟინსკის გაახარებდა....

ბოლშევიკებმა უხეშად უღალატეს ამასთანავე მრეწველობის ნაციონალიზაციის პრინციპს და ეს საქართველოს უდიდესი მრეწველობა უცხოელ კაპიტალისტს ჩაუგდეს ხელში ისე. რომ მათ. როგორც ადგილობრივ ხელისუფლებას. ალარავითარი მონაწილეობა საქმის მართვა-გამგეობაში ალარ ექნებათ.... ("ბრძოლა" №1 1925 წ. გვ. 15-17)

"საქართველოს ელჩის პროტესტი

ჭიათურის გაცემის გამო.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩმა პარიზში აქაკი ჩხენკელმა. გადასცა ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს ამავე ქალაქში საპროტესტო ნოტა რუსეთის მთავრობის მიერ ამერიკელ მოქალაქეებზე ჭიათურის შავი ქვის საკონცესიოთ გაცემის შესახებ. ნოტაში ნათქვამია. სხვათა შორის: "ქართველი ხალხის სახელით. როგორც მისი კანონიერი წარმომადგენელი. ვაცხადებ უსასტიკეს პროტესტს ცინიკურ ვაჭრობის წინააღმდეგ. რომელსაც მოსკოვის მთავრობა აწარმოებს. და. ერთხელ კიდევ. ნებას ვაძლევ ჩემს თავს გავაფრთხილო ამერიკელი მოქალაქენი. რომ ქართველი ხალხი და მისი მთავრობა ოდნავადაც არ იცნობენ თავისთვის სავალდებულოთ იმ ხელშეკრულებას. რომელიც ოკუპანტებთან ან მათ აგენტებთან იქნება დადებული ჭიათურის კონცესიის მისაღებათ".

შეერთებული შტატების ელჩმა დაუდასტურა ა. ჩხენკელს. რომ აღნიშნული ნოტა მიღებისთანავე გადაეგზავნება მის მთავრობას ვაშინგტონში".

აქვე მსურს აღვნიშნო ნოე ჟორდანიას ინტერვიუ. რომელიც მან ამერიკული გაზეთის კორესპონდენტს მისცა 1922 წელს ("შეერთებული შტატები და საქართველო" საუბარი საქ. რეს. თავმჯ. ნ. ჟორდანიასთან) მომყავს ეს ინტერვიუ მთლიანად. როგორც გამოქვეყნდა იგი "თავისუფალი საქართველოს" № 13-ში. 1921 წლის 30 ნოემბერს:

"ჩიკაგო ტრიბუნაში. რომელიც ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების ქ. ჩიკაგოში გამოდის. მოთავსებულია შემდეგი:

"თქვენი კორესპონდენტი მიიღო საქ: რესპ. პრეზიდენტმა ნ. ჟორდანიამ. რომელიც ცნობილი ლიდერია ყველაზე მრავალრიცხოვანი და გავლენიანი პარტიის. ის მთელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში მეთაურობდა ადგილობრივ საზოგადოებრივ მოძრაობას. ამიტომ მის მსჯელობას განსაკუთრებული ღირებულება აქვს:

- როგორია მდგომარეობა დღეს თქვენ ქვეყანაში? ვკითხეთ ჩვენ პატივ. პრეზიდენტს.ს

- საქართველო დღეს დაპყრობილია მოსკოვის მთავრობის ჯარებისაგან. ბოლშევიკები ამა მდგომარეობას უწოდებენ "საბჭოთა წყობილებას".

-როგორ უყურებს ქართველი ხალხი ამ წლის თებერვალ მარტში მომხდარ ბოლშევიკურ გადატრიალებას?

- გადატრიალება საქართველოში არ მომხდარა მოხდა მხოლოდ დაპყრობა. ხოლო დამპყრობლებისადმი მთელი ქარველი ხალხი გამსჭვალულია ურრმესი სიძულვილით. ამ ჟამათ საქართველოში არ არსებობს მთავრობა იმ სახით. როგორც ეს ესმის განათლებულ კაცობრიობას.

- შეირჩინეთ თქვენ კავშირი თავის ქვეყანასთან?

- საქ. რესპ. მთავრობამ დასტოვა თავის ქვეყანა. რადგან მტრის მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე ჩვენი დარჩენა შექმნიდა ისეთ შთაბეჭდილებას. თითქოს ჩვენ კანონიერათ ვიცანით ახალი წესები. რომლებიც ოკუპანტებმა დაამყარეს. მთელი ხალხის სურვილი იყო. რომ უცხოეთში მაინც შეგვენახა ცენტრი. რომელიც განმახორციელებელია საქ. რესპუბლიკის დამოუკიდებლობის და სუვერენობის იდეის. რაც შეეხება კავშირს ხალხთან. უნდა ვთქვა. რომ ჩვენ მჭიდრო კავშირი გვაქვს დღესაც ჩვენ ქვეყანასთან. სისტემატურმა დაჭერამ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეებისა. რომელსაც ბოლშევიკები ეწევიან. ვერ ამოფხვრეს ხალხის შეგნებიდან სიყვარული თავისუფლებისადმი. ერთგულება დემოკრატიულ იდეებისადმი და ნდობა იმათდამი. რომელთაც მან მიანდო დაცვა თავის იდეალების და თავის დამოუკიდებლობის.

- როგორ გაქვთ თქვენ წარმოდგენილი თქვენი ქვეყნის მომავალი?

- ბოლშევიზმი. უეჭველ ებჯს გარეშე - დაეცემა. რადგან ამ სისტემის დანგრევა ყველასათვის თვალსაჩინოა. საქართველოც დაუბრუნდება თავის სახელმწიფოებრივ ცხოვრებას. რომელიც მტრის შემოსევამ შესწყვიტა. მაშინ ჩვენი პირველი საზრუნავი იქნება აღდგენა ეკონომიურ ცხოვრების. რომელიც ბოლშევიკებმა დაანგრიეს.

- გეყოფათ კი ძალა ამ ამოცანის გადასაჭრელად?

- ვერც ერთი ხალხი. რომელიც ცოტათ თუ ბევრათ ხანგრძლივათ მოჰყვა ბოლშევიკურ უღლის ქვეშ. ვერ აღსდგება თავის საკუთარი ძალებით. მაგრამ ჩვენ სრული საბუთი გვაქვს ვიფიქროთ. რომ მოვიზიდავთ უცხო კაპიტალს. სხვათა შორის ამერიკისაც.

საქართველო პატარა და ეკონომიურათ განუვითარებელი ქვეყანაა. მაგრამ იგი დიდი ბუნებრივი

****************************************************************************

სიმდიდრის პატრონია და გეოგრაფიულადაც განსაკუთრებით კარგი მდებარეობა უჭირავს. უკანასკნელ დროს, ბოლშევიკების შემოსევამდე საქართველო თანდათან იქცევდა ევროპის კაპიტალისტთა ყურადღებას. მართალია ამერიკული კაპიტალი ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ჩვენ ქვეყანას, მაგრამ ეს აიხსნება მხოლოდ იმით, რომ ამერიკა დღემდე ძალიან ცუდათ იცნობს საქართველოს.

- შეგიძლიათ თქვენ თუნდაც მოკლეთ გაგვაცნოთ ჩვენი მკითხველისათვის თქვენი ქვეყნის სიმდიდრე?

- მე დავიწყებ მადნეულობიდან. საქართველოში ჭიათურის რაიონში გვაქვს მთელ ქვეყანაში უმდიდრესი მარგანეცის მადანი, რომლის რაო-დენობა გამოკვლევის თანახმათ უდრის დაახლო-ვებით 100 მილიონ ტონს (ტონი 61 ფუთია) მაშინ როდესაც ინდოეთის მარგანეცის რაოდენობა ომის წინ განისაზღვრებოდა სულ 6-7 მილიონი ტონით. ომის წინ (1913 წელს) საქართველომ გაიტანა მილიონ ტონაზე მეტი, ბრაზილიიდან კი ამავე წლებში 8-ჯერ ნაკლები იყო გატანილი. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ საქართველოში საუკეთესო მარგანეცი მოიპოვება: მარგანეცი ზღვაზე ახლოს მდებარეობს და გვერდით აქვს დაუშრეტელი წყლის ენერგია. დაბოლოს თვით მადანი მეტათ ახლოა დედამიწის ზედა პირიდან და ამისი ამოღება ამიტომ გაადვილებულია. აქედან თქვენ ადვილათ წარმოიდგენთ, რომ მარგანეცის წარმოებას საქართველოში დიდი მსოფლიო მნიშვნელობა აქვს, და მე ვფიქრობ ეს საკითხი უნდა აინტერესებდეს ამერიკის შეერთებულ შტატებსაც, რომელსაც პირველი ადგილი უჭირავს მეტალურგიის განვითარების და მაშასადამე მარგანეცის მოხმარების მხრივ.

მაგრამ საქართველოს სხვა მინერალური სიმდიდრენიც მოეპოვება. 170 ადგილას აღმოჩენილია სპილენძის მადანი, 80 ადგილას - ტყვიის, 70 - ნავთის. მე ვამბობ იმაზე, რომ ჩვენში ბლომათ მოიპოვება ქვანახშირი. ჩვენი ნავთის მადნებიც ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ამერიკელებისთვის.

- ამერიკა გაცნობილია ბაქოს ნავთს. აქვს ბაქოსთან რაიმე კავშირი თქვენ ნავთიან ადგილებს?

- ეს საკითხი დიდ ხანია აინტერესებს გეოლოგებს, რომელნიც იკვლევენ ამიერ-კავკასიას, მაგრამ გამოკვლევები ჯერ არ დამთავრებულა. ფიქრობენ, რომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გადის ერთგვარ სიღრმეზე ნავთიანი ფენები, რომელნიც იძლევიან ბაქოს რაიონში ნავთის შადრევნებს. ამ ნავთიანი ქვენაფენების ექსპლოატაცია შესაძლებელია ჩვენი ქვეყნის მრავალ ადგილას, მაგრამ რასაკვირველია იგი დიდ კაპიტალს მოითხოვს.

- რაც შეეხება სოფლის მეურნეობის პირობებს, განაგრძობს ნ. ჟორდანია, მე უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენში შეიძლება განვითარება თითქმის ყველა იმ კულტურის, რომელიც გავრცელებულია ამერიკაში. პირველი ადგილი უჭირავს ჩვენში პურს და სიმინდს, მაგრამ მნიშვნელოვან როლს თამაშობს აგრეთვე კულტურა თამბაქოსი, ჩაის, ბამბის, ბამბუკის. ამათი კულტურა შეიძლება დიდათ განვითარდეს და აქაც ჩვენ ველით უცხო კაპიტალის დახმარებას, რომელსაც ჩვენ მზათ ვართ მივცეთ შესაძლებლობა ნაყოფიერი მუშაობის.

- თქვენ ახსენეთ, ბ. პრეზიდენტო, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა თქვენი ქვეყნის. რაში ხედავთ თქვენ ამ ხელსაყრელ მდებარეობას და რამდენათ აქვს მას მნიშვნელობა ამერიკელებისათვის?

- გადახედეთ ამიერ-კავკასიის ქარტას, გვიპასუხა ნ. ჟორდანიამ. აი ზღვის გზა, რომელიც მიდის დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ძველი ქვეყნის შუაგულისაკენ. ეს გზა გაივლის გიბრალტარს, დარდანელს, ბოსფორს, გადასჭრის შავ ზღვას და აღწევს თავის უკანასკნელ პუნქტს - ბათომს. ამ გზის ბუნებრივი გაგრძელებაა - ამიერ-კავკასიის მაგისტრალი, რომელიც აერთებს შავ ზღვას კასპიის ზღვასთან, აქედან სპარსეთთან, თურქესტანთან, ავღანისტანთან, ინდოეთთან. ეს უახლოესი გზაა აღმოსავლეთისაკენ და ერთი უდიდესი გზათაგანია მსოფლიო ისტორიაში. უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ საქართველოზევე გადის ერთადერთი გზა, რომლითაც ბაქოს ნავთს შეუძლია მსოფლიო ბაზარზე გამოვიდეს. ასე რომ ბაქოს ნავთის ექსპლოატაციის საკითხი განუყოფელია საქართველოს სატრანზიტო გზისაგან.

ეჭვს გარეშეა, რომ რაკი აღდგენილ იქნება ნორმალური საერთაშორისო გაცვლა-გამოცვლა საქონლის, ჩვენს ტერიტორიაზე აუარებელი სატრანზიტო საქონელი და დიდძალი მგზავრები გაივლის, და ჩვენ სერიოზულათ გვაფიქრებს საკითხი ჩვენი რკინის-გზების მოწყობისა ამ ფართო დანიშნულების შესასრულებლათ. ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავე დადგება ბოლშევიკების ოკუპაციის თავიდან მოშორების შემდეგ, რადგან ბოლშევიკებმა გაზიდეს უკვე ჩვენი ქვეყნიდან უდიდესი ნაწილი ჩვენი რკინის-გზის ქონებისა. დაგვჭირდება შეძენა უცხოეთში მრავალი ნაწილების, დაგვჭირდება შეკეთება ლიანდაგის, შეიძლება საჭირო დარჩეს ახალი გზების გაყვანაც. მე ვფიქრობ, რომ მოწინავე ქვეყნებს შეუძლიათ ჩვენი დახმარება როგორც ამ საქმეში, ისე რკინის-გზის მეურნეობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად.

- განა არ შეუშლიან ხელს ამიერ-კავკასიაში ტრანზიტის განვითარებას ის უთანხმოებანი, რომელიც არსებობს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს შორის?

- მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ უთანხმოებას, რომელიც წარმოშობილია შავბნელი წარსულისაგან, მომავალში ადგილი აღარ ექნება. ამიერ-კავკასიის ხალხებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი - მეგობრულათ იცხოვრონ, და ერთმანეთს ძმურათ დაეხმარონ. ჩვენ შევკარით მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიური კავშირი ჩვენ მეზობელ სომხეთთან, აზერბეიჯანთან და ჩრდილო-კავკასიის მთიელთა რესპუბლიკასთან. სარკინიგზო კონვენცია და ამიერ-კავკასიის რკინის-გზების კონცესია არსებით ელემენტათ შედის ამ საკავშირო ხელშეკრულებაში. ვფიქრობ, რომ მომავალში ეს კავშირი უფრო განვითარდება და გამტკიცდება..."

ბუნებრივად იბადება კითხვა, ვინ ლაპარაკობს ყოველივე ამას? ვინ ეპატიჟება საქართველოში უცხოელებს და უცხოეთის კაპიტალს, მეტადრე ამერიკულს - ნოე ჟორდანია?!? ამის მთქმელს თავი სიზმარში წარმოუდგენია და მართლაც რომ "ლამში ჩაფლული ურემი, შინ მიტანილი ჰგონია"! განა რამდენიმე თვის წინ არ ერეკებოდა საქართველოდან ბურჟუებსა და კაპიტალისტებს? განა ინგლისი არ გააძევა საქართველოდან? განა ამერიკელებმა არ იყო, საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობაზე რომ უარი განაცხადეს? და განა ეს ყოველივე პირდაპირი რეკლამა არაა "საბჭოთა საქართველოსი", სადაც ახალი ეკონომიკური პოლიტიკაა? არსებული და დამპყრობილი საქართველოსი და, ე.ი. მისი დამპყრობელისა? რადგან მხოლოდ ისეთ სოციალისტურად (იდეოლოგიურად) თვალდაბნელებულ მოღვაწეს შეეძლო იმის იმედი ჰქონოდა 1921 წლის ნოემბერში, ე. ი. ახალი ეკონომიური პოლიტიკის ამუშავების პირველ ეტაპზე, რომ მალე საქართველოში დაბრუნდებოდა და თავის საქმიანობას განაგრძობდა - მცირე შესვენების შემდეგ, ვითომც არაფერი მომხდარაო? ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ამ დროს საქართველო ჯერ კიდევ დამოუკიდებელი სახელმწიფოა, "საბჭოთა კავშირი" ჯერ არაა შექმნილი, არც ამიერკავკასიის ფედერაცია; ეს ყოველივე მხოლოდ "პროექტებია" და კამათის საგანი. ერთადერთი რაც არსებობს, ეს არის ახალი ეკონომიკური

ერთადერთი რაც არსებობს. ეს არის ახალი ეკონომიკური პოლიტიკა და რუსეთის საოკუპაციო ჯარი საქართველოში აქედან გამომდინარე ბოლშევიკური წყობილებით. მაგრამ, ამავე დროს არის ისიც, რასაც "ნაციონალ-უკლონიზმი" დაერქვა. რასაკვირველია, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ნ. ჟორდანია არწმუნებს ამერიკელებს მისი და მისი მთავრობისადმი ხელშეწყობის აუცილებლობაში. თუ ამერიკელებს სურთ საქართველოს "საოცნებო" სიმდიდრეს ხელი შეახონ, რის გარანტიასაც (თითქმის!) ჰპირდება საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი. მაგრამ ამგვარი პოლიტიკური "თვალთმაქცობა" სოფლის სოციალისტურ "იაჩეიკაში" თუ ივარგებდა, თორემ ამერიკელე-ბისთვის, რომლებმაც არც საქართველო იცნეს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და რუსეთსაც პირველებმა გაუწოდეს ხელი, ხომ სასაცილოდაც არ ღირდა. აქ მხოლოდ ორი რამ ისახება, ან სრული პოლიტიკური სიბეცე და უვიცობა, ან კიდევ, ის "ორმაგობა" თამაშისა, რომელსაც უკიჟინებდნენ "მთავრობას" და რის გამოც ბრალს სდებდნენ (ოპოზიცია) საქართველოს ინტერსების პარტი-ულისა და იდეოლოგიურისადმი დაქვემდებარებაში? იქნებ ერთიც იყო და მეორეც?

აქვე უნდა აღინიშნოს ის უეჭველი ფაქტი, რომ "მთავრობამ" უდიდესი ენერგია დახარჯა იმისათვის, რომ საქართველოს საკითხი სოციალისტური ინტერნაციონალის ყურადღების ცენტრში მოქცეუ-ლიყო და სოციალისტური სოლიდარობის ქვემეხები რუსეთისაკენ ყოფილიყო მიბრუნებული. მხოლოდ, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ქვემეხთა გრგვინვა ბამბის ვულკანის ამოფრქვევას ჰგავდა იმ პრაგმატისტული პოლიტიკის ფონზე, რომელსაც აწარმოებდა ერთის მხრით რუსეთი მის მიერ დაპყრობილ სახელმწიფოთა ტერიტორიებზე და, მეორეს - ევროპისა და ამერიკის სახელმწიფოები საერთაშორისო ასპა-რეზზე. არსებითად საქართველოს საკითხი "სოცია-ლისტური ინტერნაციონალის" შინაურ საკითხად იქცა, რადგან თვით ქართველი სოც-დემოკრატები საქართველოში მხოლოდ თავის პარტიას გულისხ-მობდნენ და კვლავ განაგრძობდნენ ბრძოლას ქართველი ნაციონალისტების (ანუ "თავად-აზნაურობის"!) წინააღმდეგ და მით "აფრთხობდნენ" მსოფლიოს პროლეტარიატს. ეს ნათლად არის ასახული 1921 წლიდან მოყოლებულ პუბლიკაციებში, როგორც თვით სოციალისტურ ("მთავრობის") პრესაში, ასევე ოპოზიციისაც

(უცნაურია, რომ "ოპოზიციამ" ანუ ეროვნულმა მიმდინარეობებმა, ამათში სოციალ-ფედერალისტებიც შედიოდნენ ასე თუ ისე, ემიგრაციაშიც ოპოზიციის როლი ითამაშა და ვერაფრით ვერ გამოხსნა თავი იმ მაგიური წრიდან, რომელიც სოც-დემოკრატიულმა მთავრობამ შემოარტყა ქართულ ძალებს. ამ მოვლენას იმით ხსნიდნენ, რომ ar შეიძლება "მთავრობის" კრიტიკა, რადგან ეს ხელს შეუშლის მის საქმიანობას; "მთავრობაც" მშვენივრად იყენებდა ამ შეუვალობას და სოციალისტური უტეხობით სამუდამოდ გაისაკუთრა საერთაშორისო ასპარეზიც და საქართველოს საკითხიც. ნებისმიერი კრიტიკა ცხადდებოდა საქართველოს და ქართული საქმის ღალატად და ბოლშევიკების სამსახურად. ფსიქოანალიზი ამ მოვლენისა მეტად საინტერესო ხასიათს გამოაჩენს, დარწმუნებული ვარ, ქართული პოლიტიკური ბუნებისა, რადგან ტიპიურია თანამედროვე საქართველოს ისტორიაში და დღესაც იჩენს თავს).

მშვენივრად აქვს მოცემული ეს ვითარება დავით ვაჩნაძეს, თავის წიგნში "ქართული ეროვნული ძირები და რუსული ბოლშევიზმი" - მიუნხენი 1957 წ.[1] აქ ნათლად იკითხება ის ვითარება, რომელიც არაერთგზის აღვნიშნე - სოც.-დემოკრატები ანუ "მთავრობა" კატეგორიულად წინააღმდეგი იყო 1924 წლამდე აჯანყებებისა და ყოველნაირად ცდილობდა მათთვის ხელის შეშლას. სულ სხვა ვითარება შეიქმნა 1924 წელს, როდესაც მოულოდნელად, "მთავრობამ" ითავა აჯანყების საგარეო საქმის მოგ-ვარება და შექმნა ილუზია, რომ აქტიურად მოღვა-წეობდა აჯანყებისათვის საერთაშორისო დახმარების მოსაპოვებლად. ფაქტობრივად "მთავრობამ" ისიც კი ვერ თუ არ გააკეთა, რაც თავის დროზე შესძლეს "საქართველოს" ჯგუფმა (მომ. სოც-ფედერა-ლისტებმა), გიორგი დეკანოზიშვილმა და "განთავისუფლების კომიტეტმა", მიხ. წერეთელი, კერესელიძეები და სხვ. - უშუალოდ მთავრობებთან დაკავშირება და რეალური დახმარების მიღება. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ სპირიდონ კედიას (და მასთან ერთად მთელი "ოპოზიციის") ბრალდებები "მთავრობის" მიმართ საფუძველმოკლებული არ არის და მრავალ დამაფიქრებელ კითხვას წარმოშობს ჩვენი თანამედროვე ისტორიის ტრაგიკული ხვეულების მიმართ, რომლებზედაც პასუხი მკითხველმა და მომავალმა მკვლევარმა უნდა გასცეს.

თარიღების შეჯერება გვარწმუნებს, რომ ჰარიმანს სწორედ 1923-1924 წლიდან დაუწყია შესწავლა ამ საკითხისა და 1925 წლისათვის უკვე კიდეც გაუჩარხია საქმე ისე, რომ 12 ივნისს ხელი მოუწერია შეთანხმებისათვის.

ახალი ეკონომიური პლიტიკის ამ მონაკვეთში მოხდა ზედიზედ ორი აჯანყება. როგორც ვთქვი, 1922 წლის აჯანყება, ისევე, როგორც 1921-სა არანაირ ყურადღებას არ იმსახურებს ყოფილი მთავრობის მხრიდან. ყოველ შემთხვევაში იმდროინდელ სოციალ-დემოკრატიულ პრესაში და "მთავრობის"

---

1 მომდევნო "ივერიაში" გაქვეყნებთ დ. ვაჩნაძის მოგონებათა რვეულებს, ხოლო აღნიშნული წიგნი გამოქვეყნდება სერიაში "ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პუბლიცისტები", რომელსაც "ივერია" იწყებს ახლო მომავალში. ეს სერია ხელმოწერით იქნება გავრცელებული.

**********************************************************************************

ნოტებში ბევრი არაფერია ამაზე ნათქვამი. ამიტომ ძირითად წყაროს ეროვნულ-დემოკრატიული და საერთოდ, ნაციონალისტური მიმართულებები წარმოადგენენ. მაგრამ 1924 წელს "მთავრობა" განსაკუთრებულად ყურადღებიანია და 1924 წლის აჯანყებაც გაცილებით ფართოდაა წარმოდგენილი: მარტო ნოე ჟორდანიას "ფუნდამენტური" ანალიზი - "რა მოხდა" - რად ღირს! (ამაზე ქვემოთ საგანგებოდ მოვალ).

საკითხი დაისმის: შეიძლებოდა თუ არა გამობარვოდა ჰარიმანს (რომელსაც მეტად ძლიერი "შტაბი" ჰყავდა, ისევე, როგორც ყოველ მრეწველ-კაპიტალისტს) ჟორდანიას აღნიშნული ინტერვიუ, საქართველოს აჯანყებები (1921-1922 წლების) და 1924 წლის აჯანყების მზადება? აგრეთვე საქართველოს ყოფილი მთავრობის (რომელიც სრულიადაც არ თვლიდა თავს "ყოფილ მთავრობად", როგორც ჟორდანიას ინტერვიუდან და სხვა აქტივობიდან ჩანს) საქმიანობა მიმართული საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისი უფლებების აღდგენისაკენ? - რასაკვირველია არა. უეჭველია, რომ ჰარიმანის მაგიდაზე იქნებოდა მთელი საქართველოს საქმე, დეტალურად შესწავლილი და გათვლილი (ჰარიმანს მხოლოდ მოსკოვის სტრატეგიის გათვლაში თუ შეეშლებოდა, რადგან სრულიად ახალ მოვლენასთან ჰქონდა საქმე, და შეეშალა კიდეც! თუმცა ბოლომდე უარყოფდა თავის მარცხს). სწორედ აქ ვეჭვობ მე, რომ ვიდრე მოსკოვთან ხელშეკრულებას დასდებდა, ჰარიმანმა, საფიქრებელია, ასე თუ ისე დაამყარა კავშირი "მთავრობასთან" და გარკვეული გეგმაც შეიმუშავა. ცხადია, პარალელურად, ჰარიმანი საქართველოს მდგომარეობას არკვევდა მოსკოვთანაც (ძერჟინსკი, ორჯონიკიძე და სტალინი ხომ მთავარი მოქმედი პირები იყვნენ ამ გარიგებისა!) ჩემის აზრით სრულიად გამორიცხულია ჰარიმანს ისე გადაედგა ეს ნაბჯი, რომ მსგავსი აქცია არ განეხორციელებინა, რადგან შესაძლებლობა, რომ აჯანყება გაიმარჯვებდა მაინც არსებობდა, ხოლო აჯანყების გამარჯვება და ე. ი. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა ჰარიმანს დიდ სიძნელეებს უქმნიდა თუნდაც იმით, რომ გახსნილ კონკურენციაში აბავდა სხვა მრეწველებთან - სწორედ იმათთან, რომელთაც ჰარიმანი შემდეგ ფულს უხდიდა. 1925 წელს გაზეთი "სამშობლოსათვის" (სპ. კედიას რედ.) წერდა:

"მთავრობისაგან კონცესიის აღების შემდეგ "ჰარიმანის" ფირმა შეუდგა მოლაპარაკებას შავიქვის კერძო მრეწველებთან, ინტერესების შესათანხმებლათ. ამ მიზნით ამ ფირმის ერთი წარმომადგენელი ბ-ნი ელიოტი და ბ-ნი კოტე ჯაყელი ლონდონს წამოვიდენ, ხოლო მისი მეორე წარმომადგენელი ბ-ნი რასკოვიჩი და ალექსანდრე ჯაყელი-კი თბილისს, რომ ერთსა და იმავე დროს აწარმოვონ მოლაპარაკება ქართველ და უცხოელ შავიქვის მრეწველებთან."

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთო აღიარებით, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია თავიდანვე წინააღმდეგი იყო 1924 წ. აჯანყებისა და ე.ი. ჰარიმანისათვის მასთან დაკავშირებას აზრი არ ჰქონდა: ჰარიმანისათვის საინტერესო ამ მომენტში ის უნდა ყოფილიყო, ვინც აჯანყებისათვის იღწვოდა და ვისაც შესაძლებლობა ჰქონდა გავლენა მოეხდინა მოვლენათა მსვლელობაზე. ის ფაქტი, რომ საგარეო ასპარეზი მთლიანად "მთავრობას" ჰქონდა დაპყრობილი, უეჭველი დასტური უნდა იყოს იმისაც, რომ ყოველი მცდელის ყურადღების სფეროში პირველ რიგში "მთავრობა" და მისი აქტივობა უნდა მოქცეულიყო. ამას ნოე ჟორდანიას ინტერვიუც ადასტურებს.

1924 წელს ვითარება სხვა იყო უკვე: არსებობდა საკმაოდ მკვიდრი და ახალი ეკონომიური პოლიტიკის გზაზე დამდგარი საბჭოთა კავშირი. ასეთ ვითარებაში ერთადერთი, ვისაც ნამდვილად არ აწყობდა აჯანყება და არეულობა - იყო ამერიკელი კაპიტალისტი ევერელ ჰარიმანი, და ერთადერთი, ვისაც ნამდვილად აწყობდა არეულობა საქართველოში - იყო "მთავრობა" (მოსკოვის - საიდუმლოდ, როგორც ამჟამად; და პარიზის - აშკარად !) მე ვფიქრობ, რომ ჰარიმანმა, ალბათ, ყოველი ღონე იხმარა, რომ აჯანყება არ შემდგარიყო, ან იმგვარად წარმართულიყო, რომ გამარჯვების არავითარი შანსი არ ჰქონოდა. ჰარიმანი სრულიად გარკვეულად საბჭოთა მთავრობის (ანუ ერთიანი საბჭოთა კავშირის!) მხარეს იყო ისევე, როგორც ჰამერი და "წითელი ხალიჩის" სხვა კაპიტალისტი-მქსოველები. ამისათვის, ალბათ, მოსკოვიდან გარკვეულ გარანტიებსაც ითხოვდა და სტალინის ცნობილი გამოთქმა, "დაუშვით და ჭკუა ასწავლეთო" ("ДОПУСТИТЬ И ПРОУЧИТЬ!") შეიძლება როგორღაც უკავშირდებოდეს ამერიკელი მრეწველის ამ სწრაფვას. იქნებ ამას უკავშირდება ჭიათურის საბედისწერო "შეცდომაც", რომელმაც დიდად გაუადვილა მდგომარეობის კონტროლი საბჭოთა ძალაუფლებას, ჭიათურის გამოსვლა, მანამდე კი ვ. ჯუღელის და სხვა სოციალ. დემოკრატების გაგზავნა საქართველოში, სტალინის აღნიშნული ბრძანება, საერთო ორჭოფობა, პარტიათა შორის უნდობლობა და სხვა მრავალი "წვრილმანი" პირადული მომენტი, აგრეთვე ის უეჭველი ფაქტი, რომ "მთავრობა" დიდად უფრთხოდა ქაქუცა ჩოლოყაშვილს და მთელ ნაციონალისტურ მოძრაობას "ნაციონალ-უკლონიზმის" ჩათვლით ამაგრებს ამ ჰიპოთეზას.

(გავიხსენოთ ოცდაორი წლის აჯანყებისას გავრცელებული პროკლამაციები და ჩოლოყაშვილის საწინააღმდეგო აგიტაცია, რომელსაც სოც.-დემოკრატები აწარმოებდნენ და რამაც, საბოლოოდ, გადაწყვიტა აჯანყების მარცხიანი ბედი: "უეცრად ხმა გავარდა: დუშეთის რაზმი დაიშალაო... თბილისიდან ჩამოვიდა სამიკაცი და მიმართეს რაზმელებს შემდეგი სიტყვებით: · ჩვენ

***************************************************************************

გამოგვზავნეს თბილისის პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა. რომ შეგაჩეროთ საშინელი ავანტიურისაგან. სად მიდიხართ? რისათვის? საერთო გამოსვლის დღე ჯერ არ არის დანიშნული. ჩოლოყაშვილის მოქმედება კერძოა. თავადური. მას ქართველი ხალხი არ გაჰყვება. ამიტომ უსათუოდ დამარცხდება. დაბრუნდით შინ და ელოდეთ იმ დღეს. როდესაც თბილისიდან მოგივათ წინადადება ასეთი გამოსვლლისათვის. რომელშიაც ხალხი მიიღებს მონაწილეობას. გირჩევთ ახლავე დაიშალოთ. რომ ტყეულ-უბრალოთ არ დაიღუპოთ და არ დაღუპოთ თქვენი ცოლშვილი. - ამ აგიტაციამ ნაყოფი გამოიღო. სამი დღის შემდეგ დუშეთის რაზმი განახევრდა. დანარჩენებიც ნელ-ნელა წავიდ-წამოვიდნენ. პოლკოვნიკ მუსხელიშვილის შიკრიკს დუშეთის ტყეში თავდადებული შალვა ფაღლენიშვილი რამდენიმე კაცით და დახვდა" (დ. ვაჩნაძე "ქართ. ერ. ძირ..." გვ. 89-90) "ამ მოძრაობის ორივე მტერმა: ბოლშევიკურმა მთავრობამ და ყოფილმა მენშევიკურმა ხელმძღვანელობამ - აქედან ჩამოსული ყოფილი მინისტრის პირით - თავ-თავის დროზე აღიარეს. რომ ხევსურეთის აჯანყება იყო ის აჯანყება. რომელიც გამარჯვებით გათავდებოდა. რომ "ამხანაგებს" ხელი არ შეეშალათ!..."-სპ. კედია "საქ. გუშაგი 8. აგვისტო 1934 წ.)

1924 წ. გარკვეულ მომენტამდე აჯანყება და შესაძლო გამარჯვებაც იმდენად მაინც სასურველი იყო "მთავრობისათვის", რამდენადაც იგი ინარჩუნებდა თავის ილუზიურ შესაძლებლობას ძალაუფლებისათვის ბრძოლისა... მაგრამ შესაძლოა შექმნილმა ვითარებამ, რომელიც გამოხატული იყო ახალი ეკონომიკური პოლიტიკის მიერ კაპიტალისტური სამყაროსათვის კარებს გაღებით (ე. ი. იმით, რაზედაც ნ. ჟორდანია ოცნებობდა თავის ზემომოყვანილ ინტერვიუში: ამავე დროს აღსანიშნავია, რომ მენშევიკები ახალ ეკონომიურ პოლიტიკას სასტიკად აკრიტიკებდნენ და მას სოციალიზმის ღალატად უთვლიდნენ ბოლშევიკებს - უკვე "თავისუფალი საქართველო" და მერე "ბრძოლა" დიდ ადგილს უთმობდა ბოლშევიკების ამ "გაკაპიტალისტებას" და ბურჟუაზიის სამსახურში ჩადგომას. ეს ფურცელი მენშევიკების ბრძოლისა ბოლშევიკების წინააღმდეგ. საგანგებოდ გასაანალიზებელია), საქართველოში აჯანყებისადმი საკმაოდ სკეპტიკური განწყობის გაძლიერებით (არცერთი პარტია აღარ ფიქრობდა აჯანყებაზე და ეძებდა ახალ საშუალებებს მდგომარეობის გამოსწორებისა. რასაც. ახალი ეკონომიკური პოლიტიკა "ბუნებრივად" უწყობდა ხელს) დაარწმუნა "მთავრობა", რომ მისი ერთადერთი როლი იყო შენარჩუნება დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის იდეალური სტატუსისა და ამ სტატუსით მშვიდად ცხოვრება რეალური პოლიტიკური ასპარეზის მიღმა - იდეალურ "გეოპოლიტიკურ" (ალბათ "ფსიქოპოლიტიკური" უფრო შესატყვისი იქნებოდა) სივრცეში. საკუთარი ოპოზიციით, ანგარიშსწორებით და. ერთობ "ისტორიით", რომელსაც უკვე არაფერი ექნება საერთო რეალური სტალინიზმის მარწუხებში მოქცეულ და რკინის ფარდით საიმედოდ ამოქოლილ ქვეყანასთან. ყოველივე ეს კი ერთადერთი მიმართულებით უბიძგებდა "მთავრობას" - რადაც არ უნდა დაჯდომოდა აჯანყება უნდა მომხდარიყო და. რადგანაც ყველასათვის ნათელი იყო. რომ აჯანყებას არავითარი შანსი გამარჯვებისა არა აქვს. ამიტომ საფიქრებელია. რომ აჯანყების მოწყობა მის დამარცხებასთან იყო გადაბმული იმთავითვე. ნოე ჟორდანიას სასწრაფოდ დაწერილი წიგნაკი "რა მოხდა" უეჭველი დასტურია იმისა. რომ დამარცხება კიდევ უფრო სასურველი შედეგი იყო აჯანყებისა. "მთავრობის" თავგამოდებული თავდაცვა მთელ რიგ საეჭვო საკითხებში და შეტევა ნაციონალისტებზე პრინციპით "გალმა შეედავე და გამოღმა შეგრჩებაო". გვაიძულებს თვალი გავახილოთ იმ ტრაგიკულ სოციალისტურ ექსპერიმენტზე, რომელსაც შეეწირა საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლა. ილია ჭავჭავაძე და ქართველი ნაციონალისტები რომ აწარმოებდნენ მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეებში. და შეეწირა საქართველოს დამოუკიდებლობაც. ისტორიის განუმეორებელი პირობებით მოძლვნილი. ამას ისიც უმაგრებს ზურგს, რომ არცერთ სხვა აჯანყებას ისეთი ყურადღება არ დაუმსახურებია "მთავრობის" მხრიდან, როგორც 1924 წლის აგვისტოს "მათმა" აჯანყებამ დაიმსახურა.

სოციალისტებმა არ უღალატეს თავის პრინციპს: იდეოლოგიას ანაცვალეს სინამდვილე და საქართველოს უკანასკნელი თავგანწირვაც მოხერხებულად გამოიყენეს თავისი ავტორიტეტის გასამტკიცებლად საერთაშორისო (ძირითადად სოციალისტურ) ასპარეზზე. პირდაპირ თუ არაპირდაპირ ეს ნოე ჟორდანიასაც აქვს აღიარებული თავის წიგნაკში "რა მოხდა".

ვიდრე ამ წიგნაკიდან ადგილებს ამოვიწერდე. მსურს ერთხელ კიდევ გადავხედო 1924 წლის აჯანყების სურათს: 1922 წლის აჯანყების დამარცხების და 1923 წლის დახვრეტების შემდეგ. კვლავ დაისვა საკითხი ბრძოლის გაგრძელებისა და მისი ფორმებს შესახებ. 1923 წლის ივლისის რიცხვებში, ნიკოლოზის ქუჩის საიდუმლო ბინაზე თავი მოიყარეს ერ.-დემ. ც.კ. ფარული კომიტეტის წევრებმა: იასონ ჯავახიშვილმა, გიორგი წინამძღვრიშვილმა, მიხეილ იშხნელმა, ი. ც-მა, მიხეილ ჯავახიშვილ-ადამაშვილმა, დავით ვაჩნაძემ.

ამ კრების ბჭობის მთავარ საკითხს შეადგენდა საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის საქმის გაგრძელება...

"იგი მოხდეს საყოველთაო ამბოხების სახით, თუ პარტიზნული ბრძოლის გაძლიერების საშუალებით გაგრძელდეს....

გ. წინამძღვრიშვილი: ... თუ გარედან არ დაგვეხმარებიან, ბრძოლის საქმე წაგებულად უნდა ჩავთვალოთ.

მ. იშხნელი: საჭიროა სასწრაფოდ გაიგზავნოს საზღვარ-გარეთ დახმარების გამოსანახად ჩვენი ც. კ. რომელიმე წევრი...

მ. ჯავახიშვილ-ადამაშვილი: მთავარი გასარკვევია თურქეთის დამოკიდებულება საქართველოს განთავისუფლების საქმისადმი. თუ დადებითია, მაშინ ეთხოვოს მას დახმარება იარაღითა და ფულითა.

ი. ც.: ეს სწორე აზრია სწორედ ამაზე მითვლიდა უცხოეთში გამგზავრების წინა დღეს გენერალი გიორგი მაზნიაშვილი. იგი ამბობდა: ევროპელები თავის საქმეებში ჩაეფლნენ. ჩვენთვის ვინ იცის როდის მოიცლიან. მოხმარებით თუ მოგვეხმარება, - ეს თურქეთია. გარდა იარაღისა, მას შეუძლიან საქართველოს საზღვრის ახლოს საიდუმლო ბინა მიგვიჩინოს თავის ტერიტორიაზე, სადაც ფართოდ დავაწყობთ ჩვენს ახალ პარტიზანულ რაზმებს. სხვანაირად მარტოდ ვრჩებით და ვერაფერს გავხდებით-ო...

გ. წინამძღვრიშვილი: თურქები არ მოგვეხმარებიან. საქართველოს გულისათვის ბოლშევიკურ მოსკოვთან მათთვის სასარგებლო კავშირს არ გასწყვეტენ. ჩვენი ბედის გამგებელნი ჩვენვე ვართ. მწამს, რომ ქართველი ხალხის ეროვნული დინამიზმი იმდენად მძლავრად დაგროვილია, რომ ერთსულოვანი ამბოხების შემთხვევაში ბევრ ჯებირს მიანგრევს და მაშინ თათარიც და არა-თათარიც მოგვეშველება რუს ბოლშევიკების წინააღმდეგ. საჭიროა მხოლოდ ამ ამბოხების კარგი შემზადება. ამისათვის ჩვენ გვაკლია სალსარი. თუ ფული გვექნება, იარაღსაც გავიჩენთ და მაგარი ორგანიზაციებით მოფფენთ ქვეყანას. საქართველოს აჯანყება თუ ორიოდე თვე გაუძლებს მტერს, მერმე გარედან დაინტერესებულნი მაშველი ძალებიც გაგვიჩნდებიან.

დ. ვაჩნაძე: საერთო ამბოხების აზრს არ ვიზიარებ. საქართველოს განთავისუფლების საქმისათვის დღევანდელი საგარეო პირობები მეტად უნუგეშოა. უეჭვოა, რომ მოსკოვი და ანგორა მჭიდროდ გადაბმულნი არიან და დღეს ქემალისათვის საქართველოს ამბოხება არც ხელსაყრელია. შარშანდელ აჯანყების ამბავმა დაგვარწმუნა, რომ ჩვენი კავკასიელი მაჰმადიანი მეზობლები თუ არ მოგვეხმარნენ, ეს თურქების მოთხოვნისა გამო. ეხლაც ასე მოხდება. ამ პირობებში ამბოხება წინ და წინვე დამარცხებულად უნდა ჩაითვალოს. ამიტომ თავიდანვე მე მუდამ წინააღმდეგი ვიყავი საყოველთაო ამბოხებისა და მომხრე პარტიზანული მოქმედებისა. პირველის დამაცხებას, რაც ახლანდელ საშინაო და საგარეო პირობებში აუცილებლად მოხდება, თან დაატყდება მთელი ქვეყნის განადგურება და ხალხის ბრძოლის უნარის დიდი ხნით ჩაქრობა; მეორე შემთხვევაში კი - ამისი აცდენა. პარტიზანული თავდასხმით მტრის შესუსტებაც მოხდება და ამასთანავე მებრძოლ ხალხს შეუნახავს მის ბრძოლის დინამიზმსაც, ვიდრე არ დადგებოდეს ხელსაყრელი საგარეო პირობები. ასე იქცეოდნენ ჩვენი ბრძენნი წინაპრები და თუ შეგვინახეს ქართველობა ზღვა მტრებში, მხოლოდ ამგვარი ბრძოლის ხერხით. ამჟამად გვესაჭიროება შიგნით ქ. ჩოლოყაშვილის პარტიზანული მოძრაობის გაფართოება მთელ საქართველოს სივრცეზე და ამავე დროს გარედანაც ვეცადოთ, თავში, მეზობელ თურქეთის თანაგრძნობის მოპოვება და გამოყენება....." (დ. ვაჩნაძე "ქართ. ერ. ძირები და რუს. ბოლშევიზმი" მიუნხენი 1957 გვ 97-100).

ამ ამონაწერში საინტერესო ისაა, რომ ერ. დემ. პარტიის ც.კ. წინააღმდეგი ჩანს საერთო აჯანყების და მხარს უჭერს პარტიზანულ ბრძოლას (გარკვეულ დრომდე!) და, ამავე დროს, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საგარეო ვითარებას. ამას ადასტურებს სოლომონ ზალდასტანიშვილიც თავის წიგნში "1924 წლის ამბოხება". ეს ამაგრებს სპირიდონ კედიას ბრალდების იმ პუნქტს, სადაც ხაზგასმულია, რომ ძირითადი და გადამწყვეტი ფაქტორი იყო საკითხის გადაწყვეტა გარედან დახმარების და ხელშეწყობის შესახებ. ეს რომ ძირითადი საკითხი იყო, იქიდანაც ჩანს, რომ დავით ვაჩნაძე 1924 წლის აპრილში სტამბოლში, მიხაკო წერეთლის დახმარებით ხვდება -

"უკანასკნელი სულთანის ყოფილ მინისტრს და გავლენიან კაცს თურქეთში, მახმუდ ფაშას (თავდგირიძეს), რათა მას ეშუამდგომლა ანგორის მთავრობის წინაშე ქართველთა განმათავისუფლებელი საქმისათვის დახმარების აღმოჩენისათვის. მახმუდ ფაშამ დიდი ხალისით იკისრა ამ შუამდგომლობის გაწევა და შეხვდა ანგორის მთავრობის მინისტრს, რომელსაც წარუდგინა ქართველ მებრძოლ ბანაკის თხოვნა. მაგრამ დიდი მობოდიშებით მიიღო მისგან ცივი უარი:

- გადაეცით ქართველ მებრძოლთა დესპანს, რომ ჩვენ დღევანდელ რთულ მდგომარეობაში, როდესაც ინგლისელებს ვედავებით მოსულის საკითხში, მოსკოვის დახმარება ჩვენთვის მეტად ძვირფასია, ამიტომ ქართველების თხოვნას ვერც გავეკარებით.

ამავე დროს სტამბოლის ქართველობაში ხმა გავრცელდა, რომ საქართველოში მზადდება ახალი აჯანყება და რომ პარიზიდან ყოფილი სოც.-დემ. მთავრობა თავის კაცებს ფარულად აგზავნის თბილისში." (დ. ვაჩნაძე იქვე გვ 101).

ეს უკანასკნელი ცნობა ჭორი არ იყო, რადგან სწორედ ამ დროს თბილისისკენ პარიზიდან მოდიოდნენ ვასო ნოდია (სოც.-დემ-ი, რომელიც გაგზავნილი იყო საზღვარგარეთ "დამკომის" მიერ საერთაშორისო მდგომარეობის გასარკვევად და პოლიტიკური მუშაობისათვის ხალხის წამოსაყვანად, ოღონდ არა ვალიკო ჯუღელისა და ბენია ჩხიკვიშვილისა, რომელთა ჩამოსვლა, "დამკომის" აზრით, საქმეს დიდად აზნებდა) და მასთან ერთად სოციალ. დემ. პარტიის წარმოგზავნილები. სოლ. ზალდასტანიშვილი წერს:

"მაისში საზღვარგარეთიდან თბილისში დაბრუნდა ვ. ნოდია. მას ჩამოჰყვა, მიუხედავად "დამკომის" დადგენილებისა, ვალიკო ჯუღელი, ბ. ჩხიკვიშვილი და მათთან ერთად ვ. მგელაძე, ცინცაბაძე და ცენტერაძე (ყველა სოც.დემოკრატები). სხვა პარტიებიდან არავინ და არც არაფერს იტყობინებოდა. ახალმა ჩამოსულებმა ჩამოიტანეს შემდეგი ინფორმაცია: საერთაშორისო მდგომარეობა ხელს უწყობს აჯანყების დაწყებას, და, თუ ვინიცობაა, აჯანყება დამარცხდეს, მაშინ მოძრაობა პროვინციებში უნდა გაგრძელდეს, რომ ამით პარიზში მყოფმა გაერთიანებულმა ცენტრმა შესძლოს ზოგიერთ მეგობრულად განწყობილ სახელმწიფოსთან დიპლომატიური წესით მოაგვაროს საქართველოს საკითხი რუსებთან."

უკვე ეს ცნობა ხდის აშკარას თუ რა ამოძრავებდა უცხოეთში მყოფ "მთავრობას", და აძლიერებს სპ. კედიას ბრალდებას. საქმე ის გახლავთ, რომ "მთავრობის" ამ ცნობაში იმდენივე სიყალბეა, რამდენიც სიტყვა. საერთაშორისო ვითარება, სწორედ რომ არ უწყობდა ხელს აჯანყებას და ეს შესანიშნავად იცოდა "მთავრობამ". მაგრამ მას რადაც არ უნდა დასჯდომოდა უნდა ებიძგა აჯანყებისათვის, რათა დიპლომატიურ სარბიელზე გახსნოდა ხელები და გამოეცოცხლებინა თავისი მდგომარეობა - სოციალისტებთან ურთიერთობა რეალურ პოლიტიკურ "პურს" აღარ აჭმევდა "მთავრობას" და მისი ინტერნაციონალური აქტივობა აღარავის აღარ აწუხებდა. აჯანყების დაწყება სწორედ ამ ყალბმა ცნობამ გადაწყვიტა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომელიც პირველ აჯანყებებს უძღვებოდა და ახლაც ძირითად ძალას წარმოადგენდა, აჯანყებაზე მხოლოდ მას შემდეგ დათანხმდა, როდესაც ასე თუ ისე დაარწმუნეს დაეჭვებულები (შალვა ამირეჯიბი, ელისე პატარიძე,

რომელიც საერთოდ არ ენდობოდა ვ. ნოდიას მიერ ჩამოტანილ ცნობას და მოითხოვდა ევროპიდან (ერ. დემ-ისგან) უშუალო ცნობების მიღებას და სხვები), რომ აჯანყების მოწყობას ხელსაყრელი პირობები ჰქონდა. (ჩამოსული სოც. დემოკრატების განცხადებას " რომ ერიო და მაკდონალდი გვირჩევენ აჯანყებას, რომ ინგლისის ესკადრა მოდის, პოლონეთის ჯარების დივერსია დაწყებულია, გემი იარაღით საზღვარზე დგას და სხვა.. საკმაო ნდობით ხვდებიან. ეს საკმარისია წელთა განმავლობაში უმძიმეს ნერვიულ ატმოსფერაში მყოფ წრეებში იმედებისა და ილუზიების შესაქმნელად. მათ არ უძნელდებათ ყოველივე ამაში სხვისი დარწმუნება და დაჯერება, რადგან ყოველივე ეს თვითონ სწამთ, თვითონ სჯერათ..." - ალ. ასათიანი "ძვ. და ახ. მემკვ. გვ 205).

შეიქმნა პარადოქსული ვითარება: ეროვნულ-დემოკრატები, რომლებიც აჯანყებათა მთავარ მაორგანიზებელ ძალას წარმოადგენდნენ (1921-1922 წლებში.) თავიდან თავს იკავებენ აჯანყებისაგან, სოციალ-დემოკრატები კი, პირიქით, აჯანყებისაკენ უბიძგებენ ქართველ ერს. შემდეგ კი, ეროვნულ-დემოკრატები თავგამოდებით იბრძვიან და აღწევენ კიდეც აქა-იქ წარმატებას, ხოლო სოც. დემოკრატები კი "შეცდომას" "შეცდომაზე" უშვებენ აჯანყების დასამარცხებლად და შემდეგ მშვიდად აანალიზებენ - ეს ასეც უნდა მომხდარიყო!? ცხადია ეს სრულიადაც არ ეხება აჯანყებაში უშუალოდ მონაწილე "სოციალისტურ მასას", არამედ ლიდერებს, იმათ, ვინც "მთავრობას" და "ხელმძღვანელობას" წარმოადგენდა და ბრძანებებს იძლეოდა. აჯანყების უშუალო მონაწილე განსვენებული ალიოშა აბაშიძე მეტად საინტერესო დეტალს გვაწვდის თავის მოგონებაში (ჩანაწერი ინახება ქართულ-ევროპული ინსტიტუტის არქივში), იხსენებს რა ასეთ დიალოგს მეტეხის ციხეში 1924 წლის სექტემბერში:

"ერთ დღეს, მეტეხში რომ ვართ, გამოდის ერთი ჩაჩანიძე, და გოგია წერეთლის ძმას აბელს უძახის:

- ბიჭო აბელ, ჟორდანიამ არ გამოგიგზავნა ჯარი ფრანციიდანო?! -დაცინვით, ხო იცი... აბელმა უპასუხა:

-ჟორდანიამ უღალატა სამშობლოს და პარტი-ასაც...- სამშობლოს უღალატა და პარტიასაცო. "და" დააყოლა... განათლებული ბიჭი იყო ძალიან, და ვაჟკაცი... აი ასეთი იყო მაშინ მდგომარეობა."

ამ მოკლე და მრავლისმთქმელ გასაუბრებაში მნიშვნელოვანი ისაა, რომ, დასტურდება მთავრობის მიერ ხმების გავრცელების ფაქტი:

"... ხალხი დიდათ იყო დაიმედებული იმითაც, რომ "ჩვენ ძალაუფლება ხელში ჩავიგდოთ, და ანტანტის კრეისერები მოსაშველებლად ფოთზე და ბათომზე მომდგარი არიანო"...ამის იმედით დაიწყო ხალხმა აჯანყება და მოტყუებული სწორედ ამაში დარჩა... ფრონტი გაირღვა, ქართველები უკან იხევენ... მაგრამ ეს არავის აშინებს, ხალხს რწმენა არ შერყევია: - ევროპა მოგვასწრებს, ჟორდანია დაგვპირდა, ის არ მოგვატყუებს, იმედი რომ არ ჰქონოდა არ შემოთვლიდათ - ამხნევებდნენ ერთმანეთს.

-ფრანციას კლეისერები და პაეროპლანები მიუცია, საცაა თვითონ ნოვეც აქანე გაჩდება. კიდო ცოტა შევამაგროთ და ამასობაში ქე მოგვისწრებს, ჩვენი ნოვე, ჩვენი ბელადი! იგი ტეუვილს იტყოდა..." (ა. ქა-ი. "ახალი ივერია" 4 1931, პარიზი: გვ. 8).

ალექსანდრე ასათიანი წერს:

"მთელი ეს დიდი ბრძოლები და მოძრაობა სავსებით მენშევიკების გარეშე მოექცა და ამის გამო მენშევიკებმაც პროკლამაციებიც გამოსცეს, რომელშიდაც სვანეთის და კახეთის აჯანყება კონტრრევოლუციად და ბატონ-ყმობის აღდგენის სურვილით დაწყებულ საქმედ გამოაცხადეს. მაგრამ ასეთი გამოსვლები კიდევ უფრო აშორებს მათგან მებრძოლ ძალებსა და ერში ახლად დამყარებულ სულისკვეთებას. თავის გავლენის აღდგენისათვის ისინი ახალ ზომას მიჰმართავენ - განუწყვეტლივ თხზავენ და გაბმულად ავრცელებენ ათასნაირ ჭორებს ნ. ჟორდანიას შესახებ: ხან ჯარებით მოჰყავთ, ხან ესკადრით და ხან კიდევ მსოფლიო კონგრესებზე დაჰყავთ ან საერთაშორისო სადაო კითხვებს არიგებინებენ. ამ ჟამად გერმანია - საფრანგეთს აზავებს და როგორც გაათავებს საქართველოდან ბოლშევიკების გარეკვის საქმეს შეუდგება და ამასაც მალე მოათავებსო... ამას მოხმარდა აურაცხელი ეროვნული სალარო და გადაგზავნილი თანხები..." ("ძვ. და ახ. მემკვიდრეობა" გვ201).)

მიხაკო წერეთელი წერს:

"და მართალია ის არის, რომ აგვისტოს აჯანყების მომწყობთ აროდეს ჩაუდენიათ ქართველი ერის წინაშე უდიდესი დანაშაული, ვიდრე "ეს აჯანყება", რომელიც გაგრძელდა მხოლოდ რამოდენიმე დღე და რომელსაც მსხვერპლად შეეწირა საუკეთესო ქართველობა. ჯერ კიდევ შეუძლებელია ვიცოდეთ რაოდენობა და ღირსება მსხვერპლისა, და ვინ იცის, რაოდენმა დრომ უნდა განვლოს, რომ ქართველმა ერმა ეს საშინელი დანაკლისი შეივსოს...

... და განა 1924 წელს კიდევ უფრო დარღვეული არ იყო საქართველო რუსთა სამი წლის გამანადგურებელი ბატონობით, განა ქართველობა, ს.-დემ.-ებისაგან 40 წლის განმავლობაში გზა-აბნეული, მათ ძმათა მიერ სამი წლის განმავლობაში წამებამ სულიერად განამრთელა და განა გმირული სული ჩაუდგა ბოლშევი-კების ტერორმა მთელს ერს, რომ იგი გამარჯვებისა ან ბრძოლის იმედით შებმოდა რუსეთს, განა ცრუ აღთქმა, მეორე ინტერნაციონალის გამინისტრებულ წევრთაგან უნდა მოველოდეთ შველას ინგლისითგან, ერთობ ევროპისაგანო, და სხვა ტეუილები, განა პარტიათა შეთანხმება, რომელთაგან არც ერთს არავითარი ძალა არა ჰქონდა - განა ყოველივე ესე ერის აჯანყებისათვის ნამდვილ მომზადების მაგივრობას გასწევდა? და განა სარგებლობა იმ სასოწარკვეთილებით, როდესაც წამებული ერი დაუჯერებელს დაიჯერებს და უსაშინელესს, შეუსაბამო საქმეს ჩაიდენს, მხოლოდ კი ოცნებით მაინც წარმოიდგინოს წამებისაგან განთავისუფლება, უდიდესი დანაშაული არ არის ერის წინაშე?

მიზანი აჯანყების მომწყობთა ბატონობის დაბრუნება იყო, რომელიც განაყოფმა ძმებმა მათ წარსტაცეს. ანგარიში მათი პოლიტიკური - შემცდარი: მცირე ძალთა ბრძოლის ველზედ გამოყვანით ისინი ვერც მტერს განაძევებდენ სამშობლოთგან და ვერც უცხო სახელმწიფოთა ჩარევას გამოიწვევდენ, სასოწარკვეთილ. მაგრამ აჯანყებისთვის მოუმზადებელ ერითგან მხოლოდ გმირთა მცირე რიცხვმა იბრძოლა გმირულად, ერის საუკეთესო ნაწილი, უდანაშაულო მცხოვრებნი, ქალი და ბავშვიც კი მსხვერპლად შეეწირენ ამბიციებით სლსავსე ემიგრანტების უგნურებას და გაპირუტყვებულ მტრის რისხვასა და სისხლის წყურვილსა: მას ზედ-მეტი მიზეზი აღუჩნდა იმისთვის, რომ საქართველო და ერი მისი აღგავოს პირისაგან მიწისა...

...ამ აჯანყების მომწყობნი არა თუ თვით არ იყვნენ ერის თავისუფლებისათვის მებრძოლნი, არა თუ აროდეს ამოუღიათ ხმა საქართველოს უკანასკნელი მტრის, რუსის წინააღმდეგ, არამედ ბრძოლა მათი სულ სხვა სფეროში სწარმოებდა, სხვა თვისებისა იყო, და ოდეს იგინი, ძმათაგან დამარცხებულნი, უცხოეთში გამოიქცენ, ხოლო ნამდვილმა მებრძოლმა, ძველი სისხლისა და სულის ქართველმა, ქ. ჩოლოყაშვილმა ძველებურად ამოიღო

***

ხმალი, ძველებურად დაიწყო ბრძოლა. - ბრძოლა უანგარო, ერის განსათავისუფლებლად და არა საბატონო ტახტზე დასაჯდომად და განსასვენებლად. ოდეს წლობით იბრძოლა გმირთა მცირე კრებულმა დიდი ქართველის წინა-მძღოლობით, თვითმდომთა ბატონობისა მას ბრძოლა დაუწყეს. ცილი დასწამეს: მათის მეთაურობით უნდა გამლილიყო დროშა მთელის ერის "აჯანყებისა"! გუშინდელ განქირდებულსაც მოუწოდეს. იცოდენ, დიდ ბუნებოვანი ქართველი მათ კადნიერებას იმდენად არ იწყენდა, რომ განზედ გამდგარიყო. მაგრამ წამხდარ საქმესა და უგნურებას რეგვენთა ვერავინ უშველიდა და ეს მათი აჯანყებაც უარესი კატასტროფით გათავდა. ვიდრე მათ მიერ ხელმძღვანელობა განთავისუფლებული საქართველოისა.

არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი: ერის ხელმძღვანელობა, ორგანიზაცია მისი ბრძოლისა არ არის საქმე მეორე ინტერნაციონალის წევრთა. ეს მათ დაამტკიცეს და ამით გათავდა ისტორია მათი ბატონობისა საქართველოში. უხაროდეს ქართველ ერს ეს დასასრული მისი ისტორიის სამარცხვინო ამნაკვეთისა, ხოლო მთელმა შთამომავლობამ ერისა ამით ოდენ განიქარვოს გლოვა ულრმესი რომელიც მას ბედმა არგუნა ნაცვლად მოსვენებისა და ბედნიერებისა დიდი ხნის ღვაწლისა და შრომის შემდეგ. ცოცხლებმა იცოდენ, რომ თვინიერ მძლავრ ეროვნულ იდეისა არ არის არც იმედი უკეთესი მომავლისა, არც ნუგეში დამარცხების შემდეგ, ოდეს საქმე მსხვერპლადა ღირს.." ("თეთრი გიორგი" 31, აგვისტო 1930 წ. პარიზი.).

ამგვარი რამ მრავლად იწერებოდა "მთავრობის" საქმიანობაზე და ამის უგულვებელყოფის უფლება დღეს, და განსაკუთრებით დღეს, როდესაც კომუნიზმის "ადამიანურ" ალტერნატივად სოციალიზმს გვთავაზობენ და ნაციონალიზმს (ანუ **ეროვნული-კულტურული ერთობის იდეას**) ტოტალურ დისკრედიტაციას უკეთებენ, არა გვაქვს, თუ გვინდა რომ თავიდან ავიცილოთ ჩვენი ისტორიის ტრაგიკული შეცდომები და გზა გადავუკეტოთ უოველგვარ პარტიულ და ბელადურ "ჰეგემონომანიას" და ავმაღლდეთ პიროვნებათა თავისუფალ ერთობამდე.

პარტიისადმი ღალატი ვფიქრობ ჯერ არავის დაუწამებია საქართველოს "მთავრობისათვის", რადგან ოპოზიცია სწორედ იმას უკიჟინებდა "მთავრობას", რომ საქართველოს ინტერესები პარტიის ინტერესებს ანაცვალათ. რაც შეეხება ძირითად ბრალდებას, ამას ერთხმად აწერდა ხელს მთელი ოპოზიცია და ემიგრაციაში მოხვედრილი არასოციალდემოკრატიული ძალების წარმომადგენლები. სპირიდონ კედიას ბრალდებები მხოლოდ ამ საერთო თვალსაზრისის გამოხატულებას წარმოადგენს.

ძირითად წყაროს "მთავრობის" პოზიციის გასარკვევად წარმოადგენს ნოე ჟორდანიას წიგნაკი "რა მოხდა". ამ წიგნაკის გადმოცემით და მომდევნო მნიშვნელოვანი ფაქტის წარმოჩინებით დავასრულებ ჩემს ჰიპოთეზას 1924 წლის აჯანყების დამარცხების მიზეზებზე და ამ დამარცხებაში "მთავრობის" საგანგებო როლზე.

გასაოცარი ოპერატიულობით დაწერილი ეს წიგნაკი მრავალმხრივაა საინტერესო. იგი დაიწერა აჯანყების "მეორე" დღესვე (თითქოს წინასწარაც კი!) - 1925 წლის დეკემბერ-იანვარში (1925 წლის 15 იანვარი უზის თარიღად). ეს აჩქარება, მას შემდეგ, რაც დუმილით იქნა ავლილი უველა წინარე აჯანყებები, მეტად დამაფიქრებელია. რას ესწრაფოდა "მთავრობა" და მისი "პრეზიდენტი"?.

მივყვეთ ნოე ჟორდანიას (ხაზგასმა, თუ არ ალინიშნა, ჩემია - ჯ.კ.)

"მოხდა საქართველოს აჯანყება.

მოხდა საქართველოს დამარცხება.

რას გვასწავლის ეს ორი უდიდესი მოვლენა, როგორ უნდა შევხედოთ მას და რა დასკვნები უნდა გავაკეთოთ აქედან?...

მართლა დავმარცხდით პოლიტიკურათ და მორალურათ?

გავსინჯოთ:

## 1. აჯანყების დადებითი მხარეები.

...ის არის ერთ და იმავე დროს აჯანყებაც და რევოლუციაც. აქ შეერთდა პოლიტიკური ორგანიზაცია და ერის სტიქია.

საქართველოს აჯანყება ნიშნავს ჩვენი არალეგალური ორგანიზაციების უმაღლეს კონსპირაციას და დისციპლინას ერთის მხრით, მათ მიერ ხალხის გულისთქმის და პოლიტიკური წყურვილის ზედმიწევნით გამოხატვას მეორე მხრით. აი ამ ორ სათავეთა ერთსულოვნება, ერთ სისხლ-ხორცათ ჩამოუალიბება სრულიად უდავო ფაქტია.

და აი, ეს "გამქრალი, "დარღვეული" პარტია გამოდის სამალავიდან და მას მოსდევს მთელი ხალხი! (ლაპარაკია სოც. დემ. პარტიაზე - ჯ.კ.)

...აგვისტოს გასულს სწორეთ ეს ნაციონალური და დემოკრატიული დროშა ააფრიალა, დროშა, რომელიც საქართველოს მწვერვალზე სამ წელიწადს ფრიალებდა და იქიდან მურტალმა ხელმა ჩამოგლიჯა. ახლა ის შენახულია ხალხის გულში და მისი ამოგლეჯა შეუძლებელია.

28 აგვისტოს ქართველი ერი ამ დროშის ქვეშ გაერთიანდა და მის დასაცავათ სისხლი დაღვარა. მან ამით საჯაროთ დასვა საქართველოს საკითხი და მისკენ მიაპყრო ქვეყნის ყურადღება. ერთი გამოსვლით ერი ვერ განთავისუფლდება, მაგრამ განთავისუფლების საქმეს კი წინ წასწევს. მტერი და მოყვარე დარწმუნებული უნდა იყოს ჩვენს განთავისუფლების სურვილში. ეს სურვილი კი ცხადდება მხოლოთ ბრძოლით, მასის ამოქმედებით. აი ეს სურვილი ჩვენმა ქვეყანამ აჯანყებით გამოხატა და მსხვერპლის გაღებით ამცნო კაცობრიობას თავისი დროშა და მისწრაფება. მან მიიღო საკაცობრიო კურთხევა და შევიდა მის ოჯახში სრულუფლებიანათ.

როგორც ხედავთ, აგვისტოს აჯანყებას ქონდა დიდი დადებითი შედეგები. შიგნით მან გააერთიანა მთელი ერი, ამოთხარა ორმო ჩვენს და მტერს შორის, გარეთ მან დასვა ჩვენი საკითხი პრაქტიკული პოლიტიკის დღის წესრიგში.

აი სწორედ ამიტომ მას ებრძვიან ბოლშევიკები და ავანტიურათ ალიარებენ. მათ აყვა ზოგი ჩვენებიც და უკრიტიკოთ დაიჯერეს მტრის ოინები.... მათი ლოლიკა სრულიად სადაა. მისაღებია გამარჯვებული აჯანყება, უარსაყოფია დამარცხებული - აი მათი მთავარი დებულება. მართალია ეს? აქვს რაიმე კავშირი ამ აზრს რევოლუციასთან და სოციალიზმთან? არა, არავითარი...

ცხადია, აჯანყების საზომი არის არა გამარჯვება-დამარცხება, არამედ სულ სხვა რამ, რასაც პირდაპირი კავშირი არა აქვს დაუყოვნებლივ შედეგებთან. აჯანყების ერთად-ერთი საზომია მისი პოლიტიკური მიზანი, მისი დროშა, მისი იდეოლოგია. მომხრე ამ იდეოლოგიისა მომხრეა მისთვის გაღებული მსხვერპლისაც, მოწინააღმდეგე ამ იდეოლოგიისა - მოწინააღმდეგეა აჯანყებისაც....

ქართველმა ერმა ითმინა ბოლშევიკური მტარვალობა სამ წელიწადსნახევარს და ბოლოს იფეთქა. ვის შეუძლია მას ქვა ესროლოს?...

****************************************************************************************

ამნაირათ, საქართველოს აჯანყება, გამოწვეული მოსკოვის მტარვალობით, უდიდესი მოვლენაა ერის განმათავისუფლებელი მოძრაობისა. ჩვენს ისტორიაში ის იჭერს ცენტრალურ ადგილს და მის ირგვლივ იკრიბება ყველა სასიცოცხლო ძალები."

ასეთია "მთავრობის" და საქართველოს "პრეზიდენტის" თვალსაზრისით 1924 წლის აჯანყების დადებითი შედეგები. სოციალისტურ დემაგოგიურ ლოზუნგებს რომ დავანებოთ თავი, დაფორმულებით შეიძლება დავასკვნათ, რომ 1924 წლის აჯანყება ყოფილა ერთსადაიმავე დროს რევოლუციაც და აჯანყებაც თავისი იდეოლოგიით სოციალისტური და მისი ყველაზე დიდი მონაპოვარი არის ის, რომ მან საქართველოს საკითხი დასვა რეალური საერთაშორისო პოლიტიკის დღის წესრიგში. (ხოლო ამ დღის წესრიგშივე დაისვა, ესე იგი, საქართველოს ერთადერთი სრულუფლებიანი "მთავრობის" საკითხიც, რომლადაც, ცხადია, სოც. დემოკრატიული მუდმივი მთავრობა ცხადდება. მთავრობამ გაიმუდმივა თავი, რადგან გამოაცხადა, რომ მისი გადარჩევა იმას შეუძლია ვინც აირჩიათ, ცხადია ამას ქართველი ერი სჭირდებოდა, რომლის პარიზში გადმოსახლება ნამდვილად არ შედიოდა სტალინისა და ორჯონიკიძის გეგმაში! "მთავრობა" ლტოლვილთა რიცხვის ზრდამაც კი შეაშფოთა ერთ დროს და განცხადებას განცხადებაზე ათავსებდა ბრძოლაში " ნუ მოდიხართ, ხოლო ვინც მოდის იმას პოლიტიკური პარტიების მანდატი უნდა ჰქონდესო!... ეს საკითხიც საინტერესოა გასაანალიზებლად). თუ რამდენად ახლოა სინამდვილესთან ამგვარი განცხადება ეს ამ სამოცდაათმა წელმა კარგად გვიჩვენა, მაგრამ იქნებ მაშინ ასე "ეგონათ" თავდადებულ სოციალისტებს, რომ საქართველოს საკითხი რეალური პოლიტიკის დღის წესრიგში დადგა? - სრულიადაც არა, ეს იყო ჩვეულებრივი სოციალისტური დემაგოგია და თავისი რეალური ზრახვების და მიზნების დამალვის ცდა, რადგან უკვე ისმოდა მძაფრი პროტესტები მათი საქმიანობის დამღუპველობის შესახებ.

მივყვეთ ნ. ჟორდანიას:

"2. აჯანყების უარყოფითი მხარეები.

აჯანყების დადებითი მხარეების ალიარება არ ნიშნავს მისი უარყოფითი მხარეების უადგილობას. (სტილი დაცულია -ჯ.კ.)...

აჯანყების ძირითადი ნაკლულოვანება მდგომარეობს იმაში, რომ მისი სიმძიმის ცენტრი შეიარაღებული გამოსვლებიდან გადავიდა უიარაღოთა გამოსვლებში, რევოლუციურ მოძრაობაში, აჯანყება დაფარა რევოლუციამ და მით დაასუსტა. ... რევოლუცია - ეს სახელმწიფო წყობილების დარღვევა და ძალა-უფლების ახალ კლასების ხელში გადასვლაა. ამ პროცესში შეიძლება აჯანყებაც მოხდეს, მარა ის არ იქნება ეპიზოდი, წარმავალი მოვლენა, გამოწვეული რევოლუციის მიერ წამოყენებული პრინციპის ცხოვრებაში ძალით გასატარებლად....(შემდეგ ამას მოჰყვება ვრცელი ამონაწერი მარქსიდან, რომელიც ამგვარ დასკვნას აკეთებინებს ნ. ჟორდანიას) :

" როგორც ხედავთ, აჯანყების გასამარჯვებლად საჭიროა მრავალი შეიარაღებული ძალა და მტერზე მუდმივი შეტევა, მეტი სამხედრო ძალა, მეტი გამბედაობა - აი აჯანყების მიუცილებელი თვისება. უიარაღო ხალხი მხოლოდ ტვირთია შეიარაღებულთათვის, როცა ისიც ამათ ურთდება, მაგრამ დიდი დამხმარეა თუ შინ ზის და მებრძოლთ ეხმარება სანოვაგით, ახალ-ახალი შეიარაღებული რაზმების გამოყვანით, მტრის დაზვერვით და სხ." (ლოგიკა და სტილი, ცხადია, დაცულია. ამ გზით საქართველოს "პრეზიდენტი" აღრმავებს თავის ანალიზს):

"საქართველოს აჯანყებამ იწარმოვა სრულიად წინააღმდეგ აჯანყების ძირითადი კანონისა. აქ ხალხის რევოლუციური გამოსვლა სავსებით ფარავს სამხედრო მოქმედებას, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში. მოძრაობას მეთაურობს უიარაღო ხალხი, შეიარაღებულნი გამონაკლისია. აღმოსავლეთში მოქმედებენ უმთავრესათ შეიარაღებული რაზმები, იჩენენ თავდასხმის ინიციატივას, მაგრამ მცირე რიცხოვანობის გამო მოწინააღმდეგეთ ვერ უმაგრდებიან. მოძრაობა აქ უფრო გავს აჯანყებას, ვინემ რევოლუციურ მღელვარებას.

საქართველოს ორი ნაწილის ორ-გვარი აჯანყება - ხალხური და რაზმული - ხატავს მათ სხვა და სხვა პოლიტიკურ მდგომარეობას და დამოკიდებულებას ბრძოლასთან. ამერი იარაღს გაცილებით მეტ მნიშვნელობას აძლევს, ვინემ იმერი. ის ისტორიულათ მიჩვეულია მტერს იარაღით უსწორდებოდეს და ეს სამხედრო კულტურა მას შერჩა. იმერი არ საჭიროებდა ასეთ მუდმივ თავდაცვას, ვინაიდან შორს იყო მტრის შარაგზიდან. თუ გურიაში ხან და ხან შემოიჭრებოდა ოსმალო, უფრო კი აჭარელ-ქობულეთელი, მას უპასუხებდენ უმთავრესად არა რეგულიარული ბრძოლით, არამედ ტყეში გახიზვნით და პარტიზანული თავდასხმით. სამხედრო კულტურა აქ მეტად სუსტია. ამისათვის აქ აჯანყება იღებს დემონსტრაციის ხასიათს. გურიამ აგვისტო-სექტემბერში განიმეორა სავსებით 1841 წლის აჯანყება. ორივე შემთხვევაში ხალხი დგება და უსწორდება ადგილობრივ ხელისუფლებას, გარდა ოზურგეთისა, რომელიც ორივემ ერთნაირად შემოქალტა, მარა არ აილო. მტერზე შეტევას ორივე აჯანყება გაურბის და უცდის როდის მას შემოუტევენ. ლიკვიდაცია ორივესი დაახლოებით ერთნაირია - ნაკლები მსხვერპლით და მეტი ლაპარაკით. სამეგრელომ განიმეორა გლეხთა აჯანყება 1859 წლისა, როცა დიდი სამხედრო შეტაკებები გადაიხადა აჯანყებულებმა. უიარაღონი აქაც ბატონობდენ, მარა იარაღსაც საპატიო ადგილი უჭირავს. შორაპნის მაზრაში ვხედავთ რევოლუციურ მოძრაობასაც და ხანგრძლივ საომარ მოქმედებასაც. აქ იარაღს კიდევ მეტ ფასს აძლევენ ვინემ სამეგრელოში, ხოლო ცოტა იქით, ლიხის გადაღმა ეს ტენდენცია ბატონდება.

როგორც ხედავთ, საქართველოს თვითეული ნაწილი თავის ინდივიდუალურ თვისებებს აძლევს მოძრაობას. სვანეთს მაგ. სრულიად არ სწამს უიარაღო გამოსვლა, აჯანყების ყველა წესები აქ ბუნებრივათ დაცულია. აქ იბრძვიან მართლა სამხედრო რაზმები; სვანი მაგრდება დიდხანს და ხმალს ქარქაშში აგებს უკიდურეს შემთხვევაში, როცა მთელი ძალღონე ამოწურულია და პერსპექტივაც გამქრალია. საქართველოს ხშირათ მიუტოვებია სვანეთი გაჭირვებაში, მეფეთა ხანაში და ახლა ბ-ბის ბატონობაში, სექტემბერშიაც სვანეთი უკანასკნელათ დანებდა მტერს. სვანმა სავსებით დაიმსახურა სამშობლო.

( მე ვფიქრობ "საქართველოს ერთადერთი და მუდმივი პრეზიდენტის" ამ პასაჟს კომენტარი არ ესაჭიროება. ამ შეურაცხმყოფელი უვიცობის დემონსტრირებაზე მხოლოდ ვიტყვი, რომ მართალი იყო ილია, როდესაც ნოე ჟორდანიას ნააზრევს "უვიცობის ფართი-ფურთი უწოდა". ვფიქრობ ეს გაკვეთილი გათვალისწინებული უნდა იქნას მომავალში და საქართველოს კონსტიტუციაში, ჩემის აზრით, "უვიცობის ფართი-ფურთის" თავიდან ასაცილებლად შეტანილ უნდა იქნას მუხლი: "საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატმა წარმოადგინოს: ა) სიმწიფის ატესტატი; ბ) საქართველოს ისტორიის გამოცდა ჩააბაროს! - ჯ.კ.).

მივყვეთ ნ. ჟორდანიას:

"ამ ნაირათ, მეტი შეიარაღებული ძალა და ნაკლები უიარაღო - ეს მთავარი კანონი აჯანყებისა - საქართველოში

შეტრიალდა უკუღმა - მეტი უიარაღო და ნაკლები შეიარაღებული. აი მთავარი მიზეზთაგანი მოძრაობის დამარცხებისა.

აჯანყების მეორე ძირითადი კანონი - მთავარ ბანაკზე თავდასხმა - სრულიად არ განხორციელებულა. ასეთი ბანაკია ჩვენში თბილის და ბათუმი. იმავე დროს ეს არის უდიდესი სტრატეგიული პუნქტები. აჯანყება უნდა დაწყებულიყო თბილისის სლებით. რაც უცებ შექმნიდა რევოლუციურ მდგომარეობას და გამოიწვევდა მთელი საქართველოს ადგომას. შეიძლ:ება ადერბაიჯანისა და მთისაც. აჯანყება გახდებოდა საერთო კავკასიური. ბრძოლის ხაზი გადაიქცეოდა კავკასიის ქედი და მით ჩვენი ინტერნაციონალური მდგომარეობა უცებ შეიცვლებოდა. საერთაშორისო პოლიტიკა არის ფაქტების რიგი. ის მისდევს სინამდვილეს.

(აქ კიდევ ერთი მუხლი უნდა დაემატოს კონსტიტუციას: "საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატმა ჩააბაროს გამოცდა ლოგიკის საფუძვლებისა" - ჯ.კ.)

"აშკარაა. მტრის მთავარი ბანაკის დატოვება და წვრიმალი პუნქტებით აჯანყების დაწყება - მეორე მთავარი მიზეზია დამარცხებისა.

რაკი აჯანყების სამხედრო მომზადებას ასეთი ორგანიზაციული და სტარტეგიული ნაკლი ჰქონდა. ის. ცხადია. უნდა გათავებულიყო "პუჩათ". როგორც გერმანელები იტყვიან. ანუ ჯგუფურ გამოსვლათ. მსგავსათ კომუნისტური გამოსვლისა რევოლში: მსხვერპლიც გაცილებით მეტი იქნებოდა. მაგრამ მდგომარეობა იხსნა პოლიტიკურ პარტიებმა. განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატიამ. მან ბრძოლის ველზე გამოიყვანა მასები და მისცა აჯანყებას სახალხო ხასიათი. სამხედრო თვალსაზრისით ეს უარყოფითი მოვლენა შექმნილ პირობაში გახდა დადებით მოვლენათ და ერის მორალური გამარჯვება უზრუნველყოფილათ. აი ეს თვისება მოძრაობისა სწრაფათ დააფასეს მტრებმა და შეეცადენ მის მიფუჩეჩებას. ევროპაში მათი ალარაკის სჯეროდა. მათ ცრუ დეპეშებს არც ერთი სააგენტო არ იღებდა და არ აქვეყნებდა. დასავლეთი დარწმუნდა თავიდანვე საქართველოს აჯანყების სახალხო ხასიათში და მისი გაყალბება მოსკოვს არ დაანება.[1]

ამ ნაირათ. აჯანყების სიმძიმე თავს დაატყდა არა მეომართ. არა შეიარაღებულ ნაწილებს. არამედ პოლიტიკურ პარტიებს. უიარაღო ხალხს და მან მოგვცა ის. რის მოცემაც შეეძლო - ფიზიკური დამარცხება. მორალური გამარჯვება."

(ამის შემდეგ კიდევ ერთი მუხლი მეჩვენება აუცილებელი მომავალ კონსტიტუციაში: "საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატმა წარმოადგინოს ჯანმრთელობის ცნობა"ს - ჯ.კ.).

(ვიდრე ამ მეტად თავისებური წიგნაკის ამონაწერებს გავაგრძელებდე. უნდა ხაზგასმით აღვნიშნო. რომ ქართული სოციალ-დემოკრატია მარტო ნოე ჟორდანიებიდან და. ერთობ "ლიდერებიდან" ან "მთავრობიდან" არ შედგებოდა. მასში მრავლად და უმეტესადაც იყვნენ უბრალო ქართველები. რომელთაც სურდათ მონაწილეობა მიეღოთ საქართველოს განთავისუფლებაშიც და აღმშენებლობაშიც. ზუსტად ისევე. როგორც ბოლშევიკური (კომუნისტური) პარტია არ შედგებოდა და არ შედგება მხოლოდ ლენინების. სტალინების. ძერჟინსკების. ეჟოვების. ბერიების. ორჯონიკიძეების და სხვა მათდაგვართაგან. ამიტომაც მკითხველმა უნდა გაითვალისწინოს. რომ საუბარია მხოლოდ და მხოლოდ პარტიულ და სახელმწიფოებრივ ლიდერებზე. მათ ზნეობაზე. მათ აზროვნებასა და საქმეზე. თვით მათაც ვიხილავთ და თვით ისინიც გვაინტერესებს მხოლოდ როგორც პოლიტიკური მოღვაწენი. რომელთაც საქართველოს ისტორიაში გარკვეული როლი ითამაშეს და განსაზღვრეს საქართველოს აწმყო თუ მომავალი. პირად ცხოვრებაში. როგორც ქმრები. მამები. ბაბუები. ძმები და ა. შ. და სხვა ამგვარი. ისინი ჩვენთვის არაფერ საინტერესოს არ წარმოადგენენ და ყურადღების გამახვილება მათზე არც დაგვჭირდებოდა (ყოველ შემთხვევაში არა უმეტეს სხვა "ჩვეულებრივი" ადამიანისა). ისინი რომ თავისი ოჯახის ფარგლებში დარჩენილიყვნენ და სასწორზე არ დაედოთ საქართველოს ბედი. ეს ყოველი ლიდერის და მეთაურის ცნობიერებაში უნდა გაჯდეს. რომ თუ მას უნდა ყურადღების ცენტრში დადგეს და როლი ითამაშოს ერის ცხოვრებაში. მან უნდა ზღოს კიდეც იგივე პროპორციით. როგორითაც მისი პირადი საცხოვრისი შეეფარდება მისი მოღვაწეობის ასპარეზსს. ადამიანის და მითუმეტეს პოლიტიკური მოღვაწისადმი პატივისცემა თუ უპატივცემულობა მხოლოდ მისი საქმით არის გაპირობებული და. ამდენად. ესაა ჩემი დამოკიდებულების საწინდარიც. ეს შენიშვნა ახალგაზრდა მკითხველებს გულისხმობს პირველ რიგში).

"3. აზრთა არევა.

აჯანყება იყო მომზადებული პოლიტიკურათ და არა ტეხნიკურათ. ე.ი. პოლიტიკური ხაზი იყო სწორი. სავსებით ხალხური და ნაციონალური. ხოლო მისი განმახორციელებელი სამხედრო ხაზი არ იყო სწორი და თავის სიმაღლეზე აყვანილი. აქედან იბადება ერთათ-ერთი ტაქტიკური დასკვნა - პოლიტიკური ხაზის გაგრძელება. სამხედრო ხაზის გადასინჯვა. ამ ბუნებრივ ლოღიკას შემოწყრომიან ახალ მოდის ლიკვიდატორები და შექმნეს აზრთა საოცარი არევა.

...ან აჯანყება ან ბოლშევიზმით. სოც.-დემოკრატუას ასეთი სიბრიყვე არასოდეს წამოცდენია...

ერთი რამ აშკარაა. 28 აგვისტოს გამოსვლა აღარ უნდა განმეორდეს: იმან ითამაშა თავისი როლი და კიდევ ასეთ როლში საქართველო არ საჭიროებს...

ჩვენ უნდა გვახსოვდეს ერთი ძირითადი მდგომარეობა და იქიდან გამოვდიოდეთ. ეს გახლავს მოსკოვის ქვეყნათ განმარტოვება. მისი და მსოფლიოს დაპირდაპირება. (ეს იწერება მაშინ. როდესაც მსოფლიო უკვე მიდის მოსკოვის ცნობისაკენ და ამერიკელები "წითელ ხალიჩას" აგებენ!-ჯ. კ.). საბჭოთა წყობილების დაცემაში მარტო საქართველო რომ იყოს დაინტერესებული. ჩვენი საქმე ყინულზე იქნებოდა დაწერილი და არც ასეთი თამასუქით სოც.-დემოკრატია იანგარიშებდა. ნამდვილათ კი მის დაცემაში დაინტერესებულია მთელი ქვეყანა. ყველა სახელმწიფო. თვით რუსის ხალხი და მაშასადამე. ჩვენ ჩინებულ კამპანიაში ვიმყოფებით...

---

[1] პერსელის დელეგაცია. რომელიც მოსკოვმა საქართველოში ჩამოიყვანა თავის პრესტიჟის აღსადგენათ. სავსებით დამარცხდა ევროპაში. ბრიუსელის იანვრის ყრილობაზე მის წინააღმდეგ გაილაშქრა მეორე ინტერნაციონალმა. ამსტერდამის ინტერნაციონალმა. ინგლისის მუშათა პარტიამ და სხვა ყველა სოციალისტურმა პარტიებმა. - ავტ. შენ.

***********************************************************************************

ჩვენ უნდა გვახსოვდეს ერთი ძირითადი მდგომარეობა და იქიდან გამოვდიოდეთ. ეს გახლავს მოსკოვის ქვეყნათ განმარტოვება, მისი და მსოფლიოს დაპირდაპირება. (ეს იწერება მაშინ, როდესაც მსოფლიო უკვე მიდის მოსკოვის ცნობისაკენ და ამერიკელები "წითელ ხალიჩას" აგებენ!-ჯ. კ.). საბჭოთა წყობილების დაცემაში მარტო საქართველო რომ იყოს დაინტერესებული, ჩვენი საქმე ყინულზე იქნებოდა დაწერილი და არც ასეთი თამასუქით სოც.-დემოკრატია იანგარიშებდა. ნამდვილათ კი მის დაცემაში დაინტერესებულია მთელი ქვეყანა, ყველა სახელმწიფო, თვით რუსის ხალხი და მაშასადამე, ჩვენ ჩინებულ კამპანიაში ვიმყოფებით...

ევროპა დიდი ქვეყანაა, რუსეთიც დიდია. მათი ბორბლების მიბრუნ-მობრუნება დროს ითხოვს. აჩქარებულთ მოთმინება ეკარგება და სასოწარკვეთილებას ეძლევა - რაკი ამდენ ხანს ჩავრჩით რუსის ხელში, აწი რაღა გვეშველებაო. მარა ერის ცხოვრებაში რა არის წელიწადი? საკითხი იზომება არა დროით, არამედ მისი შინაგანი ბუნებით. რაკი მიზანი სამართლიანია, საქმე წმინდაა, ნიადაგი ხელსაყრელია, ეს სრულიად საკმარისია ვიყოთ დარწმუნებული გამარჯვებაში.

ერის განთავისუფლება ხდება ვისიმე დახმარებით. არც ერთი პატარა ერი საკუთარი ძალღონით არ განთავისუფლებულა... აუჯანყებლათ, სისხლის დაუღვრელათ უბრძოლველათ პოლონეთის საკითხიც კი არ იქნებოდა საერთაშორისო პოლიტიკაში შეტანილი.

ცხადია, ერის გასანთავისუფლებლათ საჭიროა ორი მომენტი: ერის ბრძოლა და გარეშე ძალის დახმარება. აქედან ქართველობის შერჩენა ანტიმოსკოვურ პოზიციაზე და მუშაობის გაგრძელება ევროპაში მოგვცემს იმას, რის მიღებაც კი შეიძლება დღევანდელ ისტორიულ ხანაში...."

"შეძრომა სარფიანია შემძრომელისათვის - განაგრძობს თავის "ღრმა" ანალიზს ნოე ჟორდანია - საზიანოა ხალხისათვის. რატომ? ცხადია რატომ. შეძრომა შეუძლია თითო-ოროლა პირს, გუნდს, არასოდეს ხალხს. ბატონობა მოითხოვს მორჩილებას და თუ ყველა გაბატონდა, ვინ დარჩება მორჩილი? ბოლ-ზმი ნიშნავს უთანასწორობას, უფროს-უმცროსობას. მთელი ხალხის გაბოლშევიკება სპობს ბოლშევიკობას, როგორც ყველას გათავადება აუქმებს თავადობას. აი ამიტომ საბჭოები ცდილობენ ბოლშევიკთა რიცხვი არ გადიდდეს, დანიშნულ დონეს არ გადაცდეს...

...აი, წაიკითხეთ საქართველოს ბოლშევიკური პარტიის მიერ გამოცემული ანგარიში და კარგათ გაიცნობთ ამ ვაჟბატონებს. აქედან სჩანს შემდეგი: ჩვენში ყოფილა ორგვარი ბოლშევიზმი, ძველი, მახარაძის მეთაურობით, და ახალი, ორჯონიკიძე-ორახელაშვილის წინამძღოლობით. აი ამ ორ ჯგუფს შორის გამართულა ბრძოლა ნაციონალურ საკითხის გარშემო. პირველმა შეიუძლვა რუსის ჯარს და საქართველო დაიპყრო, მარა ამასთანავე მოუნდომებიათ "საქართველოს სახელმწიფოს სუვერენიტეტობის შენახვა", მენშევიკებთან იდეურათ ბრძოლა და სხვა კარგი ამბები. მელა მახეში გაება და თავი მოიმძინარა, სიზმარი იქნებაო. მახარაძის ამქარი მოსკოვმა "საქართველოს სახელმწიფოს სუვერენიტეტობის" მოსასპობათ გამოგზავნა, მათ კი ეს სიზმარათ გამოაცხადეს. მოსკოვმა სწრაფათ დაფერთხა ეს უტოპისტები და მათ ალაგს დანიშნა დერჟიმორდები, როგორც ლენინმა უწოდა ორჯონიკიძის ამქარს. ამათ მაშინვე აღმართეს სისხლიანი დროშა და შეუდგენ ქართველი ერის მოსპობას, მასზე ნაძირალთა და არა ქართველთა გაბატონებას. მოწინააღმდეგეთა ხოცვა-ჟლეტას - შაჰაბაზის პოლიტიკის განმეორებას.[1]

როგორც ხედავთ მოსკოვს ვერ "შეუძვრა" ცნობილი ბოლშევიკებიც. ერის ინტერესები ვერ დაიცვეს "უკლონისტებმაც" კი. და ეს იმიტომ, რომ მოსკოვს არა აქვს შესაძვრენი კარები. აქ ყველა კარი დახშულია გარდა ერთისა, ხოლო აქ კი შედიან მხოლოდ დერჟიმორდები. ლიკვიდატორებსაც ეს ერთადერთი

---

[1] დაწვრილებით იხ. "მასალები საქ. კომპარტიის პოლიტ. ანგარიშისათვის" (რუს. ენაზე) 1924. თფილისი. -ავტ. შენ.

კარები აქვთ შესასვლელი, მარა ამისათვის საჭიროა პირველათ ყოვლისა მათი გადანათვლა დერჟიმორდებათ, თაუვანისცემა ტერორისტების...

## 4. ბრძოლა კლასიური და ნაციონალური.

აჯანყების მიერ გამოწვეული აზროვნების ბორძიკი ამით არ თავდება. ამას წინეთ აბრამოვიჩი გვისაყვედურებდა "სოც. ვესტნიკში" - თქვენ ეწევით ბრძოლას ნაციონალურს და არა კლასიურსო. ზოგს ახლა მოაგონდა, რომ ის სოციალისტია და ნაციონალური ბრძოლის კალაპოტში თავის სოციალისტობას ვეღარ ათავსებს.

რას ნიშნავს კლასიური ბრძოლა ბოლშევიკურ საზოგადოებაში?...

კაპიტალისტურ საზოგადოებაში ნაციონალური ბრძოლა შეიძლება არ იყოს არც კლასიური არც პოლიტიკური. მაგალითად ირლანდია ებრძოდა ინგლისს არა რაიმე ახალი ეკონომიური ან პოლიტიკური სისტემისათვის, არამედ მხოლოდ ეროვნული თავისუფლებისათვის, რაიცა სრულიად არ არღვევდა არსებულ სოციალურ რეჟიმს. მიუხედავათ ამ წმინდა ნაციონალური ხასიათისა, მას ემხრობოდა ირლანდიის ყველა პარტია, რომელთაც ქონდათ შემდგარი ერთი ანტი-ინგლისური ფრონტი. თუ ეს არ იყო დასაძრახი ირლანდიელთათვის, რატომ უნდა იყოს დასაგმობი ქართველ ერიათვის, რომლის ნაციონალური მოძრაობა არის უპღრესად სოციალური მოძრაობა. ეს დასაძრახავია მხოლოდ ბოლშევიკური თვალსაზრისით, ვინაიდან რუსული კომუნიზმი მათ უმაღლეს ბედნიერებათ მიაჩნიათ...

ამნაირათ, ბოლშევიკურ საზოგადოებაში წინააღმდეგ კაპიტალისტურ საზოგადოებისა, ერის გამანთავისუფლებელი მოძრაობა იღებს ფორმას პოლიტიკური მოძრაობისას....

იბადება ერთი დიდი ტაქტიკური საკითხი: საქართველოს სოციალ-დემოკრატიამ როგორ აწარმოოს საერთო ბრძოლა, ისე, რომ არ გაითქვიფოს სხვა პარტიებში. ამ შემთხვევაში ერთად ერთი მხსნელია პარტიის იდეოლოგია და პარტიის პრაქტიკა, ე.ი. ის სოციალური და პოლიტიკური მსოფლმხედველობა, რომლითაც ის სხვავდება დანარჩენ პარტიებისაგან და რის განხორციელებისათვის ის ეწევა ყოველდღიურ მუშაობას. ჩვენი პარტიის ძირითადი დებულება იხატება მისი სახელწოდებით: სოციალიზმი - დემოკრატიზმი. უკანასკნელი პირველის გზა და ხიდია. ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ მონაწილეობა ისეთ ფრონტში, რომელიც საჯსებით დგას დემოკრატიის, ხალხის სუვერენიტეტის ნიადაგზე... შეიძლება ჩვენში არსებობენ ფაშისტური ელემენტები, პიროვნების თუ ჯგუფის დიქტატორობის მოტრფიალენი. ესენი უეჭველია შეეცდებიან განთავისუფლებულ საქართველოში ხელში ჩაიგდონ მართველობა და თავისი კლასიური სულისკვეთება ერს მოახვიონ. ასეთ შემთხვევაში ატყდება სამოქალაქო ომი და შიგ თავისუფალი საქართველო დაიღუპება. ამგვარი ელემენტებთან საერთო არაფერი არა გვაქვს. მათ უნდა ვებრძოლოთ ისე, როგორც ბოლშევიკებს.[2]

---

[2] ეს თემა, რომელსაც "რეაქციის" თემა შეიძლება ვუწოდოთ, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, რადგან, არსებითად წარმოადგენს სოც.-დემოკრატიის სტრატეგიული დემაგოგიის ქვაკუთხედს. უკვე 1929 წელს "ბრძოლის ხმა" თავის პირველსავე ნომერში წერდა: "ქართული რეაქცია":
"ქართულ ემიგრაციაში იწყება ბრძოლა. პირველი თავდასხმა მოახდინა ბ. ზ. ავალიშვილმა თავის რუსულ წიგნში "დამოუკიდებელი საქართველო", სადაც გადაჭრით გამოაცხადა - აგრარულ რეფორმამ დაღუპა საქართველოვო... ქართული რეაქციის იდეოლოგია ჩამოყალიბდა... ორი ბანაკის არსებობა ფაქტია, ერთის მხრით დემოკრატია, მეორე მხრით რეაქცია.... დემოკრატია დგას დემოკრატიული რევოლუციის ნიადაგზე, საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე და ცდილობს აგადგინოს

…პარტიამ უნდა შეინარჩუნოს როლი გეგემონისა და თავის ირგვლივ შემოიკრიბოს. თავის ტაქტიკის ქვეშ დააყენოს ყველა სხვა უკმაყოფილო ელემენტები და პარტიები. მან ხელიდან არ უნდა გაუშვას სადავე მოძრაობისა და შიგ შთაბეროს სოციალ-დემოკრატიული სულისკვეთება…"
(ნ ჟორდანია "რა მოხდა" 15 იანვარი 1925 წ. პარიზი)

საქართველოს "მუდმივი მთავრობის" ასევე "მუდმივი პრეზიდენტის" ეს ანალიზი და დეკლარაცია "ფსოქოპოლიტიკური" ანალიზის იშვიათი ნიმუშია. მსურს ყურადღება მივაქციო ერთ მეტად საყურადღებო მოვლენას, რომელიც ერთგვარად გვიმახვილებს ყურადღებას ჩვენი ჰიპოთეზის კონტექსტში: აჯანყების ეს ანალიზი (დავანებოთ თავის მის აბსურდულობას) თითქოს მიზნად ისახავს დამალოს ჭიათურის საბედისწერო "შეცდომა" (ჭიათურა ხომ სოციალ-დემოკრატიული ბასტიონი იყო!) და ამავე დროს ხაზი გაუსვას სოციალ-დემოკრატების გადამწყვეტ როლს აჯანყებაში.[1] ორივე ეს მომენტი ამაგრებს ჩვენს ეჭვს და სპირიდონ კედიას (და სხვათა) მიერ წამოყენებულ ბრალდებას. (ჭიათურიდან გატაცებული "სალაროს" ამბავი მეტად ბუნდოვანია და განზე ვტოვებ). სტალინის ცნობილი განცხადება "ДОПУСТИТЬ И ПРОУЧИТЬ" ასევე მეტად თავისებურ ელფერს აძლევს ნ. ჟორდანიას მიერ მეტად გულისხმიერად (სოციალისტური გულისხმიერებით, ცხადია) ჩატარებულ ანალიზს და კიდევ უფრო დიდ განზომილებას აძლევს ეჭვებს "მთავრობის" აქტიურ როლზე აჯანყების… დამარცხებაში. აქ მე სრულიად არ ვეთანხმები სპირიდონ კედიას. "მთავრობას" არავითარ შემთხვევაში არ აწყობდა აჯანყების გამარჯვება: მას ხელს აძლევდა აჯანყების მოწყობა და მხოლოდ დამარცხება. და მან ყოველივე ილონა, რომ ეს ასეც მომხდარიყო. სოციალისტური დემაგოგია, რომელიც მათ უზნეობას მალავს ჩვეულებრივ, ამ შემთხვევაში სწორედ საწინააღმდეგო შედეგს აღწევს - აამჟღავნებს "მთავრობის" და "პრეზიდენტის" (ანუ იმავ დროს და პირველ ყოვლისა "მენშევიკური ლიდერების") ჭეშმარიტ ზრახვებსა და მიზნებს. ამას მოწმობს ის რეაქციაც, რომელიც გამოიწვია ნ.ჟორდანიას და ნ. რამიშვილის მიერ 1927 წელს საქართველოში გაგზავნილმა წერილებმა, გამოქვეყნებულმა კომუნისტების მიერ. ამ წერილების საკუთრივობა მაშინვე იყო დადგენილი. ქვევით გაგაცნობთ მიხაკო წერეთლისა და "თეთრი გიორგის" რედაქციის თვალსაზრისს მათზე, რადგან ეს წერილები ააშკარავებენ სოციალისტური მთავრობის ჭეშმარიტ ანტისახელმწიფოებრივ და ანტიეროვნულ ბუნებას და ერთმნიშვნელოვნად ადასტურებენ რომ "მენშევიკური მთავრობა", ზუსტად ისევე, როგორც "ბოლშევიკური მთავრობა" არის პარტიული ძალაუფლება, რომელიც სახელმწიფოს და ერს განიხილავს თავის პირად საკუთრებად და, ამდენად, ვერ ეგუება ამ საკუთრების ვერავითარ "განაწილებას". აგრეთვე იმას, რომ სოციალისტებსა და კომუნისტებს შორის "ხიდი" არასოდეს არ ტყდება, რადგან ორთავეს ემუქრება ერთადერთი რეალური ალტერნატიული ძალა - ეროვნული გამაერთიანებელი სულისკვეთება, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაში ადვილად და სწრაფად ერთიანდებიან ეს ძალაუფლებისათვის "ურთიერთწაკიდებული" გამონაყოფები.

1927 წელს გაზეთმა კომუნისტმა გამოაქვეყნა ნოე ჟორდანიასა და ნოე რამიშვილის საიდუმლო წერილები. რადგანაც ეს "საქმე" სრულიად უცნობია მთელი რიგი თაობებისათვის ამიტომ მოვიყვან რამდენიმე პასუხს. ცხადია, ამ წერილებმა ალაშფოთა ემიგრაციაში მყოფი ის მოღვაწენი, რომელთაც ეხებოდა ეს წერილები და პირველ რიგში მიხაკო წერეთელი. ამ პასუხებს პირდაპირი კავშირი აქვთ ჩვენს თემასთან, რადგან 1924 წლის აჯანყების შემდგომ ვითარებას ახასიათებენ. უნდა ითქვას, რომ ემიგრაციაში ქართულ პოლიტიკურ პარტიათა თუ მიმართულებათა საქმიანობის ისტორიის დაწერისათვის მეტად მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ ფაქტობრივად ემიგრაციაში არავითარი რეალური პოლიტიკური ბრძოლა არ წარმოებულა და არც შეიძლებოდა წარმოებულიყო. ამის მიზეზი იყო არა მარტო ის შინაგანი წინააღმდეგობა, რომელიც არსებობდა სხვადასხვა

---

დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველო. რეაქცია არ ცნობს დემოკრატიულ რევოლუციას. დემოკრატიულ საქართველოს და ცდილობს ძველი კაი დროს შემოაბრუნოს… ისინი შინაურ დავას სწყვეტენ არა დემოკრატიულად, ხალხის სუვერენობის საშუალებით, არამედ დიქტატორულად, მილიტარისტულად, ძალადობით. ისინი სამოქალაქო ომის მოციქულნია: ხოლო სამოქალაქო ომი საქართველოში ნიშნავს მისი დამოუკიდებლობის დალუპვას…

ისინი იძახიან - სოციალდემოკრატიამ დააქცია საქართველო, დაუბრუნდეთ ილია ჭავჭავაძესო, ერთი გვითხრან, რომელ ილია ჭავჭავაძეს? პოეტ ილიას? დასაბრუნებელი არაფერი გვჭირს, ვინაიდან არასოდეს ზურგი არ გვიქცევია. პირიქით, პოეტი ილია, მესამოცე წლების ილია იყო და არის დემოკრატიის მებაირაღე, ცხადია ამ ილიაზე ისინი არ ლაპარაკობენ, თვარა სოც.-დემოკრატიას მას არ დაუპირისპირებდენ. უეჭველია აქ ლაპარაკია მეორე ილიაზე, მეოთხმოცე და მეოთხმოცდაათე წლების მოღვაწეზე, "ივერიის" ხელმძღვანელზე, თავად-აზნაურობის ბელადზე და იდეოლოგზე. აი ეს ილია დიახაც ეპირდაპირება სოციალ-დემოკრატიას და სწორეთ ამიტომ მათ ასე მაგრათ ჩაფრენიან ჩვენი რეაქციონერები. და აი აქ სოც.-დემოკრატიამ მართლა დააქცია "საქართველო", მარა საქართველო "ივერიის", თავად-აზნაურული იდეოლოგიის, მეოთხმოცე წლების ილია ჭავჭავაძის…" (იხ. "ბრძოლის ხმა" 1, 1929 ნოემბერი, პარიზი).

[1] წერილის ბოლოს ვაქვეყნებ ნოე ჟორდანიას ოთხ წერილს, დათარიღებულებს 1924 წლის 6, 9 და 10 სექტემბრით. ეს წერილები ამჟღავნებენ "პრეზიდენტის" და მისი მთავრობის ზემოაღნიშნულ რეალურ ინტერესებს.

ლტოლვილობა" რომ ნათელი შეიქმნას თუ რა სხვადასხვა საფუძ-ველს ემყარებოდა და რა განსხვავებულ მიზნებს ისახავდნენ ევროპაში აღმოჩენილი ქართული ძალები. 1900-1917 წლებში ევროპაში მოღვაწე ქართ-ველებს. მიუხედავად პროგრამათა განსხვავებისა. ჰქონდათ ერთი ეროვნული მიზანი - საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება და საქართველოში თანამედროვე წყობილების დაფუძნება. "მენშევიკურ ტალღას" მიზნად ჰქონდა საქართველოში ბოლშევიკების მიერ წართმეული ძალაუფლების დაბრუნება და იქ თავისი პარტიის ძალაუფლების რესტავრაცია. მაგრამ "მენშევიკებს" უკვე საქმე ჰქონდათ საქართველოში მოქმედ და საქართველოდან გამოსულ ოპოზიციურ პარტიებთან და ახალ ანტისოციალისტურ მიმართულებებთან. რომლებიც ემიგრაციაში წარმოიქმნენ (ვთქვათ "თეთრი გიორგი") ასე რომ მათ საქართველოზე თავისი "უფლებების" დამტკიცება უხდებოდათ არა საქართველოს დამპყრობელი ძალის (რუსი ბოლშევიკების) წინაშე მხოლოდ. არამედ თვით ემიგრაციაში მყოფ ქართველთა წინაშედაც. ამან შექმნა სწორედ ის ყალბი საფუძველი ურთიერთობებისა. რომელზედაც აიგო ქართული ემიგრაციის ფსევდოპოლიტიკური საქმიანობა. ამან. თავის მხრით. არ მისცა საშუალება იმ კულტურული ერთიანი საქმიანობისაც. რომელიც თავის მიზნად დაისახავდა ქართული კულტურული ძალების შემოკრებას ერთი ცენტრის ირგვლივ - "პოლიტიზაცია" ქართული ემიგრაციისა იყო უმთავრესი დამანგრეველი ფაქტორი. რომელიც ხელს უშლიდა იმ კულტურულ საქმიანობას. რომლითაც გამოირჩევიან სხვა ერთა ემიგრაციები (რამდენად მცირეც არ უნდა იყოს ეს მათი კულტურონსნული საქმე). საბოლოო ჯამში ეს ხელს უწყობდა ბოლშევიკების გამკვიდრებას საქართველოში. რადგან გავლენა ემიგრაციისა საქართველოზე. განსაკუთრებით 1924 წლის აჯანყების და. მით უმეტეს "რკინის ფარდის" ჩამოშვების შემდეგ ვიდრე დღევანდელ დღემდე. სრულიად უმნიშვნელო იყო. ხოლო სტალინისტური რეჟიმი მშვენივრად ახერხებდა ემიგრაციაში შექმნილი ვითარების გამოყენებას თავის სასარგებლოდ. ფსევდოპოლიტიკად იქცევა ის "პოლიტიკა". რომელსაც არავითარი რეალური ნიადაგი და გამოყენება საზოგადოების თუ ერთობ სახელმწიფოს ცხოვრებაში არა აქვს. უკეთეს შემთხვევაში ეს ფსევდოპოლიტიკა პუბლიცისტურ-თეორიული ღირებულების შემცველი იქნება და ამ საკითხთა მკვლევარისათვის საანალიზო მასალა. არ დარჩენილა ემიგრაციაში ჯგუფი. მიმართულება თუ პიროვნებაც კი. რომელიც ასე თუ ისე არ ყოფილიყო დაურიდებლად გალანძღული მოპირდაპირის და. ხშირად. გუშინდელი თანამოაზრის მიერ. განსხვავებული აზრის ან პოზიციის დაკავება ერთბაშად "ღალატად" ცხადდებოდა. ეს მეტად მოგვაგონებს იმ ვითარებას. რომელიც "პერესტროიკამ" შექმნა საქართველოში (ვმსჯელობ ქართული ესოდენ გამრავლებული "ფორმალური" და "არაფორმალური" პრესის მიხედვით). და. ამდენად. შესაძლოა დასაფიქრებელი იყოს და გასაანალიზებელი რა მექანიზმი და რა მახასიათებელი განსაზღვრავს ამ მსგავსებას "პატარა ხელოვნურ საქართველოში" (ემიგრაცია) და რეალურ ფუძე საქართველოში შექმნილ ვითარებებს შორის..

მთელი ის მეტად მნიშვნელოვანი პუბლიცისტური მემკვიდრეობა. რომელიც ქართულმა ემიგრაციამ დაუტოვა მომავალ ისტორიკოსებს და ქართველ პატრიოტებს. მეტისმეტად მნიშვნელოვანია სწორედ იმ ფსიქოლოგიურ-ქარაქტეროლოგიური მასალის შემცველობით. რომლითაც შესაძლებელი გახდება ემიგრაციაში მოხვედრილი ადამიანებისა და. განსაკუთრებით პოლიტიკური მოღვაწეების ფანტასმაგორიული ფსევდოპოლიტიკური "განწყობის ველის" შესასწავლად. ყოველივე ეს ასე თუ ისე არის ასახული იმ წერილებში. რომელთა ზოგიერთ ნაწილს გთავაზობთ: 1927 წლის ივლისში "თეთრი გირგის" 6-ე ნომერში რედაქცია წერდა:

მორიგი მუხანათობა

"ბ. ნ. რამიშვილის წერილი საუკეთესო დამახასიათებელია სოც. დემოკრატების სულისკვეთებისა და მისწრაფების.

მასში ცინიკური გულწრფელობითაა გამოხატული ამ სექტანტურ პარტიის მიზანი: ყოველივე და ყველაფერი უნდა მიეტანოს მსხვერპლად სოციალ-დემოკრატიულ ფეტიშს.

და ამ მიზნის მისაღწევად უნდა იყოს მიღებული ყოველგვარი საშუალება გინდაც ეს საშუალება იყოს ღალატი. მუხანათობა. შარლატანობა. ცილის წამება. სამშობლოს დალუპვა. აკი მართლაც. ამ წერილში აშკარად ვხედავთ ყველა ამ დანაშაულს...

ამ წერილის მიხედვით ბოლშევიკების დაცემისთანავე უნდა შედგეს დროებითი მმართველობა. მაგრამ გაჩნდება თუ არა ნ. ჟორდანიას მთავრობა. მართვა-გამგეობა მის ხელში უნდა გადავიდეს....

საერთო ფრონტის ხელშეკრულების ძალით არც ერთ პარტიას საქართველოს მომავალ მთავრობაში ერთ მესამედზედ მეტი წევრები არ უნდა ჰყოლოდა და ნ. ჟორდანიას მთავრობა კი პასუხისგებაში უნდა ყოფილიყო მიცემული. მაგრამ ეს იყო ხელშეკრულება და არც ერთი ხელშეკრულება არასდროს ჩვენ სოც.-დემ. არ შეუსრულებიათ. ან რად უნდა შეასრულონ? ყოველივე ხელშეკრულების საფუძველი ან კანონია ან ზნეობა. მარქსისტებს კი არც ერთი და არც მეორე არა სწამთ...

ნოე რამიშვილის წერილში საუკეთესო ქართველი პატრიოტები ბოლშევიკების აგენტებად არიან გამოყვანილნი. ეს ცილისწამება რომ უკიდურესად ბინძური არ იყოს. სასაცილო იქნებოდა.

ვინ. ვის უწოდებს ბოლშევიკებს? ისინი ვინც მთელი 20 წლის განმავლობაში იყვნენ ლენინთან. ტროცკისთან. ორჯონიკიძესთან. ორახელაშვილთან და სხვა ასეთ მოღალატე და ჯალათებთან ერთად ერთი და იმავე პოლიტიკური პარტიის წევრები; რომლებიც ამ ბანდიტებს ამხანაგებს უწოდებდენ და დღესაც მათსავით მარქსისტები არიან. რომლებსაც მათსავით არა სწამთ არც სამშობლო. არც პატრიოტიზმი და დარწმუნებულნი ვართ მალე ბოლშევიკს როგორც წინათ. ამხანაგურად. რომელიმე

სოციალისტურ ინტერნაციონალში შეხვდებიან და მათთან ითანამშრომლებენ კულტურისა საზოგადოების და ცივილიზაციის დანგრევის საქმეში: რომლებმაც პირველად შექმნეს "სოვეტები": რომლებიც ქეციან კერენსკის დიქტატურის ურმოჰრილი უმები იყვნენ და საქართველოს ავტოკეფალიასაც კი არ აძლევდნენ.

და მერე ვის ნათლავენ ბოლშევიკების აგენტებად?

მიხ. წერეთელს, - მას ვინც მთელი 25 წლის განმავლობაში იბრძოლა სამშობლოსათვის, რომელსაც შესწირა თავისი ძალა, ტანი, კარიერა და პირადი ცხოვრება: ქაქუცა ჩოლოყაშვილს, - ვინც მთელი ოთხი წლის განმავლობაში იარაღით ხელში, შეუდარებელი სიგმირით იბრძოლა სამშობლოსათვის და შესწირა მას ყოველივე ის, რაც მისთვის უძვირფასესი იყო: სპ. კედიას, ვინც 15 წლის განმავლობაში სათავეში უდგოა ეროვ.-დემ. პარტიას: ა. ასათიანს, რომელიც აგრეთვე ცნობილია თავის ენერგიული და დაუღალავი მუშაობით სამშობლოსათვის: ლენ. კვინიტაძეს, რომელიც სამჯერ იყო ქართველ ჯარის მთავარსარდლად, ორჯელ იხსნა საქართველო მტრის შემოსევიდან, აღზარდა და გაწრთვნა ჩვენი ისტორიისათვის დაუვიწყარი სამხედრო სკოლა: ლენ. ლეო კერესელიძეს, მას ვინც პირველმა დაღვარა სისხლი სამშობლოს თავისუფლებისათვის და 1822 წლის შემდეგ, მას შემდეგ რაც მებრძოლ საქართველოს გავარდა ხელიდან ხმალი, პირველმა აილო ეს ხმალი და იყო სარდალი საქართველოს პირველი ჯარისა.

და რამდენ სხვა საუკეთესო პატრიოტებს სცხებენ ჩირქს ეს "ისტორიის საზიზღარნი", როგორც მათ სამართლიანად უწოდა ცნობილმა პოეტმა ევდოშვილმა ი. ჭავჭავაძის მკვლელობის გამო...

ვისი მსოფლ მხედველობის მთავარი საფუძველი კლასთა ბრძოლაა, - ეს უდიდესი სოციალური დანაშაულობა - მხოლოდ სამოქალაქო ბრძოლას მიანიჭებენ ჩვენ ქვეყანას: მათ, ვისაც არა სწამთ ზნეობა და ჯვარი, ყოველნაირ მეხანათობას ჩაიდენენ: მათ, ვისაც არა სწამთ სამშობლო და ეროვნული საზღვრები (ნახე მარქსის კომუნ. მანიფესტი და ერფურტის პროგრამა) ყოველთვის ერის ბუნებრივი მტრები იქნებიან, რადგან არ შეიძლება დაცვა მისი, რაც არა გწამს.

ვისი მოძღვრება კლასთა დიქტატურაზე არის დამყარებული ქვეყნის მართვას მხოლოდ კლასიურ და მაშასადამე ტირანიისა და ტერორის საშუალებით შესძლებენ...

არა, ამისთანა პირნი ვერ შესძლებენ ქვეყნის გაძღოლას. მათ ერთხელ უკვე დაღუპეს საქართველო: დღეს ევროპაშიც საქართველოს პოლიტიკა ყალბი გზით მიჰყავთ და მომავლისთვისაც სამოქალაქო ომს გვიმზადებენ.

რედაქცია"

ივლისის "ბრძოლამ" (№25), რომელიც სოციალ-დემოკრატიული პარტიის მთავარი ორგანო იყო, გამოაქვეყნა ნოე ჟორდანიას "მცირე განმარტება" და ნოე რამიშვილის "ჩემი განმარტება". ისინი არ უარყოფენ არც წერილების დაწერის ფაქტს და არც მათში გამოთქმულ აზრებს, თანაც ტყუპის ცალებივით გვანან ერთმანეთს, რაც მათდამი შეგნებული და სერიოზული დამოკიდებულების, ანუ "ტაქტიკური გულწრფელობის" ნიშანია. მოვიყვან ამ "განმარტებებს", რადგან მიხაკო წერეთლის წერილებში გამოთქმული სინანული ავტორთა მიერი მოუნანიებლობისა გახდეს გასაგები:

"მცირე შენიშვნა

ბოლშევიკები დიდ სიხარულშია. მათ ხელში ჩაიგდეს ჩემი კერძო წერილი ქარციძისადმი მიწერილი საზღვარ-გარეთ და დიდ ზეიმს მიეცენ. ჯერ შეეცადენ გამოეყენებიათ მათი ჩვეულებისამებრ წერილის ზოგი ადგილები, თით-ორ-ორი ფრაზების ამოგლეჯით და თავისებურათ განმარტებით. მარა ეს ხრიკი ბოლომდე ვერ ჩაატარეს და წერილი სავსებით დაბეჭდეს. ამნაირათ წერილში წამოყენებული დებულებები დაისვა მთელი ხალხის წინაშე. მარა ვინაიდან ამ წერილს თან ახლავს ყველა კერძო წერილის ნაკლულევანებანი, ამიტომ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ საჭიროთ მიმაჩნია განვაცხადო შემდეგი: წერილის შედგენაში არავის არ მიუღია რაიმე მონაწილეობა, არ ყოფილა დანიშნული საქართველოში გასაგზავნათ და ამიტომ შიგ გამოთქმული აზრები არ არის დასაბუთებული და განმარტებული, როგორც ეს საჯაროთ გამოთქმულ აზრებს შეეფერება. წერილის პოლიტიკური ნაწილი გახდა საგნათ ჩემი მოხსენებისა, რომელიც უკვე დაიბეჭდა "ბრძოლაში" და რაც ჩაითვლება მის დასაბუთებად, ხოლო ტაქტიკური ნაწილი იქნება საგანი ცალკე მსჯელობის, როცა მთელი ეს მასალა ექნება ხელთ მკითხველს, მაშინ ეს კერძო წერილიც გასაგები იქნება და იქ წამოყენებული დებულებები სავსებით ნათელი.

მიუხედავათ წერილის ამ ნაკლისა, მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ს.-დემ. პარტიამ და მასთან ერთათ მთელმა ხალხმა ჩინებულათ გაიგეს წერილის შინაარსი, მათში გამოთქმული სიფრთხილე, სიმაგრე და მოთმენა. ბოლშევიკების პროვოკაცია და მათი ამყოლ-დამყოლის მორალური გახრწნა ქართველი ხალხის საღ სულიერ აგებულებას ოდნავათაც ვერ შეარყევს.

ნ. ჟ."

"ჩემი განმარტება

ჩეკისტთა ბანაკი დიდ სიხარულშია. ბოლშევიკებმა კოწია სულაქველიძისა და მის აგენტთა ხელით შესძლეს უცხო ტერიტორიიდან ამხ. ვანო ქარციძის გატაცება...

ხელთ იგდეს რა ამხ. ქარცივაძე, ოკუპანტებმა ქვეყანას მოფინეს, უცხოეთში გახიზნული სოციალ-დემოკრატები აჯანყებას აწყობენო. ამ მიზნით მათ მოინდომეს რამოდენიმე ადგილის ამოგლეჯა იმ კერძო წერილებიდან და შენიშვნებიდან, რომელიც ამხ. ქარცივაძეს აღმოაჩნდა და ამ გზით მკითხველის გაბიაბრუება. მაგრამ ესეც ვერ მოახერხეს. თვით მათ მიერ გამოქვეყნებულ ამონაწერებიდან ცხადი იყო, რომ ჩვენი აზრია ქართველი ერი არ წამოეგოს ბოლშევიკების პროვოკაციას და არ მოახდინოს აჯანყება.

მას შემდეგ რაც ბოლშევიკები იძულებული შეიქნენ გამოექვეყნებიათ კერძო წერილები, მათი პირველი ვერსია თვითვე დამარხეს...

ნურას უკაცრავათ, თუ ჩვენ რუსის ზოგიერთი სოციალისტებსავით გულზე ხელს არ ვიკრებთ და გვსურს ბოლშევიკურ რეჟიმის აუცილებელი დამხობა საქართველოს სუვერენიტეტის აღსადგენას გამოვიყენოთ. რასაკვირველია წინასწარ ძნელია ყველაფრის გარკვევა, მაგრამ დესპოტიის დამხობა არსად არ მომხდარა გარეშე რევოლიუციონურ ამოძრავებისა. ამიტომაც არის დაახლოვებით განმეორდება ის, რაც მოხდა 1917 წ. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ და ამ პირობებში უეჭველია ქართველი ერი თავის ბედს რუსეთის ახალ ანარქიას არ გადააბამს და მეზობელ ერებთან შეთანხმებული მოქმედებით შეეცდება მოსკოვის მომავალი ხელისუფლება რუსეთის ეთნოგრაფიულ საზღვრებში მოამწყვდიოს...

ასეთია ჩვენი აზრი, ხოლო თუ ბოლშევიკები ცდილობენ რუს მონარქისტთა და მათ მიმყოლ ფაშისტთა წინააღმდეგ მიმართული ზომები კომუნისტურ ხელისუფლების საწინააღმდეგო აჯანყებათ მონათლონ, ეს ხომ ჩეკისტთა გაცვეთილი ფანდია - ყალბი დემონსტრაციით ხალხის გაყლეტა გაიადვილონ.

ამ შემთხვევაში ძნელი როდია ჩეკისტთა ხრიკების გაგება. ის წერილი, რომელიც საოკუპაციო ხელისუფლებამ გამოაქვეყნა სათაურით "აბესალომის საყურადღებოთ" შეიცავს არა ტაქტიკის გარკვევა - დასაბუთებას, არამედ ჩემს პირად პასუხს სხვა და სხვა კითხვებზე, უმთავრესად პრაქტიკული ხასიათისა, რასაკვირველია, მათ აკლია დასაბუთება და შესაფერი ახსნა - განმარტება, რაც სრულიად ზედმეტი იყო საიდუმლო ხასიათის აზრთა გაცვლა გამოცვლის დროს.

ჩვენ ვეურდნობით ქართველი ხალხის თაოსნობასა და მოძრაობას, ხოლო ბოლშევიკებმა თუმცა ერთხელ ხელი აილეს

************************************************************************

პრესის მონოპოლიაზე და ხალხს გააცნეს ზოგიერთი აზრები. უებველია კომუნისტთა ასეთ უნებლიე ნაბიჯს ჩვენი პარტია და ქართველი ერი არსებულ მომენტის უკეთ გასაგებათ და განთავისუფლების მომენტის მოსაახლოვებლათ გამოიყენებს.

ნ. რამიშვილი."

როგორც ამ შენიშვნებიდან ირკვევა, წერილებში არაფერი იმის მსგავსი "არ ყოფილა", რამაც აღაშფოთა ემიგრაციაში მყოფი ქართველობის გარკვეული ნაწილი და გამოიწვია აღშფოთებული პასუხები. მიხაკო წერეთელმა ორი წერილი გამოაქვეყნა: "თეთრ გიორგიში" 1927 წლის 29 აგვისტოს ( №7): "სული ბოროტი" და 1932 წლის იანვარ-თებერვალში (№48-49) "ბოროტისაგან დაუცხრომელნი". მოვიყვან მცირე შემოკლებით:

"სული ბოროტი

ნ. რამიშვილის წერილი, საიდუმლოდ წარგზავნილი საქართველოში და ბოლშევიკების მიერ დაჭერილი და გამოქვეყნებული, იმას გააკვირვებდა, ვინც არ იცნობს რამიშვილსა და მის ბნელს სულსა და მიზნებს. და შინაარსიც ამ წერილისა იმას ეწეოდნენ, ვისაც რამიშვილი და მსგავსნი მისნი საქართველოს მთავრობის წევრობის ღირსად მიაჩნია....

უფრო გამიკვირდა და უფრო მეწყინა, როდესაც მსგავსი შინაარსის წერილი გამოაქვეყნეს ბოლშევიკებმა ნ. ჟორდანიას მიერ ხელმოწერილი, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, რომელსაც საქართველომ ჩაბარა თავისი ბედი მისი ისტორიის უუმძიმეს დროს, აირჩია და სცნო იგი ერის ხელმძღვანელად, მიუტევა რა ბევრი მისი ცოდვა, არსად რომ არავის მიუტევებდენ. კადრულობს უკადრისს და თავისი საქციელით უებველ და ცხადყოფს, რომ იგი იგივე დარჩა, რაც მუდამ იყო, - არა ხელმძღვანელი ერისა, არამედ პარტიის კაცი, მონა თავისის ძველის რჯულისა. ამ უცვლელობის ნიშნებს იგი, მართალია, ყოველთვის ატარებდა, - დღიდან დამოუკიდებლობის გამოცხადებისა საქართველოს დაღუპვამდე 1921 წელს. - მაგრამ მე, როგორც ბევრ სხვა ქართველს, იგი მაინც "განახლებულ" ნოე ჟორდანიად მიგვაჩნდა. გვეგონა რომ ჩვენი ქვეყნის საშინელი კატასტროფის შემდეგ, უცხოეთში გარდმოხვეწილს, მწარე ბედი მაინც ჩამოაცლიდა მის ძველ ქერქს და იგი იქნებოდა სული და სიმტკიცე საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლ მამულიშვილთა ერთობისა. ხოლო აქაც მოვტყუვდი და ამან მატკინა გული.

... ცილის-წამება, შხამი და სიბოროტე ყოველთვის იყო ფანატიკოსების ხელობა და თვისება. ხოლო როდესაც ამ წერილთა გამოქვეყნებით ისეთი ატმოსფერა შეიქმნა ემიგრაციაში, რომ ნათლად გამოჩნდა, თუ კი რაისათვის სურს საქართველოს დამოუკიდებლობა, როდესაც ჟორდანიასა და რამიშვილის პარტიის წევრთა შორის მხოლოდ რამდენიმე კაცი აღშფოთდა გულწრფელად მათ ხელმძღვანელთა საქციელით, უმეტესობამ კი იმ წამსვე დაივიწყა საქართველოცა და პატრიოტიზმიც, და ჩვეულებრივად, მათი ძველი თეორიის ძალით, პარტია დააყენა ერზედ მაღლა, როდესაც თვით მთავრობამ, მის მაგივრად რომ მეისვე დაეგმო საჯაროდ ყოვლად მიუღებელი საქციელი თავის წევრთა და სასტიკი მსჯავრი დაედვა მათთვის, მართლაც "მენშევიკური" წესით მოინდომა ამ "საქმის ჩაქრობა", ჩვენთვის ცხადი და უებველი შეიქმნა: მთავრობა და უმეტესობა სოციალ-დემოკრატებისა, რომელთაგანაც შესდგება მთავრობა, იზიარებს იმ ზრახვათა, რომლებითაც ჟორდანია და რამიშვილი მიისწრაფიან შევიდნენ საქართველოში.

ხოლო ზრახვანი ჟორდანიასი და რამიშვილისა, რომელნიც სჩანან მათ მიერ ხელმოწერილ წერილებში, წმინდა ბ ო ლ შ ე ვ ი კ უ რ ნ ი არიან, არავითარი განსხვავება... რაც ორჯონიკიძეს გადაურჩება ქართველობა გაუჟლეტავი, იმას რამიშვილი გაჟლეტს! წინდაწინ მზადდება "მენშევიკური ჩეკა" იმ დროისათვის, თუ ბოლშევიკებმა საქართველო დასტოვეს, და პირველნი დასახოცნი ქართველნი პატრიოტები იქნებიან, რომ ისინი ღირსნი არიან მოსპობისა. ამის რწმენას წინდაწინ უმტკიცებს რამიშვილი საქართველოში მყოფ თავის მომხრეებს.

საქართველო ყოფილა ბოლშევიკებისათვის და მენშევიკებისათვის სადაო ტერიტორია, საუფლისწულო სადაც ან ერთმა უნდა იბატონოს, ან მეორემ, ძალისა და გარემოების მიხედვით. დღეს ბოლშევიკი ბატონობს, ხვალ - მენშევიკს უნდა იბატონოს იმავე წესით, რომელსაც მოითხოვს "პროლეტარიატის დიქტატურა"... და თუ გამარჯვებულ ბოლშევიკს საქართველოში დაუწესებია განმანადგურებელი და განმხრწნელი "ჩეკა", მენშევიკს უცხოეთში იგივე "ჩეკა" ჰყავს სხვა უფრო პატიოსან სახელწოდების დაწესებულებათა სახით, რომელიც სდევნის საქართველოს მოქალაქეთ აბეზღებს მათ. მსგავსად იეზუიტთა ბრბოისა არ ზოგავს არავითარ საშუალებას, რომ მოსპოს ყველა ის, ვინც მას ყმად არ დაესახლება და არ განიზიარებს მათ უკეთესთა ზრახვათა. ტერრორი, ეს მენშევიკებისაგან და ბოლშევიკებისაგან ერთად მოგონილი საშუალება ბრძოლისა, რომელსაც თეორიულად უარ-ჰყოფენ და ნამდვილად მის მსხვერპლად აუარებელი ქართველი გახადეს მათი მოქმედების დაწყებიდანვე საქართველოში, მოსალოდნელია მენშევიკებისაგან უცხოეთში ფარულად, ხოლო თუ ბედმა გაუღიმა და საქართველოში გაბატონდა მისი აშკარა ტერრორის მსხვერპლი შეიქმნება ის ქართველობა, რომელიც გადაურჩება ოსმალეთიდან გადმოსახლებულ ურდოებს ქართველ ბოლშევიკების ხელმძღვანელობით.

ამ ელემენტს აბარია დღეს უცხოეთში საქართველოს განთავისუფლების საქმე. აქამდე იგი თავის მიზანს "საერთო ფრონტით" ჰფარავდა. დღეს ცხადია, რომ საერთო ფრონტი დიდი ტყუილია. არ არსებობს არავითარი საერთო ფრონტი... ყოველივე ისე ნათელ-ჰყვეს რამიშვილისა და ჟორდანიას წერილებმა და ეს არის ის საშინელება, რომელმაც უნდა აღაშფოთოს ყოველი ქართველი მამულიშვილი, - სოციალისტიც, თუ იგი მართლა იბრძვის თავისუფალ საქართველოსათვის და არა იმისათვის, რომ მთავრობისა და მისი პარტიის გაბატონების შემდეგ საქართველოში მასაც შეხვდეს რამიშვილის ნასუფრალი. თვარა რამოდენიმე პირთა დაბეზღებასა და მათ წინააღმდეგ მიმართულ ცილისწამებას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენს მოღალატეობას არ დაიჯერებს პატიოსანი და ჭკვათა-მყოფელი. კრიმინალებისა და გიჟების აზრი კი ჩვენთვის საინტერესო არ არის! გავიგონე მთავრობას, თუ არ ვიცი ემიგრაციის რომელ დაწესებულებას სურს შეურაცხებულ პირთა სანდო პირებად გამოცხადება. რეაბილიტაციაო! რეაბილიტაცია ვისგან? მათგან, ვისაც ჩვენ თვალში არავითარი ზნეობრივი ავტორიტეტი აღარა აქვს და ვინც ნამდვილად მიმაჩნია ბოლშევიკის მსგავსად და მის ნაცვლად მომავალ საქართველოში? ნდობას გამოგიცხადებენო! შეიძლება, მაგრამ მე კი ვენდობი მათ, ვინც ზემოხსენებული წერილები დასწერა, იმ მთავრობას, რომლის წევრებიც წერილების ავტორნი არიან, იმ ელემენტებს, რომლის მეტყველი ორგანო ასეთი მთავრობაა ასეთი წევრებითურთ?! ამბობენ კიდევ ნუგეშის-ცემით: არაფერია, ისინი ვეღარ გაბატონდებიან საქართველოშიო! რა ვიცით, რომ ვეღარ გაბატონდებიან, ვინ იცის რა მოხდება, რა უბედურებას დაატეხს თავს ისედაც განადგურებულ საქართველოს ეს გაუსწორებელი ბრბო ჩლუნგ და კრიმინალურ ტერრორისტებისა და სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, ნათქვამია. უნდა ვიცოდეთ ამიერიდან, რომ აქაც იგივე ქარი ჰქრის, ემიგრაციაში, როგორც იქ, საქართველოში, და მას აქროლებს იგივე სული ბოროტი, რომელიც დიდის ხნიდან თავს დასტრიალებს ჩვენს უბედურს ქვეყანას:

მიხ. წერეთელი"

მეორე წერილი საკმაოდ ვრცელია, მაგრამ მასში მოყვანილია ციტატები ნ. ჟორდანიას და ნ. რამიშვილის წერილებიდან და ამიტომ მოთმინებას ვთხოვ მკითხველს. ამასთანავე ეს წერილი აჯამებს

უოველივე ზემოთქმულს და ვფიქრობ საკმაო მასალას შეიცავს დასაფიქრებლად და გასაანალიზებლად:

"ბოროტისაგან დაუცხრომელნი

"კომმუნისტური მანიფესტის" პარტია. რომლის საბოლოო მიზანი იყო და არის დიქტატურა პროლეტარიატისა. უდიდეს ბოროტებად მოევლინა საქართველოს. დაღლილმა. ბევრი მხრით ჩამორჩენილმა პატარა ერმა ვერ გაუძლო ამ პარტიის ანტი-ეროვნულ პროპაგანდას. ტერრორს. რევოლუციონერობას. ანტიეროვნულმა პროპაგანდამ ბედის მიერ ძლვნად მოტანილი დამოუკიდებლობა დააკარგვია საქართველოს. ტერრორმა საუკეთსო ელემენტები ამოუწყვიტა პატარა ერს და დააკნინა იგი რასიულად. აბსურდამდის მიუვანილმა რევოლუციონურმა რადიკალიზმმა მოსპო არა მარტო ის კეთილშობილი სული. რო:ელსაც ქრისტეს სარწმუნება განამტკიცებდა ქართველთა შორის. არამედ ელემენტარული ზნეობაცა და სამართლიანობის გრძნობაც კი. - ჯერ არ დაწერილა ჩვენი სოციალ-დემოკრატიის ისტორია. ერთად ბოლშევიკ-მენშევიკთა. მენშევიკთა და ბოლშევიკთა ცალ-ცალკე. ხოლო ოდეს დაიწერება - და ეს ისტორია ერთი იქნება. როგორც ისტორია ჩვენი მარქსიზმისა. ანუ კომუნიზმისა. ანუ სოციალ-დემოკრატიისა. როგორც ერთი მოვლენისა. - მაშინ გახდება სრულიად ცხადი. თუ რაოდენი ვნება მიაყენა ამ ბოროტებამ ქართველ ერს. --

ეროვნების წინააღმდეგ როგორც ბოლშევიკი ისე მენშევიკი თითქმის ორმოც წელიწადს ჰქადაგობდა საქართველოში. ბოლშევიკი მხოლოდ ერთგული დარჩა ანტიეროვნული იდეისა და მენშევიკების მიერ მხოლოდ გარეშე მდგომარეობის გამო დამოუკიდებლად გამოცხადებულ საქართველოს. რუსეთის "წასლაის" შემდეგ. მან კვლავ შემოასია რუსის ურდოები. გაანადგურა იგი და ანადგურებს დღესაც. უოფილიყო მახარაძე იმავე პირობებში იძულებული საქართველოს დამოუკიდებლობა ეცნო და მისი ნიადაგი თავისი პროგრამის განხორციელების საცდელად გაეხადა. ხოლო ჩვენი მენშევიკები დემოკრატიულ რუსეთში ხელის-უფლებად და გაბატონებული პარტიის გავლენიან წევრებად. მაშინ იგინი დასთრგუნავდენ მახარაძეს და დამოუკიდებელ საქართველოს რუსის ჯარებით. - ბოლშევიკებისათვის საქართველო იყო ისევე მზად სოციალიზმისათვის. როგორც რუსეთი: ამიტომ უნდა შეერთებოდა საქართველო ჯერ დიდ რუსეთს და მერე მთელ ქვეყანას. სადაც "მსოფლიო რევოლუციით" ბოლოს და ბოლოს სოციალიზმს დაამყარებენ. ხოლო მენშევიკისათვის დემოკრატიის გზით უნდა განხორციელებულიყო სოციალიზმი ყველგან და რუსეთშიაც და რადგან რუსეთს ბოლშევიზმი მოედვა. ხოლო საქართველოში მენშევიკებმა მოიპოვეს ძალაუფლება და დემოკრატიზმს ჩაუყარეს საფუძველი. მხოლოდ ამიტომ ჰქონდა აზრი საქართველოს დამოუკიდებლობას. ეს დამოუკიდებლობა იყო მხოლოდ "ტაქტიკის" საკითხის გადაწყვეტა და არა ერის უფლება. აი განსხვავება ბოლშევიკისა და მენშევიკის კონცეპციის შორის და ამ განსხვავებითგანაც გამომდინარეობს მათი დავა. მათი ბრძოლა ერთი-ერთის წინააღმდეგ. ეს განსხვავება არ არის ძირითადი. პრინციპიალური. არ არის წინააღმდეგობა ერის აღმსარებელთა და ერის უარ-მყოფელთა შორის. არამედ წინააღმდეგობა სხვა და სხვა გზით ერთისა და იმავე მიზნისაკენ მიმავალ ერის უარ-მყოფელთა შორის. და თუ ჩვენი მენშევიკების განსაკუთრებითი დაუნდობლობა ბოლშევიკებისადმი ზოგს პირველთა "მორჯულებად" და "განაციონალისტებად" მიაჩნია. ძალიან სცდება: მიზეზი ამ განსაკუთრებული მტრობისა არის ის. რომ დამოუკიდებელ საქართველოში მენშევიკებს "ძალა-უფლება" გაუტკბათ. ნამდვილი დიქტატორები იყვნენ. თუმცა კონსტიტუციით ჰფარავდენ დიქტატორობას.

აი ამ დიქტატურისა. ხელის-უფლების დასაბრუნებლად იბრძვის დღეს ასეთი სასოწარკვეთილებით ქართული მენშევიკური პარტია. ამისთვის "სწამს" მას დამოუკიდებელი საქართველო. სურს აღდგენა მისი. ამისთვის არ ზოგავს არავის - არც ბოლშევიკს. რომელიც არავისგან არ არის დასაზოგავი. მაგრამ არც სხვას არავის. არც ერთს ქართულ პოლიტიკურ პარტიას. ჯგუფს. არც ერთს ქართველს. პიროვნებას. რომელიც კი მათი ყურ მოჭრილი ყმა არ იქნება და ვისაც კარგად ესმიან მათნი ზრახვანი და სულ სხვა მიზნით იბრძვის საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. სხვაგვარად სწამს ერი და სხვაგვარი მომავალი სურს მისთვის. და საშუალებანი მენშევიკთა ბრძოლისა სრულიად ეთანხმებიან მათი მსოფლიოს მხედველობითგან გამომდინარე მორალს.

ამბობენ მარტო ემიგრაციაში და ემიგრაციითგან ეწევიან მენშევიკები ასეთს ბრძოლას პატრიოტების წინააღმდეგ. თორემ საქართველოში "გაპატრიოტდენ" და ასეთ რამეს აღარ კადრულობენო. იქ ნაციონალისტები და მენშევიკები ერთად ებრძვიან ბოლშევიკებსო და სხვა. ღმერთმა ჰქმნას. ასე უოფილიყოს. რაც არ ვიცით ნამდვილად იმაზედ ვერას ვიტყვით. მაგრამ აქ. ემიგრაციაშიაც ხომ "პატრიოტობენ" მენშევიკები. აქაც ხომ აქვსთ საერთო ფრონტი. სადაც ნაციონალისტები შედიან? ხოლო ჩვენ ვიცით რა არის მათი "პატრიოტობა". ვიცით. როგორ სარგებლობენ იგინი ამ პატრიოტობით. სადაც გაუდისთ. და როდის უარ-უოფენ მას მეისვე. როდესაც ეს მათი "ტაქტიკური მოსაზრებით" საჭიროა. ვიცით ისიც. თუ რას წარმოადგენს აქაური "საერთო ფრონტი": რა პატივი. რა ფასი და რა პრესტიჟი აქვს მას. მენშევიკთა მიერ უღელ-დადგმულს.

და დავუკვირდეთ მათ აქაურ მოქმედებას ამ თერთმეტის წლის განმავლობაში. თუ ნათლად არა სჩანდენ როგორც მათი მიზანი. ისე მათი შიში. რომ არავინ შეეცილოს იმ ბატონობას. რომელიც მას უნდა მოელოდეს განთავისუფლებულ საქართველოში. და აგრეთვე სიბინძურე იმ საშუალებათა. რომელთაც იგინი პოლიტიკურ მოპირდაპირეთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს ხმარობენ.

ჯერ შეუძლებელია მთელი მათი მოქმედების აღწერა ემიგრაციაში. ესეც მომავლის საქმეა და ძნელი საქმეც. ვინაითგან ძალიან მცირე რამ არის ცნობილი მათ საქმეთაგან. - საიდუმლოების ჯურღმულითგან სინათლეზედ გამოსული. მოვიგონოთ აქ მხოლოდ ის. რაც ყველამ იცის. და მათი მოქმედების დასახასიათებლად ესეც საკმარისი იქნება.

ნ. ჟორდანია სწერდა ჩუმად თავის ცნობილ წერილში ამხანაგ აბესალომს ("კომუნისტი" 26 ივნისი 1927 წ.) შემდეგს: როდესაც დადგება ბრძოლის მომენტი " ერთი კი აშკარაა. რომ მარტოთ არ უნდა გამოვიდეთ და თავის თავის იზოლაცია არ მოვახდინოთ. ეს მით უფრო დასამახსოვრებელია. რომ არიან დაინტერესებული ჯგუფები ჩვენი ცალკე გამოსვლის. ასეთებია პირველ უოვლისა თვით ბოლშევიკები: ომის დროს ესენი მოგვიწყობენ პროვოკაციას. რომ ერთხელ და სამუდამოდ საქართველოს საკითხი გადასწყვიტონ მისი გაჟლეტით. მსგავსად სომხებისა ოსმალეთში. მეორენია ქართველი ფაშისტ-ავანტურისტები ევროპაში. ისინი მუშაობენ დამოუკიდებლად (კედია. ასათიანი. ჩოლოყაშვილი. კვინიტაძე). მათი ლოზუნგია - ძირს მენშევიკები. ამ მიზნით ისინი შეუერთდებიან ყველას. ოღონდ კი მართვა ხელში ჩაიგდონ და ჩვენ დაგვარბიონ. ეს ხალხი გამოვლენ უცხო იმპერიალისტების აგენტებად და შეეცდებიან ხალხის აყოლიებას. ამათთან ბრძოლა ეხლავე უნდა დაიწყოთ და მათი მომხრე ელემენტები იქ მათ წინააღმდეგ აამხედროთ. იცოდეთ. ეს ჩვენი სერიოზული საფრთხეა. ერიდეთ პროვოკაციას. საქართველოში ჩვენ და ჩვენს ფრონტში მეოფი პარტიულების გარდა არავინ არ უნდა მუშაობდეს და არც ვინმე გააჭაჭანოთ". ახლა დავუგდოთ ყური. რას სწერს იმავე აბესალომს ნ. რამიშვილი ("კომუნისტი" 26 ივნისი 1927 წ.): "ჩვენი მიზანია არსებულ ქართულ ლაშქრის გადაქცევა დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავარ ბურჯად და მით ჩვენი ბრძოლის გაადვილება. საჭირო იქნება დაუყოვნებლივ ლაშქრის ხელმძღვანელთა გაწმენდა მობოლშევიკო და ფაშისტურ-რეაქციონურ ელემენტთაგან. უნდა ვეცადოთ შევქმნათ გვარდია და მსგავსი რაზმები" და სხვა. "რომ გადატრიალებისას ქვეყნის ბატონ-პატრონი დემოკრატი შეიქმნეს და არა ფაშისტურ-რეაქციონური

**************************************************************

ელემენტები და სხვა და სხვა ჯურის ყოფილი (ს. დევდარიანი, შ. გოთუა და მსგავსი) მოღალატენი. აქედანვე უნდა მოვახდინოთ მოხალისეთა ჩვენი ალიანსი და სხვა. "უნდა მივიღოთ ყოველნაირი ზომა განსაკუთრებით თბილისში, რომ გადატეხისა და ბოლშევიკების დაცემის დროს ძალაუფლებას დემოკრატიის და საერთო ფრონტის მომხრენი (სოციალ-დემოკრატიული პარტია, სოციალ-ფედერალისტები და ეროვნულ-დემოკრატები შალვა ამირეჯიბისა და გვაზავას მომხრენი) და თავშივე ჩაკლათ ფაშისტ-რეაქციონერთა ცდა. ბოლშევიკების რეჟიმის დამხობისთანავე უნდა შევადგინოთ დროებითი მართველობა ჩვენი პარტიისა, სოციალ-ფედერალისტთა და ეროვნულ-დემოკრატთა წარმომადგენელთაგან" და სხვა. "დროებითმა მართველობამ, რომლის თავმჯდომარე აუცილებლად ჩვენი პარტიის წარმომადგენელი უნდა იყოს, უნდა განაცხადოს თავიდანვე, რომ ერის წარმომადგენელია უცხოეთში გახიზნული ნ. ჟორდანიას მთავრობა და რომ დროებითი მართველობა მაშინვე გადადგება, როცა საქართველოს ტერიტორიაზე გამოჩნდება ეს მთავრობა, ან მისი რომელიმე წევრი". დროებითმა მთავრობამ უნდა "გაწმინდოს ჩვენი ტერიტორია ბოლშევიკურ და ფაშისტურ ელემენტებისაგან". ქალაქებსა და მაზრებში მართველობა აგრეთვე პარტიებთან შეთანხმებით უნდა მოეწყოს, ხოლო თავმჯდომარე ყოველთვის სოციალ-დემოკრატი უნდა იყოს. "განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მილიციის შემადგენლობას. ის სავსებით უნდა გაიწმინდოს როგორც ბოლშევიკური ისე ყველა საეჭვო ელემენტებისაგან. იქონიეთ სახეში, რომ შეცვლილ მდგომარეობაში ყველაზედ უფრო საშიში იქნებიან ფაშისტ-რეაქციონერი ელემენტები. მიიღეთ ზომები, რომ არც ერთი რეაქციონერი და ფაშისტი მილიციაში არ შეეპაროს და საერთოდ არც ერთ საპასუხისმგებლო პოსტზედ ისინი არ გააჭაჭანოთ". შემდეგ აღწერილია აქაური საქმიანობა და დარიგება, თუ როგორ უნდა მოიქცეს ქართველი ხალხი მოსალოდნელი ომის დროს, და წერილის ავტორი დასძენს: "ასეთ ხელ-საყრელ მომენტში ჩვენ ახალი მტერი გაგვიჩნდა. ეს არის ფაშისტთა ჯგუფი, რომელსაც მეთაურობენ სპ. კედია, ალ. ასათიანი, ლეო კერესელიძე, გენერალი კვინიტაძე, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, კოტე კობახიძე (ყოფილი სოციალ-ფედერალისტი) და მიხაკო წერეთელი, პოლონეთში ლენერალი ჩხეიძე და პოლკოვნიკი (ინჟენერი) კანდელაკი. მათ აიყოლიეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიმდევართა ახალგაზრდობა და მიზნად დაისახეს ჩვენი პარტიისა და სოციალისტების დასამარება. მთელი ეს ჯგუფი დაკავშირებულია ფულით და საქმით შალვა ქარუმიძესთან, რომელიც ჩეკის აგენტია. ახალ-გაზრდათა შორის ძალიან ბევრია ჩეკის აგენტი. თუმც ასათიანი და კერესელიძე მაინც, თუ სხვები არა, ბოლშევიკთა აგენტების შთაბეჭდილებას ახდენენ. ფაშისტთა ჯგუფი გადაბმულია რუს მონარქისტებთან და უზადაა დაკმაყოფილდეს ავტონომიით, ოღონდ თავიდან მოიშორის სოციალისტები. აგრეთვე ისინი ყველგან დაძრწიან და ცდილობენ ამიერ კავკასიაში იტალია შემოიყვანონ და მისი მანდატი დააწესონ. როგორც ხედავ, ფაშისტთა ჯგუფი ჩვენ ერს ახალ ავანტიურას უმზადებს. ისინი აშკარად ამზადებენ იტალიის დახმარებით აჯანყებას, რაც ჩვენ ერს ჯერ ფიზიკურად განადგურებას უქადის, ხოლო მეორე მხრით ახალ სამოქალაქო ომს უმზადებს. ყოველი ძალ-ღონით მათი გეგმა უნდა ჩავფუშოთ. საჭიროა თქვენ მთელი ხალხი დარაზმოთ ფაშისტთა და მათ მოსყიდულ მოკავშირეთა წინააღმდეგ. პირველ რიგში შეეცადეთ ხალხს ზეპირად გადასცეთ სრული სინამდვილე და ფაშისტთა მეთაურებს ხალხის თვალში სახელი გაუტეხოთ. ამ მიზნით აუცილებელია: 1) ყველა პოლიტიკურ პარტიას და სხვა ორგანიზაციებს (სტუდენტთა კავშირი, მწერალთა კავშირი, და სხვა) ამცნოთ ფაშისტთა ვინაობა და მათი ბნელი მიზანი. 2) ხალხის ფართო წრემ უნდა გაიგოს რომ ფაშისტები უთანხმდებიან ქართველი ერის ზურგს უკან რუს მონარქისტებს და იტალიელ ფაშისტებს და ეს შეთანხმება ერს თავზე დაატეხს ახალ უბედურებას. 3) ლეგალური და სხვა გზით ფაშისტებმა და მათ მიმდევრებმა თავიანთ ნაცნობთა, მეგობართა, ნათესავთაგან უნდა გაიგონ წერილების მეოხებით, რომ მთელი ერი აღშფოთებულია ფაშისტთა მიერ ეროვნული ფრონტის გარღვევით და მათ მიერ ეროვნული მთავრობის უარყოფით და ისეთი მოღალატურ საქციელით, როგორიცაა რუს მონარქისტებთან და იტალიელ ფაშისტებთან კავშირი. ასეთივე წერილები თავისიანებისა და ნაცნობ-მეგობრებისაგან უნდა მიიღონ პარიზში მყოფმა ნაციონალისტ-სტუდენტებმა, რომ უკეთ ჩავფუშოთ ავანტიურისტთა გეგმა. აუცილებელია შევქმნათ დამოუკიდებლობის (ან განმათავისუფლებელი) კომიტეტები და დაწესება საინფორმაციო ბიუროსი სამი პარტიისაგან: სოც.-დემ. პარტია, სოც.-ფედ. პარტია და მთლიანი ფრონტის მომხრე ეროვნულ-დემოკრატები (ამირეჯიბი-გვაზავას ჯგუფი). სხვა პარტიები არ არსებობენ, განსაკუთრებით სხიველები, და ისინი უნდა გავბეროთ. ეს კომიტეტი შეიძლება, თუ სხვაგან არ მოხერხდა, შენ ახლოს მოეწყოს. ჩვენის ცნობით ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მეტად სუსტია, მას ცენტრ. კომიტეტი არა ჰყავს. საჭიროა მისი ცენტრი შეიქმნას და უკანასკნელმა ზურგი გაუმაგროს ამირეჯიბს და გვაზავას" და სხვ.

მთელი სული ქართული სოც.-დემოკრატიისა ამ წერილებშია: განუსაზღვრელი სურვილი ბატონობისა, არ დაზოგვა არავითარ საშუალებით არა თუ პირდაპირ მოწინააღმდეგეთა, არამედ არავისი, პოლიტიკური მეტოქეობისაც კი მოსალოდნელია. ცილის წამება და მთელი იეზუიტური გეგმა, მათი სახელის გატეხისათვის შემუშავებული. ამხედრება მათ წინააღმდეგ ნათესავთა, ნაცნობთა და მეგობართა, ჩუმი დაბეზღება და არა საქვეყნოდ გალაშქრება მათ წინააღმდეგ, და ისე მოხერხებული, რომ ყოველი დაბეზღებულთაგანი მსხვერპლი შეიქმნეს რომელიმე შეუგნებელი ფანატიკოსის კრიმინალობისა საქართველოში და აქაც. სუსტ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა გამოყენება "საერთო ფრონტის" სახით ტყუილი შთაბეჭდილების შესაქმნელად ქვეყნის თვალში, თითქოს სოციალ-დემოკრატია ეროვნულ ძალთა ნამდვილი გაერთიანების მომხრე იყოს სამშობლოს მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, და სხვ. - აი რამდენ სიბინძურეს შეიცავს ეს წერილები, რომლებიც შემთხვევით ეცნო საზოგადოებას, და ვინ იცის, რამდენი ამაზედ უარესი მიუწერიათ ამ წერილებზედ წინად, მათ შემდეგ, და ახლაც სწერენ! და მერე ვისი მოსპობა აქვსთ მიზნად დასახული ზნეობრივად და ფიზიკურად? - ქაქუცა ჩოლოყაშვილისა, რომელსაც აქ თვალთმაქცად თავს ევლებოდნენ, ეროვნულ გმირად სთვლიდნენ, თითქოს დაივიწყეს ის პროკლამაცია, რომელიც მას ზურგში ესროლეს მისი ბრძოლის დაწყებისთანავე და რომლითაც მას თავად-აზნაურობის რეაქციის მედროშედ სთვლიდნენ. ჩოლოყაშვილს, ერთად ერთ ნამდვილ ეროვნულ გმირს, ერის წინაშე აბეზღებენ, ცილსა სწამებენ, ტერორის მსხვერპლად განამზადებენ, ხოლო ამ საზიზღარი წერილების გამოქვეყნების შემდეგ აქ მის საფლავზედ სტირიან! სცდილობენ ჩუმად, საქართველოში, ჩეკისტის მსგავსად გამოიყვანონ კერესელიძე და ასათიანი, ხოლო ამავე დროს პირველს, "ფაშისტ რეაქციონერს", პოლიტიკური მინდობილობათ აკისრებენ იმავე "ფაშისტ რეაქციონერთან" ქართული საქმის გასაკეთებლად. მეორე კი, მიუხედავად მისი კანონიერი და ძლიერი ენერგიული ხელის შეხებისა პროტესტისა ცილის მწამებელის წინააღმდეგ, დღეს მათ მეგობრად მიიჩნევს და "საერთო ფრონტში" მიუჩინეს ბინა! სპობენ კედიას, ყოფილ მომხრეს და მონაწილეს ფრონტისა, მხოლოდ იმიტომ, რომ მან "ფრონტის" ღირებულება დროზედ სცნო და არ მოისურვა დიქტატორთა ყმობა! სპობენ სხვათ, რომელთაც უარყვეს საშინაურის მეტი სამშობლოს წინაშე არა მიუძღვიდათ რა, და მხოლოდ იმიტომ, რომ მათ იცოდნენ და იცნან სულის კვეთება დიქტატორობის მაძიებელთა!

გამოქვეყნდა ეს წერილები და არც მათ ავტორებს

შერცხვათ, არც იმ პარტიას, რომელსაც იგინი ეკუთვნოდენ, არც მთავრობას, რომლის თავმჯდომარედ არის ერთი ავტორთაგანი ეპისტოლეთა, ხოლო მეორე იყო დიდი წევრი - შინაგან საქმეთა მინისტრი, რათგანაც სირცხვილს (ალბათ ბურჟუაზიულ გრძნობას!) იგინი არაოდეს შეეწუხებია, და არც აქაურმა საზოგადოებამ შეიწუხა თავი, რათგანაც საზოგადოება არ არსებობს, არ არსებობს არც ქართველი ნამდვილი "მოქალაქე" და არც "მოქალაქის" მოვალეობის გრძნობა მის გულში, ან კი საითგან იქმნება ჩვენში ან მოქალაქე და ან შეგნება მოქალაქის მოვალეობისა: ძველად არ დასცალდა საქართველოს, რომ მოქალაქის ტიპი შექმნილიყო, რუსების დროს კი იგი არ ყოფილა არც რუსეთში და ჩვენშიაც რუსების ბატონობის დროს ვერ გაჩნდებოდა, ხოლო სამი წლის დამოუკიდებლობის დრო, ისიც მენშევიკების დიქტატურისა, მოქალაქის ტიპს ვერ შესძენდა საქართველოს. - და თითქოს არაფერი მომხდარიყოს, მენშევიკები განაგრძობენ დღემდე ცილის-წამებასა და დევნას საუკეთესო ქართველთა, კიდევ მეტის უსირცხვილობითა და სიმწარით, - და ახლა აშკარად, რადგანაც წინანდელი ჩუმად ჩადენილი კრიმინალობა, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას ემცნო იგი, შერჩათ. ყველა, ვინც არ არის მთავრობისა და "ფრონტის" მომხრე, სამშობლოს მოღალატედ არის გამოცხადებული. - ზურაბ ავალიშვილსაც კი თავიანთ პრესსაში მაბეზღარად წოდება შეჰკადრეს მხოლოდ იმიტომ, რომ მან უცხო პრესსაში გაჰბედა კრიტიკა მათი დამღუპველი პოლიტიკისა დამოუკიდებელ საქართველოში, რომელსაც იგინი ჰპატრონობდენ! როგორც ჩოლოყაშვილის გმობითა და ცილის-წამებით ერს უნდა წაერთვას მისი ნამდვილი გმირი, ისე ავალიშვილის დამცირებით საქართველოს ნამდვილი პოლიტიკური მოაზრე არ უნდა ჰყავდეს, ვინაითგან არ არს არც ეროვნული გმირი და არც პოლიტიკური მოაზრე გარეშე მენშევიკთა და "მთავრობასთან"

და საკვირველია, რომ მენშევიკები სწამებდენ ვისმე ბოლშევიკობას, მსოფლიოს მხედველობით, სულით, მეთოდით მოქმედებისა, ერთნი იყვნენ, არიან და იქნებიან ბოლშევიკები და მათგან განაყოფნი ძმანი მენშევიკები. ესა სჩანს ჩვენი მენშევიკების ნაწერებითგან, მოქმედებითგან. "ბრძოლის ხმის" რედაქცია ( 19. დეკ. 1931) გვაცნობს: საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის ცენტრ. კომიტეტმა დაადგინა: "ბრძოლის ხმა" გამოცხადდეს ცენტრალურ ორგანოდ საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. წარწერით: "პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით"-ო. "ბრძოლის ხმას" მართლაც ეს წარწერა აქვს კვლავ და ამაყობს იგი პარტიის ამ დადგენილებით. მაგრამ ბოლშევიკებსაც ეს უწერიათ თავიანთ დროშაზედ. მეორესა და მესამე ინტერნაციონალსაც. საქართველოს პროლეტარიატი და მისი წინამძღოლი მენშევიკები უნდა შეუერთდენ ყველა ქვეყნის პროლეტარიატს და მის პარტიებს - ინტერნაციონალურ სოც. პარტიებს. - მაშასადამე რუსის პროლეტარიატსაც, მის პარტიებსაც, საბოლოოდ რუს მენშევიკებსაც და ბოლშევიკებსაც. ეს არის მათი ბუნებრივი გზა, და რაც მალე იქნება განვლილი ეს მათი ბუნებრივი გზა, რაც მალე მოხდება ეს შეერთება, მით უკეთესია ჩვენთვისაც და ჩვენი ქვეყნისთვისაც, რათგანაც მენშევიკურ-პატრიოტულ უცნაურობათაგან გაწმენდილ ატმოსფეროში ნამდვილ ეროვნულ ელემენტთათვის უფრო ადვილი იქმნება ბრძოლა ამ მართლაც ბოროტისაგან დაუცხრომელთა წინააღმდეგ როგორც აქ, ისე საქართველოში.

მ. წერეთელი"

დასასრულ მსურს ერთი მეტად საინტერესო წერილიდან მოვიყვანო რამდენიმე ადგილი. ამ წერილის ერთგვარად ღრმად დამალული სევდიანი ტონი იქნებ იყოს არაცნობიერი აღიარება იმ ტრაგიკული შეცდომებისა, რომელიც მისმა პარტიამ და "მთავრობამ" ჩაიდინა ქართველი ერის წინაშე. ეს წერილი ეკუთვნის აკაკი ჩხენკელს, გამოქვეყნებული იყო 1925 წლის ივლისში №1 "ბრძოლაში" სათაურით:

"ქართული საკითხი

მე არ მეგულება ისეთი ქართველი, ვისაც არ გაეგებოდეს რა არის ქართული საკითხი. ასე არ იყო ამ რვა წლის წინ. გაგებას ვინ ჩივის, თვით საკითხი, ქართული საკითხი არ არსებობდა. ..

ვის ეგონა, ვის დაესიზმრებოდა, რომ რუსის იმპერიას მოუვიდოდა ის, რაც მას მოუვიდა? ვის შესწევდა გამბედაობა ეთქვა, რომ დევი-იმპერია გადატრიალდებოდა ერთს მშვენიერ დღეს და მის ნანგრევებზე წარმოიშობოდა თავისუფალი საქართველო?

მე მაგონდება ერთი ჩვენი ძალზე მოხუც მოღვაწის მიერ გადმოცემული თქმულება, რომელიც მას გაეგონა პლატონ იოსელიანისაგან: რატომ ხარ, ყმაწვილო, ასე უიმედო? ქართველ ერს გამოუვლია რომაელთა, სპარსთა, არაბთა, მონღოლთა და სხვათა ბატონობა. სად არიან დღეს ეს ხალხნი, ეს იმპერიანი? ეხლა ჩვენ გვფლობს რუსის იმპერია და... მას "ვხრამთ, ვხრამთ, ვხრამთ".

ჩვენ არ შეგვწევდა, ვიმეორებ, გამბედაობა დაგვეშვა რუსის იმპერიის დამსხვრევა. "პლატონ ფილოსოფოსი" თეთრ ყორნად გამოჩნდებოდა, თუ ადრე არა, ჩვენს თაობაში მაინც. ორ-თავიან არწივის კლანჭებიდან თავის დაძრომა გამორიცხული იყო ჩვენი წარმოდგენიდან.

ეჰ, ეხლაც ხომ იქა ვართ! - ამოიოხროს იქნებ მკითხველმა. დიახ, ეხლაც იქა ვართ, რუსეთის უღლის ქვეშ: თან ჩაქუჩი და ნამგალი ორ-თავიან არწივზე უფრო საშინელია, ვერაგი... ვერც იმის გარანტიას მოგცემთ, რომ მეორე არ შეცვლის პირველს.

მაშ რაშია საქმე? იმაში, რომ ჩვენ გვაქვს დღეს ის, რაც გვაკლდა რვა წლის წინ - გამბედაობა. უხეში ძალა ისევ მკერდზე გვაზის, მართალია, მაგრამ ჩვენ მაინც ხვანი ვართ, ვინემ ვიყავით.

ახლა დავიბადეთ.

დავიხიოთ ცოტა უკან. ქართველთა გულის ნადების პირველი საჯარო დემონსტრაცია მოხდა ნოემბერში 1917 წ. ეროვნულ ყრილობაზე. თუ გავიხსენებთ მაშინდელ სულისკვეთებას, იმ ყრუანტელს, რომელმაც გაურბინა ყველა იქ დამსწრეთ აფრიალებულ ეროვნულ დროშის დანახვაზე, ჩვენთვის უდაოა, რომ ქართული საკითხი სწორეთ მაშინ დაისვა.

მაგრამ ჩვენ დაგვჭირდა მთელი ხუთი თვე ცდა იმ ისტორიულ თარიღიდან, ვიდრე ვიტყოდით, აპრილში 1918 წ. მეზობელ ერებთან ერთათ, რომ ჩვენ არ ვეკუთვნით რუსის იმპერიას, დამოუკიდებელი ვართ, და რადიო ამცნევდა უცხო სახელმწიფოთ, რომ დაიბადა ერთი ახალი სახელმწიფო.

**********************************************************************************

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკამ დიდ ხანს ვერ იცოცხლა. მე არ ვეკუთვნი იმათ, ვინც ფიქრობს, რომ ამიერ-კავკასია დაინგრა შიგნიდან. მიუხედავათ მრავალ წინააღმდეგობათა სწორეთ შინაგან ხასიათისა, ახლათ დაბადებულსა და ნორჩს წაესიენ ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან - აი მიზეზი.

დგება ჩვენი მაისი. ამიერ-კავკასიის თვითოეული ერი აცხადებს თავის დამოუკიდებლობას. ესე იგი, პრინციპი იგივე, აპრილში გახაზული, - აქედან მეტი საბუთი ზევითა დებულების დასადამტკიცებლად.

თაოსნობა ორივე შემთხვევაში ქართველს ეკუთვნოდა. ეს ბუნებრივია. იმდენათ ბუნებრივი, რომ მეტია შეჩერება.

26 მაისს ჩვენ ვთქვით: "ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა".

მაგრამ სანამ ამ ჩვენთვის საეპოქო სიტყვებს ვიტყოდით, ჩვენ წაუმძღვარეთ მას, თვით დამოუკიდებლობის აქტში, ახსნა, განმარტება. უკანასკნელში თქვენ ვერ დაინახავთ ერთს, ვფიქრობ, უმთავრესს: რომ ასეთია ქართველი ერის უზენაესი ნების ყოფა. ახსნა-განმარტებაში ჩვენ თითქოს მოვიბოდიშებთ, თავს ვიკატუნებთ, გარემოებამ გვაიძულაო - ვამბობთ.

რა მოგვივიდა? ნუ თუ გვაკლდა ნების-ყოფა თავისუფლ, დამოუკიდებელ ერისა? ნუ თუ გვაკლდა ალტუინება? ნუ თუ ისევ "მერანის" კაეშანი გვაჭმუნებდა? ნუ თუ ისევ აკაკის "სატრფოს" ვეძებდით? ნუ თუ ისევ ილიას გოდება გვესმოდა: "შენ როდის აყვავდები"?

არა, მიზეზი ეს არ იყო. ნების-ყოფა არ გვაკლდა, არც ალტუინება. მოგაგონებთ ისევ ნოემბრის ყრილობას. მოაზროვნე ქართველი, ათასგვარ თეორიებში გახვეული, ისევ ქართველი დარჩა. ნუ დაიკვეხნით გადაიგდოთ ტვირთი, ის ტვირთი, რომელიც ისტორიამ მოგადოთ ზურგზე, რომლის სიმძიმე საუკუნიდან საუკუნე იზრდება. თქვენ შეიძლება დაეცეთ ტვირთით, მაგრამ ვერ მოიცილებთ მას; დატვირთული ჩახვალთ საფლავში ან კიდევ ტვირთულივე იდგომებით ფეხზე. ეს თქვენი განძია, თქვენი არსება. მე არ ვამბობ იუდა-მოღალატეზე, თუმცა მასაც ესმის, რას ღალატობს - ეს მისი სასჯელია.

არა, მეტათ უცნაურ პირობებში დავიბადეთ, რევოლუციის ცეცხლიდან გამოვედით, მისმა ალმა დაგვწვა, გვაკლდა, რა გვაკლდა? იგივე გამბედაობა, რითაც დავიწყეთ, ჩვენს ვებ.ის-ყოფას, ჩვენს ალტუინებას გულში ვიმარხავდით, გარეთ არ ვაჩენდით. ეგ არ არის ნაკლი თავის თავათ.

არ შეიძლება უმტკივნეულოთ დაბადება. მაგრამ ეს იყო სწორეთ უმტკივნეულოთ დაბადება! ქართველმა არ იცოდა, მას არ გაეგონა უმსხვერპლო თავისუფლება. მან ვერ დაიჯერა სასწაული, ვერ დააფასა... ხელიდან გაუსხლტდა!

დაგვიდგა მწარე დღეები. ტლანქი, ველური ძალა მაჯლაჯუნად გვაწევს გულზე, გასაქანს არ გვაძლევს, გვტანჯავს.

და ამ ტანჯვის დროს საკვირველი რამ მოხდა: ქართველი უჯერის თავის თავს, იმსჭვალვის შეუდრეკელი რწმენით, იბრუნებს გამბედაობას, ის, რაც თავისუფლების ხანაში ჩაისახა, მონობის ხანაში გაიფურჩქნა! შეუძლებელია ამ ორი ხანის ერთმანეთისაგან დაშორება. ორივემ შექმნა ის მთლიანი, ჩამოყალიბებული ტიპი თავდადებული მებრძოლისაც რომელსაც დღევანდელი საქართველო იძლევა.

აგვისტო-სექტემბერი 1924 წ. - ეს თარიღია ქართველ ერის ისტორიაში. ეს იყო დაუჯერებელი... გიჟური გამბედაობა! პატარა საქართველო, დიდი რუსეთი - ორი სრულიად შეუდარებელი სიდიდე.

ქართველს დაავიწყდა მიეხედნა ზურგისაკენ, ჩაეხედნა შიდ ტვირთში. ის იქ დაინახავდა, რომ რაოდენობა ჩვენი სუსტი მხარე იყო ყოველთვის. პატარა ერისთვის არაფერია ისე საკალდებულო, როგორც ძალთა დაზოგვა. ეს იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა, ამიტომ ვითვლით დღეს საუკუნოებს ჩვენი ერის ისტორიულ არსებობისას.

აგვისტო-სექტემბერი! ეს არის არა მარტო თარიღი, არამედ რაფიელის "სალი კლდეც". საიდანაც სჩქეფს უკვდავების შადრევანი. მისი ფერი შვინდისაა, როგორც ჩვენი დროშის, დაიღვარა სისხლი, სიმბოლო ჩვენი გამარჯვებისა.

ჩვენი თაობა არ გაურბოდა მსხვერპლს იდეისათვის. პლატონის "ვხრამთ" მან იხმარა, რუსეთის მრავალ-ენიან დემოკრატიასთან ერთად, ძველი რეჟიმის წინააღმდეგ და მით გზა გაუკაფა ეროვნულ საქმეს. ჩვენი თაობა უკანასკნელი არ იყო ამ ბრძოლაში, შეუძლია იამაყოს ამით.

მაგრამ უდაოა ისიც, რომ ჩვენს თაობას არ ჰქონდა დასახული გარკვეული ეროვნული მიზანი, ამიტომაც სახტათ დარჩა ის 1917 წ.

ქართველი, დაახლოებით მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან, პირველათ ეხლა ღვრის სისხლს სრულიად გარკვეულ და კონკრეტულ ეროვნულ იდეალისთვის. ნუ ეძებთ მსხვერპლის მეტ-ნაკლებობას ამა თუ იმ კლასის, პარტიის ან პროფესიის მიხედვით. ეგ ხომ ულირსიც იქნებოდა გათხრილ საფლავთა წინაშე.

ყველა გზებს რომში მივყავართ, იქიდან გამოვდივართ. ქართველ ერს თავისი ახალი ისტორიაც აქვს, ამას ვერ წაშლით. ის არის თანამედროვე ერი თავისი სოციალური ტკივილებით

და პოლიტიკური დიფერენციაციით. ესეც იმდენათ ბუნებრივია, რომ მეტია შერერება.

რა არის მაშ საყალდებულო? ერთათ ყოფნა, მთელი ჩვენი ფიზიკურ და მორალურ ძალების შემოკრიბვა დასახულ მიზნის ირგვლივ. პარტიათა მთლიანი ეროვნული ფრონტი. სოციალური ბიდილი მხოლოდ თავისუფალ საქართველოში.

აი, რა არის თანამედროვე ერის სიმწიფის მაჩვენებელი. ვართ ჩვენ თანამედროვე ერი? ცხადია, ვართ.

მოხდა ისე, რომ სხვებმა გვიცნეს ადრე, ვინემ ვიცანით ჩვენი თავი. მიუხედავათ პარტიულ სხვადასხვაობისა, ეროვნულათ ერთნი ვართ - ქართველნი.

. ჩვენ ველტვით თავისუფლებას, დამოუკიდებლობას. აქედან ჩვენი ნების-ყოფა, ჩვენი ალტყინება, ჩვენი გამბედაობა...

ჩვენ გადავლახეთ იმპერიის საზღვრები. ჩვენ შევკივით დაწინაურებულ კაცობრიობას: ჩვენი თავის ბატონი და პატრონი ჩვენ თვითონ გვინდა ვიყოთ.

ჩვენი საკითხი საერთაშორისო საკითხია. ამას ღალადებს უკვე გადებული და აწ გასაღები მსხვერპლი.

აი, ქართული საკითხი. .

ანჩინ."

*

დანარჩენი მკითხველმა იფიქროს და იკვლიოს! კვიმატი ჰიპოთეზაც ამიტომ ჰქვია.

*     *

ქვემომოყვანილი დოკუმენტები გამოქვეყნებულია კრებულში: "დოკუმენტები დაკავშირებული ერთა ლიგის წინაშე საქართველოს საკითხთან" - საფრანგეთში საქართველოს ლეგაციის გამოცემა - პარიზი 1925 წელი.
(ამ წიგნში არაერთი ყურადსაღები დოკუმენტია გამოქვეყნებული. ჩვენთვის საინტერესო . თემას, სპეციფიკურად, ეხება კიდევ ორი დოკუმენტი გაგზავნილი ერთა ლიგაში 1924 წლის 5 აგვისტოს და 5 სექტემბერს).

1924 წლის 6 სექტემბერს ნოე ჟორდანია პარიზიდან ასეთ დეპეშას უგზავნის ერთა ლიგის მეხუთე ასამბლეას:

**Télégramme**

**du Président du Gouvernement National de Géorgie au Président de la 5-e Assemblée de la Société des Nations[1].**

Président Ligue des Nations MOTTA
Genève

Peuple géorgien réduit au désespoir par trois années d'oppression inouïe du pouvoir d'occupation de Moscou s'est soulevé. Depuis dix jours combats sanglants entre population et troupes russes. Villages incendiés, prisonniers politiques détenus depuis longtamps, sont fusillés sans jugement. Peuple combat pour rétablissement indépendance nationale ravie par Gouvernement de Moscou au mépris de tous traités conclus entre Géorgie et Russie. Prions Ligue des Nations appelée à apaiser conflits internationaux et prévenir luttes sanglantes, intervenir et proposer Gouvernement de Moscou arrêter actions militaires contre Géorgie et soumettre conflit à arbitrage international.

Président Du Gouvernement National Géorgie
Noë JORDANIA.

Paris, le 6 septembre 1924.

იგივე დეპეშები გაეგზავნათ საფრანგეთის საბჭოს თავმჯდომარეს მ. ჰერრიოს და იმ დროს ჟენევაში მყოფ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს, მაკ-დონალდს. იმავე დღეს ნოე ჟორდანიამ შემდეგი სახის დეპეშა გაუგზავნა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს მოსკოვში:

**Télégramme**

PRESIDENT DU CONSEIL DES COMMISAIRES DU PEUPLE.
KREMLIN MOSCOU

En 1921, vos troupes, au mépris traité conclu entre nous, ocupèrent, après cinq semaines de combat, la Géorgie déjà reconnue indépendente par vous-mêmes. Depuis, le peuple géorgien supporte des persécutions inouïes et inconnues dans son histoire. Maintenant réduit au désespoir, il lutte contre votre pouvoire. La Géorgie lutte, non pour rétablissement de tel ou tel régime intérieur, mais pour son droit à sa détermination nationale et pour rétablissement son indépendance. Vous savez vous-même que Géorgie ne se soumettra jamais à domination étrangère. Au nom peuple Géorgien, je vous propose arrêter actions militaires et résoudre conflit russo-géorgien pacifiquement en nous

---

1 იხ. DOCUMENTS relatifs à la question de la Géorgie devant de la Société des Nations - Edition de la Légation de Géorgie en France - Paris 1925. გვ. 42

**************************************************************************************

basant sur traités conclus entre nous 7 mai 1920. Je déclare en même temps que nous sommes prêts conclure traité complémentaire garantissant vos intérêts économiques et commerciaux en Géorgie.

Le Président du Gouvernement National de Géorgie
Noë JORDANIA.

Paris, le 6 Septembre 1924.[1]

*

შემდეგი წერილი გაიგზავნა ერთა ლიგაში 9 სექტემბერს:

**Lettre du Président du Gouvernement National de Géorgie au Président de la 5-e Assemblée de la Société des Nations.**

Paris, le 9 septembre 1924.

MONSIEUR LE PRESIDENT

Je viens de recevoir de Géorgie la dépêche suivante: "La lutte continue. Toute la Géorgie sauf Tiflis et batoum est aux "mains des insurgés. Du côté de Batoum les troupes russes arrivent."
D'autre part, suivant des renseignements de source autorisée, Moscou a décidé de reconquérir la Géorgie et dans ce but il fait des préparatifs militaires.
En vous confirmant mon télégramme du 6 courant, j'ai l'honneur de vous prier de bien vouloir faire figurer la question géorgienne à l'ordre du jour de l'Assemblée générale de la Société des Nations afin de faire résoudre le conflit par les moyens pacifiques et arrêter l'effusion du sang d'un peuple qui ne cesse de lutter pour secouer le joug de l'envahisseur.
veuillez agréer, Monsieur le Président, les assurances de ma très haute considération.

Le Président Du Gouvernement Natioinal Géorgie
Noë JORDANIA.[2]

*

და უკანასკნელი წერილი იმავე ერთა ლიგის თავმჯდომარეს გაეგზავნა 10 სექტემბერს:

**Lettre du Président du Gouvernement National de Géorgie au Président de la 5-e Assemblée de la Société des Nations.**

Paris, le 10 septembre 1924.

MONSIEUR LE PRESIDENT,

Un acte de barbarie inouïe vient d'être perpétré en Géorgie par le pouvoir d'occupation bolcheviste russe. Conformément aux informations Soviétiques russes, viennent d'être fusillés, sous prétexte qu'ils étaient "chefs des insurgés géorgiens", - tandis qu'en vérité ces victimes étaient arrêtées longtemps avant le 28 août dernier - date à laquelle l'insurrection a éclaté en Géorgie; tel est le cas de MM. Khomeriki, leader socialiste, Ministre d'Agriculture du Gouvernement National Géorgien, prisonnier de la Tchéka depuis le mois d'octobre 1923, Saloukvadzé, Député à l'Assemblée Nationale Constituante Géorgienne, arrêté en 1922, Pagava, arrêté en janvier 1924, Djouguéli, chef de la garde populaire géorgienne et leader socialiste, arrêté immédiatement à son retour en Géorgie, le 6 août dernier, Tchikvichvili, Député, Maire de Tiflis, arrêté dans les mêmes circonstances en juin dernier, Assatiany et Tzinamdzgvarichvili, arrêté depuis plus d'un an, etc... etc...
l'excécution de ces personnes signifie tout simplement que le pouvoir d'occupation bolcheviste russe en Géorgie, affolé de peur pour son existence et assoifé de vengeance, procéda à l'extérmination de ses adversaires politiques.
Le sort des victimes exécutées menace des centaines d'autres prisonniers géorgiens déportés de Géorgie en Russie par le pouvoir moscovite dans le courant des trois dernières années.
En portant ce qui précède à votre connaissance et en vous priant de bien vouloir en informer les délégués des peuples civilisés représentés à l'assemblée de la Société des Nations, j'ose espérer que ces délégués lèveont avec autorité leur voix contres les actes de barbarie auxquels se livre en Géorgie le Gouvernement bolcheviste de Moscou.
Veuillez agréer, Monsieur le Président, les assurances de ma très haute considération.

Le Président du Gouvernement National de Géorgie
Noë JORDANIA.[3]

* *

ვიდრე ზემომოყვანილ დოკუმენტებს შევეხებოდე. მსურს აგვნიშნო. რომ საქართველოს შესახებ რამდენიმე დღის განმავლობაში იყო საუბარი ერთა ლიგის სხდომებზე და ბევრი სასიამოვნო სიტყვებიც ითქვა ჩვენი მისამართით. ამას. ცხადია. არავითარი რეალური და პრაქტიკული

---

[1] idid: გვ. 68 - Annexe 10.
[2] idid: gv. 42

[3] idid: გვ. 43.

შედეგი თვით საქართველოსათვის, როგორც ვიცით არ მოჰყოლია. სამაგიეროდ საერთაშორისო პოლიტიკური საზოგადოების ყურადღება მიაპყრო საქართველოს "მთავრობას". აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: ნოე ჟორდანიაც და სხვა წერილთა ხელისმომწერნიც, გამოდიან არა ქართველი ერის სახელით, ან, თუნდაც დამოუკიდებლობის კომიტეტის სახელით ან გაერთიანებული ძალების სახელით, არამედ პირადად საკუთარ თავს წარმოადგენენ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ დეპეშათა მიზანს წარმოადგენს იმის შეხსენება ერთა ლიგისათვის, რომ ნოე ჟორდანია არის საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარე (Le Président du Gouvernement National de Géorgie), სხვა წერილების ხემისმომწერნი კი ამავე მთავრობის წარმომადგენლები. ეს იმდენადაა თვალშისაცემი, რამდენადაც იქვე გამოქვეყნებულია 1923 წლის 25 მაისის მოწოდება დამოუკიდებლობის კომიტეტისა იმავე ერთა ლიგისადმი, რომელსაც დამკომის თავმჯდომარე კი არ აწერს ხელს, არამედ თვით კომიტეტი, როგორც ერთიანი წარმომადგენელი ერისა. მოსალოდნელი იყო, რომ აქ მოყვანილ დეპეშებსა და მიმართვებსაც ხელს მოაწერდა მთავრობა, როგორც ქართველი ერის ერთიანი წარმომადგენლობითი სუბიექტი, დამცველი მისი სამართლებრივი უფლებებისა საერთაშორისო საზოგადოებრიობის წინაშე. ამის ნაცვლად კი ვხედავ პირად ინიციატივას, რაც ეჭვს ბადებს იმაში, რომ საქართველოს მთავრობა და, მითუმეტეს ქართველი ხალხი) მართლაც ერთსულოვნად უჭერს მხარს ამ დოკუმენტებს (რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ეს მთავრობა რეალურად არსებობს, როგორც ქართველი ერის წარმომადგენელი და მისი ნების განმახორციელებელი). გაუგებარი ხდება რას წარმოადგენს "დამკომი", რა არის ეს "მთავრობა" და მისი პრეზიდენტი და ყოველივე ამაში სად არის ქართველი ხალხი, როგორც ერთიანი ერი, რომელიც ითხოვს საერთაშორისო სამართლისაგან თავისი უფლებების დაცვას. ეს ხელმოწერა კიდევ ერთ საინტერესო მომენტს წარმოაჩენს, სახელდობრ იმას, რომ ნოე ჟორდანია ზუსტად ისევე, როგორც ლენინი, სტალინი და ერთობ კომუნისტები, ძალაუფლებას თავის კერძო საკუთრებად მიიჩნევდა და თავს აიგივებდა საქართველოს მთავრობასთან. მას არსებითად არც ჭიროდა "მთავრობის წევრები". საკმარისი იყო ის, რომ თვითონ იყო უკვე თავმჯდომარე (პრეზიდენტი!) და, ე. ი. განმასახიერებელი ქართველი ერის ტოტალური უფლებებისა. ამიტომ იყო, რომ ერთა ლიგაში გაისმა ეჭვიანი ხმა, რომ საქართველოში სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა და არა ეროვნულ-გამათავისუფლებელი. და სწორედ ეს უადვილებდა მოსკოვს თავისი ინფორმაცია გაევრცელებია და ანტიპროპაგანდითა და დეზინფორმაციით მოეხდინა გავლენა მსოფლიოზე თავის სასარგებლოდ. ამასთანავე, უნდა ითქვას, რომ არც ერთმა სახელმწიფომ არ განაცხადა მკვეთრი პროტესტი და არ დაუჭირა მხარი საქართველოს. ამის მიზეზი, ჩემის აზრით, მრავალწილად იყო ის პოლიტიკური "თამაშობანა", რომელსაც აწარმოებდა "საქართველოს ეროვნული მთავრობის სოციალისტი თავმჯდომარე".

ზემომოყვანილ დეპეშათა ანალიზი მეტად საინტერესო მომენტებს ავლენს, სახელდობრ, ყურადღებას იქცევენ დეპეშათა დაგზავნის თარიღები. პირველი დეპეშა, გაგზავნილი მოტასადმი (იგივე და იმავე დროს ერიოსა და მაკ-დონალდისადმი და აგრეთვე მოსკოვში, კრემლში სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს. ეს დეპეშები გაგზავნილია 1924 წ. 6, 9 და 10 სექტემბერს, ე.ი. მაშინ, როდესაც აჯანყება უკვე "მოგუდული იყო". საინტერესოა თვით დეპეშათა შედარებითი შინაარსიც და, განსაკუთრებით, დეპეშათა "ტაქტიკის" მიმართება "მთავრობის" სტრატეგიულ ჩანაფიქრთან.

ექვს სექტემბერს გაგზავნილ დეპეშებში ერთის მხრით ატეხილია "განგაში" ერთა ლიგის წინაშე და გადაწყვეტითაა ხაზგასმული, რომ "უკვე ათი დღეა სისხლიანი ბრძოლები მიმდინარეობს მოსახლეობასა და რუსულ ჯარებს შორის. სოფლები გადამწვარია, დიდ ხნის განმავლობაში დაპატიმრებული პოლიტიკური პატიმრები დახვრეტილები არიან სასამართლოს გარეშე. ხალხი იბრძვის მოსკოვის მთავრობის მიერ საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული ყველა ხელშეკრულებების დარღვევით წართმეული დამოუკიდებლობის აღსადგენად. ვთხოვთ ერთა ლიგას მოუწოდოს საერთაშორისო კონფლიქტის შესუსტებისაკენ და აიცილოს სისხლიანი ბრძოლა, ჩაერიოს და შესთავაზოს მოსკოვის მთავრობას შეაჩეროს სამხედრო მოქმედება საქართველოს წინააღმდეგ და გადასცეს კონფლიქტი საერთაშორისო სასამართლოს" (ხაზგასმა ჩემია - ჯ.კ.); ახლა ვნახოთ რას სთავაზობს დიპლომატიური სიტყვაბრტყელობის უკან იგივე ნ. ჟორდანია მოსკოვს, კრემლს და მის ამხანაგ სტალინს, რომელიც უკვე მოკალათებულია კრემლის უმაღლეს სავარძელში: "1921-ში, თქვენმა ჯარებმა ჩვენს შორის დადებული ხელშეკრულების დარღვევით, ოკუპირებულ ჰყვეს საქართველო უკვე ცნობილი დამოუკიდებლად თქვენს მიერვე. მას შემდგომ, ქართველი ხალხი განიცდის მის ისტორიაში არნახულ დევნას. ამჟამად, იმედდაკარგული იბრძვის თქვენი ძალაუფლების წინააღმდეგ. საქართველო იბრძვის არა ამა თუ იმ შინაგანი რეჟიმის აღსადგენად, არამედ თავისი

************************************************************************************************

ეროვნული თვითგამორკვევის უფლებისათვის და თავისი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. თქვენ თვითვე იცით რომ საქართველოს არასოდეს მიუღია უცხოური მბრძანებლობა. ქართველი ხალხის სახელით, მე თქვენ გთავაზობთ შეაჩეროთ სამხედრო მოქმედებანი და რუსულ-ქართული კონფლიქტი მოვაგვაროთ მშვიდობიანად, ჩვენს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებულ ხელშეკრულებაზე დაყრდნობით. მე გაცხადებ ამავე დროს, რომ ჩვენ მზად ვართ დამატებითი ხელშეკრულების დასადებად რომლითაც გარანტირებული იქნება თქვენი ეკონომიკური და კომერციული ინტერესები საქართველოში". (ხაზგასმა ჩემია - ჯ.კ.).

აქ უკვე ფარდა ახდილია საგსებით. ის ფარდა, რომელიც მალავდა რაღაც კავშირებს, საიდუმლო ძაფებს, გაბმულს მოსკოვთან ქართველი ერის, საქართველოს პარლამენტის და საკუთარი თანამებრძოლების (ყოველ შემთხვევაში ზოგიერთის!) ზურგს უკან. ვის ჰპირდება ნოე ჟორდანია საქართველოში ეკონომიკური და კომერციული ინტერესების დასაცავად ახალ ხელშეკრულებას? იმ ზნეობრივად სამარცხვინო და პოლიტიკური თვალსაზრისით ჰიტლერ-სტალინის პაქტის პროტოტიპ ხელშეკრულებაზე დასამატებლად, რომელიც ლენინ-ჟორდანიას შორის დაიდო 1920 წლის 7 მაისს? - კრემლს, იოსებ სტალინს, სერგო ორჯონიკიძეს, ტროცკის და მთელ კომისართა საბჭოს. თანაც, პარალელურად, ითხოვს (უკვე მეოთხე წელია ითხოვს!) საერთაშორისო არბიტრაჟს. კარგი სანახაობა იქნება ეს ორი აქტი შერწყმულად. თანაც ყოველივე ამას დემაგოგიურად აქვს წაფარებული გულმტკივნეული გოდება, ყვირილი, გულის შეღონება ქართველი ერის ბედით (უფრო კი სოციალისტური პარტიისა და მისი წევრებისა, გამოყოფილად!) "შეაჩერეთ სისხლისღვრა საქართველოში", "შეაჩერეთ ქართველი ერის წამება"... - ცხადია ამგვარ მოწოდებას შეიძლებოდა ჰქონოდა გარკვეული რეზონანსი, რადგან საქართველოდან არა თუ უკანასკნელი სამი წელი, არამედ მთელი ასოცი წლის განმავლობაში ისმოდა გოდება და ბრძოლის ხმა, მაგრამ მთლიანი კონტექსტი ამ მოწოდებისა წმინდა დემაგოგია იყო. ამავე დროს, თუ გავითვალისწინებთ ჰიპოთეზაში გამოთქმულ მოსაზრებებს, აშკარა ხდება, რომ აჯანყების მოწყობა "მთავრობას" ესაჭიროებოდა სოციალისტურ სასამართლოში მოსკოვთან ერთად წარსადგომადაც. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარია რა პრიორიტეტით სთავაზობდა ყოფილი მთავრობა ძველი (1920 წ.) ხელშეკრულების აღდგენას და მასზე ახალი ხელშეკრულების დამატებას დამპყრობელს, თუკი ქართველი ერი, "არ იბრძოდა ამა თუ იმ შინაგანი რეჟიმის აღსადგენად"? თუკი გაიმარჯვებდა, მაშინ ხომ ქართველი ერი თავის ახალ რჩეულებს დაავალებდა საქმის მოგვარებას და დაავალებდა იმგვარად, რომ არც 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება და არც ნებისმიერი სხვა ხელშეკრულება არ იქნებოდა (და არც შეიძლებოდა ყოფილიყო) საფუძველი ორი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, კომერციული თუ დიპლომატიური ურთიერთობისა. ხოლო თუ აჯანყება დამარცხდებოდა, მაშინ დამპყრობელი თვითვე გადაწყვეტდა საქართველოს ბედს, როგორადაც, ჩვენდა საუბედუროდ კიდეც გადაწყვიტა იმავე რიცხვებში, როდესაც "დიდი ნოე-პრეზიდენტი" თავის ტაქტიკურ სვლებს აკეთებდა თავისი თავისა და თავისი პარტიის "მთავრობის" საერთაშორისო სტატუსის გასამართლებლად. ასე რომ ამგვარი კონტრადიქტორული წინადადებებით აწყობილი ეს ტაქტიკა თუ სტრატეგია ქართული "მთავრობისა" ნოე ჟორდანიას მეთაურობით, სავსებით აღასტურებს იმ თვალსაზრისს და შეხედულებას, რომელიც ქართველ ნაციონალისტებს ჰქონდათ ქართველსავე ინტერნაციონალისტ-სოციალისტებზე - ბოლშევიკებზეც და მენშევიკებზეც. საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ სოციალისტების ორ ფრთას შორის გამართულ ძალაუფლებისათვის ბრძოლას გადაჰყვა მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში უდიდეს ქართველთა მიერ ესოდენი რუდუნებით ნაზარდი და ნაგროვები სოციალური ენერგია და ძალა, ილია ჭავჭავაძისა და მისი ეროვნული ხომლის (რომელსაც არავითარი ნომერი - ნიშანი უპიროვნობისა, ცხადია, არ შეიძლება ჰქონოდა: ეს "ნომერობანაც" ხომ სწორედ იმავე უპიროვნოთა და უზნეოთა ანტიეროვნულმა დასმა შემოიღო) თავგანწირული საქმე. დაშლილი და გადაგვარებული ქართული სოციალური ცნობიერების და სოციალური სტრუქტურების რესტავრაციისა და თანამედროვე ყალიბში მოქცევისაკენ მიმართული.

*

*    *

ს. ქართველი

# რჩევა არჩევნებისა...

1990 წელი შევა ისტორიაში როგორც წელი არჩევნების - ევროპის დემოკრატიული პროცესების - : დაწყებული საბჭოთა კავშირით. მთელ აღმოსავლეთ ევროპაში ისმება საკითხი თუ როგორ შეიძლება კომუნისტური სისტემიდან გამოსვლა მშვიდობიანი საშუალებებით. ამ ძირითად საკითხს ჩვენთვის პირადად მეორე შეკითხვა მოყვება. კერძოდ. შეიძლება თუ არა დამოუკიდებლობის მოპოვება არჩევნების საშუალებით ისეთ სისტემაში სადაც არა-დომინანტი ერები ჯერ კიდევ. და დიდი ხნით ალბათ. უმცირესობას წარმოადგენენ. ამ კითხვაზე პასუხიდან გამომდინარეობს დიფერენცირებული პოზიციები არჩევნებში მონაწილეობის საჭიროობის შესახებ. ყოველ შემთხვევაში. და რაც არ უნდა იყოს შეფასება ამ პროცესების ნამდვილი დემოკრატიული სახისა. ერთი რამ უნდა ითქვას თავიდანვე: არ შეიძლება რომ ამგვარ საკითხზე საქართველომ არ იმსჯელოს და არ გაარკვიოს თავისთვის. თუ რისი მომტანია მისთვის ეს გზა. და არ გადაწყვიტოს სრული შეგნებით - რა პასუხი გასცეს.

ჩვენ რომ ვაკვირდებით გარედან საქართველოს დღევანდელ სურათს. ვხედავთ ერთგვარ ურთიერთდაპირისპირებას და ორ სრულიად განსხვავებულ მიდგომას ამ საკითხისადმი. ერთის მხრივ. ნაწილი მოღვაწეების კატეგორიულ უარს აცხადებენ ყოველივე მონაწილეობაზე ყოველნაირ არჩევნებში. იმ მოტივით. რომ სანამ არ იარსებებს სრულიად დამოუკიდებელი საქართველო. ეს ყველა პროცესები ფიქციას წარმოადგენენ და არაფრის მომტანნი არ არიან საქართველოს ბედისათვის. პირიქით. ამ ფიქციაში მონაწილეობის მიღებას მხოლოდ და მხოლოდ შეუძლია საზღვრების იქით საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტის გაზრდა და შეიძლება გამოყენებულ იყოს დასამტკიცებლად საქართველოს საბჭოთა წყობაში ნებითი ყოფნის. ეს პოზიცია. რომელსაც ლოგიკის მიხედვით. ერთგვარი გამართლებაც აქვს. მისაღებია კერძო ადამიანის მიერ. როგორც მორალური ცხოვრების პრინციპი. უკომპრომისოდ : "მე არ მივიღებ მონაწილეობას სანამ დამოუკიდებელ საქართველოს ხელისუფლების მიერ მოწყობილი არჩევნები არ გვექნება".

მაგრამ სავალალოდ. და ეს არის რეალობის გაკვეთილი. რაც კერძო პირისთვის მისაღები და გამართლებული პოზიცია შეიძლება იყოს. პოლიტიკურ სფეროში სხვანაირად ჟღერს. ჯერ ერთი იმიტომ. რომ პოლიტიკური მოღვაწის მოვალეობა არის ალტერნატივის და სამომავლო გზის ჩვენება. ასეთი ნეგატიური პოზიცია არავითარ სხვა გზას არ უხსნის საქართველოს მოსახლეობას. ამ რიგად სრულიად სხვა სიტუაცია იქმნებოდა ვთქვათ ინდოეთში. როცა განდიმ წამოიწყო თავისი "პასიური წინაღმდეგობის" პოლიტიკა. ჩვენ იმას კი არ ვგულისხმობთ. რომ პოლიტიკურად მიუღებელია ისეთი ხაზი. რომელიც ჰქადაგებს არჩევნების ბოიკოტს. არამედ გვრწამს. რომ თუ ასეთ ხაზზე ვინმეს მიჰყავს საქართველო. ამას უნდა ახლდეს შეგნებული სტრატეგია: არჩევნებით ვერ მივიღებთ დამოუკიდებლობას. მაგრამ ამ და ამ ხაზით მივუახლოვდებით ჩვენ საერთო მიზანს. ამის მაგივრად. ჩვენ რას ვხედავთ. მხოლოდ და მხოლოდ "ინკანტატიურ" (ჯადოსნურ. შელოცვილ) თხოვნას დამოუკიდებლობისა. რომელსაც არ ახლავს არცერთი კონკრეტული მიმართულება ან მოწოდება და ამდენად რჩება აბსტრაქტული. რამდენადაც ამ პოზიციის მქადაგებელნი არავითარ ალტერნატივას არ სთავაზობენ. ამან შეიძლება გამოიწვიოს სრულიად ნეგატიური უკურეაქცია: პესიმიზმი. პასიურობა. ცინიზმი და ბოლოს უიმედობა. - ჩვენი საშველი არ იქნება! - რომელიც ერის სიკვდილს უდრის. ეს რაც ეხება ერის მორალს და ფსქოლოგიას. პოლიტიკურ სფეროში კი ამ პოზიციამ შეიძლება მოიტანოს სრულიად ნეგატიური ეფექტები რადგან ბოიკოტი. როგორც გვასწავლის ისტორია. არასდროს ას პროცენტიანი ბოიკოტი არ არის. ასე რომ უნდა ვიკითხოთ. იმ შემთხვევაში თუ ნაწილი ქართული საზოგადოებისა ბოიკოტს ამოირჩევს. და ის ნაწილი სწორედ. რომელიც აქტიურად დამოუკიდებლობის . და თავისუფლების მომხრეა. რა სახეს მიიღებს იმ მეორე ნაწილის ამორჩეული წარმომადგენლობა. ამითი საქართველო არც დამოუკიდებლობას არ მიიღებს. და კიდევაც თავის წარმომადგენლობას სხვა ხასიათს მისცემს.

მეორეს მხრივ. ამ პირველ პოზიციას უპირისპირდება. სრულიად სხვა ხაზი. რომელიც ეპატიჟება მოსახლეობას ყოველ არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე. იმ გამართლებით. რომ ყოველივე ახალი დემოკრატიული ნაბიჯი ცოტად თუ ბევრად გვაახლოვებს ნამდვილ დემოკრატიზაციასთან. რომელიც ბოლოს მომტანი არის დამოუკიდებლობისა იმ თუ ამ ფორმაში. ამ მეორე მიმართულებაშიც ვხედავთ ჩვენ რამდენიმე ნაკლს: ჯერ ერთი სრულიად არ არის აუცილებელი. რომ დემოკრატიულმა პროცესებმა მოიტანონ დემოკრატია. ან კიდევ. რომ დემოკრატიამ უთუოდ გადაწყვიტოს დადებითად საქართველოს ძირითადი ამოცანა - თავისუფლება. პირიქით. ადვილი წარმოსადგენია. რომ დემოკრა-

ტიული პროცესები იყოს მხოლოდ ნიღაბი არსებულ ავტორიტეტის რელეგიტიმიზაციისთვის; ან კიდევ რომ ეს მთელი რიგი დემოკრატიულ პროცესების. - არჩევნები. რეფერენდუმები. დ.ა.შ. - იყოს იმისთვის ნახმარი. რომ "რუსულ უმრავლესობას" მიეცეს ლეგალური საშუალება რომ თავისი უპირატესობა და ძალა-უფლება დაამტკიცოს როგორც შიგნით. ასევე საზღვარგარეთ.

როგორც ვხედავთ. არჩევნების საკითხი და საკითხი იმის შესახებ თუ რა პოზიციის დაჭერა გვმართებს. არ წარმოადგენს ადვილ ამოცანას. რომელიც შეიძლება იდეოლოგიური თეორიებით იქნეს გადწყვეტილი. აქ რეალობას უნდა დავუთმოთ თავისი ადგილი. და იმას მივყვეთ სწორი ხაზის აღმოჩენისათვის.

რეალობა იმაში იმყოფება. რომ მრავალფეროვანი არჩევნები არსებობს. და არ შეიძლება ერთიანი პასუხის გაცემა სრულიად განსხვავებულ პოცესებზე. თითო შემთხვევას უნდა შესწავლა და დაფასება ეროვნული საჭიროების და მიზნების მიხედვით.

მაგალითად რომ ავიღებდეთ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას - კონგრესის ფარგლებში თუ. როგორც გათვალისწინებულია მომავლისათვის. უშუალოდ - იგი სრულ უაზრობას წარმოადგენს. როგორც სწორად შეაფასეს ბალტიელებმა. (და ქართველმა წარმომადგენლებმაც გაიზიარეს.) ეს ნაბიჯი მხოლოდ საკავშირო გამაერთიანებელი ძალის გამხნევებისკენ მიისწრაფის და ამდენად მიუღებელია ეროვნულ დამოუკიდებლობის თვალსაზრისით: ძნელი წარმოსადგენია რა ფორმა უნდა მიიღოს "კონფედერაციამ" და რა იქნება ამ კონფედერაციის "პრეზიდენტი": თვითგამგებელი თუ "პრეზიდენტების ბრეზიდენტი" - ვგულისხმობ რესპუბლიკების პრეზიდენტებს... ამერიკანიზაცია და არც საფრანგეთიზაცია (რადგან ფრანგების კონსულტანტიც გახლდათ მოსკოვში) იმპერიის ფარგლებში მხოლოდ ტოტალიტარიზმის გაძლიერება იქნება და არა რესპუბლიკათა სუვერენობის დადგინება და დეცენტრალიზაცია. შერეული ფორმები მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მისაღები. თუ ყოველი შემადგენელი ერთეული კონფედერაციისა სრულიად დამოუკიდებელი გახდება ჯერ. მაგრამ ისიც უნდა შევიგნოთ. რომ ამგვარი არჩევნების ბოიკოტი. თუნდაც მორალურად სწორი და დამაკმაყოფილებელი. არავითარ კონკრეტულ შედეგს არ მოიტანს. რადგანც. რამდენიც არ უნდა იყვნენ ამ პოზიციის გამზიარებელი ერები. უმრავლესობა მაინც რუსულ-ცენტრალისტურ ძალებს ეკუთვნის და ამდენად არჩევნების შედეგი უცვლელი რჩება. ჯერჯერობით მაინც.

სხვა საკითხი ისმება როცა ვმსჯელობთ საკავშირო დეპუტატების არჩევნებზე. ცხადია. ვგულისხმობთ არსებულ პირობებს "კავშირისა". აქ გადაწყვეტით პასუხი უფრო ძნელია. ქართველი დეპუტატების გაგზავნა ცენტრში ერთის მხრივ იმას ნიშნავს. რომ მოსკოვში "ჩვენი" ხალხიც გვეყოლება. რომლებიც შესძლებენ უკან სწორი ინფორმაციების ჩამოტანას ცენტრში მოხდენილ მოვლენებზე. და თუ საჭირო იქნა "იქვე" ქართული აზრის და თხოვნების წარმოდგენას სხვების წინაშე. ისიც უნდა ითქვას. რომ მოსკოვი ჯერჯერობით არის ის ადგილი სადაც ყველაზე ადვილად შეიძლება ვიქონიოთ კავშირები სხვა არა-რუს ერებთან. თვით რუსებთან. და - სანამ სხვა უშუალო ხაზები არ გაიხსნება - სხვა ევროპელ წარმომადგენლებთან. ამდენად ამ საშუალების დაკარგვაც შეიძლება დღეს არ ღირდეს. მაგრამ ამ ნაირი დეპუტატობის "ფუნქციების" შესასრულებლად საჭიროა მომზადებული და სრული ეროვნული ნდობით მოსილი ადამიანები გვყავდეს. ის ადამიანები. რომლებიც ჩაითვლიან ვალდებულებად. რომ წარმოადგინონ "უცხოეთში" მთლიანი ქართული საზოგადოება და არა ესა თუ ის ჯგუფი. ან კერძო აზრები. ან კიდევ სპეციფიკური ინტერესები. ამ ადამიანების პოვნაც მოითხოვს ერის მომზადებას. და მეტად სერიოზული არჩევნების ჩატარებას. რამდენადაც ცხადია. რომ ასეთ არჩევნებში მონაწილეობა არსებითად. ნაწილობრივ მაინც. "კომპრომისს" წარმოადგენს. ეს ნაბიჯი უნდა იყოს აწონილ - დაწონილი. და ის ადამიანები უნდა იყვნენ არჩეულნი. რომლებიც თავიანთ კერძო "კომპრომისებს" არ დაუმატებენ ამ არსებით კომპრომისს. ეს იმასაც გულისხმობს. რომ ამ არჩევნების კრიტერიუმები ამ ფუნქციის შესატყვისნი უნდა იყვნენ: ესე იგი "პატრიოტიზმი" საჭირო თუ არის. საყოფი ვერ იქნება: ენების ცოდნა აუცილებელია თუ კი მართლა "წარმომადგენლობა" გვაქვს მიზნად. შეძლების მიხედვით უნდა გადავწყვიტოთ ეს ამოცანა: თუ გვეყოლება ისეთი ხალხი. ვინც ნამდვილად შეასრულებს ასეთ რთულ "დიპლომატიურ" მისიას. მაშინ შეიძლება ღირდეს და კომპრომისზე წასვლა გამართლებული იყოს. თუ კი ასეთ ხალხს დღეს ვერ მოვიპოვებთ მაშინ შეიძლება ჯობდეს ბოიკოტის ხაზზე დარჩენა. რომელსაც. სხვა თუ არა. თავისი ლოგიკური და მორალური საფუძველი ახლავს.

კიდევ სხვა საკითხია თვით საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობისა. აქ უკვე ზემოხსენებულ პრინციპებს აღარ აქვთ გამართლება. აქ არავითარ კომპრომისს არა აქვს ადგილი. უნდა შევიგნოთ. რომ დღეს დამოუკიდებლობის სურვილი კი არ გვაკლია. არამედ გვაკლია ის ავტორიტეტი რომელიც საქართველოს

**************************************************************************************

"ხმას" აალაპარაკებს. დღესდღეობით, არავის არა აქვს არავითარი უფლება ან რამე წარმომადგენლობა, რომ ადგეს და საქართველოს სახით რამე მოითხოვოს ან დაადგინოს. ამ მხრივ ლიტვის ხაზი ჩვენთვის დახურულია, რადგანაც მთელი ძალა ლიტვური განცხადებების არც ლიტვის საზღვარგარეთულ მხარდაჭერისგან მოდის, არ თვით ლიტვის მნიშვნელობიდან, არც ისტორიულ ფაქტებიდან, არამედ იმის დამტკიცებიდან, რომ ლიტვის პარლამენტის განცხადებები ნამდვილად და სრულიად მთელი ლიტვის შეგნებულ მიზანს წარმოადგენს ("ინტერნაციონალისტების" ხვედრითი წონა არასაკმაო გამოდგა, და როგორც ვნახეთ და ვხედავთ, ეს "შინაგანი პრობლემა" არაეფექტური იარაღი აღმოჩნდა მოსკოვისათვის). ერის განუყოფელი ნების გამოცხადების ძალა ყველა სხვა საფუძველთა საფუძველია. ჩვენი ხმა კი არ ისმის, თუნდაც სურვილი ისევე ძლიერი იყოს საქართველოში, რადგანაც ჩვენი ხმა ჯერჯერობით "არა ფორმალური" ხმაა. ფორმალური და ორგანიზებული წარმომადგენლობა თუ არ შევიძინეთ, საქართველოს ბედის გაცნობიერება მხოლოდ 9 აპრილის ტრაგედიების გზით მოხდება....

პარლამენტი იმასაც ნიშნავს, რომ იარსებებს ინსტანცია, რომელშიდაც გაანალიზებულ იქნება ჩვენს მიერ ჩვენი შინაგანი პრობლემები, აფხაზეთის თუ ოსების, თუ მესხების და მესხეთიდან გასახლებული თურქების საკითხები.... მაშინ მანიპულაცია უფრო ძნელი გახდება, ხოლო რეალური პრობლემების მოგვარება კი უფრო ადვილი ხდება. ამის საწინააღმდეგოდ ხშირად ისმის ერთი არგუმენტი: ხალხი არა გვყავს რომ წარვადგინოთ ამგვარ დეპუტატობაზე. ამის საწინააღმდეგოთ ორი რამ ითქმის: ერთი რომ თუ ამისათვის ხალხი არა გვყავს, მაშინ რა დამოუკიდებლობაზე არის ლაპარაკი. მეორე - ეს გამომდინარეობს ცრუ შეგნებიდან თუ რას წარმოადგენს დეპუტატობა და რა ნაირ ხალხს მოითხოვს ეს ფუნქცია. სრულიად არ არის აუცილებელი რომ მთელი რიგი "პოლიტიკოსები" წარვადგინოთ, პირიქით, პირველ რიგში საჭიროა თავისი დარგის მცოდნე - ექიმი, ეკონომისტი, მასწავლებელი, ... და ა.შ., რომლებმაც იციან თავიანთ დარგში რა სჭირდება ერს, და არა რამე თეორიების შემქნელები, ეროვნულ საქმეს, იმ ეტაპზე სადაც ჩვენ ვიმყოფებით, პოლიტიზაცია არ სჭირდება, კომპეტენტურობა კი აუცილებელია. ხოლო ეს კომპეტენტურობა მოცემული არ არის და მუშაობაშიც დამტკიცდება. ასე რომ მეტიც უნდა მოვითხოვოთ ჩვენი "წარმომადგენლებისაგან" და ნაკლებიც. მეტიც იმ მხრივ, რომ ძალიან მაღალი დონე მორალურ სფეროში და მკვეთრი პრინციპები აუცილებლობას წარმოადგენენ, და ეს არის ყველაზე ძნელი საშოვარი, ნაკლებიც რადგანაც აუცილებელი არ არის, რომ პირველ დღიდან, როცა ამ გვარი მუშაობის გამოცდილება არ არსებობს ქვეყანაში, მოვითხოვოთ ევროპიული დონის "პროფესიონალები". ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი იმის შეგნებაშია, რომ ამგვარი პარლამენტის მოვალეობა არის არა დაჯგუფებების გაგრძელება, არც პოლიტიკურ ბრძოლის ახალ სცენაზე გადატანა, არამედ საერთო მოვალეობის შესრულება და საერთაშორისო ასპარეზზე დამტკიცება საქართველოს არსებობის და სიმწიფის.

* * *

## Bibliographies

"მტერი მტერსა ვერას ავნებს,
რომე კაცი თავსა ივნებს"...

ჩვენმა დაუღალავმა მწერალმა ალექსანდრე მანველიშვილმა, რომელსაც ამერიკაში გადასახლებამდე უკვე ცხრა სხვადასხვა სისქის, ყველა ღირსების მქონე წიგნი თუ წიგნაკი ჰქონდა გამოცემული. 1956 წლიდან 1984 წლამდე თითქოს დაისვენა. მაგრამ 1984 წლიდან, უკვე მხცოვანი მწერლის კალამი კვლავ ამუშავდა და გაკვირვებულმა მკითხველმა ზედიზედ ოთხი სქელტანიანი წიგნი მიიღო. ეს წიგნებია: "რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა", "ძველი ქართული მწერლობა", "ოქროს ხანა ქართველი ერის ისტორიაში" და 1990 წელს გამოცემული "ნარკვევები და წერილები".

ამათგან ორ პირველს ჩვენი ჟურნალი უკვე გამოეხმაურა. წიგნი "ოქროს ხანა" ჩემი აზრით, შესანიშნავად შედგენილი ნაწარმოებია - ნამდვილი ოსტატის ნახელავი და მიუხედავად საქართველოში ამ თემაზე მრავლად დაწერილისა, ეს წიგნი, კონკურსი რომ შემდგარიყო მგონი მარტო ჩემს ხმას როდი მიიღებდა პირველი პრიზისათვის.

ხოლო მისი უკანასკნელი, მეცამეტე წიგნი ძლიერ განსხვავდება ადრინდელი თორმეტისაგან. განსხვავება ჯერ იმაშია, რომ წიგნში 23 სათაურით წარმოდგენილი სხვადასხვა ხასიათის მასალაა დაბეჭდილი - სულ სხვადასხვა ღირსებისა. ეს გასაგებიცაა, რადგან შიგ ავტორის არქივიდან ამოკრეფილი მასალაც ურევია, მხოლოდ, მკითხველისათვის ძნელია გარკვევა, რომელი წერი-

ლი ქვეყნდება პირველად და რომელი წარმოადგენს უკვე გამოქვეყნებულის გამეორებას. ყოველ შემთხვევაში ეს წიგნი სხვა მის წიგნთა გვერდით ძლიერ პიროვნულია - რადგან დიდი ადგილი ეთმობა ავტორის ურთიერთობას სხვადასხვა ემიგრანტ პოლიტიკურ მოღვაწესთან და მის პირად მონაწილეობას ე. წ. პოლიტიკურ საქმიანობაში.

და მე მაგონდება ავტორის ერთი განცხადება, რომელიც მან "ძველი ქართული მწერლობის" შესავალში გააკეთა - "ივერიას" ოცდამეთერთმეტე ნომერში მოთავსებულ, პროფ. ლანგისადმი მიძღვნილი წერილის დასაწყისში: "მე ისტორიკოსი არა ვარ ამაზე არც ოდესმე მიფიქრია, თუ ისტორიულ საკითხებზე წერა მომიხდებოდა, ეს იყო ჩემი პუბლიცისტური და პოლიტიკური მიზნებით".

ამ განცხადებიდან სჩანს, რომ ბ. მანველიშვილი მთელ მის მწერალ-ისტორიკოსის მოღვაწეობას, რაც სინამდვილეში საფუძველია ამ ავტორის დაფასებისა და პატივისცემისაც, თვლის მხოლოდ გამოსაყენებელ მასალად ანუ იარაღად მისი პოლიტიკური მუშაობისათვის (რომელიც, სიმართლე რომ ვთქვათ, დღეს აღარავის აინტერესებს). და ამ პოლიტიკური მუშაობის საერთო სურათი თუ არა, მისი ეპიზოდები უნდა დავინახოთ მის მეცამეტე წიგნში. აქ ვერ ვილაპარაკებ იმ წერილებზე, სადაც მოთხრობილია სხვა და სხვა შემთხვევები მისი ურთიერთობისა ყოველთვის ძველი თაობის ლიდერებთან, არც იმ წერილებზე, რომლებშიც იგი თეორიულ და იდეოლოგიურ საფუძვლების შექმნას ცდილობს "თეთრი გიორგის" სამოქმედო პროგრამის გასამართლებლად. ყველა ეს წერილი ომამდეა დაწერილი, მაგრამ რაკი მათ არავითარი შენიშვნები არ ახლავთ, ალბათ ავტორის პოლიტიკურ შემეცნებაში დღემდისაც არაფერი შეცვლილა.

აქ მე მხოლოდ და ისიც იძულებით უნდა შევეხო მის ერთ წერილს, რომლის სათაურია "რამდენიმე შენიშვნა" (გვ. 17-29). ეს შენიშვნები ეხება ვინმე ლომაშვილის წიგნს "ქართული ემიგრაციის ისტორიიდან", რომელშიაც საბჭოური მიდგომით გაკიცხულია ქართული ემოგრაციის მონაწილეობა მსოფლიო ომში გერმანელთა მხარეზე. მანველიშვილი წვრილმანებში და უმნიშვნელო შეცდომებში ედავება ლომაშვილს, ხოლო ნამდვილ თავდასხმას აწარმოებს სწორედ იმ ხალხზე, ვინც ამ მონაწილეობას ხელმძღვანელობდა, რითაც ფაქტიურად ლომაშვილის მხარეზე დგება.

იგი წერს: "მიუხედავად იმისა, რომ ომის წინ ჩვენ გერმანიაზე დიდ იმედებს ვამყარებდით, ომის დროს ეს განწყობილება რადიკალურად შეიცვალა. ჰიტლერის ხალხს ისე არ ესმოდათ ქართული საკითხი, როგორც ეს იყო ვილჰელმის დროს, არც აინტერესებდათ. ამით აიხსნება რომ მათ ქართულ ზერიოზულ ძალების თანამშრომლობაზე უარი თქვეს და უპრინციპო და სრულიად უპასუხისმგებლო ხალხს მიმართავდნენ და მეთაურად მიუჩინეს ასევე უპრინციპო მაგრამ მათი დაზვერვის სამსახურში მყოფი მიხ. კედია. ასეთი ხალხის მოქმედების ისტორია ლომაშვილმა ემიგრაციის ისტორიად გამოაცხადათ".

ეს პასაჟი თავიდან ბოლომდე ყალბია.

1. გერმანელებზე იმედის დამყარება არ შეცვლილა. სხვა ვისი იმედი უნდა გვქონოდა. მაგრამ ადგილი ჰქონდა გაწბილებას პოლიტიკური საკითხის დასმაზე უარის გამო გერმანელების მხრივ. ხოლო მარტო ეს გარემოება არც მორალური, არც ანგარიშის მიხედვით ქართველებს ნებას აღარ აძლევდა გერმანულ მხედრობასთან თანამშრომლობაზე უარის თქმისა. 50 ათასზე მეტ ქართველ ტყვეზე ზრუნვა იყო საჭირო. და თუ გერმანელები კავკასიას დაიკავებდნენ უმჯობესი იყო, რომ ეს ჩვენი მონაწილეობით მომხდარიყო. ასეთი იყო მაშინდელი ლოგიკა და ანგარიში.

2. ჰიტლერის ხალხს და გერმანიის მხედრობას ქართული საკითხი ვილჰელმის ხალხზე უკეთ ესმოდა. ვილჰელმის დროინდელზე ბევრად მეტი ექსპერტი ჰყავდა მეორე ომის დროს გერმანიას ქართული საკითხისა. ესენი იყვნენ ჯერ პირველი ომის მონაწილე ოფიცრები, შემდეგ გერმანელი მეცნიერები თუ სხვადასხვა დარგის სპეციალისტები და ბოლოს ძალიან ცნობილი და მაღალი პოსტის მჭერი გერმანელი ქვეშემრდომი თუ არა ქვეშემრდომი ქართველები, როგორც ნიკურაძეები და ახმეტელი (არა ყოფილი ელჩი, არამედ სხვა, უფრო ახალგაზრდა), წერეთელი, რობაქიძე და კიდევ სხვები.

3. ქართულ სერიოზულ ძალებთან თანამშრომლობაზე გერმანელებს რასაკვირველია უარი არ უთქვამთ. მათ უარი თქვეს პოლიტიკურ თანამშრომლობაზე, რადგან პოლიტიკური მოლაპარაკებები ომის მოგების შემდგომი დროისათვის ჰქონდათ გადადებული. და ეს იმიტომ, რომ ჰიტლერმა თავისად გაიხადა და სიტყვა-სიტყვით ერთგულობდა ომის უდიდეს თეორეტიკოსის გენერალ კლაუზევიცის (1780-1831) ფორმულას: ომი პოლიტიკის გაგრძელებაა - სხვა საშუალებით. ამიტომ იყო, რომ გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტროს თითქმის მხოლოდ საკონსულო უწყება ლა შერჩათ მოსავლელად და ისიც დაზვერვის ქვეშ მუშაობდა. ხოლო რადგანაც ომსა და პოლიტიკასაც თითონ ჰიტლერი ხელმძღვანელობდა, პოლიტიკური საკითხები გარდა აუცილებლად დაუყოვნებლივ გადასაწყვეტისა, ყველა გვერდზედ იყო გადადებული.

***********************************************************************

ხოლო რატომ და რით იყო უპრინციპო და უპასუხისმგებლო ხალხი: მიხ. კედია, გიგი გაბლიანი, გიორგი მაღალაშვილი, მიხ. ალშიბაია, ალ. ცომაია, გ. ნოზაძე, ალ. ასათიანი; ოფიცრები: გენ. ჭავჭავაძე, მიხ. დადიანი, შალიკაშვილი, ბაქრაძე, ლაღიძე, კობიაშვილი, ინჯია, გ. ვაჩნაძე, არჩ. დადიანი და კიდევ სხვაბი?

ხალხს როდესაც უპრინციპობას და უპასუხისმგებლობას დასწამებ, რაც სამშობლოსათვის იარაღით ხელში ან სხვაგვარად მებრძოლისათვის უდიდესი შეურაცხყოფაა, ვალდებული ხარ საბუთიც მოიტანო ამ საშინელი ბრალდებისა. არადა ფრანგული ანდაზისა ამბობს: ძაგება ამაღლებს პიროვნებას როცა ძაგების ავტორნი სტყუიანო.

სინამდვილეში მანველიშვილი პირადად მიხეილ კედიაზეა აფოფრილი და ასევე, პირადად მანველიშვილის მიმართ თითქოს ჩადენილი მტრობით არის გამოწვეული ეს მისთვის არასაკადრისი გამოსვლა. აქ საქვეყნო დიდი საქმე დაყვანილია ამ საქმეში მანველიშვილის მონაწილეობა-არმონაწილეობაზის დონეზე და რადგან იგი ამის გამოჩენას ერიდება, წერილი სავსეა ულოგიკობით. მანველიშვილს რომ ბერლინში "პოსტი" არ ერგო ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ საქმეში ემიგრაცია არ იყო ჩარეული. ერთადერთი ჯგუფი, რომელმაც თავისი მზდალობა "იდეოლოგიით" შენიღბა და განზე დარჩა ე. წ. წერეთელისტთა რამდენიმე ქალაჩუნა იყო. სხვა ყველა შიგ იყო. მრავალი ამას შეეწირა და მანველიშვილიც რომ იმ დაღუპულებში ყოფილიყო, რაც მე შემეხება, ჩემ თვალში იგი უფრო ამაღლებული იქნებოდა, ვიდრე დღეს არის - განსაკუთრებით ამ მისი უღირსი წერილის შემდეგ.

ლომაშვილი იმაში კი არ სტყუის, რომ თავის წიგნს სათაურად დააწერა "ემიგრაციის ისტორიიდან" არამედ, - და ეს არის მთავარი - იმაში, რომ იგი ჩვენს თავდადებას მოღალატეობას უწოდებს. სხვა ყველაფერი მხოლოდ წვრილმანია, და მით უმეტეს წვრილმანია თუ ერთი მანველიშვილი რას ცდილობდა, რას ვერ მიაღწია, ან მას ვინ მეგობრობდა ან ვინა მტრობდა.

მანველიშვილი ამბობს, "თეთრგიორგელებს" დადგენილი ჰქონდათ ვით ორგანიზაციას გერმანელებთან არ ეთანამშრომლათო. ამ წერილში მოყვანილი დოკუმენტი კი ამტკიცებს, რომ სწორედ "ვით ორგანიზაცია" ისინი ერთმანეთშორის ქიშპობდნენ შტაბში მონაწილეობისათვის. ხოლო რაც ორგანიზაციის სახით თანამშრომლობას შეეხება, არც ერთი პარტია ამ სახით არ თანამშრომლობდა. იმიტომ, რომ როგორც ზემოთ ითქვა, ჰიტლერს პოლიტიკური საკითხი ომის შემდეგი დროისათვის ჰქონდა გადადებული. და მაშასადამე მანველიშვილი, რომელიც თავის თავს ლიდერთა შორის თვლიდა (მეც კომიტეტის წევრად ვიგულისხმებოდით) სხვა ლიდერთა მსგავსად უნდა მოქცეულიყო, -თავი შეეკავებინა და კულისებში დარჩენილიყო. მაგრამ იგი ასე არ მოიქცა. კულისებში დარჩენა მას ხელს არ აძლევდა. დრო მიდიოდა. ლიდერის როლში გამოსვლის შესაძლებლობაც მკრთალდებოდა. ხოლო მისთვის შესაფერად ჩასათვლელი პოსტი მან ვერ მიიღო. ამაშია მთელი უბედურება.

ახლა დავიწყოთ თავიდან. რუსეთთან ომის დაწყებამდე, ბევრად უფრო ადრე, ადმირალ კანარისის დავალებით პარიზში ჩავიდნენ დოქტორი პროფესორი ჰანს რაუპახი და დოქტორი ვერნერ მარკეტი. მათ დავალებული ჰქონდათ ქართული ემიგრაციის წარმომადგენელ პირებს გასცნობოდნენ. შეხვდნენ ჟორდანიას, გეგეჭკორს, სპ. კედიას და უფრო დაბალი რანგის ხალხსაც. (რაუპახის მოხსენებაში დასახელებულია "პატარებს" შორის ცომაია და სალია). იგივე პირები გერმანიაში ხვდებოდნენ ნიკურაძეს.

ამ შეხვედრების შემდეგ დაიჭირა გერმანულმა დაზვერვამ უკვე ოპერატიული კავშირი, მიხ. კედიასთან. პირველი საიდუმლო აქცია იყო "თამარ პირველის" ჯგუფის შედგენა. ამ საქმის ორგანიზაციას არავითარი პოლიტიკური დაპირებები არ უძღოდა წინ. ამის ნება ადმ. კანარისს არ ჰქონდა. მაგრამ დამყარებული იყო ურთიერთნდობა ყველა ქართულ პოლიტიკურ მიმდინარეობათა და ვერმახტის უზენაეს ინსტანციებს შორის (ობერქომანდო დერ ვერმახტ). ცხადია არც მიხ. კედიასათვის, არც სხვებისათვის გერმანელებს არ გაუნდიათ, რომ რუსეთთან ომს აპირებდნენ.

როცა რუსეთთან ომი დაიწყო, ქართველ მოხალისეთა რაზმის ორგანიზებაც ბუნებრივად მიხ. კედიას დაეკისრა. თუ "თამარა პირველის" წევრები საჰაერო სადესანტო ნაწილების მეკვლეები უნდა ყოფილიყვნენ, "თამარა მეორე" ფეხოსან სამთო ჯარებს უნდა შეჰყოლოდა, როცა კავკასიონს გადალახავდნენ. (ბერგმანის ბატალიონი აღჭურვილი იყო მთასვლელთა სრული ინვენტარით).

გერმანელების ტაქტიკა ემყარებოდა ე. წ. "ბლიც-კრიგს"-ს (ელვა-ომი). რუსების წინააღმდეგობა ზამთრის დაწყებამდე უნდა გატეხილიყო. მაგრამ ეს არ მოხდა, და ზამთარიც, რომელშიც გერმანელებმა ძალაუნებურად შეტოპეს, განსაკუთრებით მკაცრი აღმოჩნდა იმ წელს. ამ მოულოდნელმა დაბრკოლებებმა გადაწყვიტა სინამდვილეში რუსეთთან ომის ბედიც.

როცა კავკასიისაკენ გამგზავრებისნაცვლად "თამარა მეორე" სამხედრო წვრთნას შეუდგა რუმინეთში, იქ შემოდგომაზე გვეწვია კაპ. ნანუაშვილი. მან მოხსენება წაგვიკითხა მიმდინარე ომის შესახებ და, ახლაც მიკვირს მისი გაბედულება, აზრი

გამოთქვა, რომ "ბლიცკრიგის" ჩაფუშვის გამო შეიძლება ომმა საპოზიციო ბრძოლის სახე მიიღოს და რადგან გერმანიის რესურსები, ნავთი, რკინა, სანოვაგე, ძლიერ განსაზღვრულია, ომის გახანგრძლივება უკვე საჭოჭმანოდ ხდის მდგომარეობასო. ეს მას არ დავუჯერეთ და მის შეხედულებას იმით ვხსნიდით, რომ იგი პოლონური გენერალური შტაბის ოფიცერი იყო და სხვა.

ამ ამბავს ერთი ეპიზოდიც მინდა დავუმატო: რუსეთთან ომის ატეხისას მე ბერლინში ქარხანაში ვმუშაობდი. იქ არც "თამარა პირველის" და არც "თამარა მეორის" ამბავი არ ვიცოდით. მე ერთადერთი ქართველი ვიყავი იქაურთ შორის, რომელიც მოხალისედ ჩავეწერე. ოფიცერმა მითხრა: თქვენი მიზნებისათვის მოხალისედ ჩაწერა არ გამოგადგებათ, რადგან ექვსი თვე მაინც დაგჭირდებათ სამხედრო წვრთნისათვის, ხოლო ღმერთმა დაგვიფაროს ექვს თვეში რუსების დამარცხება მოთავებული არ იყოს. მე თქვენ გაგაგზავნით სპეციალურ კომანდოში, რომელიც ახლავე დაიძრება ფრონტისაკენ. ამგვარად თქვენს თანამემამულე ტყვეებსაც ნახავთ, რაც ასე გეჩქარებათ, და დარწმუნებული ვარ - თქვენს ქვეყანასაცო. ამგვარად შევხვდი, პირდაპირ გაოცებული, "თამარა მეორეს" ხალხს ვენაში. ოფიცრის მიერ დადებული ექვსი თვის ვადა მე მაშინ ნახევარხუმრობად მივიღე. ნანუაშვილის მოსმენისას მომაგონდა და მგონი ერთადერთი ვიყავ, ვინც ნანუაშვილის აზრმა, თუმცა არ დამაჯერა, მაგრამ ძლიერ დამაფიქრა.

"ბლიცკრიგის" ჩაფუშვის და ჯარის ჩქარი წინსვლის შეფერხების შემდეგ და თანადროულად დაიწყო გერმანულმა დაზვერვამ ორგანიზება ტყვეთაგან შემდგარი ნაწილებისა. ეს იყო ადმ. კანარისის პირადი ინიციატივა. მისი მთავარი ორგანიზატორი იყო კლაუს ფონ შტაუფენბერგ (გენ. შტაბის მაიორი, ჩამოახრჩვეს ბომბის აფეთქებით ჰიტლერის მოკვლის ცდისათვის) შტაუფენბერგის თანაშემწე ლეგიონების შედგენის საქმეში იყო კაპიტანი ჰანს ფონ ჰერვართ - ქართველების დიდი მეგობარი. იგი თანამშრომლობდა აგრეთვე ფონ შულენბურგთან (ესეც ჩამოახრჩვეს), ხოლო ომის შემდეგ იყო ელჩი რომსა და ლონდონში და უფრო გვიან წევრი ადენაუერის კაბინეტისა. ეს ჰერვართი ერთხანს შენაერთ "ბერგმანში" იმყოფებოდა და ძლიერ დაუახლოვდა გაბლიანს. ამ დაახლოვების გამო გაბლიანის კარგად გაცნობის შედეგი იყო ნაწილობრივ, რომ გაბლიანი მოხვდა ქართულ სამხედრო თანამშრომლების სათავეში.

მიუხედავად იმისა, რომ ლეგიონების შედგენა გამოწვეული იყო გერმანელთა წინაშე აღმართულ სამხედრო სიძნელეებით, რასაც ლოგიკურად პოლიტიკური საკითხების დასმაც უნდა მოჰყოლოდა, რაც ბუნებრივია ლეგიონერებს მეტ ბრძოლის ხალისს მიანიჭებდა, ჰიტლერმა თავისი პოზიცია ამ სფეროში იდნავადაც არ შეცვალა. მას არ სურდა ომის მსვლელობის დროს პოლიტიკურ მოლაპარაკების ნება დაერთო. ასეთ პირობებში მოხდა, სტალინგრადის კატასტროფისა და კავკასიიდან დახევის შემდეგ, დაარსება ქართული "საკავშირო შტაბისა" (ფერბიდუნგსშტაბ).

შტაბის გამგეობაში შედიოდნენ: მიხ. კედია, გივი გაბლიანი, მიხ. ალშიბაია და გიორგი მალალაშვილი. მიხ. კედია უპარტიო იყო, მაგრამ მას ზურგს უმაგრებდნენ ჟორდანია და გეგეჭკორი; გაბლიანი ეროვნ.-დემოკრატი იყო, მაგრამ იგი შტაბში შემოვიდა არა თუ როგორც ყოფილი ტყვეთა საუკეთესო წარმომადგენელი, არამედ ყველა ქართველთა შორის ამ საქმისათვის საუკეთესო და შესაფერი პიროვნება; გიორგი მალალაშვილი, "თეთრი გიორგის" წარმომადგენელი იყო (მას "თ. გიორგის" მოურავის ხარისხი ჰქონდა), იგი, პროფესიით ექიმი, ამავე დროს გერმანიაში დიდი მემამულე იყო, რომელსაც დიდი ნაცნობობა ჰქონდა მაღალ გერმანულ წრეებში; მიხ. ალშიბაია გერმანულად განათლებული პიროვნება იყო, რომელსაც ფართო ნაცნობობა და კავშირები ჰქონდა გერმანულ ოფიცრობაში - იგი ერ.-დემოკრატი იყო.

შტაბში თანამშრომლობდნენ ემიგრანტი ოფიცრები: შალიკაშვილი, ინჯია და ქავთარაძე და ოფიცრები ტყვეთაგან - ბოკერია, ალიმბარაშვილი და ოქრობირიძე, იყო რამდენიმე უნტეროფიცერი და ჯარისკაცი - მიკრიკები და კარისკაცები.

შტაბის მთავარი ფუნქცია სამხედრო ხასიათისა იყო, იგი წარმოადგენდა შემაერთებელ (პარალელურ) რგოლს დამოკიდებულებისა - უზენაეს სარდლობასა და ქართული ნაწილების გერმანულ კადრს შორის. შტაბს ჰქონდა სამოქალაქო განყოფილებაც. მის ფუნქციაში შედიოდა გერმანიასა და ევროპის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მყოფ ქართველ ემიგრანტთა და ყოფილ ტყვეთა თუ ჯერ კიდევ ბანაკებში მყოფთა (ქარხნის მუშების და სხვა) პატრონობა და მათზე ზრუნვა. შტაბს პოლიტიკური საკითხები არ ეკისრებოდა, მაგრამ შტაბის საიდუმლო განყოფილება, ცომაიას მეთაურობით, ზოგჯერ ისეთ საქმესაც აკეთებდა, რომელიც არც ისე შორს იყო პოლიტიკური აქციისაგან. ასეთი იყო მაგალითად საქართველოსთან კავშირის გაბმა, რაც ალ. ცომაიამ და ალ. ასათიანმა მოაწყვეს ნალჩიკის მიდამოებში მცხოვრებ რაჭველ კოლმეურნეთა მეოხებით. მაშინ ნალჩიკიდან თითქმის დაუბრკოლებლად შეიძლებოდა რაჭაში გადასვლა (ალ. ასათიანი, როგორც პოლიტიკური ლიდერი, შტაბთან არ მუშაობდა, მაგრამ ამ საქმეში უსათუოდ საჭირო იყო სწორედ ცნობილი ლიდერის მონაწილეობის ჩვენება. საქართველოში ჩასულმა კაცმა ნახა

*******************************************************************

ასათიანი და ამგვარად მის მიერ ჩატანილი ცნობები და რჩევები ნამდვილად ქართული ემიგრაციის მიერ გაგზავნილად მიიღებოდა).

გერმანელებთან მუშაობა ძნელი იყო... მაგრამ ქართველებს გულს უმაგრებდა გერმანელ ოფიცერთა საგრძნობი ნაწილის ჩვენდამი სულ სხვა განწყობილება, რომელიც სრულიად არ ეთანხმებოდა ჰიტლერის ფანატიკოსების ან ბრძანების ხეპრე ამსრულებელთა ხაზს. საქმე იმაშია, რომ გერმანიის დაზვერვა, რომელიც "სახელმწიფოში სახელმწიფოს" წარმოადგენდა, ადმირალ კანარისის მეთაურობით საიდუმლო ანტიჰიტლერულ ორგანიზაციასაც შეიცავდა. ომის შემდეგ გამოქვეყნებულ სპეციალური ხასიათის ნაშრომებიდან ჩანს, რომ თუ არა კანარისის მიერ გადაჭრით უარის თქმისა, ჰიტლერი რუსეთთან ომის წაგებაზე ბევრად უფრო ადრე იქნებოდა მოკლული. მაგრამ კანარისი მოკვლის წინააღმდეგი ყოფილა - იგი ჰიტლერის დატუსაღებას და გადაყენებას აპირებდა. ამიტომ მოხდა კანარისისთვის გაუნდობლად. შტაუფენბერგის უშედეგო ცდა, რასაც რამდენიმე ათასი კაცი შეეწირა - დიდი ნაწილი დაზვერვის ოფიცერთაგან. ხოლო კანარისი და მისი მომხრენი გადარჩნენ (მხოლოდ ომის დასრულების წინ დახვრიტეს იგი).

კანარისის ინიციატივით შედგენილი ყველა ეროვნების ნაწილთა შორის განსაკუთრებით (სხვა ქართულ ნაწილთაგანაც) გამოირჩეოდა "განსაკუთრებული კავკასიური შენაერთი ბერგმანი". "ბერგმანი" ერთადერთი უცხო შენაერთი იყო, რომელიც არა მხოლოდ აბსოლუტურად ვერმახტის რეგულარულ პირობებში იმყოფებოდა, არამედ თვით გერმანულ ჯარის ნაწილშიც პრივილეგირებულ ნაწილს წარმოადგენდა - რაკი ცნობილი სამთო დივიზიის "ედელვაისის" ძირითად სამყოფ-საწურთნელ ადგილებში ედო ბინა. მხოლოდ ერთი რამ იყო "ბერგმანში" ანორმალური: ამ ბატალიონს, რომელიც კავკასიაში ჩასვლის შემდეგ სამ ბატალიონად და ორ ცხენოსან ესკადრონად გადაიქცა და სამიათასამდე მეომარს ითვლიდა, მხოლოდ კაპიტანის, და ისიც რეზერვის, ჩინის მქონი ოფიცერი მეთაურობდა. ეს ოფიცერი იყო დოქტ. ობერლენდერ (კაპ. ობერლენდერი, კავკასიის დატოვებისა და ყირიმში განლაგების დროს მეთაურობიდან გადააყენეს და ვერმახტიდანაც გარიცხეს, რადგან რამდენიმე მოხსენება წარუდგინა ჰიტლერს და უზენაეს სარდლობას, რომლებშიც აკრიტიკებდა გერმანულ პოლიტიკას. სახელდობრ, იგი ამბობდა, რომ აღმოსავლეთის ქვეყნები საკოლონიზაციო რეგიონს არ წარმოადგენენ, იქ კულტურულად და ისტორიულად განვითარებული ერები ცხოვრობენო). ობერლენდერს ბერგმანში თან ახლდა მთელი ჯგუფი სპეციალისტებისა (სოციოლოგები და სხვა), რომელნიც უბრალო ჯარისკაცის ჩინით ცხოვრობდნენ ბატალიონთან ყოველგვარი სამხედრო ფუნქციის გარეშე (მრავალმა მათგანმა ძლიერ საინტერესო წიგნი გამოაქვეყნა ომის შემდეგ - გერმანულ და ინგლისურ ენებზე). ყოველივე ეს დამაიმედებელ ატმოსფეროს ქმნიდა ნაწილში. შენაერთში აღერბაიჯანული და ჩრდ. კავკასიური ასეულებიც შედიოდნენ. ერთი სომხური ასეულიც იყო.

მაგრამ მოწინავე როლს ქართველები თამაშობდნენ. მას კავკასიური შენაერთი ერქვა, სინამდვილეში კი ქართულ შენაერთს წარმოადგენდა.

ახლა ფერბიდერუნგშტაბის დაარსებას დავუბრუნდეთ. რუსებთან ომის დაწყების ხანაში "თეთრი გიორგის" ბერლინური სექტორი დიდ აქტივობას იჩენდა. მათ უკვე გამოთქმა "ნაციონალ სოციალისტური" დამტკიცებული ჰქონდათ თავიანთ სახელწოდებისათვის და პრეტენზიას აცხადებდნენ გერმანელებთან ქართველთა დამოკიდებულება მათი მეშვეობით ყოფილიყო განხორციელებული. სათამისო კავშირებიც გააჩნდათ: ნიკურაძე, ახმეტელი, გიორგი მაღალაშვილი, წერეთელი და სხვა (ამ ტიპის დეტალებს მე არ ვიცნობ, რადგან ჩემი შტაბში მუშაობა ბევრად უფრო გვიან დაიწყო - როცა ყირიმში მიღებული ჭრილობები მოვირჩინე, ხოლო "ბერგმანი" საბერძნეთში იყო). ამ შტაბის დაარსების ეს წინა პერიოდია მანველიშვილის წერილის მთავარი სატკივარი. მაშინ ნეცისტებმა ვერ უშველეს თავის იდეოლოგიურ ძმებს ქართველ ნაც.სოციალისტებს, რადგან საქმეს ობერკომანდო სწყვეტდა და არა პარტია (ყოველივე ეს შეიცვალა ჰიტლერზე თავდასხმის შემდეგ. ყველაფერი ჰიმლერს და ესესის უწყებას დაუმორჩილეს, თვით დაზვერვაც). "თეთრი გიორგი" იძულებული გახდა კომპრომისზე წასულიყო. შტაბში მხოლოდ ერთი წარმომადგენელი მოხვდა, ეს იყო გიორგი მაღალაშვილი. ხოლო მანველიშვილს მის მიერ შესაფერად ჩათვლილი ადგილი არ ერგო.

მაგრამ "თეთრ გიორგელებს" კავშირები მაინც შერჩათ. ეს იყო "ოსტმინისტერიუმ" (აღმოსავლეთის სამინისტრო), რომლის უფროსი იყო ცნობილი ძველი ნაცისტი როზენბერგი. მასთან ძველი დიდი მეგობრობა ჰქონდა ნიკურაძეს და აგრეთვე ახლო ნაცნობობა - ახმეტელს და მაღალაშვილსაც. ოსტმინისტერიუმი დაარსებული იყო აღმოსავლეთის დაპყრობილ ტერიტორიების "მოსაწყობად". მაგრამ, რადგან ბლიცკრიგმა მთლიანად ვერ გაამართლა, ომი გაგრძელდა და ეს ტერიტორიები სამხედრო უწყების მოქმედების ფარგლებში რჩებოდა, სამინისტროც თავის ფუნქციაში ვერ შედიოდა. ამგვარად ბერლინელი "თეთრგიორგელები", რომელთაც როზენბერგი კავკასიისათვის გამიზნულ. გერმა-

ნიის მოხელეებად განიხილავდა - ბერლინში ისხდნენ. არცერთ მათგანს იარაღისათვის ხელი არ მოუკიდნია. მაშინ როდესაც საფრანგეთიდან ისინი მასიურად ჩაეწერნენ და ბევრი მათგანი კიდევაც დაიღუპა. პარიზში კი ლიდერობის ორი კანდიდატი მოვლენებს უცდიდა: სალია და მანველიშვილი. ბერლინში დარჩენილები ოსტმინისტერიუმის ხაზით დადიოდნენ ტყვეთა ბანაკებში და გამოჰყავდათ შერჩეული ხალხი. რომელთაც "თეთრგიორგულ" პროპაგანდას უწევდნენ და თანაც ზოგს სამუშაოზე აწყობდნენ. ზოგისთვის კი შექმნეს სპეციალური ბანაკი (უსტრიუმში). სადაც შედგა მომღერალთა გუნდი კავსაძის ხელმძღვანელობით. ამ ბანაკში დედოფლობდა "თეთრი გიორგის" მეთაურის მშვენიერი ასული მარიამ კერესელიძე.

"თეთრგიორგელებმა" ომში "ავტონომიური" მონაწილეობაც სცადეს. ეს იყო ქართველ ესესთა "პოლკის" შედგენა ფრიდონ წულუკიძის მეთაურობით. ეს საქმეც ცხადია პარტიულ ხაზით გააკეთეს. რაშიც ალბათ მაღალაშვილი და ნიკურაძე დაეხმარნენ. ამ "პოლკის" მოღვაწეობაზე. რომელიც ესესის უწყებას ემორჩილებოდა და შტაბთან საერთო არაფერი ჰქონდა. ბევრი არაფრის თქმა შემიძლია. ომის დამთავრებისას "პოლკი". ნახევრად ფორმაში ჩაცმული. ნახევრად კი ისევ ფარაჯებში. ჩრდილო დასავლეთ იტალიაში პალუტოს მიდამოებში იდგა. მათთან იყო კავსაძის გუნდი და მარიამიც. როცა ამერიკელები მოახლოვდნენ მარიამმა პოლკის დიდი ნაწილი ტყეში გაიყვანა იტალიელ პარტიზნებთან შესაერთებლად. რომელთაც გარიბალდისტები ერქვათ და პარტიზანთა კომუნისტურ ფრთას ეკუთვნოდნენ. სოფელში დაბრუნებული მარიამი წულუკიძემ გერმანელებს დააჭერინა. მარიამი თამამი ქალი იყო. დაკითხვაზე წულუკიძეს ქართულად უთხრა: ახლავე თუ არ გამათავისუფლებ. ის ბიჭები ჩამოვლენ (მთიდან) და შენ გერმანელებთან ერთად თან წაგიყვანთო. ფრიდონ წულუკიძე მიხვდა. რომ ასეც მოხდებოდა და მარიამი გაათავისუფლებია.

უფრო გვიან გარიბალდისტებმა ქართველ ესესთა ერთ ნაწილთან ერთად და მარიამის თანხლებით. რომის პარტიზანთა მიერ დაკავებულ ერთ უზარმაზარ შენობაში მოიკალათეს. ეს ის დრო იყო. რომში რომ ძალლი პატრონს ვერ ცნობდა. პარტიზანები ხელისუფლების მიტაცებას ფიქრობდნენ. და იმ დროს იქ მყოფი კაპ. ნანუაშვილი (უკვე პოლონელი ოფიცრის ფორმაში) პარტიზანების განზრახვაში მარიამის როლმა ისე დააფიქრიანა და დააიჭვიანა. რომ ამბობდა: მარიამი უნდა მოვკლათ. თორემ პირველად ჩვენ დაგვხოცავენო. ეს სხვისი ნაამბობი არ არის. ჩემი ყურით გავიგონე.

ასეთი იყო ბოლო. შტაბის "უპრინციპო" და უპასუხისმგებლო თანამშრომელთაგან გამიჯნულად ნაწარმოები თეთრგიორგელთა სამხედრო საქმიანობა.

აქედან იმის წარმოდგენაც ადვილია - "პრინციპული და პასუხისმგებელი" "თეთრგიორგელები" რომ ქართულ საქმეს დაპატრონებოდნენ. რა ამბები იქნებოდა მოთხრობილი ლომაშვილის "ქართულ ემიგრაციის ისტორიაში".

ახლა დავუბრუნდეთ მანველიშვილის მიერ გადმოსროლილ მთავარ ბრალდებას: "უპრინციპობა და უპასუხისმგებლობა" მიხ. კედიასი და მისი თანამშრომლებისა.

მიხ. კედიას ჰქონდა პრინციპები და მათ გასაკვირი შეუპოვრობით და გამბედაობით იცავდა. ამ პრინციპთა შორის პირველი იყო საქართველოს სამსახური და მისი ინტერესების დაცვა. რაშიც იგი იმასაც გულისხმობდა. რომ ქართველს ქართველი არ უნდა გაეფუჭებია. და ეს დებულება მისთვის ისე შორს მიდიოდა. რომ. როდესაც ქართული რადიოს თანამშრომელი ვინმე გაბუნია საბჭოთა აგენტი აღმოჩნდა. რისთვისაც მას უეჭველი დახვრეტა მოელოდა. მიხ. კედიამ იგი. ვიდრე გაპარვას მოახერხებდა. იმ ბინაში დამალა. რომელიც მის განკარგულებაში იყო რეკვიზირებული სამხედრო უწყების მიერ და რომელშიც ცხოვრობდნენ ვ. ნოზაძე და ალ. ცომაია. ეს საქციელი მან ასე დაასაბუთა: ამ ომს საკმაოდ ქართველი ეწირება და კიდევ შეეწირება. სადაც შეგვიძლია ყველა უნდა გადავარჩინოთ. გაბუნია თუ საქართველოში ცოცხალი დაბრუნდა. შვილებს გააჩენს და ისინი ქართველები იქნებიან. ჩვენ რომ იგი არ გადაგვერჩინა. იმ ქართველების მკვლელები ვიქნებოდით. რომელთაც ის ვერ გააჩენდაო. ეს ამბავი კი გერმანელებს რომ გაეგოთ კედიას ვერავინ გადარჩენდა.

ერთ დღეს მას დაურეკეს: ამა და ამ კაფეში ქართველები სხედან და თქვენი მოკვლის გეგმას აწყობენო. სხვა მის ადგილზე სხვაგვარად მოიქცეოდა. იგი კი მარტო მივიდა კაფეში და შეკრებილთ თავზე დაადგა. ბატონო მიშა დაბრძანდით რამე მიირთვითო. იგი დაჯდა და მათ ასე მიმართა: მე თქვენთვის და ყველა ქართველებისათვის ვმუშაობ. თქვენ ჩემი მუშაობა არ მოგწონთ და წითლები გირჩევნიათ არა? მე მოგიწყობთ. პოლონეთში გაგაგზავნით და რუსების მხარეზე გადასვლაშიც მოგეხმარებით. არადა მე რას მერჩით. ვინც გერმანიაში რჩება იმათ პატრონობა არ უნდათ. შთქმულობის შეგირდები გაშრნენ. ასე დასრულდა ეს საქმე. ეს არ არის დიდსულოვნება? თუ უპრინციპობაა? (ეს "შეთქმულები" ოსტმინისტერიუმის მიერ გამოყვანილი ხალხი იყო - უმეტესად მოინტელიგენტო პირები).

კედიას მეოხებით. ცდით და მოხერხებით გახდა შესაძლო პარიზელ ქართველ ებრაელთა გადარჩენა.

************************************************************************

ამისთვის მან მთელი თეორია შეთხზა (ნაწილობრივად ადრეც არსებული) საქართველოს ებრაელთა ვითომ ეთნიკურ ქართველობაზე. ამაზე გერმანელები მიამიტურად როდი წამოეგნენ. გერმანელ მოხელეთა შორისაც იყვნენ იმ უადამიანო ქლეტით შეძრწუნებულნი და თვალი დახუჭეს. მ. კედიას მხრივ ეს იქნებ დიდ გმირობად არ ჩაითვლება. მაგრამ ჰუმანურ და სამართლებრივ გრძნობათა გარდა მას არაფერი აიძულებდა უკვანტო საქმე საკვანტოდ გაეხადა. - ესეც დიდსულოვნება გახლავთ. და არცა მცირე.

იყო დრო. როცა მ. კედია შეეყოყმანდა განეგრძო თუ არა გერმანელებთან თანამშრომლობა. შტაბში მართალია. პოლიტიკის კეთების ადგილი არ იყო. მაგრამ იმდენად რამდენადაც ვერმახტის ობერკომანდოს. რომელსაც შტაბი უშუალოდ ექვემდებარებოდა. პოლიტიკასთან მაინც რაღაც კონტაქტი. თუნდაც დაზვერვის ხაზით. მაინც ჰქონდა. მიხ. კედია კი ყოველ შესაძლებლობას იყენებდა. რომ პოლიტიკური ურთიერთდამოკიდებულების ჩანასახი მაინც შეექმნა. ამგვარად 1943 წლის გაზაფხულზე მიხ. კედიას თხოვნის შედეგად შულენბურგმა კედიასთან ერთად შეადგინა "კავკასიური საქმე". რომელიც შულენბურგის მცდელობით რიბენტროპმა ჰიტლერს წარუდგინა. ჰიტლერს მხოლოდ თვალი გადაუვლია და როგორც კი გაიგო რა იყო. უკანვე გადმოუგდია. სიტყვებით: "არ მაინტერესებს"-ო. ეს ამბავი რომ შულენბურგმა მიხ. კედიას უამბო. ჰიტლერის საქციელმა კედია ისე აალელვა. რომ გერმანელებთან თანამშრომლობაზე უარის თქმას დააპირა. შტაბში შტაბში ყველა ქართული პოლიტიკური მიმართულება იყო წარმოდგენილი პიროვნებათა სახით. გარდა სოც.-დემოკრატებისა. რომელთა მანდატიც თვითონ კედიასა ჰქონდა. ამიტომ მან თავისი გადაწყვეტილება უპირველესად ყორდანიას და გეგეჭკორს შეატყობინა - შოთა ბერეჟიანის ხელით გაგზავნილი წერილით. პარიზიდან მან ყორდანიას და გეგეჭკორის პასუხი მიიღო. არავითარ შემთხვევაში საქმის მიტოვება არ შეიძლებაო. გეგეჭკორი წერდა: "ეს არ იყო ჩემთვის მოულოდნელი... მაშ ასე ბრძოლის ბედი უნდა გადაწყვიტოს მხოლოდ იარაღმა. ამ შემთხვევაშიაც ჩვენი პოზიცია იგივე რჩება. ჩვენ ვთანამშრომლობთ. ანუ უკეთ რომ ვსთქვათ. ვმოქმედობთ იმ დარგში სადაც მოქმედების საშუალება არის"-ო და ვინაიდან ბერლინში მყოფმა სხვა მიმართულების წარმომადგენლებმაც იგივე აზრი გამოთქვეს. კედია დარჩა და ეს უძნელესი საქმე ბოლომდის იტვირთა. პასუხისმგებლობის შეგნებაც ამას ჰქვია.

მაგრამ კიდევ უარესი პრობლემაც წამოიჭრა. ჰიტლერის შტაბმა თუ თვით ჰიტლერმა. რომელიც ცხადია ხედავდა რომ გერმანიის დამარცხება მხოლოდ სასწაულს უნდა აეცდინა. უკანასკნელ ზომებს მიმართა. უნდოდათ ახლა პოლიტიკური ხერხი გამოეყენებიათ. რაც ირიბულად იმაში გამოიხატებოდა. რომ საბჭოთა კავშირიდან გამოსული ყველა ეროვნების ლეგიონები ვლასოვის არმიისთვის შეეერთებიათ. ეს კი გულისხმობდა არსებობას პირობებისა. რომ რუსეთის იმპერია ხელუხლებელი რჩებოდა. ყოველ შემთხვევაში ასე განიხილებოდა. ვლასოვი ამაზე დათანხმდა. ჩვენთვის კი ეს ყოვლად მიუღებელი იყო. კედიასაც უკვე აღარ შეეძლო საქმის მიტოვება - უკვე გვიან იყო. მან გადაწყვიტა ბრძანებას არ დამორჩილებოდა. მაგრამლ ჯერ ყველა თანამშრომლების გამოკითხვას და გაფრთხილებას შეუდგა. ამ გასაფრთხილებელ ხალხის ერთ ჯგუფს. რომელიც შედგებოდა: ვიქტორ ნოზაძის. ალ. ცომაიას. დიმიტრი სინჯიკაშვილის და მიხ. ქავთარაძისაგან მან ასე მიმართა: - ხომ იცით რა მდგომარეობაა. მე პირადად გადაწყვეტილი მაქვს არ დავთანხმდე. მაგრამ მინდა გაგაფრთხილოთ. მოსალოდნელია. რომ ყველანი ლაგერში ჩაგვყარონ და თქვენ არჩევანი გაქვთ თუ როგორ გადაწყვეტთ. ჩვენ ცხადია ერთხმად მხარი დავუჭირეთ. არ ვიცი სხვებს რა უთხრა ან ვის ეთათბირა.. მანევრი კი ასეთი გააკეთა: იგი ვლასოვთან მოსალაპარაკებლად მისვლაზე დათანხმდა. აქვე უნდა ვთქვა. რომ მიხ. კედია მხოლოდ ქართველების სახელით კი არა. ყველა კავკასიელთა სახელით მიდიოდა. რადგან იგი იყო კავკასიელთა თანამშრომლობის თავმჯდომარე და მათი პორტ.-პაროლიც გერმანელების წინაშე. მიხ. კედიამ ვლასოვს ისე შეუტია და მასთან დამოკიდებულება ისე გაამწვავა. რომ მთელი გეგმა იქვე ჩაიფუშა. ეს იმიტომ მოახერხა. რომ მას გერმანელებისთვის არ გაუმხელია რასაც აპირებდა. თორემ ადრევე შეეცდებოდნენ საქმის სხვაგვარად მოგვარებას. ახლა კი დაინახეს რომ გათავისუფლებული ტყვეების ვლასოვის ტყვეობაში მოქცევით ვერაფერს მოიგებდნენ. ეს მისი საქციელი ნამდვილი თავგანწირვის ტოლია და იქნებ დაესაჯათ კიდევაც. რომ ვერმახტის უზენაეს სარდლობაში სულ სხვაგვარად განწყობილი ხალხიც არ ყოფილიყო.

ამ ამბავს წინ უსწრებდა შტაბის მუშაობაში არმონაწილე ზოგიერთ ქართველთა ფაცი-ფუცი. გათავისუფლებულ პოსტის დაკავების ცდუნებამ ბევრს თავბრუ დახვია. პირველი როლის თამაში პერსპექტივამ ბევრი აათრთოლა. ერთი მათგანი მაღლაკელიძე იყო. სხვათა დასახელება არ შემიძლია. რადგან საკმაო საბუთი არა მაქვს.

მესამე და უკანასკნელი აქცია. რომელიც აგრეთვე ფიქსირების ღირსია (ყველა წვრილ ამბებს ვერ ჩამოვთვლი და მეც ხომ ყველაფრის მცოდნე არ ვიყავი) ოის უკანასკნელ დღეებით თარიღდება. დოკუმენტის გაცემის თარიღად 1945 წლის აპრილი აზის. ეს გახლავთ მიხ. კედიას მიერ ამერიკელე-

ბისათვის ჟენევაში გადაცემული Aide-Memoire (მემორანდუმი). რომლის მთლიანად ჟურნალში გადმობეჭდვა მისი სივრცელისა გამო ძნელია. მემორანდუმში მ. კედია ამერიკელებს აფრთხილებს. გერმანიას მოუფრთხილდით დიდად ნუ დაამცირებთ. თორემ შესაძლებელია სასოწარკვეთამ ეს ქვეყანა რუსეთის მხარეს გადაჰხაროსო. და ამბობს. გერმანიაში ფართო წრეებია. რომელნიც ნაცისტურ ძალადობას ეწინააღმდეგებოდენ და მათზე დაყრდნობა გამოგადგებათ. აუცილებელიც იქნება. როცა რუსეთთან უთუოდ მოგივათ უთანხმოებაო. იგი აგრეთვე ეხება ტყვეთა და დეპორტირებულთა საკითხს და ამბობს მათი რიცხვი ასიათასებია და ცხადია დიდი ნაწილი საბჭოეთში დაბრუნდება. მაგრამ ვინც დაჟინებით დარჩენას მოითხოვს უნდა დატოვოთ - განსაკუთრებით ელიტა - ისინიც საჭირო იქნებიანო. და ასე ამთავრებს: გერმანელებს ნუ წაბაძავთ. ცოტა იმათაც დაუჯერეთ. ვინც კომუნისტებს და სტალინს თქვენზე უკეთ იცნობს. ფრთხილად იყავით. მთელი ევროპა სტალინს ხელში არ ჩაუგდოთო.

კურიოზულია! ამერიკელები ნაწილობრივად ისე მოიქცნენ როგორც მიხ. კედია ურჩევდა. მაგრამ იმიტომ კი არა. რომ მას დაუჯერეს. არამედ იმიტომ. რომ თვით რუსების საქციელმა აუხილა თვალი ამერიკელებს. ოღონდ ბევრი რამის გამოსწორება უკვე გვიან იყო.

არც ამ ნაბიჯის გადადგმა წარმოადგენდა კედიასათვის აუცილებლობას - იგი რომ ბოლომდე თავისი ვალის ერთგული არ დარჩენილიყო. მაგრამ პასუხისმგებლობამ და მოვალეობამ მას ამ ძლიერ სახიფათო ნაბიჯის გადადგმა გაათბედვინა. სახიფათო იყო მით უმეტეს. რომ იგი უკვე მრავალჯერ დააბეზღეს ოდიშარიამ და კიდევ ვილაცეებმა. მაგრამ საბედნიეროდ ამას შედეგი არ მოჰყოლია.

უოველივე ამის შემდეგ აქ მოვიყვან გერმანულიდან თარგმნილ სრულ ტექსტს მიხეილ კედიას დახასიათებისა. რომლის ავტორია პროფ. ჰანს რაუპახი - საფრანგეთში ქართულ ემიგრაციასთან კონტაქტის დასამყარებლად აღმ. კანარისის მიერ მივლინებული ემისარი.

პროფესორ ჰანს რაუპახ აუგსბურგ 1-10-49

განცხადება

მიხეილ კედიასთან ჩემი ნაცნობობა თარიღდება 1940 წლის შემოდგომიდან. გერმანული საოკუპაციო ხელისუფლების ბრძანებით მე მევალებოდა ზრუნვა რუსეთიდან გამოსულ ემიგრანტთა სოციალურ ინტერესებისათვის პარიზში - რამდენადაც ეს შედიოდა ვერმახტის კომპეტენციაში. ამ საქმესთან დაკავშირებით ბატონი კედია აღმოჩნდა ქართული კოლონიის ნდობით აღჭურვილი კაცი. როგორც ყველა ემიგრანტები. ქართველებიც ერთიმეორის მოწინააღმდეგე ჯგუფებს წარმოადგენდნენ. მიხ. კედია კი გამორჩეული უპარტიოლობით. განურჩევლად რომელიმე ჯგუფის წევრობისა ყველა. გასაჭირში მყოფთათვის თანაბრად ზრუნავდა. ამგვარად იგი წარმატებით დაეხმარა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წევრობისათვის. გერმანულ უშიშროების უწყების მიერ დაპატიმრებულ თანამემამულეებს.

ვერმახტთან თანამშრომლობით მიხ. კედია იმედოვნებდა თავისი სამშობლოს გათავისუფლებასაც. რომლის ქრისტიანული დასავლეთისადმი კუთვნილებას იგი ლალადებდა. ამისათვის მას მორალურად დამუშავებული და მოფიქრებული პროგრამა ჰქონდა. რომლის თავდებიც ვერმახტი უნდა ყოფილიყო. დიდი მეუაითობით და თავისი აზრის თავისუფლად გამჟღავნებით მან უფრო გვიან. აღმოსავლეთის დაკავებულ მხარეებში. გერმანულ ნაციონალ-სოციალისტების სამოქალაქო ადმინისტრაციის კოლონიალური პოლიტიკის დევნა-კრიტიკა დაიწყო. ის ცხადი გულწრფელობა. რომელსაც ბატონი კედია. პარტიის მაღალ მოხელეთა წიმაშეც ააშკარავებდა. იმ დროში სრულიად უჩვეულო რამ იყო. ეს მის პიროვნული პასუხისმგებლობის შეგნებიდან და ჰუმანიტარული მიდრეკილება-განწყობილებიდან მომდინარეობდა. ასეთ პოზიციას ინარჩუნებდა ბ. კედია განსაკუთრებით მისი მასპინძელი ერის - საფრანგეთის - მიმართ. თვით იმ შემთხვევებშიაც კი. როცა სხვაგვარ საქციელს. პირადად მისთვის სარგებლობის მოტანა შეეძლო.

დრ. რაუპახ ( Dr. Raupach).

მარტო ეს განცხადება იკმარებდა მანველიშვილის მიერ ნასროლი ტალახის მოსარეცხად.

გიგი გაბლიანი. იგი იყო შტაბის უმთავრესი უმნიშვნელოვანესი მაშაობის ხელმძღვანელი. ობერკომანდოსთან მას ჰქონდა კონტაქტი. ასე რომ სამხედრო ნაწილებში. ლაზარეთებში. თუ დასასვენებელ სახლებში ანორმალურ პირობების. რაც ხშირი იყო. გამოსწორებისათვის მას უნდა ებრძოლა. მუდმივი ბრძოლა მიმდინარეობდა აგრეთვე ქართველ ჯარისკაცთა და ოფიცერთა მდგომარეობის სრული გათანასწორებისათვის გერმანულ შემადგენლობასთან. მისსავე კომპეტენციაში შედიოდა ამა თუ იმ ქართული ნაწილის მისთვის შეუფერებელ ადგილებში განლაგების შემთხვევაში რომ ჩარეულიყო. მის აზრს ანგარიში ეწეოდა ამა თუ იმ ოფიცრის ან საერთოდ "კადრის" დანიშვნის. მოხსნის ან სკოლაში გაგზავნის შემთხვევაში. ყველაფერი ეს მოითხოვდა ერთი მხრივ ტაქტს და მოქნილობას. ხოლო ამავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს - შეუპოვრობას და წინააღმდეგობის დაძლევის უნარსაც. და ამ მართლაც ბერგ მანს (მთის კაცს) ორივე ეს უნარი აღმოაჩნდა. მრავალი "ბერგმანელ" ოფიცრისაგან გამიგონია მე გაბლიანის შესახებ ისეთი სიტყვები, რომელნიც არა მარტო მხედარი კაცის ქებას, არამედ ზოგჯერ თითქმის აღტაცებას, ხოლო ზოგჯერ შურსაც ამჟღავნებდნენ. ეს უკანასკნელი ფრაზა შეეხება იმ დროს, როდესაც მე მასთან ერთად "ბერგმანში" ვირიცხებოდი, თორემ როცა შტაბში დავიწყე მუშაობა მე კონტაქტი აღარ მქონდა იმ მაღალი რანგის ოფიცრებთან, რომ-ლებთანაც გაბლიანს ახლა ჰქონდა დამოკიდებულება. "ბერგმანში" გაბლიანი შენაერთის მეთაურის მრჩეველი იყო, და ძლიერ ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ კაცი, რომლის თავდაჭერაში ამდენი სიამაყე და სილაღე ჩანდა, ყოფილი ტყვე იყო. ეს იყო მიზეზი ზოგთა აღტაცებისა, ხოლო ზოგთა შურისა. თუმცა ამ გარეგნული ასპექტის გარდა შურს ისიც იწვევდა, რომ ეს ყოფილი ტყვე, მეთაურის შემდეგ, ბევრ რამეში მეორე პიროვნება იყო შენაერთში, რომელ-შიც სამიათასამდე მეომარი ითვლებოდა და რჩეული ოფიცრებით იყო დაკომპლექტებული. ამიტომ, მე მგონია, რომ შტაბში მისი ამ თანამდებობით შემო-სვლას ბერგმანის მეთაურის დოქტ. ობერლენდერის და კაპ. ჰერვართის რეკომენდასიაცას დიდი როლი უნდა ეთამაშნა - რადგან მიხ. კედია იმ დროს ჯერ კიდევ საკმარისად არ იცნობდა გაბლიანს.

მიხეილ კედიას მეთოდი იყო ასეთი ხასიათის გადაწყვეტილების მიღებამდე მრავალი მისი თანამ-შრომლის აზრიც სცოდნოდა მახსოვს ყირიმიდან შვებულებაში ყოფნის დროს კედიას შევხვდი ბერლინში. მან მიამბო შტაბის დაარსების სამზა-დისის შესახებ და მითხრა: მე ვფიქრობ გაბლიანზე, სამხედრო სექტორის უფროსობისათვის. სხვა კანდიდატებიც არიანო და ორი დამისახელა. შენი აზრი მაინტერესებსო. მე მოკლედ ვუპასუხე: მიშა, ხომ იცნობ ფრანგულ გამოთქმას "რომ არ არსებულიყო, მისი გამოგონება იქნებოდა საჭიროო". სწორედ ასეთი ვითარებაა ამ საკითხის გამო. სწო-რედ გაბლიანის მსგავსი კაცი უნდა გვეძებნა. საძებ-ნელი არაფერი გვაქვს და აქ სარჩევი და საყოყმანო რა უნდა იყოს მეთქი. თან ერთი კანდიდატის შესახებ დავუმატე: იგი თავის ალაგას საჭირო და გამოსა-დეგია. თავის საქმეს მშვენივრადართმევს თავს. მაგრამ მრავალ მოსაზრებათა გამო, რომელთაც შენ მიხვდები, ვიმეორებ, შტაბში სამუშაოდ გაბლიანის შესადარ კაცს მე ვერ ვხედავ მეთქი. მეორე კანდი-დატზე ლაპარაკი არ ღირდა და არც ხმა ამომიღია.

აქ მომყავს გივი გაბლიანის დახასიათების თარგმანი ინგლისურიდან:

ჰანს ფონ ჰერვართი / სახელმწიფო მდივანი

(Hans von Hervart / Staatssekretär)

18- I -1988.

ამას ვაცხადებ როგორც ფიცის ქვეშ. მე ვიცნობ დოქტორ გივი გაბლიანს 1942 წლიდან. მე მაშინ ვმსახურობდი ვით ოფიცერი (კაპიტანი) პოლკოვნიკ ფონ შტაუფენბერგის განკარგულებაში, რომელმაც ჰიტლერის მოკვლა სცადა 1944 წლის ივლისში. აგრეთვე ვმსახურობდი ბრძანების ქვეშ გრაფ ფონ დერ შულენბურგისა, რომელიც, აგრეთვე, სიკვდილით დაისაჯა 1944 წელს. მე ვეკუთვნოდი გერმანულ წინააღმდეგობას ("შეთქმული მოწინააღმდეგენი) 1938 წლიდან. იხილე: Carles Bohlen "Vhitness to History".

მედიცინის დოქტორი გივი გაბლიანი ქართველი პატრიოტია. მისი მამა და მრავალი მის პროფესორთა და მეგობართაგან მოიკლა სტალინის მიერ. საქართველო დაპყრობილ იქნა მეფის რუსეთის მიერ მეცხრამეტე საუკუნეში და თავისი დამოუ-კიდებლობა დაიბრუნა 1917 წლიდან 1921 წლამდე. იმ პერიოდში საქართველოს დამოუკიდებლობას მფარველობა გაუწია გერმანულმა მხედრობამ. გრაფი ფონ შულენბურგი წარმომადგენელი იყო გერმ. გარეშე საქმეთა სამინისტროსი საქართველოში (ტბილისი). 1921 წელს საბჭოელებმა ძალით დაიკავეს საქართველო.

გივი გაბლიანი ბუნებრივად ეწინააღმდეგებოდა საბჭოურ იმპერიალიზმს და კრიმინალურ ხელისუფ-ლებას. გერმანულ წინააღმდეგობას ჰსურდა, ჰიტლე-რის გადაყენების შემდეგ საბჭოთა კავშირის სხვადა-სხვა ერები გაეთავისუფლებია საბჭოთა დიქტატური-საგან. ამის გამო გივი გაბლიანმა, 1941 წლიდან სამხედრო ტყვემ, გერმანულ წინააღმდეგობასთან თანამშრომლობა გადაწყვიტა. 1942 წელს კი იგი ჩაირიცხა კავკასიელ მოხალისეთა ერთეულში, რომელიც შედგენილი იყო ადმ. კანარისის მიერ. იგი იყო ხელმძღვანელი მეთაური გერმანულ წინააღმდე-გობისა. დახვრეტილ იქნა 1945 წელს.

1943 წლიდან გივი გაბლიანი ხდება წევრი "ქართულ საკავშირო მისიისა", რომელშიც წარმოდ-გენილი იყო აგრეთვე პარიზში მყოფი ქართული ლტოლვილი მთავრობა. ქართული საკავშირო მისია ვიწრო ურთიერთობაში მუშაობდა გერმანულ წინა-აღმდეგობასთან ერთად, განსაკუთრებით - პოლკოვნიკ გრაფ შტაუფენბერგთან და ელჩ ფონ დერ შულენ-ბურგთან, რომელნიც ორივენი იყვნენ შემქმნელნი საბჭოელ მოხალისეთა ნაწილებისა გერმანულ ჯარში.

1945 წლის იანვარში გივი გაბლიანმა ბავარი-აში შეირთო ქართველი ემიგრანტი ქალიშვილი.

საბჭოთა კავშირში ძალით უკან დაბრუნების თავიდან ასაცილებლად მან თავისი ვინაობა შეიცვალა და არა ტყვედ. არამედ ემიგრანტად გამოაცხადა თავი. მე მაშინ დირექტორი ვიყავი ბავარიის სახელმწიფო სამდივნოსი მიუნხენში და გაბლიანს დავეხმარე გერმანიაში დარჩენილიყო.

1949 წლის შემდეგ მე ვმუშაობდი ფედერალურ პრეზიდენტ ჰოისთან (Heuss) და კანცლერ ადენაუერთან. უფრო გვიან მე ვიყავი ელჩი ლონდონსა და რომში (კვირინალში) და სახელმწიფო მდივნად გარეშე საქმეთა სამინისტროსი.

ჰანს ფონ ჰერვართ

(Hans von Herwarth).

ზემომოყვანილი დოკუმენტი არ ასახავს გაბლიანის თავგადასავალს ტყვეობის დღიდან "ბერგმანში" მოსვლამდე. ეს დრო კი მას მხოლოდ ტყვეთა ბანაკში არ გაუტარებია. იგი ტყვედ კი არ ჩავარდა. არამედ შეგნებულად გადავიდა მეორე მხარეზე და თვითონ გამოცხადდა. ასეთებს კი პირდაპირ ბანაკში არ გზავნიდნენ. იგი საფუძვლიანად დაკითხეს და ამის შემდეგ ერთ სპეციალურ პატარა კომანდოში მოათავსეს სადაც რამდენიმე კავკასიელიც იყო. რამდენიმე დღის შემდეგ. მან ემიგრანტ ქართველებთან დაკავშირება მოისურვა და თან განაცხადა - მე თქვენსკენ ჩემი ნებით იმიტომ გადმოვედი, რომ სხვა ქართველებთან ერთად და შეთანხმებით ვიბრძოლო და ვიმუშაო ჩვენი საერთო მტრის წინააღმდეგ და ვერ გამიგია რატომ არ მაძლევთ საშუალებას მათ დავუკავშირდეო. ეს მას არ შეუსრულეს. უფრო გვიან მასთან მყოფ კავკასიელებსაც გაუზიარა თავისი აზრი. ეს მას გაუგეს. არ მოეწონათ და გადაწყვიტეს ეს კაცი ჩვენ არ გამოგვადგებაო და ტყვეთა ბანაკში მოათავსეს - მაგრამ ისეთში. საიდანაც ტყვეები. იქვე ახლოს მდებარე ქარხანაში მუშაობდნენ. ამ ბანაკიდან გამოაყვანია დოქტორ ობერლენდერმა გაბლიანი და სანდო კაცად გაიხადა.

ზედმეტი არ იქნება კიდევ ერთი დოკუმენტის გამოქვეყნება. მანველიშვილი ამტკიცებს: თეთრგიორგელები როგორც ორგანიზაცია გერმანელებთან არ თანამშრომლობდენო. ეს დოკუმენტი კი ცხადჰყოფს. რომ სწორედ "თეთრი გიორგი" იყო ერთადერთი მიმართულება. რომელიც მისი მეთაურით იყო წარმოდგენილი. ხოლო რომ "თეთრი გიორგი" არა თუ სათაკილოდ სთვლიდა თანამშრომლობას "უპრინციპო კედიასთან" არამედ მათი მეთაურები ამისათვის ერთმანეთს ექიშპებოდნენ ეს კი ნათლად ჩანს ამ დოკუმენტიდან:

საქართველოს ეროვნული მთლიანობის

მოძრაობა "თეთრი გიორგი"

21 ოქტომბერი 1921 წ.

ქართულ საკავშირო შტაბს ბერლინში.

გვაქვს პატივი ამით გაცნობოთ ქართულ საკავშირო შტაბს. რომ თეთრი გიორგის ორგანიზაციას. მასში მომხდარი ცვლილებების გამო დღეს ქართულ საკავშირო შტაბში წარმომადგენელი არ ჰყავს.

მოურავის თანამდებობა. რომელსაც ასრულებდა ბ. გ. მაღალაშვილი. გაუქმებულია და მის ნაცვლად დაწესებულია "თეთრი გიორგის" დირექტორია.

უკეთუ შტაბი მოისურვებს "თეთრი გიორგის" ორგანიზაციის წარმომადგენელს. თეთრი გიორგის ხელმძღვანელობა მზად არის მისი წარმომადგენელი გაჰგზავნოს ქართულ საკავშირო შტაბთან სათამშრომლოდ.

ვთხოვთ შტაბს ამასთანავე ყოველი კონტაქტისათვის რომელიც მისთვის სასურველი იქნება მიმართოს თეთრი გიორგის დირექტორიას.

ს.ე.მ.მ. თეთრი გიორგის

მეთაური: მიხეილ წერეთელი.

ბოლოს და ბოლოს ამ ამბის არსი შემდეგია: მანველიშვილმა ბერლინში "მცირე" საქმისთვის ხელის მოკიდება არ იკადრა. დიდს კი ვერ მიწვდა. ეს "დიდი". სჩანს. შტაბის გამგეობის წევრობა მაინც უნდა ყოფილიყო. შტაბის გამგეობაში შესვლა კი არც ისე ადვილი საქმე იყო. რომ მანველიშვილის წარუმატებლობა მ. კედიას დაბრალდეს. ოთხთაგან ერთი წევრი უკვე თეთრგიორგიელი მაღალაშვილი იყო. მისი გათავისუფლების შემთხვევაშიაც მანველიშვილზე უადრეს სალიასა და ტოგონიძეს ექნებოდათ შანსი - ძველი თეთრგიორგიელობისა და გერმანულის ცოდნის გამო. გარდა ამისა მანველიშვილი იმ დროს მხოლოდ ჟურნალისტი იყო "თეთრი გიორგის" იდეოლოგიაზე მომუშავე და არც იერი და "კლასი" ჰქონდა გერმანელ გენერლებთან და მაღალ სახელმწიფო მოხელეებთან ბარი-ბარში მოსაუბრე კაცისა (ეს "კლასი" არც სალიასა და ტოგონიძეს ჰქონდა. მაგრამ მათ გარეგნული მსახიობობა და ბლეფის თამაში მაინც შეეძლოთ). ეს საკითხი რაგინდ მტკივნეულიც იყოს. ფაქტი ფაქტად რჩება. რეალობა მუდამ მკაცრია. ზოგჯერ უსამართლოც არის. აქ კიდევ ერთი საკითხი ისმის: ლეგიონის გაზეთის საქმეს მაღალაშვილი განაგებდა. რატომ არ დაინიშნა მან გაზეთის რედაქტორად მანველიშვილი? ამასაც ხომ ვეტოს ვერ დაადებდა მიხეილ კედია?

ამ წერილის დასაწყისში ითქვა. რომ მანველიშვილს თავისი თავი პოლიტიკურ ლიდერად ეზმანებოდა. და ასეთად ვერ გამოჩენა არის მისი სატკივარი. რასაც იგი მ. კედიას აბრალებს. არის რაღაც პარალელი და საერთო გ. ნოზაძესა და ალ. მანველიშვილს შორის: ორივე პოლიტიკაში ხელს

****************************************

"აფათურებდა". მაგრამ ორივეს მხოლოდ მწერლობა რჩება ვით ნაამაგარი. ვ. ნოზაძის გარდაცვალების გამო ერთხელ დავწერე: მისმა სამწერლო მოღვაწეობამ მისი პოლიტიკური მოღვაწეობა დაჩრდილა მეთქი და ამას იმით ვხსნიდი რომ იგი მწერლად (თუ მკვლევარად-თქო. არ მახსოვს) იყო დაბადებული და არა პოლიტიკოსად-მეთქი. ამის თქმა იმიტომ გავბედე. რომ თვითონ ვიქტორმა ერთხელ საუბარში მითხრა. ჩემი პოლიტიკურობის ხანა ცდისა და ძიების ხანა იყოო. ეს იმას ნიშნავს. რომ ვიქტორი თავის თავს იცნობდა. ამაში დიდი განსხვავებაა მანველიშვილსა და ნოზაძეს შორის. მანველიშვილი რომ თავის თავს სწორად იცნობდეს და მის მიერ ვეფხის ტყაოსნის შესანიშნავი ცოდნაც გამოეყენებია. შოთას დაუჯერებდა "რაცა ვის რა ბედმან მისცეს. დასჯერდეს და მას უბნობდეს"-ო. მანველიშვილის წიგნების ავტორი რომ ვყოფილიყავ ვიამაყებდი და სანუგეშოდაც მექნებოდა. რომ ცხოვრება მხოლოდ პოლიტიკანობის ამაო ჩხაკუნში არ გამიტარებია. მაგრამ კაცია და გუნებაო. თავისი ნამდვილი ნაღვაწის აბუჩად აგდებამ და ცდამ იმისა. რომ გვაფიქრებიოს. "ვაი რა დიდი კაცი არ მიუშვით დიდ საქმესთანაო". აარჩევია მას ასეთი ხერხი - სხვათა დამცირებით თავის ამაღლებისა. ამ მისმა უსათუოდ დასაგმობმა ცდამ დამაწერია ეს წერილი. რომელშიც მოთხრობილი ფაქტები ალბათ არასოდეს გამოქვეყნდებოდა. რადგან სხვაც არავინა ჩანს მოწმე ამ ამბებისა გარდა თვით გაბლიანისა. მანველიშვილმა კი ამ წერილის დაწერა რომ მაიძულა. მგონი მისი მიზნის საწინააღმდეგოს მაღწია - თავისი თავი დაიმცირა და ისინი კი აამაღლა. ვისიცა დამცირება ჰსურდა.

ძლიერ ვნანობ. რომ იძულებული გავხდი მანველიშვილის წერილზე მეპასუხნა. მართალია. ამ წერილის წამკითხველი. თუ დაკვირვებული კაცია. თვითვე მიხვდება მრავალ ულოგიკობას ამ წერილისა. მაგრამ მანველიშვილი ვინმე უბედი პასუხის არ მოსათხოვი პიროვნება ხომ არ არის. მისი წიგნების ავტორს სერიოზული კაცის რეპუტაციც ახლავს თან. ასე რომ მის მიერ გადმოსროლილი ბრალდება მკითხველს დააფიქრებს - მაშ მას გაბათილება სჭირია. ხოლო ამ გაბათილებას მე მაკისრებს ჯერ იმ წმინდა საქმის დაცვა. რომლის კეთებითაც ემიგრაციამ ვალი მოიხადა და მერე ახლო მეგობრობა ცომაიასთან. გაბლიანთან. ვიქტორ ნოზაძესთან და დიდი პატივისცემა მიხეილ კედიასი. რომელთანაც მე ახლო მეგობრობა არა მქონია. მაგრამ თვალმხილველი მოწმე ვარ მისი თავდადებული. დინჯი და საზრიანი მუშაობისა. რამაც მე. თუ ჩემ მიერ შეფასებას დაეჯერება. მიხეილ კედიას პიროვნებაში დიდი კაცის თვისებები აღმომაჩენია. რომელთაც. ცხადია. არაფერი ჰქონდათ საერთო უპრინციპობასა და უპასუხისმგებლობასთან.

მანველიშვილთან თითქმის სამოცი წლის ნაცნობობა მაქვს. ახლო მეგობრები ჩვენ არ ვყოფილვართ. მაგრამ ჩვენს წარსულს ჩვეულებრივი მეგობრობა მაინც დაერქმის. ხოლო ჩვენ ერთმანეთთან უფრო დაგვაახლოვა ამერიკაში ჩემი ორი უკანასკნელი მგზავრობის დროს მასთან ორჯერვე შეხვედრამ კოლორადოში. იქ მან სახლში მიგვიწვია მე და ჩემი ქალიშვილი თავისი ქმარშვილით. გავიცანი მისი ოჯახი - მეუღლე და ორი ვაჟკაცი ვაჟი. გულით და ხელგაშლად გვიმასპინძლა. ბევრი ვისაუბრეთ და ახალგაზრდული წარსულის მოგონებამ. ახლა ბებრები უფრო დაგვაახლოვა. მე მას შევთავაზე ჟურნალის რედაქციაში შემოსულიყო. იგი დათანხმდა და რამდენიმე ნომერი მისი თანამშრომლობით გამოვიდა. რამდენიმე თვის წინათ წერილი მივიღე. საყვედურს მწერდა რომ მისი წერილების დაბეჭდვა უადგილობისა გამო დაგვიანდა. თან მეუბნებოდა. კოლეგიის სიიდან ამომშალე. ეს მაინც ფიქცია იყო. იმ წერილსაც ნუღა დაბეჭდავ. ჩემს წიგნში მოვათავსებო. და - იმედი მაქვს ეს ჩვენს ხანგრძლივ მეგობრობას არაფერს ავნებსო. გამიკვირდა. დავღონდი. ვაპირებდი ბოდიშის და კოლეგიაში დარჩენის თხოვნის წერილი მიმეწერა. და აი. ოცი ეგზემპლარი გამომიგზავნა იმ თავისი წიგნისა. რომელშიც ჩემს მეგობრებს ლანძღავს (მეც ხომ მათთან ვმუშაობდი). ეს წიგნები ცხადია გასავრცელებლად გამომიგზავნა. მე ამას ავუსრულებ. მაგრამ ამ წერილისათვისაც ნუ გამიჯავრდება. მორიელისა და კუს არაკი მოიგონოს. თუ მისი ბუნება ხალხის დაგესლვას მოითხოვს. ჩემი ბუნება ამ გესლის მორეცხვას მიკარნახებს - განსაკუთრებით. როცა ქვეყნისთვის თავდადებით ნაშრომ ხალხსა ჰგესლავენ.

მ. ქ.

*   *   *

## მოპატიჟება ჩონ ტაში.

ვაჟა გიგაშვილის "დრო და ჟამის"
კითხვისას ნაფიქრი.

...შესაძლოა იმანაც იმოქმედა. რომ ახალგაზრდობაში ორთავეს მძიმე. მაღალყელიანი ფეხსაცმელები გვეცვა - ვაჟას მგონი სათხილამუროც... ასფალტზეც მთაში. თუ სადღაც "არაასფალტურ სივრცეში" დავღოღიალობდით. ჩვენ ჩვენთვის...

შიშიც მქონდა. გამოწვეული ჩემი უსაზღვრო სიმპათიით მისადმი. ამ სიმპათიაში უმცროსი თაობის რიდიც იყო ყოველთვის უფროსისადმი. რომელიც მომდევნო თაობაში სულ დაიკარგა და აღარ შემინიშნავს - გაშინაურდა ყველა ("გაფამილიარულდა") -ეს კი ნამდვილი გრძნობის დაკარგვაზეც მიუთითებდა... განსხვავება დიდი არ იყო. მაგრამ ორი თუ სამი კლასიც საკმარისი მანძილია... კეთილგანწყობა იყო რადგან. ყველამ ასე თუ ისე იცოდა რა მძიმე იყო ცხოვრება... თუმცა მაშინაც დაქროდნენ მანქანებით სხვადასხვაგვარი "შვილები"... მინისტრების. აკადემიკოსების. პარტიულების... სანაცვლოდ. გალაკტიონი დადიოდა ქუჩაში ფეხით... ატმოსფერო იყო სხვა და ამ ატმოსფეროს ხელახალი შეგრძნობის და შესუნთქვის განცდით ვიყავი კარგა ხანს შეპყრობილი.

მერე ხან რა ამოტივტივდებოდა თავში. ხან რა...

თანდათან წიგნი მთლიანობაში დავინახე:

ისე როგორც დროში არსებობს ჟამი. რომელიც "წამწამის მსწრობელია" და დროს რომ არ "ეჭიროს" განქარდებოდა უგზო-უკვლოდ. ცხოვრებაც არსებობს კაცობაში. და კაცობას რომ არ ეჭიროს. ცხოვრებაც განქარდებოდა უგზო-უკვლოდ. რადგან კაცობა გზიანობაა - შესაქმე...

მხატვრული ლიტერატურა იმიტომაა "მ-ხატ-ვარ-ული". რომ სიტყვებით შექმნილი "სახე" დასანახია და შესაგრძნობი.

მთავარი სიკეთე "მწერლური": სათქმელი დახატულია! კი არ არის "მოთხრობილი ამბავი". არამედ განცდებით. ფიქრით და სიტყვა-ხატებით აგებული სამყაროა; თანაც ასე "უხმაუროდ"!

პიროვნების დადგინება: კვანძის გამოკვრა. შინაგან "მატერიასთან" ბრძოლა და ასევე. ბრძოლა გარეგან "სინამდვილესთან": ამ "სინამდვილის" აგრესიული მატერია. თანდათან რომ გაიყონება და ტრანსფორმირდება შინაგან აგრესიულობაში; და იმშინაგანი აგრესიულობის მიზეზი ხდება. რომელიც ფაქიზ და ამ აგრესიულ მატერიაში ჩაჭედილ სულს. - პიროვნულ ქსოვილს -. კლავს - კლავს გმირსაც. ამ ორი ბრძოლის სურათი მშვენივრადაა დახატული! აქ ჩანს. რომ გარე "სინამდვილე" არაა ნამდვილი და ამიტომაცაა ასე აგრესიული. ნამდვილი შიგნითაა. მაგრამ მას არანამდვილის აგრესიულობა ემუქრება და ამიტომ გარდუვალად ან გარდაცვალება უწერია და ე.ი. გამარჯვება. ან სიკვდილი და ე.ი. დამარცხება.

ატრიბუტები ამ ბრძოლისა დამანგრეველი ბუნებისაა არა თავისთავად. არამედ სწორედ რეალობის აგრესიულობისა და დამანგრევლობის გამო! მაგრამ რეალობა გაუცნობიერებადი ველია იმ ქვეცნობიერად შემომყონავი განწყობისა. რომელიც ანადგურებს პიროვნების ბუნებას. ჩემთვის საოცრად რომანტიული განცდისაა ეს გახსენება კინოხედვის "ჰემინგუეისებური" ტექნიკის. რომლითაც იღვიძებდა ჩემი თაობის ჭაბუკური ლიტერატურული ხედვა და ენერგია. და რა ოსტატური იყო ეს ათვისება და გათავისება - რაოდენ ახლობელი იყო ეს ჭაბუკური განცდები და ნამდვილი - რადგან მზა "მეთოდის" და სხვისი დანახულის ან განცდილის ათვისება კი არ ხდებოდა. არამედ საკუთარი ცხოვრების გზის არჩევანი: და იყო ნადირობა. მთაში სიარული. თვეობით მარტოდ-მარტო გადაკარგვა... დალოცვილი ახალგაზრდობა ჩვენი. და ის განუმეორებელი სურნელი ორმოცდაათიანი წლებისა... არ იყო ერთფერად შავი შინაგანი ცხოვრება ჩვენი იმ ჩამოწოლილ ღამეში: მერე აჭრელდა გარედან. გასუქდა და გაიქონა... და ჩამოღამდა სულში. გამარტივდა თითქოს. "ერზაცებით" აივსო. მაგრამ მაშინ დაწყებულ ნადირობაში შექმნილი პიროვნება უცვლელი დარჩა: ჩვენი ბედია ეს. დალოცვილი ბედი.

ნადირობა. როგორც შინაგანი არსება: ნადირობა შენში აღმოჩენილ ნადირზე. რომელსაც აობიექტურებ. გარეთ აირეკლავ! ეს დიდებული ხედვაა! მახსენდება: დონ რიკარდოს - არგენტინელ პროფესიონალ მონადირეს ვკითხე. ბაიკალზე იყო ჩვენთან ერთხანს. - ჰემინგუეი დიდი მონადირე თუ იყო-თქო: "ყველაზე დიდი მონადირე იყო მწერლებში და ყველაზე დიდი მწერალი მონადირეებშიო" - 1965 წელი იყო. მე ვთქვი: "ალბათ ნადირობა მისი ცხოვრების ეპიზოდი იყო და არა გზა": "ეგრეა" მოკლედ მოჭრა დონ რიკარდომ. თვითონ დიდი ვექილი იყო ბუენოს აირესში. ვინ განსჯის...

ნადირობა საკუთარ თავთან მისვლაცაა - აგრესიულობის. ველურობის დაძლევა და პიროვნების სათუთი ქსოვილიდან კაცობის კვანძების შეკვრა: ამიტომაა ნადირობა ასეთი კაცური აქტი! უნებლიედ გახსენდება კარლოს კასტანედას საოცარი დონ ხუანი - იაკის ტომის ინდიელი მოგვი: "სიკვდილის იდეა - ერთადერთია. რაც ამაგრებს ჩვენს სულს": და კიდევ: "როგორც კი ადამიანი ისწავლის ხედვას იგი მარტო აღმოჩნდება ქვეყანაზე": ან კიდევ: "ჩვენი ბედი. როგორც ადამიანებისა იმაში მდგომარეობს. რომ ვისწავლოთ სიკეთისა ან ბოროტებისათვის... ცოდნის კაცი ცხოვრობს მოქმედებით და არა მოქმედებაზე ფიქრით და ფიქრით იმაზე. თუ რას გააკეთებს მას შემდეგ. როცა დაამთავრებს მოქმედებას..." - მოქმედების და ცოდნის კაცს შეუძლია მხოლოდ გადახტომა. ბედის მიერ კლდეზე შეყვანილი მონადირის ნახტომი პიროვნების კაცად გასრულების საზომია... ასე დაადგინა ქართულმა მითოსმა.

"მითს" ამბად მიადგნენ ახლა და იქ ხმარობენ. როგორც პარიზში მოხეტიალე ტურისტები

(მათ შორის საბჭოთაც) სან-დენიზე გამოფენილ მეძავებს. მითი კი აქ არის. "ჩონ ტაში". რადგან მითი "ამბავი" კი არ არის. არამედ თვითონ ყოფიერება. მონადირის ყოფიერება! დაინახავს ვინმე ამ "უბრალო" მოთხრობებში ჩადებულ ნამდვილ ენერგიას - მითოსურს? მითურხედვას და მითოპოეტიკას? ვაჟასეურს და ვაჟასეულს?! ვნახოთ: შემხვდება. - ალბათ. - სადმე - "კრიტიკა"...

ყოველივე დანარჩენი რაც ამ ძირითად კვანძებს ახლავს. ამბებად გაბმული ძაფებია. რომელიც მთელ ბადეს გამჭვირვალე. მაგრამ საოცრად მკვრივ და პლასტიურ ფორმად ქსოვს: აქ და ახლა მყოფი მოარსებე ყოფიერების ფერად ხალიჩას. ამ ხალიჩის შესიტყვება "გმირის" პიროვნებასთან ამ ქსოვილს იმ სიღრმით განზომილებას აძლევს. რომელიც "მთხრობელობის" სიბრტყელიდან ხილვადის სივრცულობად განიცდება. ეს ქმნის ახალ სამყაროულ მასშტაბს: ასე უბრალოს. ასე ნამდვილს და. ამიტომ. ასე ღრმას. დიდებული განწყობებია. ნამდვილ ოსტატური ფერადოვნებით შეორთქლილი განცდის სივრცეში...

ხედვის წერტილთა მონაცვლეობა: ასევე უბრალოდ და ბუნებრივად შეთვისებული - "ობიექტური". "შიგმხედველი" ("დღიური" - და - "ღამეური" ანუ მზეული - და - მთვარეული!); პირველი პირი - მეორე პირი - მესამე პირი - ისე მშვიდად არის ნახმარი. ისე შიგნიდან მოსული ბუნებრივობით. რომ ეჭვი არ გეპარება - თავისია. მონადირის შინაგანი ბუნებიდან გამოტანილი (ხოლო რამდენი ამგვარი "ხერხია" დღეს ლიტერატურაში იოლად ნაპოვნი და თვალის დაკვრაც საკმარისია. რომ მიხვდე - აულია და არ კი იცის რას მოახმაროს და რაში გამოიყენოს... რა "ათქმევინოს". რადგან ხერხი თვითვე მთქმელი და სხვისი ხერხი სხვისი სათქმელის მთქმელია... აქაა ზედგამოჭრილი: "რაც არ გერგება - არ შეგერგება!).

ნადირობითვე კლავს იმ დესტრუქტიულ მხეცს. აგრესიული გარემო რომ უღვიძებს ყოველწამიერად და არ აძლევს საშუალებას საკუთარი პიროვნება გამონასკვოს. საკუთარ კაცობასთან მივიდეს...

აგრესიული რეალობა კლავს ლადოს (ჩვენმა თაობამ ამ აგრესიული გარემოსაგან სასტიკი დარტყმა განიცადა - რომელი ერთი დავასახელო!) მაგრამ ეს არ არის საწუთროდან უკვალოდ გასვლის სიკვდილი - ეს არის გარდაცვალება. რომელიც ჩონტაშის მონადირის კაცურ და დასრულებულ პიროვნებაში აღდგება; ან. უკეთ. ამ პიროვნებად გარდაიცვლება! სიკვდილს რა ხელი აქვს კაცთან (კაი ყმასთან!) მან მხოლოდ კაცურობის გამომკვეთავი მისია შეიძლება იკისროს და ასეც აქვს დაკისრებული: "შენი ჭირიმე სიკვდილო. სიცოცხლე შვენობს შენითა..." სიკვდილი მხოლოდ იმათ კლავს. ვისაც სიცოცხლეც არ ჰქონია ნამდვილი. ვისაც შინაგანი სამონადირეო სივრცე არ გახსნია; ვისაც ერთხელ მაინც არ უნადირია "ამირანთან და მის ძმებთან"; და ვისაც თავისთავზე არ უნადირია განმარტოებულს... აქ ამ განმარტოებულ ნადირობაში ხდება ყველა "არ შეიძლებას" დაძლევა. ყველა ნაბრძანების არშესრულება. ყველა სიჩუმის დარღვევა. და ყველა ხმაურის მოსპობა. ეს არის ნამდვილი ბრძოლა იმ ბოროტებასთან. რომელიც შემომდგარა გარშემო. რომელიც ხმაურობს: - სიჩუმის და ხმაურის ორთაბრძოლაა "დრო და ჟამი" დ. - დროც და ჟამიც (შუმერები ტყუილად არ ასახელებენ ხმაურს ღმერთთა მიერ მოვლენილი წარღვნის გამომწვევ მიზეზად. რადგან ხმაური კავშირების გაწყვეტაა! ხმაური კლავს პიროვნებას. აქრობს მას - საკმეველთან. ღვთაებრივ ცეცხლთან ერთად; ღმერთები - და ის. ერთადერთი მამაც - პიროვნებას. კაცს ითხოვს და ქმნის თავის ძედ. და არა მასებს. ორგანიზებულ მასებს! მით უარესი ჩვენთვის თუ ეს მასები "ქართველები" არიან); - არანამდვილი რეალობა ხმაურობს მწუხრის გულის-შემხუთავ უკაცურობად და აბნელებს სულსაც ისე. რომ სინათლეზე მოხვედრა ტკივილს გგვრის და გაღიზიანებს. და მაშინ. პიროვნებაზე მონადირე გარემოს მონადირება ხდება კაცის მიერ ამ სიბნელეში; ამ ღამეში ხდება სწორედ გულადი მონადირის გზის არჩევა. ეს მარტოობის გზაა. სიფხიზლის გზა. რადგან მონადირე მხოლოდ ფხიზელი შეიძლება იყოს. რადგან მონადირე მხოლოდ განმარტოებაში ნადირობს. ისეთივე შესაძლებლობით დაღუპვისა. როგორსაც აძლევს "განწესებულ" ნადირს - ბუნებაშიც (ადამიანის "ბუნება" ხომ სოციალურია ამავე დროს) და თავისთავშიც.

აქ ამ ნადირობაში ეხები გულისგულს არსებობისა და გრძნობ მის ძგერას. ყოფიერების ექსისტენციური სიღრმე "აისბერგი" აღარაა (და ჰემინგუეიც დიდი ხანია დაძლეულია ჭაბუკობასთან ერთად). იგი გახსნილია მის მომაჯადოებელ უშუალობაში. და ამ უშუალობაში ხდება ჩვენს თვალწინ ადამიანის პიროვნებად გარდაცვალება. კაცად დადგინება. რაც ასე დააკლდა საქართველოს...

"ჩამოცურებებს" კი მნიშვნელობა არა აქვს. ხოლო "ციტატები" კრიტიკოსებმა ჭრან თავისი ბასრი მაკრატლით...

ჯ. ქ.

* * *

*********************************************************************

# ქრონიკა

ჟურნალი უკვე აწყობილი იყო, როდესაც რედაქციას ბ-ნმა ზაქარია ლაშქარაშვილმა გადმოსცა თბილისიდან მიღებული განცხადება:

"24 მარტს დღის ორ საათზე, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ინიციატივით მოეწყო ხალხმრავალი მიტინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 12-მა გაერთიანებამ. კინოს სახლთან შეკრებილმა 15 ათასამდე მოქალაქემ რუსთაველის გამზირის გავლით მთავრობის სასახლესთან ჩაატარა მიტინგი. მიტინგი მიჰყავდა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წარმომადგენელს გელა ნიკოლაიშვილს, სიტყვებით გამოვიდნენ ილია ჭავჭავაძის საზოგადოებიდან ზურა ცინცაძე და მიშა ქურდიანი; კინორეჟისორი ლანა ღოღობერიძე, მწვანეთა პარტიიდან ზურა ჟვანია; აგრეთვე რესპუბლიკური პარტიის, სახალხო ფრონტის და სხვა გაერთიანებათა წარმომადგენლები.

მიტინგში მონაწილეობა მიიღეს ბალტიისპირეთის წარმომადგენლებმაც ლიტველებმა, ესტონელებმა, ლატვიელებმა; აგრეთვე ლიტველთა სათვისტომომ. სიტყვით გამოსვლის გარდა შეასრულეს ლიტვის რესპუბლიკის ჰიმნი.

მიტინგზე მიღებულ იქნა დადგენილება, გაგზავნილიყო შემდეგი განცხადება გორბაჩოვთან, გუმბარიძესთან, ლანცბერგისთან და პერეს დე კუელიართან.

"ლიტვის მიერ დამოუკიდებლობის აღდგენა და მასთან დაკავშირებული მოვლენები მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია. არსებობს საშიშროება, რომ საბჭოთა რუსეთის იმპერიული ძალები ადვილად ვერ შეეგუებიან დატყვევებული ერის გათავისუფლების პრეცედენტს. ჩვენი მოქალაქეობრივი და ზნეობრივი ვალია, ამ მეტად კრიტიკულ სიტუაციაში მხარი დავუჭიროთ ლიტველ ხალხს.

1990 წლის 24 მარტს, ლიტვის რესპუბლიკის მხარდასაჭერად, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების, საქართველოს სახალხო ფრონტის, უნივერსიტეტის პრესკლუბის, პოლიტიკური კლუბის, ივანე ჯავახიშვილის საზოგადოების, რესპუბლიკური პარტიის, საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი ორგანიზაციის, არჩილ ჯორჯაძის საზოგადოების, ვენის კავშირის, ინვალიდთა ასოციაციის, მწვანეთა პარტიის, ასოციაცის "ეროვნული თანხმობის" მიერ თბილისში შემდგარი მრავალათასიანი ერთობლივი მიტინგის მონაწილენი მოვითხოვთ:

1. საბჭოთა მთავრობამ დაუყოვნებლივ სცნოს ლიტვის დამოუკიდებლობა.

2. შეწყვიტოს ლიტვის საშინაო საქმეებში ჩარევა.

3. საბჭოთა მთავრობამ დაუყოვნებლივ გაიყვანოს საოკუპაციო ჯარები ლიტვის რესპუბლიკიდან, მოხსნას ლიტვის ეკონომიკური ბლოკადა.

4. საბჭოთა მთავრობამ სასწრაფოდ დაიწყოს მოლაპარაკება ლიტვის მთავრობასთან, გაერთიანებული ერების და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მეთვალყურეობის ქვეშ.

5. საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა სცნოს ლიტვის დამოუკიდებლობა და საქართველოს მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადოს, რომ მას არავითარი ეკონომიკური და სხვა სახის პრეტენზიები არა აქვს ლიტვის რესპუბლიკასთან.

6. საქართველოს რესპუბლიკის საინფორმაციო საშუალებათა სააგენტოებმა "ლიტვის სსრ"-ს ნაცვლად ლიტვა მოიხსენიონ როგორც "ლიტვის რესპუბლიკა".

7. საქართველოს მთავრობამ ერთ-ერთი უახლოესი არასამუშაო დღე გამოაცხადოს ლიტვის რესპუბლიკის დახმარების საქველმოქმედო შრომის დღედ და იმ დღის ხელფასიდან მოგება გადაერიცხოს ლიტველ ხალხს.

დღევანდელი მიტინგის რეზოლუცია გაეგზავნოს ბბ. გორბაჩოვს, ლანცბერგისს, გუმბარიძეს და პერეს დე-კუელიარს.

საბჭოთა იმპერიის მიერ ლიტვის რესპუბლიკის წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენების შემთხვევაში ჩვენ მივმართავთ საყოველთაო გაფიცვებს, მანიფესტაციებს და ჩვენს ხელთ არსებულ ყველა მშვიდობიან პოლიტიკურ საშუალებებს.

თბილისი 24 მარტი 1990 წელი."

"ივერიის" რედაქცია სავსებით იზიარებს ქართველ პატრიოტთა ამ კეთილშობილურ, ზნეობრივად და პოლიტიკურად მნიშვნელოვან პოზიციას და თავის ხმას უერთებს განცხადებაზე ხელისმომწერთ.

**********************

* * *

საქართველოში შეიქმნა ახალი პარტია "ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია". პარტიის თავმჯდომარედ არჩეულია ფილოსოფოსი, ქართული კულტურის მკვლევარი მიხეილ ნანეიშვილი (56 წლის).

* * *

ჟურნალი "ივერია" ესალმება ბატონ გიორგი წერეთლის თაოსნობას "ქართველ ემიგრანტ

*******************************************************************

მწერალთა და ჟურნალისტთა საზოგადოების" მუშაობის განახლებისა. 1989 წლის 20 ნოემბერს ჩატარდა კრება, რომელმაც აირჩია საზოგადოების თავმჯდომარე - ბ. გიორგი წერეთელი, მოადგილე - ლევან ფაღავა, მოლარე - ბ. ნიკოლა ანთაძე: საზოგადოებას ჰყავს ორი მდივანი ქ. ეთერ წერეთელი - ფრანგული განყოფილებისა და ბ. ზაქარია ლაშქარაშვილი - ქართული სექტორისა. საზოგადოების წევრთა მცირერიცხოვნობამ განაპირობა ის, რომ საზოგადოება და გამგეობა იგივე პირებითაა წარმოდგენილი. გამგეობის წევრები არიან აგრეთვე ბ. მიხეილ ქავთარაძე და ბ. ჯანრი კაშია.

ბ. გიორგი წერეთლის ჩანაფიქრით საზოგადოების წევრი უნდა ყოფილიყო საზღვარგარეთ გამომავალი ყველა ბეჭდვითი ორგანოს წარმომადგენელი და დაინტერესებული მწერლები თუ ჟურნალისტები. ჯერჯერობით წარმოდგენილნი არიან მხოლოდ "გუშაგი" (გ. და ე. წერეთლები) "ჩვენი დროშა" ( ლ. ფაღავა), "ივერია" (მ. ქავთარაძე და ჯ. კაშია).

ბუნებრივია, რომ "ქართველ ემიგრანტ მწერალთა და ჟურნალისტთა საზოგადოების" განახლება ემიგრაციაში მწერალთა და ჟურნალისტთა დიდი სიმცირის პირობებში მხოლოდ იმ პატივისცემის ნიშანია, რომელსაც ემიგრაციაში მყოფ ქართველ კულტურის მოღვაწეთა მიმართ ვგრძნობთ - ამ საზოგადოებას ხომ ისეთი მნიშვნელოვანი წევრები ჰყავდა, რიგირც ივანე ზურაბიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, სპირიდონ კედია, გრიგოლ რობაქიძე, გიორგი ყურული, ვიქტორ ნოზაძე, შალვა ამირეჯიბი, რევაზ გაბაშვილი, მიხაკო წერეთელი, სამსონ ფირცხალავა, იოსებ გობეჩია, დავით შარაშიძე გიორგი გვაზავა, და სხვები, რომლებიც ქართულ ემიგრაციას დიდ კულტურულ ღირებულებას ანიჭებდნენ და ქმნიდნენ საქართველოს ისტორიის მეტად მნიშვნელოვან ფურცელს. მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მთელ ამ მემკვიდრეობას მოვლა და პატრონობა ესაჭიროება და, ამდენად, დარჩენილ ძალთა გაერთიანება პრაქტიკული საქმიანობის მოთხოვნილებითაცაა გამოწვეული. წინ არაერთი მნიშვნელოვანი თარიღი და მოვლენა გვესახება და მათი აღნიშვნა ან მათზე გამოხმაურება ემიგრაციაში დაგროვილი გამოცდილებით ხელს შეუწყობს ქართული საზოგადოების ეროვნულ საქმიანობასაც.

საზოგადოებას გადაწყვეტილი აქვს მოაწყოს საჯარო მოხსენება-დებატები ლიტერატურულ და ისტორიულ-საგანმანათლებლო საკითხებზე; სახელოვან წინაპართა იუბილეების გამართვა; ქართული ენისა და წერა-კითხვის შესასწავლი უოველკვირეული სკოლის დაარსებისათვის ზრუნვა; ქართული კულტურისა და მიმდინარე ამბების შესახებ საინფორმაციო გამოცემათა მომზადება ფრანგულ და ინგლისურ ენებზე...

იმედი გვაქვს, ბ. გიორგი წერეთელი, უცხოეთში მცხოვრებ ქართველ ინტელიგენტთა დახმარებით გააცხოველებს საზოგადოების საქმიანობას თავისი დაუღალავი ნებისყოფით.

*************************************

*************************************

## მისამძიმრება

ნათესავთა და მეგობართა მიმართ სამძიმარია გამოთქმით ვაქვეყნებთ 1989 წლის აპრილის შემდეგ გარდაცვლილთა სიას:
ალექსი (ალიოშა) აბაშიძე; მართა ამილახვარი-დადიანისა; შოთა გვასალია; ლუიზ ტევ-დადიანისა; დავით მეტრეველი; ქრისტეფორე იმნაიშვილი; ბარბარა ბუჩიაშვილი-ლანინგ; თამარ საბახტარაშვილი-მუსხელიშვილისა; მარი-ლუიზ მერლენ-შენგელიასი; ოლგა სმირნოვა-კობახიძისა; დ. კლდიაშვილი; ლევან სალარაძე (სირიაში); გიორგი კორძახია; გრიშა ხუჯაძე; გაიოზ მაღლაკელიძე; ჰანრი მატუაშვილი; პავლე ვაშაძე.

ღმერთმა გაანათლოს მათი სულები.

****************

## ჟურნალის ფონდი

| | |
|---|---|
| გულნარა პატარიძე-ურატაძისა | 5 000 |
| გ. ზალდასტანი | 1 000 |
| გ. გაბლიანი | 1 524 |
| ბ. კეკელია | 660 |
| ა. შავგულიძე | 300 |
| ნ. თოფურია | 300 |
| ირ. ოთხმეზური | 158 |
| ვლ. ემხვარი | 100 |
| რ. გვეტაძე | 200 |
| გ. ნოზაძე | 40 |
| ქ. ფაშალიშვილი | 5 გირვანქა სტ. |

ულრმესი მადლობა რედაქციისაგან.

*************************************

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომავალ ნომერში:
მ. იბერი: "ტოტალიტარიზმის რეინკარნაცია"
(დასასრული: 1953-1990)
დავით ვარსაძე: "სამშობლოს სამსახურში"
(მოგონებათა რვეულები)
ჯ. კაშია: "ლიბერალიზმი - ნაციონალიზმი - ფედერალიზმი"

**************

მთავარი რედაქტორი მიხეილ ქავთარაძე

სარედაქციო კოლეგია:
გივი გაბლიანი
გივი ზალდასტანიშვილი
გულნარა პატარიძე-ურატაძისა
ჯანრი კაშია

Directeur Otar Pataridzé

adresse d'Editeur:

Michel Kavtaradzé

61, Chemin de Tabor 91310, Linas
Tel: (1) 69 01 47 81

Edition hors commerce (250 ex)

გასწორება ჩვენი ჟურნალის 33 ნომერში ილია შენგელიას ლექსების ბეჭდვისას ორთოგრაფიულ შეცდომათა გარდა გამოტოვებულ იქნა რამდენიმე სიტყვაც. რედაქცია ბოდიშს იხდის ამ უნებლიე უხერხულობის გამო.

ლექსი "ძმები" უნდა იკითხებოდეს ასე:

### ძმები

შევხვდით და დავთქვით, რომ თბილისში ერთად ჩავიდეთ,
რომ ჩავუტანოთ საქართველოს შვების თილისმა,
რომ განიდევნოს ქართულიდან სიტყვა: "შავი დღე"
და... სიხარული ნახოს თბილისმა.

შევხვდით და დავთქვით, თუ ითხოვა ბედმა დაუნდომ
წმინდა ზვარაკი, ვით კრწანისმა, როგორც დიდგორმა,-
ერთად მოვკვდეთ და... თაობებმა ივარაუდონ
ჩვენი "იყო და არა იყო რა"...

23. 11. 44
ვერონა.

ლექსის "გათხოვილი ქალწულები" მესამე ამბავი" უნდა იკითხებოდეს ასე:

### მესამე ამბავი

სატრფოწაგვრილი გათხოვდა ის სიზმარეული,
გახდა დედა და მაინც ისევ არის ქალწული.
უსიხარულოს ასულდგმულებს მარტო წარსული...
სატრფოწაგვრილი გათხოვდა ის სიზმარეული.
შემკრთალი, თითქო მთვარე მცხრალი, შუქდალეული;
მოკრძალებული, დარცხვენილი და ალინძული:
სატრფოწაგვრილი გათხოვდა ის სიზმარეული,
გახდა დედა და მაინც ისევ არის ქალწული.

14. 12. 45

ეროვნული
ბიბლიოთეკა